

მნათობი

12

თბილისი
1946



მნათობი

საზღვრის-საზღვრის საზღვრის მფარველის
ქვეყნის უმთავრესი სალიბერალური,
სახელმწიფო და საზოგადოებრივ-საკონსტიტუციო
ჟურნალი

წელიწადი ოცდამეცამე

12

4139



ნეკრასოვის სსოვნას

ალექსანდრე აბაშელი

1911 * 1912

დიდმა პოეტმა ახხადა ფარდა
საყვარელ ქვეყნის დატანჯულ სახეს:
ხალხი, მისული უფსკრულის კართან,
სწყველიდა გულქვა ტირანის სახელს.

ჯერ კიდევ ბნელში ეძინა გრგვინვას,
ცა ყურს უგდებდა ყორანთა ჩხავილს.
მსუსხავდა ზამთრის ქარი და ყინვა
გაუზარებელ სიცოცხლის ყვავილს.

ავსულთა გროვა გარს ერტყა მეფეს,
იჩაგრებოდა ზეედრი მართალთა,
და დიდი ქვეყნის მშრომელთა სვე-ბედს
უსამართლობის ხელი მართავდა.

ამ დროს გაისმა იმედით სავსე
მძლავრი ქუხილი მისი ქნარისა,
შორი ნიშანი გამოჩნდა ცაზე
ქვეყნად მომავალ მზიურ დარისა.

ახალი სიტყვა გამოიკვერა
და ბნელ ღამეში აენტო სხივიც.
პასუხი გასცა ბრძოლის სიმღერამ
სისხლით გაღეშილ სვაეების ყივილს.

მჩაგვრელთა მიმართ ზიზღი და წყევლა
კქუხდა პოეტის ნაღვლიან ხმაში.
მისი მრისხანე ლექსების ელვა
საქართველოსაც აღწევდა მაშინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აქაც ისმოდა მისი სახელი
და აქაც გრძნობდნენ მისს უკვდავ ძალას.
მისებრ შეუსვამს მწარე ნაღველი
ჭავეჭავეაძის და წერეთლის კალამს.

ან რას შეეძლო გათიშვა ხალხთა? —
ქართლსა და რუსეთს ერთი გზა ჰქონდათ,
ერთად მიჰქონდათ ქვა მეფის ტახტთან
მხეცთა ბუნაგის ამოსაქოლად.

და გაიმარჯვა მართალმა სიტყვამ,
ძალმომრეობა გაჰქრა აესულთა,
და რაც პოეტის ლექსებში ითქვა,
ჩვენ დავინახეთ, როგორ ასრულდა!

1946 წ. 9 დეკემბერი.

პოეზია

ნ. ნაკრასკვიძე

★

სადა ხართ, სადა, მომღერლებო თქვისუფლების?
ოი, მრისხანე საუკუნეე „სისხლის და ხმალის“ —
შენ გაამეფე ბანკირები, ოქროს ფულები,
ჯალათი—ხალხის ზღვა ცრემლებით და სისხლით მთვრალი.

„ჩვენ არ გეინდაო მომღერლები!“ ბრბო გაიძახის.
ალარცა ჩანან... მღუმარება ჩანავს ეუფლება,
ვინდა აუხსნას აღამიანს დიდი მიზანი, —
ვინ მოაგონოს უმალესი დანიშნულება?

ო, შეიწყნარე ბრბო, მგოსანო, უვიცი, ბნელი,
ისევ დაბრუნდი... აეღერე ბრძოლის სიმები!
და ჩირადნანი, დღეს ჩამქრალი უტიფარ ზელით,
ისევ აანთე მოკაშკაშე ნათელ სხივებით.

აღსდგე, ამაღლდი, შთაგონების აღინთე ალით!
აღაფრთოვანე დაცემული აწ ჩვენი სული,
რომ, განწირულებს, გვინათებდეს ახალი ძალით:
მშვენიერება, სილამაზე, სიკეთე სრული.

დაპგმე ძმის მკვლელი, ვინაც სისხლით ზელი იბანა,
დაფნის გვირგვინი ჩამოპკლიჯე გამცემს თავიდან,
ვინც ეს ქვეყანა მტრობის გზაზე გადაიყვანა —
კაცთ სიყვარულის, მეგობრობის, სიმართლის გზიდან.

ხალხის გრძობებში ჰარმონიის ძალუქს შეტანა
მხოლოდ შენს ლექსებს! გეწამს დიდება შენი ქნარისა!
თუმცა, ქურუმო ხელოვნების, გღვენის ქვეყანა —
მაგ შენს გულშია ტახტი ტრფობის და სიმართლისა!



თავისუფლება

დედა სამშობლოვ! შენს ველებზე ბევრი მივლია,
 მაგრამ ასეთი გრძნობა ჯერ მე არ განმიცდია.

ვხედავ: უჭირავს ხელში დედას პაწაწა შვილი
 და გულში ღელავს სანატრელი, ფიქრები ტკბილი.
 ჩემო პატარავ, დაგედგომია ქამი კეთილი,
 წინაპრებივით ცრემლს არ დაღერი წელმოწყვეტილი.
 ბავშვობიდანვე გენიჭება სრული უფლება —
 აირჩევ საქმეს, რაც კი გულით მოგესურვება.
 გნებავს, ზოგანო მიწის მუშად ისევ დარჩები —
 ისურვებ ლაქვარდას, ვით არწივი, გააპობ ფრთებით.
 ეჰ, ვგრძნობ მცდარია, გულუბრყვილო ჩემი ოცნება —
 უფაქიზესი, მოქნილია კაცის გონება.

მე კარგად ვხედავ: ნაცელად ძველი ბატონყმურ მახის —
 მონობის ქსელი მოიგონეს ათასი სახის.

ასეა! მაგრამ მასაც გასწყვეტს ხალხის მარჯვენა.
 მუშავ, იმედით მიესაღმე იმ გამარჯვებას!

თარგმანი ვ. გორბაძისა

1861 წ.

მაშინ რა ვიყავ?

ალიო მაყაშვილი



მაშინ რა ვიყავ? ახლაც ელვა ვარ
მე გამარჯვებულ ქვეყნის პოეტი,
ველარ დამძლია დარღმა მღელღარმა,
ისევ ნაომარ ბჭესთან მოვედი!

ერთხანს გესმოდათ გულის ჩივილი,
წვიმის ცრემლებით სწუხდნენ სივრცენი,
მაგრამ, კრილობის მწვევე ტკივილი,
განა ბრძოლების შემდეგ ვიგრძენი?

ერთხანს ზღვის ლელვამ მარწია, მქანცა,
ტალღებს მისევდა ავი და მძაფრი,
გრიგალს ვებრძოდი და გემის ანძას
შეგრჩი მარტოდენ პერანგის აფრით!

მაინც ვერ მძლია დარღმა მღელღარმა,
მაღალ ოცნების ბჭესთან მოვედი,
მაშინ რა ვიყავ? ახლაც ელვა ვარ
მე გამარჯვებულ ქვეყნის პოეტი!



ეჭარი

ეჭარა! ცა და... ოცნება ჩემი,
შორს დანისლული მთები, ქედები,
ზღვა ღელავს, ჩვენსკენ მოსცურავს გემი
გაშლილ სანდლების* თეთრი გედებით!

ეჭარა! მიხმობს ნესტანი ჩემი,
ალბათ ქედიდან გამოიპარა,
ბალნარში დამხვდა მოსილი კედებით,
ფოთლების ჩადრი ჩამოიფარა!

ეჭარა! ზღვა ჰქუხს ტალღების ცემით,
მახსოვს ტრფობის და ფიქრის დღეები,
ზღვას უხარია სტუმრობა ჩემი,
ხორუმს უვლიან სიყრმის ხეები!

ეჭარა! ახლოს მოსულა გემი,
თავზე ბათუმის ცა დამეჭურა,
მოვდივარ, შენ ხარ სიმღერა ჩემი,
ერთად დავსძახოთ ხასანშეგურა!

* სანდილი — პატარა აფრიანი ბომბილი.

თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა

რომანი *

აქაკი ბულიაშვილი

★

თბილისში ქაშის გაჩენის შემდეგ ერეკლე მთელი თავისი ამალით პირველად სოფელ ირაკლისციხეში დაბინავდა, რომელიც თბილისიდან სულ შვიდი ვერსით იყო დაშორებული. მეფეს განზრახული ჰქონდა, თუ კი ქალაქში გაჩენილი სნება მართლა ქაშში არ იქნებოდა, როგორც ზოგიერთები ფიქრობდნენ, ისევ დაბრუნებულიყო უკან, მაგრამ იმედი არ გაუშარტოდა. ყოველდღე მოდიოდა ამბები ქალაქიდან, რომ ქაშში სულ უფროდაუფრო მძვინვარებდა. მთელი ერთი თვე იცადა ერეკლემ, მაგრამ ბოლოს ქაშმა თვით ამ სოფელშიდაც იჩინა თავი. მაშინ კი აიყარა და თელავისკენ გაემგზავრა. გზადაგზა ამბები მოდიოდა, რომ ქაში სხვა სოფლებსაც მოხდებოდა, ხოლო როდესაც თელავს დაუახლოვდა, სოფელ არტოზანში მცხოვრებნი შეეგებნენ და მოახსენეს, რომ ქაში თელავშიდაც გაჩნდა. ერეკლე იძულებული იყო არტოზანშივე შეჩერებულიყო, გზებზე ყარაულები დაეყენებინა, რომ მის ბანაკში არავინ შემოეშვათ და სასოწარკვეთილმა აღარ იცოდა რა გზას

დასდგომოდა. მას საკუთარი დიდი ოჯახის და უამრავი ამალის გარდა, სახელმწიფო მოხელენიც თან ახლდნენ თავიანთი ოჯახებით და მსახურმოყმეებით. ყოველივე ამას ზედერთვოდა უამრავი ბარგი-ბარხანა, თავისი აქლემებით, ცხენ-ჯორებით, სურსათ-სანოვაგით, საკლავი საქონლით და ასე წალმაუკულმა ხეტიალი მეფესათვის მეტად მძიმე აღმოჩნდა.

სამეფო საქმეების გამოკეთებასაც კარგი პირი არ უჩანდა. ერეკლე ყოველდღე სწერდა წერილებს ტოტლებს, სთხოვდა დაევიწყნა ყოველივე წარსული უსიამოვნებანი, შერიგებოდა და ორთავეს განეახლებინათ თურქების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება. მოურავოვი ანუგეშებდა ერეკლეს, აი აგერ მოვა მშვიდობიანი პასუხი და აი აგერო, მაგრამ ტოტლები კვლავ ხეპრე პასუხებს გზავნიდა, რომელთა გამხელას რუსეთის ელჩი მეფესთან ვერ ბედავდა.

ერეკლეს უმთავრესად აშინებდა ტოტლებების რუსეთისკენ გაბრუნება და საქართველოდან ჯარის გაყვანა. როგორც კი ტოტლები სა-

ქართველოს დასტოვებდა, იმ წუთშივე ერეკლეს ყოველი მხრიდან მგლების ხროვასავით შემოესეოდნენ ჩასაფრებული მტრები და მთლად გასწეწადნენ. მას უკვე მიღებულა ჰქონდა ცნობები, რომ ერეკლის ხანი განდგომიდა და თურქებთან გაება კავშირი. ამის შედეგად აზრუმის სარასკიის მუსტაფას, მსტოვართაგან გამოგზავნილ ცნობებით, დიდძალი ჯარი შეეგროვებინა და საქართველოსკენ აპირებდა გამოლაშქრებას. გარდა ამისა, ერეკლის ხანი ამით არ დაკმაყოფილებულიყო, სპარსეთის ყაენთან ქერიმ-ხანთან და ყუბის ხანთან კაცები ეფრინა, დროა ერეკლეს წინააღმდეგ ხმალი აემაართოთ და ბოლო მოეფლათო.

ლევებიც შედგომოდნენ დიდ სამზადისს. ერეკლემ ბარათი მიიღო ავარიის თავადის მუჰამედ-ნიუსელ-ხანისაგან, რომელიც ატყობინებდა, რომ მეშედ ხან ყუმუხელი მოსვენებას არ მძლევს, შენს წინააღმდეგ ნამხედრებს და სურს მასთან ერთად თავს დაგესხაო. მართალია მუჰამედ-ნიუსელ-ხანი ერეკლეს ანუგეშებდა, მე შენი ძველი მეგობარი და ერთგული ვარო, მაგრამ თუ კი შეატყობდა, რომ საქართველოს მეფეს საქმე ცუდად წაუვიდოდა, ცხადია, მეგობრობაც დაეწყებოდა იქნებოდა. იმ ხანებში, საკუთარ ძმასაც კი ვერ ენდობოდა ადამიანი. ასევე გადუღებოდა, ალბათ, განჯის ხანიც, რომელიც ჯერ კიდევ ერთგული იყო ერეკლე მეფისა და თითქმის ყოველდღე გზავნიდა მოკითხვის წერილებს. ერეკლემ კარგად იცოდა, რომ განჯის ხანს უფრო სხვა ამბების გაგება სურდა და შიკრიკებს იმისთვის გზავნიდა საქართველოს მეფესთან, უნდოდა შეეტყო რა დღეში იყო ბატონი და თუ უპირდა, დროზე ებრუნა პირი ქერიმ-ხანისკენ.

ამის გამო შიშობდა ერეკლე და

ყოველდღე ხმარობდა, რომ რუსის ჯარი საქართველზე დაეტყუებოდა. ტოტლებენისგანც უფრო მეტი შეურაცხყოფას იტანდა, თავს იმდაბლებდა, იცოდა მტრები ჯერ კიდევ იმიტომ ვერ ბედავდნენ თავდასხმას, რომ რუსის ჯარის შიში ჰქონდათ და დროს უცდიდნენ.

ყოველივე ამ უბედურებას ისიც ერთოდა, რომ ახლა აღარც რუსის ჯარი იყო დასაძლობი. ტოტლებენის ახირებული ქცევის გამო, და, შეიძლება უფრო მეტი საფრთხე სწორეთ მათი მხრიდან მოელოდა. დავით ორბელიანი არწმუნებდა მეფეს, ქალაქში რომ ყამი არ გაჩენილიყო, ტოტლებენი აუცილებლად გამოილაშქრებდა ჩვენს წინააღმდეგ და მართლა სინამდვილეს დააღებებს ძველი ანდაზა „ზოგი ჭირი მარგებელიათ“.

ასეთ მძიმე მდგომარეობაში იყო ერეკლე, როდესაც ივლისის შუარიცხვებში ცნობა მოუვიდა, ტოტლებენი იმერეთისკენ გაემართაო. ამ ამბავმა შვებით მოათქმევინა სული და მაშინვე შეუდგა ქართლისკენ გამგზავრების სამზადისს. ერეკლეს სურდა თავისი ოჯახი ახალგორში დაებინებებინა. ხოლო სახელმწიფო მოხელენი და დიდებულები გორში წაეყვანა, სადაც განზრახული ჰქონდა ჯარი დაებარებინა და ახალიცხეზე ხელმეორედ გაელაშქრა. მაშინვე გასცა ბრძანება და მოხელენი, რომელნიც თან არ ახლდნენ თავისთან დაიბარა. საშინაო და საგარეო საქმეების წარმოების დროს ყოველ ნაბიჯზე დაბრკოლებებს აწყდებოდა მოხელეთა უყოლობის გამო, რომელთა უმრავლესობა ბევრი თითონ დაითხოვა და უმეტესობა კი უთავბოლოდ მიმოიფანტა ზოგი ქართლში და ზოგი კახეთში. დიდმა თავადებმა, მდივანბეგებმა და მსაჯულებმა თითო-ოროლას გარდა თავიანთ სამკვიდრო

მამულებს მიაშურეს და მეფეს მხოლოდ სარდლები და სარქარდარები ახლდნენ უკლებლივ.

რამდენიმე დღის შემდეგ ახლომახლოდან უკვე გამოჩნდნენ დაბარებული მოხელენი, რომელთაც, სანამ მეფის ბანაკში მიიღებდნენ, სოფლისგარეთ აბინაებდნენ და მხოლოდ სამი დღის მოთევის შემდეგ აძლევდნენ სოფელში შესვლის უფლებას. ეს ღონისძიება ერეკლეს მოურაევომა უჩნია, რომ რომელიმე ახლადმოსულს საშიში სნება ამ სოფელშიდაც არ შეპყლოდა. დარაჯები ერთგულად იცავდნენ ამ წესს და, ვინც არ უნდა გაეჩერებინათ საყარაულოზე, თუნდაც ბატონიშვილი, სამ დღეზე აღრე სოფელში არ შეუშვებდნენ, თუმცა ბატონს წინასწარ ატყობინებდნენ, მუანი კაცი გეახლათ და აქ იცდისო.

ასევე შეაჩერეს ბესიკი ყარაულეებში, როდესაც ის, შორი მგზავრობით დაქანცული, რამდენიმე თანამგზავერთან ერთად, სოფელ არტოზანს მიუახლოვდა.

სალამოკამი იყო და გომბორის ფართო ჩრდილი უკვე აღაწინისველს ვადაჰვენოდა. გზისპირზე ყარაულეები წამოწოლილიყვნენ. ერთ მათგანს ხელადით ცივი წყალი მოეყუღებინა და სიციხისაგან გაოგნებული ნეტარებით სვამდა, როდესაც დაწინაურებულმა ბესიკმა ცხენის სადავე მოზიდა, შეჩერდა და ყარაულს სთხოვა:

— ერთი მეც მომაწოდე, შენმა დღეგრძელობამ!

— რატომ! — უპასუხა ყარაულმა, რაც კახური გამოთქმით ნიშნავდა, რატომაც არაო და მაშინვე ფეხზე წამოიჭრა, ხელადა ბესიკს მიაწოდა და თან დასძინა, ცხენიდან ჩამობრძანდით, დაისვენეთ, სულერთია, სამ დღეს სოფელში ვერ გაგიშვებთ, ასე გვაქვს მეფის ბრძანებაო.

ბესიკის თანამგზავრებიც შედგნენ

და როდესაც გაიგეს, რომ სამ დღეს აქვე უნდა მოეთითყრო ცხენებიდან ჩამოხტნენ და იქვე უმარტოვდნენ. ყარაულმა ყველას გამოჰკითხა ვინაობა და მაშინვე გაგზავნა შიკრიკი მეფესთან, ესა და ეს დიდებულები გეზლენ და აქ საყარაულოზე იცდიათო. ბესიკის თანამგზავრთა შორის ჰაბუა ორბელიანიც იყო, რომელმაც განსაკუთრებით დააბარა შიკრიკს, მეფეს მოახსენეთ, მდივანბეგი ჰაბუა ორბელიანი გეახლათ და როგორ გვიბრძანებთო.

თბილისში ჟამის გაჩენის პირველ ხანებში, როდესაც მეფემ ჰალაჩი დასტოვა, ჰაბუა სხვა დიდებულებთან ერთად ერეკლეს გაჰყვა, თუმცა მეფეზე გაბუტული იყო. ჰაბუას ოცნებად ჰქონდა გადაქცეული უცხო ქვეყნების ნახვა და სულ იმის ცდაში იყო, რომ როგორმე დესპანად ან რუსეთს წასულიყო, ან ირანს, ან თურქეთს. ბევრჯერ სიტყვაც კი ჩამოუგდო ერეკლეს ამის შესახებ, მაგრამ მეფე თითქო განგებ ყურს იყრუებდა, გარკვეულ პასუხს არ აძლევდა და სიტყვას ბანზე უგდებდა. მაისის დამლევს, როდესაც მეფემ ბრძანა ასპინძის ბრძოლაში მოპოებული დროშები და სხვა ალაფი პეტრბურგში გასაგზავნად გაემზადებინათ, ჰაბუამ მეფეს მოციქულად იოვანე ორბელიანი მიუგზავნა. იმპერატორის კარზე მე გამაგზავნეო.

იოვანემ იცოდა, რომ ასეთ საკითხებში მეფე არავის რჩევას არ ღებულობდა, მაგრამ მაინც ფრთხილად ჩამოუგდო საუბარი ჰაბუას შესახებ და, ვითომ სხვათა შორის, მოახსენა, იქნებ აჯობებდა, რომ იმპერატორისთან დიდად განსწავლული ენამკვიერი ჰაბუა გაგვეგზავნა. ის ყველაფერს ლამაზად და დაწვრილებით აუხსნიდა იმპერატორისათვის. ერეკლეს უნებურად გაეცინა და იოვანეს თავაზიანად მოახსენა:

სხვაგვარად არ ჩამითვალო, თქვენო ბრწყინვალეებო, მე ქაბუას დიდად ვაფასებ და მწამს მაგის ნიჭი და განსწავლულობა, მაგრამ... მაგას ვერ ვაგვზავნი. თითონაც ბევრჯერ მომახსენა გადაკერით, მე კიდევ წაიფურეე. რა ვქნა, მეტად გონჯია და ამა რას ეგვანება, რომ ასეთი სახის ადამიანი, ნამდვილი... (ერეკლე შედგა, კინალამ წამოსცდა მაიმუნო) ნამდვილი, ამა, რა ვიცი, რა ვთქვა, ნამდვილი ბოსტნის საკრთობელა, ნუ დამზრახავთ ასეთი მსგავსებისთვის, სრულიად არა მსურს მისი ბრწყინვალეების შეურაცხყოფა, რას ეგვანება, რომ იმპერატორის წინაშე წარსდგეს. არ იტყვის, ეს რა ქვეყანა ყოფილა, რომ ასეთი ადამიანები იბადებიანო. ჯერ ისიც არ ვიცი, შეძლებს თუ არა დედოფალი მაგის შეხედვას, ქალია და იქნება შიშით გულიც კი შეუღონდეს. მეფეებთან წარგზავნილ დესპანებს კვლავ გონება უნდა უჭრიდეს, მაგრამ გარეგნობით, სახით თუ მშვენიერი მიმზიდველი არ არიან, ისე არაფერი ფასი არ აქვს მათ კვლასა და გონებას. თვალისჩინს ბევრი რამ შეუძლია, მრისხანეს ლობობიერად გახდის. ძუნწს უხვად შეიქმს, მკმუნვარეს მზიარულად, მტერს მეგობრად გარდაქმნის და ესეც ანგარიშში მისაღებია თუ არა. მის ბრწყინვალეებას, ბატონ ქაბუას, ასე მოახსენე, მეფე თქვენს შეწუხებას ვერა ბედავს, ვაი თუ ასეთ დიდ გზებზე გადასატანი კიბრი და ვაივავლახი ვერ აიტანოთ და უმჯობესად ჩასთვალა უფრო ჯანღონის პატრონი თქვენი ძმა ზაალ ორბელიანი წარგზავნოს იმპერატორისთანათჳ. აგრე მოახსენეთ, თქვენო ბრწყინვალეებო, თორემ ვაი თუ გული დასწყყდეს და ჩვენი უმაღლური შეიქნეს.

თოვანემ მართლაც ასე მოახსენა ქაბუას, ბევრი მოშინა, ულოლიავე, მაგრამ მისი გული მაინც ვერ დაამშვიდა. ქაბუამ ქვაოსროლა და თავი

შეუშვია. რაღა მდივანბეგო, ვარ და ბრწყინვალე თავადი, *მარტინეტი* ჩსე გამაწბილებსო. მე *ქვეყნის* *ქვეყნის* დღეობისათვის ვზრუნავ, სხვა თუ ომს არ ერიდება და თავსა სწირავს, იქნება მეც მინდა თავი გაეწირო, შორ გზას დავადგე, რომ ჩემს ქვეყანას ბედნიერება მოვუპოვო და თუ ამ დიდ გზაზე სიკვდილი მიწერია, მოგვკდე. მაგრამ რასა ნაღვლობსო. ბევრი იწრიალა და იქოთოტოთა ქაბუამ, მაგრამ მეფემ რუსეთს მაინც ზაალ ორბელიანი გაგზავნა და ქაბუა მთელი კვირა უბრად იყო მეფესთან, თუ შეეკითხებოდნენ რაიმეს, უბასუხებდა, თორემ ისე ხმა არ ამოუღია არც მეფესთან, არც დიდებულებთან.

რამდენიმე დღის შემდეგ ყური მოკრა, რომ მეფე ქერიმ-ხანთან აპირებდა დესპანის გაგზავნას, ქაბუას ისევე მიეცა იმედი, იქნებ ახლა მაინც არ გამაწბილონ და ირანში გამგზავნონ, იქ თარჯიმანიც კი არ დამკირდება. სპარსული ხომ კარგად ვიციო და ამ იმედმა ისევე მოუბრუნა კარგი განწყობილება. ის იყო კიდევაც დააპირა ხელახლა მიეგზავნა მეფესთან მოციქული, რომ ქამიანობამ ყველაფერი არია და მეფესთან ერთად იძულებული იყო თბილისი დაეტოვებინა.

სოფელ ირაკლისციხეში ისე აიწყენა საქმეები, რომ ქაბუას დესპანობაც კი არა, თავიც კინალამ დაავიწყდა. სოფელმა ამდენი ზიზანი ვერ დაიტია და დიდებულებსაც კი მომთაბარეებიც ცისქვეშ ეძინათ ნაბდებზე. დიდი, პატარა, ქალი, კაცი, ჯოგი, ურმები, აქლემები, ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა. მეფე იძულებული გახდა, ეს უზარმაზარი ბანაკი განეტვირთა. დიდებულთა უმრავლესობას ებრძანა თავთავიანთ მამულებში გამგზავრებულებყვენ, სანამ თითონ ხელახლა არ დაიბარებდა ყველას თავისთან. ვინაიდან ქაბუა არ იყო მოხსენებულნი მეფესთან დასაბრუნ დიდებულთა სიაში.

ისიც იძულებული გახდა თავის სოფლისკენ ებრუნა პირი და მანგლისს გამგზავრებულყო.

სოფელში ჰაბუა კარჩაკეტილად ცხოვრობდა და უმეტეს დროს წიგნების გადაწერას ანდომებდა. რამდენიმე ლექსიც კი დასწერა, თუმცა მელექსეობა არც იმდენად ეხერხებოდა. რითმების მოძებნა უჭირდა, მაინც წვალობდა, ოფლს იწურავდა და რაღაც ლექსების მსგავსს აკოწიწებდა.

ბოლოს ესეც მობეზრდა და აღარ იცოდა, თავი რით გაერთო. სასახლის მზიარულ და მრავალფეროვან ცხოვრებას შეჩვეულ ჰაბუას სოფელში ასეთი მოსაწყენი ცხოვრება უჭირდა. ამიტომ, როდესაც მეფის ბრძანება გაიგო, რომ ერეკლე დიდებულებს თავისთან იბარებდა, მის სიზარულს საზღვარი არ ჰქონდა. მაშინვე გაემზადა წასასვლელად. გულში კვლავ აღეძრა იმედი, რომ მეფე მას რომელიმე ქვეყანაში გააგზავნიდა დესპანად.

გზაში ბესიკს წამოეწია და თუმცა ჰაბუა მგოსანი კირივით ეგჯერებოდა, მაინც სთხოვა ერთად განეგრძოთ გზა და თავაზიანად საუბრობდა მასთან. გამოკითხა, სად იყო ამ ხნის განმავლობაში, ვის შეატარა თავი უბატრონომ, რადგან ბესიკს საკუთარი არც მამული გააჩნდა, არც სახლკარი. ბესიკმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, გაკვრით უთხრა, თქვენი გვარეულობის საბრძანებელში გახლდითო და მაშინვე სხვა ამბებზე ჩამოუვლო სიტყვა. მას არ სურდა ჰაბუას რაიმე ეპვი აეღო.

საუბრის დროს ჰაბუა ოდნავი დამცინავი ლიმილით შესცქეროდა ბესიკს და პასუხებს მოწყვალეზასავით იმეტებდა. განსაკუთრებით უნდოდა ეგრძობინებინა ჰაბუა მგოსნისათვის, რომ შე მდივანბეგი ვარ, შენ უბრალო ხელზე მოსამსახურე მდივანი და შენი მგოსნობა, რომლითაც თავი ასე მოგაქვს, მე არაფრად არ მიმაჩნიაო. სასახლის

კარზე, დიდებულების წრეში უნდა გაზრდილ ბესიკს, ჰაბუასთან ყოველთვის თამამად ეჭირა ფეხი. მისი ქედმაღლობა სასაცილოდ მიანდა, მაგრამ არაფერს ამჩნევინებდა და გადაჭარბებულ თავაზიანობასაც კი იჩენდა. როდესაც თელავს დაუახლოვდნენ, ბესიკმა დაწინაურებაც კი იყისრა, რომ მეფისთვის მოეხსენებინა, მისი ბრწყინვალეობა. მდივანბეგი ჰაბუა ორბელიანი გეახლათო. ესეც ერთიმ ერთგვარი ქედისმოხრა იყო ჰაბუას წინაშე, ნამდვილად კი ბესიკს სურდა სრულიად გასცლოდა ამ გულღვარძლიან დიდებულს, რათა ზედმეტი არაფერი წამოსცდენოდა ანასთან სტუმრობის შესახებ.

როდესაც ყარაულებმა გზაზე ყველანი შეაჩერეს, ბესიკს უნებურად ისევ მოუხდა ჰაბუასთან ახლოს ყოფნა და საუბარი. ჰაბუას ახლა უფრო გულმალურად ეჭირა თავი, თითქოს განსაკუთრებით სურდა დაენახებინა თავის აპალის წვევრთათვის და შორი-ახლო მდგარ ყარაულებისათვის, ეს ლამაზი და მოხდენილი ჰაბუა კი დიდი ვინმე არ გეგონოთო.

— ბესიკ, ბლიაძის გულდა რა უყავ, ხომ თანა გაქვს? — უთხრა ჰაბუამ, ვითომ ხუმრობით, მაგრამ დამცინავი კილოთი, — აბა, ერთი ვაბერე, შენმა დღეგრძელობამ, და მოგვიღბინე.

— გულდა ქალაქში დამარჩა, თქვენო ბრწყინვალეობა, მაგრამ თქვენ ხომ ზურნის ზურნის უფრო გიყვართ. ასე მოგახსენებენ, ვისაც დიდი ყურები აქვს, იმას მხოლოდ ზურნის ხმა თუ დაუტყობს სმენასო.

— ბიჭო, მე დიდი ყურები მაქვს, მაგრამ ამბებზეც დიდი უნდა მოვისმინო...

— არა, საწყენად არ მომიხსენებია.

— დაიცა, არც მე მწყინს. სასახლის კარის მასხარას ყოველივე ეპატრება. ეს ძველთაგან ასეა დაწესებული.

— პო და ეგ მამბედინებს მოგახსენოთ, რომ თქვენ მართალს ბრძანებთ, დიდ ყურებს დიდი ამბები, დიდი ყვირილი და, ბოღიში—მაგრამ დიდი ყროყინიც შეჰფერის, ასე გაუჩენია ჩვენს გამჩენ ღმერთს, დიდება იმის სახელს.

— პო და, აბა ყროყინით მაინც გავგართე!—მიახალა სწრაფად ქაბუამ, რომ ბესიკის გადაკრული ზუმრობა მოეგერებინა.

— დიდის სიამოვნებით, მხოლოდ მგლოვიარედ გახლავართ, ზრდალი გარდამეცვალა და ჯერ ორმოცი არ შესრულებულა.

მსლუბლებმა და ყარაულებმა სიცილ-ხარხარი ასტეხეს და ყველანი ამ ზუმრობა-ქილიკობით კარგახანს ირობდნენ თავს, სანამ მეფესთან წარგზავნილი შიკრიკი დაბრუნდებოდა, რომელიც ჭოჭინით მიიჭრა მოსაუბრეებთან და კარგა მოზრდილი ფუთა მოიტანა.

— რა ჰქენ, იყავი ბატონთან?— ჰკითხა უფროსმა ყარაულმა შიკრიკს.

— ეყავი. ბატონის მდივანი ენახე, იმან კიდევ ბატონის ბრძანება მოგვახსენა, რომაო, ყველამ დაიცადოსო, ქვემოთ რომ ფართო გომურია, იქ მოისვენონო, მხოლოთაო ბატონი მეფის მდივანი ბესარიონ გაბაანთიო დაუყონებლივ ჩვენთან მობრძანდესო, მხოლოთაო თვისი სამოსი გაიძროსო და ეს ტანსაცმელი ჩაიცვასო, თანაცაო ზეღპირი დაიბანოსო კარგათ საპნითაო და ისე მობრძანდესო. აგერ ეს გამომატანეს თანა, — ასწია ზელით ფუთა შიკრიკმა და ყარაულს გაუწოდა.

— დაიცა, ჩემზე არა მოუხსენებია რა?—ჰკითხა გაოცებულმა ქაბუამ შიკრიკს.

— ასე მოგახსენათ, ბატონი მეფის მდივანი ბესარიონ გაბაანთიო...

— დაიცა, ეგ ვიცით, — შეაწყვეტინა ბრახმორეულმა ქაბუამ შიკრიკს. — მე ჩემზე გეკითხები.

ბატონ მდივანებზე არა უთქვამს რა? — ჰკითხა ბესიკი მეფის ყველათი ხმით, თითქოს სურდა მოეგონებინა მისთვის, ალბათ ვითხრეს რამე და დაგავიწყდაო.

— დანარჩენებზე ასე მიბრძანეს, ქვემოთ რომ გომურია, იქ მოიცადონო, — გაიმეორა შიკრიკმა და შუბლზე დაცვარული ოფლი მოიწმინდა.

— არ გეტყოდნენ აგრე, — არ ეშეუბოდა ბესიკი.

— აგრე ვითხრეს, ჩემი ბატონის მზემა, და როგორც მიბრძანეს, მეც ისე მოგახსენებთ. მეტი რა ვქნა.

— ხომ არ დაგავიწყდა?

— ი! — გულდაწყვეტით ამოიგმინა შიკრიკმა. — გინა პირველად მომაქვს დანაბარები სიტყვა. ეს ტანსაცმელი გამომართეთ, ვისია?

ბესიკმა ჩამოართვა ფუთა და უნებურად გადახედა ქაბუას, რომელიც ბრახისაგან უღვაშებს კი არ იგრებნდა, თითქმის ივლუჯდა.



მოსახვევიდან უცხად გამოჩნდა სოფელი და ბესიკი გაოცებით შედგა. მას ასეთი თვალწარმტაცი სურათი არასოდეს არ ენახნა. მთელი ბანები სავსე იყო ფერად-ფერადი ფარჩა-აბრეშუმით მორთული ქალებით და ეს ერთ ადგილას შექუჩული მრგვალი სოფელი ნამდვილ ყვავილნარს წააგავდა. აქა-იქ ისმოდა დაირისა და თარის ხმები. ზოგან ცეკვით ერთობოდნენ, ზოგან სიმღერით, ზოგან უბრალო საუბრით. საღამო უკამი იყო და დღის სიციხეს შეფარებული, დარბაზებში ჯღომით თავგაბებრებული მანდილოსნები, ბანებზე ასულიყვნენ. ქალთა შორის აქა-იქ მოჩანდნენ ასევე მდიდრულად მორთული დიდებულებიც. ხოლო შუკებში დააბიჯებდნენ თოფაარდით მოკახმული მეომრები და აბჯარასხმულ ზეესურები.



ბესიკს სიხარულით გული აუჩქროლდა შევიდა თუ არა სოფელში, ყოველი მხრიდან ძახილი და მისალმებები ჰქონდა. ქალები ბანებზე გადმოდგნენ და ერთი ყვირილ-ხივილი ასტეხეს.

— ბესიკი ჩამოსულა!

— აბა, ბესიკი? უი, მართლა. ბესიკ გამარჯვება, ბესიკ!

— სად იყავ აქამდე? ჩვენთან მობრძანდი, ბესიკ.

— ერთი შევხედო, მართლა ისაა?

— როგორ გარუჯულა მზისაგან...

— ჩურჩხელას არა ჰგავს. შეხედეთ.

— ერთი შენი სიმღერა გაგვაგონე...

— ლექსებს აღარა სწერ, ბესიკ?

ქალებს მამაკაცებიც შეუერთდნენ და ბესიკმა აღარ იცოდა, რომელი მხრით მიეხედა და სალაში ვისთვის მიეცა. სანამ მეფის სადგომამდე მიღწევდა, კისერი დაეღალა თავის იქითაქეთ ტრიალით და მისალმებებით.

მეფე სოფლის შუაგულში, შეძლებული გლეხის სახლში ბინადრობდა. ეს შენობა ბევრით არაფრით განირჩეოდა სხვა დანარჩენ ნახევრად მიწურ შენობებისაგან. ერთი უპირატესობა ჰქონდა მას. საკმაოდ ფართო აივანი ამშვენებდა, რომელიც ახლა მთლად მოფენილი იყო ხალიჩებით. აივნის წინ მორიგე ხელჯოხიანები ჩამწყრივებულისყვნენ, ხოლო სახლის გარშემო და თვით ბანზე, ქანდაკებასავით გარინდული, აბჯრიანი ხეესტრები იდგნენ. მათ, ხელში, გრძელი ჯაზაირები ეჭირათ და წელზე ვერცხლის ქარქაშიანი ორღესული მახვილები ეკიდათ.

ეზოში ბესიკს ხელჯოხიანი შეეგება და მეფესთან წაუძღვა. ბესიკმა კაბა-აბალუბი შეისწორა, ყურთმაჯელები უკან გადაიგდო და ისე ეახლა მეფეს.

ღარბაშში სანთლები აენთოთ. ერეკლე პატარა სახელდახელო მაგიდას უჯდა. თვალბზე სათვალეები გაეკეთებინა და რადაცას სწერდა. იქვე გრძელ ტახტზე ჩამომსხდარიყვნენ

ლეონ ბატონიშვილი, დაეით საბადა და ანტონ მოურაეოვი. ისინი-~~ყოველ~~ზე ხმადებლა საუბრობდნენ. ~~ყოველ~~ველად მისთვის ყურადღება არც კი მიუქცევიათ. მხოლოდ ერეკლემ აიხედა, სათვალეებზე აიწია და, იცნო თუ არა ბესიკი, მხიარულად გაუღიმა:

— სად იყავ, შვილო შენა? მომახსენეს, ქალაქში დარჩაო და მკედარი მეგონე.

ბესიკი მუხლებზე დაეშვა და შორიდან თაყვანი სცა მეფეს. ის ახლა დანარჩენებმაც შეამჩნიეს და მხიარულად მიესალმენ.

— ახლო მოდი, რა კარებთან დგხარ!—უთხრა ლეონმა, როდესაც შეამჩნია, რომ ბესიკი ადგილიდან არ იძროდა.

— ჭირიან სოფელში ხომ არ ყოფილხარ ან, ავადმყოფს ხომ არ შეხებიხარ!—კეითხა დაეითმა.

— არავის, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ... სიფრთხილეს თავი არა სტყევად, ნათქვამია...

— ეგ კი მართალია. — შეაწყვეტინა ერეკლემ,—მაგრამ შენ კარგი ფეხისა ხარ.

შემდეგ დანარჩენებს მიუბრუნდა და სთხოვა, რომ ბესიკთან ერთად მარტო დაეტოვებინათ. სამთავემ მორჩილად დასტოვეს დარბაზი. ლეონმა გავლის დროს ბესიკს წასჩურჩულა, ამალამ ჩემს ბინაში მოდი ვახშმადო. ბესიკმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ღარჩნენ თუ არა მარტო, ერეკლემ მხოლოდ ის კეითხა, რამდენი ხანია რაც თბილისიდან წახველიო და გაიგო თუ არა, რომ მას თითქმის სხვებთან ერთად დაეტოვებინა ქალაქი, სხვა აღარაფერი უკითხავს და მაშინვე გამოუცხადა, რისთვის დაიბარა ასე დაუყოვნებლივ. ბესიკი სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყო სპარსეთს ქერიმხანთან და წაეღო ვრცელი უსტარი.

აივეე სასწრაფოდ უნდა დაბრუნებულყო უკან და პასუხი მოეტანა.

— შირაზამდე ჩვენგან ორმოცი დღის სავალია—უთხრა ერეკლემ,—თუ ქარავენს გაჰყვები, მაგრამ ქარავენის ნაბიჯი ნელია. შენ ცხენით იქნები. დღე იძინე, ღამე იარე, თორემ სიცხეს ვერც შენ, ვერც ცხენი ვერ გაუძლებს. ყოველთვის ისე ივარაუდე ნასამხრევს, ჩრდილი რომ გრძლად დაწვება, მაშინ გაუდევქი ხოლმე გზას. მთელი ღამე ივლი, მეორე დღამდე, სანამ მზე შუბისტარზე დადგებოდეს. მერე იძინებთ, თუმცა ყველა ამავებს რისთვის გეუბნები. ისეთ ნაცად მხედრებს გაგაყოლებ ამალად, რომელთაც სპარსეთი თავით ბოლომდე დავლილი აქვთ. იმათ გზაც იციან და დროც, როდის იარონ. ერთის სიტყვით ასე თუ ივლით, იქეთაქეთ სამოც დღეზე მეტი არ დაგვირდებათ. ახლა ეს მისმინე შეილო. ქერიმი-ხანთან მართალია ბარათს გატან, მაგრამ ქერიმი უსწავლელი კაცია, არც წერა იცის, არც კითხვა. ამის გამო ბარათს თუმცა წაუკითხავენ, მაგრამ ხშირად არ ენდობა თავისიანებს და ყოველივე სიტყვიერად უნდა მოახსენო. ამისთვის, რაც დაგაბარო, ზეპირად ისწავლე და ერთი სიტყვა ზედმეტი არ წამოგცდეს. ას ისეთი ეშმაკი კაცია და ისეთ რამეს გკითხავს, ვითომც, აქ არაფერიო, და ნამდვილად კი სხვა ამბებს გებულობს.

— ვიცო, მეფეო, თქვენ ეგ უკვე განმიმარტეთ.

— მგონი მართალი გითხარი, ამას წინათ. რომ გამზადდები იქ წასასვლელად, ახლაც იმისთვის ვიმეორებ, არ დაგავიწყდეს, შენ ჯერ ასეთ საქმეებში ნაცადი არა ხარ, მაგრამ რახაც მე გვაილებ იმის შესრულებას შესძლებ. მე მხოლოდ ერთი რამ მინდა გავიგო. მორიგდა თუ არა ქერიმი-ხანი აელანეთის მბრძანებელთან, რომლის შიშით ის გარეთაც ვერ გამოდის. თუ მასთან ზავი აქვს, მაშინ თურქე-

თის წინააღმდეგ ხმალს აღმარრავს. სულთანთან მას ძველად ყველაფერი აქვს. ამ ამბავს შენ უკვე მისი ნარიშან-ხანის დახმარებით შეიტყობ. ის ჩემი ყონალია. ერთხელ სიკვდილიდან ვიხსენ და მას შემდეგ ჩემთვის სულსაც არ დაიშურებს. იმასთანაც ვაგზავნი ბარათს მხოლოდ იღუმალად გადაეცი. ჩვენი ამბავი თუ გკითხოს, ტოტლებენტან რომ აშლილა ვართ, სიტყვა არ დავცდეს, არც ის უთხრა, რომ აწყურთან მიგვატოვა და უკან გამობრუნდა. დაიხსომე, რომ უცხო შეფე არაოდეს არ უნდა ჩაახედო შინაურ საქმეებში. სამაგიეროდ თვით უნდა ეცადო მეტი გაიგონო, შეისწავლო. ყვენთან საუბრის დროს არ დაიბნე. სიტყვით ფარიკაობა უფრო ძნელია, ვიდრე ხმლითა. შენ სიტყვა გიჭრის, მაგრამ თავი მიამიტად მოაჩვენე. უთხარი, მეფეო, მე ერთი მგოსანი და მომღერალი გახლავართ, სამეფო საქმეების ბევრი არა გამეგება რა და ერეკლემ თქვენთან მისთვის გამოგზავნა, ჩემი ოსტატობა გიჩვენოთ და ამით მინც გაამოთ-თქო. მაშინვე ეხმობს თავის მგოსან მომღერლებს და იმათ შეგაჯიბრებს. ახა შენ იცი, თუ გაიმარჯვებ, უხვად დაგასაჩუქრებს.

— როდის მიბრძანებთ გამგზავრებას?

— ახლავ უნდა წახვიდე. ქაიხოსრო მურვანიშვილი იქნება შენი ამაღის მეთაური და ეტაკი. იმან ყოველივე იცის, უკვე ნაბრძანები აქვს. ნახჭევანამდე ორასი მეომარი გაგაცილებთ. იქიდან მარტო ოცდაათ კაცს წაიყვან, რადგან ნახჭევანიდან ყაენის მალიაღმსრბოლები მუდამდღე დადიან და ხანი თავის ამაღას გაახლებს. მართლა, გამახსენდა, ერეენის ხანი განმიდგა და ირანს შენ ან განჯა-ყარაბაღის გზით უნდა წახვიდე, ან ერევანზე უნდა გაიარო. თუ შენს გულს ენდობი და შიშს არ მისცემ თავსა, ერეენის გზით გიჯობს წასვლა. საფრთხე ისე-



თი არა გეჭნება რა. ერევის ხანი ჯერ
 ვერ გაბედავს ჩემს რაზმს აშკარად
 თავს დაესხას და ქალაქშიდაც თუ რაი-
 მე საფრთხე შეატყო, ნუ შეხვალ. ხან
 თვით უნდა მოგვეგებოს ქალაქ-გარეთ.
 ასეთია დებულება. თუ არ მოგვეგება,
 აშკარად განგვდგომია. მაშინ ციხისთავი
 დაიბარე, ჩვენი ბრძანება გადაეცე და
 შენ ვითომ უკან გამობრუნდი. მათ
 თვალთავან რომ მიეფარო, გეზი იბ-
 რუნე, მარცხნით ჩაუხვიე და არეზის
 პირს გაუყვე. ქაიხოსრომ იცის, რო-
 გორ გატაროს. გათენებამდე შაქტაბ-
 ტას მიალწვეთ, იქედან კი ნახჭევანამ-
 დე შორი აღარაა და უკვე ყაენის საბრ-
 ძანებელში იქნებით. ახლა წადი, მუშ-
 რიბი ნახე, თეთრი მოგეცეს. მეჭურჭ-
 ლეთუხუცესს კიდევ ყაენის მისართ-
 მები ძღვენი თუ შეკრული აქვს, სიას
 მოგეცემს და გეტყვის, როგორ რა უნ-
 და მიართო. ახლა რეა საათია. ათ საათ-
 ზე ჩემთან მოხვალ და ყაენთან
 წარსავხავენ პატრუცავს ჩაიბარებ. წა-
 დი!

ბესიკმა მდაბლად დაუქრა თავი მე-
 ფეს და ქოხიდან გავიდა. ამ მოულოდ-
 ნელმა დავალეზამ ისე აღრია დაეთა-
 რი, რომ ეზოში შედგა და გაშტერე-
 ბული იცქირებოდა სივრცეში. არ იყო-
 და, სად წასულიყო, ვინ მოეძებნა
 პირველად და როგორ შედგომოდა გა-
 მგზავრების თადარიგს. ერთსა და
 იმავე დროს ფიქრობდა, ყაენთან მომავ-
 ვალ საუბარზე, გზის საშიშროებაზე,
 ამაღაზე, ქაიხოსროსა და მუშრისის
 მოძებნაზე. შერე ლეონის მიწვევა
 გაახსენდა და თვალწინ წარმოუდგა
 გამწილი სუფრა. მას მთელი დღე
 არაფერი ეტკამა და ახლა განსაკუთრე-
 ბული სიმწუვავით იგრძნო შიშშილი.

ბოლოს, როგორც იქნა, გამოერკვა
 და პირველად ქაიხოსრო მურვანიშვი-
 ლის ძებნას შეუდგა. ის სოფლის განა-
 პირა ქოხში ნახა, სადაც მიმბაშები ბი-
 ნადრობდნენ.

ქაიხოსრო, წყნარი, რაღაც თავისე-
 ბური დამამშვიდებელი სიტყვებით შეე-
 გება ჰაბუკ მგოსანს. *ბიბლიური*

— რაო ბესიკ? მივდივართ?
 — მივდივართ, მაგრამ...—მიმოიხე-
 და ბესიკმა—როგორღა მივდივართ,
 თუ...

— ნუ დარღობ—დაამშვიდა ქაი-
 ხოსრომ—ყოველივე მზადაა. როდესაც
 მიბრძანებ შევსხდებით ცხენებზე და
 წავალთ.

— სად მიდიხართ, კაცო?—კითხა
 ქაიხოსროს ერთმა გრძელღელვანშიანმა
 მიმბაშმა, რომელსაც ბესიკი არ იც-
 ნობდა და ახლა პირველად ხედავდა.

ბესიკს კინალამ წამოსცდა ირან-
 შიო, მაგრამ ქაიხოსრომ დაასწრო:

— აბა რა ვიცი, საითაც ქარი წა-
 გვიღებს, არა ბესიკ?—ლომლით მო-
 უბრუნდა ბესიკს ქაიხოსრო და თვალი
 ჩაუქრა,—ვითომ ჩვენ არ გვეკადრება
 სანადიროდ წასვლა?

— მაშ, მაშ!—დაბნეულად უპასუხა
 ბესიკმა, შემდეგ საათი ამოიღო და-
 ხედა და ფუსფუსით სთქვა:—კარგი,
 შენ აქ დამიცადე, მე მუშრისს ვნახავ...

— თქვენი ნებაა...

— შერე ლეონიც უნდა ვინახულო...

— მუშრისი ლეონთან ბრძანდება.

— ჰო და მით უკეთესი. ათ საათ-
 ზე წავალთ.

— აკი მოგახსენეთ, თუნდაც ახლა-
 ე-მეთქი.

— ლეონი სად ბინადრობს?

— წამობრძანდი, მე გიჩვენებ.

ორივე მაშინვე გაემართა ლეონის
 სადგომისაკენ და გზადაგზა ქაიხოს-
 რომ შეატყობინა, რა უბრძანა ბატონ-
 მა. შენს მეტმა არავინ იცოდეს, სად
 მიდიხართო. ამაღისათვის რჩეული
 საიმედო ბიჭები დაიბარე, რომ ცეცხლ-
 შიდაც თუ დაგჭირდათ გავლა, უკან
 არ დაიხიონო.

ლეონთან უკვე ეახშმად ისხდნენ და
 ყველანი მხიარული ყვირით შეეგ-

4134

ბენ ბესიკს. დავით სარდლისა და მუშ-
რიბ იოსებ დოლენჯიშვილის გარდა
აქ იყვნენ სოლომონ ლეონიძე, აღაბაბ
ერისთავი და თელავის მამასახლისი.

— ნეტავ ერთი გამაგებინა, რით
მოხიბლვ მამა ბატონი, რო სულ შენ-
თან მარტოდმარტო იყეტება და საი-
დუმლოდ ჩურჩულებს?—მიმართა ლი-
მილით ლეონმა ბესიკს და თავის გვერ-
დით სკამზე მიუთითა:—მოდი აქ და-
ჯექ. მოართვით ამას ჯიხვის ყანწი.

— არა, ჯიხვი არა. განა მაგდენი
დრო მაქვს.

— სად მიდიხარ?—გაოცებით ჰკით-
ხა ლეონმა.

— რა ვიცი, საითაც ქარი წამი-
ლებს!—ფუსფუსით უმასუხა ბესიკმა,
თონის პურს მისწვდა, ქათამს ბარკალი
აახლია და მადიანად შეუდგა ქამას.

— კარგი, სად მიდიხარ არ გვეუბ-
ნები, ის მაინც ვვითხარ სად იყავ? —
არ ეშვებოდა ლეონი.

ბესიკმა ხელით პირზე ანიშნა, ჰა-
მა დამაჯაო. ლეონმა გულმოსულად
თავი გადააქნია და დავითს მოტბრუნ-
და. მათ საუბარი ჰქონდათ ტოტლებე-
ნის იმერეთში გამგზავრების შესახებ
და ორივენი იმ აზრისა იყვნენ, რომ
აღბათ ეს ავზნიანი გენერალი სოლო-
მონთანაც აიშლებოდა. ბესიკმა არა-
ფერი არ იცოდა, რაც ბოლოხანებში
მოხდა და როდესაც გაიგონა, ტოტლე-
ბენი იმერეთს გაემგზავრაო, ვაოცებით
გადახედა სოლომონ ლეონიძეს, რომე-
ლიც მის გვერდით იჯდა და პირმოკუ-
მული შესცქეროდა მოსაუბრეებს.

— რაო, გენერალი იმერეთს წაეი-
და?—ჰკითხა ბესიკმა ლეონიძეს.

— ჰო, განა არ იცოდი? მოიხედა
სოლომონმა ბესიკისაკენ და ხმადაბლა,
მოსაუბრეთათვის რომ ხელი არ შეე-
შალა, განაგრძო:—ჩვენ გვეგონა რე-
სეთისაკენ გაუდგებოდა. გზას და ბა-
ტონი ძალზე შფოთავდა.

— როდის წაეიდა?

— სულ ორი კვირაც არ იქნება.

ამბავი მოგვივიდა, იმერეთა მეფემ, მო-
რაპნის, ბაღდადის და ექსტრადიტის კო-
ხეები უკვე აიღოო... გიგლინიძე

— რუსთა დახმარებით?
— არა, მარტო აღუია. თავისი ჯი-
რებით. მერე შემოუთვლია ტოტლე-
ბენისთვის, ახლა მაინც მობრძანდი
ჩვენთან, თუ თათრების შიში გქონდა,
ისინი უკვე განვდევენ იმერეთიდანო.

ბესიკს სიცილი წასკდა.

— სერი იქნება, თუ ახლა სოლო-
მონსაც აღუარდა,—ლიმილით განაგრ-
ძო ლეონიძემ,—იქნება კიდევაც უსა-
ყვედუროს, შენ რა ნება გქონდა, რომ
თათრებს აქედან ერეკებოდო. ჩემი
მუხანათობა რატომ ჩამიფლავეო.

— არც გასაკვირია.

— ეჰ, ასეა თუ ისე, ჩვენთვის იარა-
ნალის იმერეთს წასვლა მაინც ხელ-
საყრელია. რაც არ უნდა იყოს, რუსის
ჯარი მაინც საქართველოშია, მტრები
ვერას გაბედავენ. იქნებ მანამდე ეს
ქირიანობაც გათავდეს, ოღნავ დავ-
ლაგდეთ და ჩვენს საქმეებს მივხე-
დოთ, თორემ ახლა რომ რუსები გაგე-
ცლოდნენ, მთლად მოვისპობოდით.
ზოგი ალთას იყო წასული და ზოგი
ბალთას. შენ როდის მიდიხარ?

— სადა?

— სადაც ბატონი გაგზავნის.

— შენ რა იცი?

— ვიცი, განა-მაგათაც არ იციან?—

თვლით ანიშნა ბატონიშვილზე და
დავითზე სოლომონმა,—ყასიდად გე-
კითხებთან, წამოსცდება თუ არაო. შენ
ხომ ალაიბრეიმის ქარავენს უნდა გაბ-
ყოლოდი, მაგარამ...

სოლომონს კიდევ უნდოდა რაღაც
ეტქვა, მაგრამ ლეონმა შეაწყვეტინა.

— თქვენ მანდ რასა ჩურჩულებთ.
ხედავთ ბესიკს, როგორ მშვიდია, დეი-
ნო მიართვით.

დანაყრებამ ბესიკს საოცარი ძილი
მოგვარა და მხოლოდ ახლა იგრძნო
სასტიკი დაღლა. თვალები თავისთა-
ვად ეხუჭებოდა. მიწოდებულ იყნწი

ჩამოართვა მერიქიფეს, მაგრამ ვერ
ბედავდა მოეყუდებინა, ვაი თუ უარე-
სი დამპართოს და ძილის სურვილს
თავი ველარ გაეართვაო. ახლა უნებუ-
რად მოაგონდა ანას ციხედარბაში,
თავისი სუფთად და მდიდრულად მორ-
თული სენაკი, სადაც ხშირად მთელი
ღღეგები გაეტარებინა ნებეირობაში და
სინანულის გრძნობამ შეიპყრო. სწრა-
ფად მოიყუდა ყანწი, დასცალა, შემ-
დეგ ჯიბის საათს დახედა და ფეხზე
წამოიჭრა.

— სად მიხვალ, ბესიკ?—გოცდა
ლეონი, — ეგ რა ზრდილობაა, კამე,
სვი და ახლა გარბიხარ?

— მეფეს უნდა ვეახლო. მაპატიე
ბატონიშვილო.

— მაშ იქიდან მობრუნდები?

— ვერა. ამაღამე უნდა გეახლო.
ვანა მეფის ბრძანება ჩემთვის კანონი
არ არის?

— სწორია. მაშ ნულარ აყოვნებ.
თუმცა, ვეტყობა, დალილი ზარ.

— მაშა. ფეხზე ძლივსა ვდგევარ,
ისე მეძინება.

— არა უშავსრა. მეც გამომიცდია.
ცხენზე რომ შეეღებო, გამოფხიზლ-
დები, მაშ კეთილი მგზავრობა ეუ-
სურვით ჩვენს ბესიკს. ბედნიერი ფე-
ხით ველოს. ბოროტი ამორთოს!—და-
ლოცა ლეონმა ბესიკი.

— ამინ!—დაიძახა ყველამ, სასმე-
ლები დასცალეს და შემდეგ საბი-
თოდ გამოეთხოვენ ბესიკს.

•••

ძლივს დააღწია თავი ბესიკმა სო-
ფელს. ბატონის პატრუცაგები ჩაიბარა
თუ არა, მაშინვე გაემართა ქაიხოსროს-
თან ერთად, მაგრამ გზადაგზა მას ნაც-
ნობები აჩერებდნენ, ზოგი შინ ეპატი-
ვებოდა, ზოგს საუბარი სურდა; ხო-
ლო სოფლის ბოლოს მას ორი ქალი
გადაეღობა წინ. ბნელოდა და ბესიკმა

ვერცერთი ვერ იცნო, მანამ ქალებმა
თითონ არ უთხრეს, რომ ერთი ქალია-
ნი მარა იყო და მეორე მკვდარი ქალია.
ორივენი ვითომ გასასეირნებლად გა-
მოსულიყვნენ, ნამდვილად კი ბესიკს
დარაჯობდნენ. გაეგოთ რომ ბესიკი
სასწრაფოდ დაუბარებია ბატონს და
ასევე სასწრაფოდ სადღაც შორს აგ-
ზავნისო. მაშინვე დაფაცურდნენ, და-
რეჯან დედოფლისაგან ნებართვა
აიღეს, სასეირნოდ გავეიშვიო და მე-
ფის სადგომისაკენ გაემართნენ. ხელ-
ჯობიანებისაგან გაიგეს, რომ ბესიკი
მიმბაშების სადგომისაკენ წასულიყო,
იქ კიდევ უთხრეს, ბატონიშვილ ლეონ-
თან გეახლათო, ლეონთან რომ მივიღ-
ნენ, ბესიკი უკვე კვლავ მეფესთან წა-
სულიყო. ბოლოს ისევ გადასწყვიტეს
სოფლის ბოლომდე ჩავსეირნებოთ და
იქ ეღარაჯნათ. მაიას განსაკუთრებით
სურდა ბესიკის ნახვა, რადგან მას შემ-
დეგ რაც ანამ დაითხოვა მაია, ერთ
ხანს სასახლეს არ გაჰკარებია, ხოლო
შემდეგ საჩინოს შეაფარა თავი, თუმ-
ცა დარეჯანს ერჩივნა, რომ მისი
მსტოვარი ისევ ანას დაბრუნებოდა.

მაიამ არაფერი იცოდა ბესიკისა და
ანას მიჯნურობის შესახებ მას შემდეგ,
რაც ანასაგან შერისხული იქნა, თუმ-
ცა ბევრს ეცადა გაეგო რაიმე, რომ
დარეჯანთან მისელის კარგი საბაბი
გამოენახა და დედოფლის განსაკუთ-
რებული მოწყალება დაემსახურებინა.
პირველ ხანებში მაია ძალზე გაჯავრე-
ბული იყო ბესიკზე, რადგან ასპინძი-
დან დაბრუნების შემდეგ მისთვის არა-
ვითარი ყურადღება არ მიუქცევია.
თითქოს აღარც ახსოვდა, როგორ ეფი-
ცებოდა სიყვარულს უფლისწულის
ბაღში, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა,
რომ იმ ხანებში ბესიკი საერთოდ არა-
ვის არ აქცევდა ყურადღებას. მღაგნის
სახელის მიღების შემდეგ მას უმეტეს
ხანს მეფესთან მორიგეობა უხდებოდა
და სააშვიკო-სალადობოდ აღარ ეცადა.
პატარა ანას ახლა უკვე დიდი ქალი-

ვით ეჭირა თავი, სეფეალებში გარეულოყო და ქალთა ყოველივე საიდუმლოება იცოდა. პატარაობა უკვე აღარ ეთქმოდა და იგი კვლავ ბესიკის ტრფობით იყო შეპყრობილი. ახლა თუმცა მას უკვე იმერეთის მეფის სოლომონის ძმისწულზე დანიშნულად სთვლიდნენ, მაგრამ თითონ თავი წესტანად ჰქონდა წარმოდგენილი, ბესიკი ტარიელად და იმერთა ბატონიშვილი ხეარაშქმის მეფის ძედ. ბავშვურად ოცნებობდა, რომ ბესიკი განგმირაუდა თავის მეტოქეს, თუმცა იმერთა ბატონიშვილიც ებრალებოდა, რომელიც არასოდეს არ ენახა და ისიც ბესიკივით ლამაზ ვაჟაკად ესახებოდა. გაიგო თუ არა ახლა ბესიკის ჩამოსვლა, გული კვლავ სიხარულით აღჩქროლდა, მაშინვე მათას ეცა და აკანკალებული ხმით უთხრა, წაეიდეთ ბესიკი ვნახოთო.

ორიენი ერთმანეთს ეკეროდნენ, როდესაც ბესიკი მათ მოკრძალებით მიეწაღმა და მზრუნველობით ჰკითხა, ხომ კარგად ბრძანდებითო. მას მაინც აღამაინც არ გახარებია ამ ქალებთან შეხვედრა და გუნებაში ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ბევრი დრო არ ჰქონდა მათთან სასაუბროდ. ისინი, ცხადია, დაუწყებდნენ გამოკითხვას ამ ხნის განმავლობაში ვისთან იყო მიკედლებელი. ამიტომ სასწრაფოდ მიიბოდინა, რომ ბედმა არა არგუნა ამჟამად მათთან ხლება და საუბარი და მაშინვე დააპირა წასვლა. ქალები აფუსფუსდნენ, სთხოვეს ცოტა ხანს კიდევ მოეცადა, ხელიც კი წაეღეს, მაგრამ ბესიკმა ანუგეშა ორიენი, მალე განახავთო. მაშინ ქალებმა ჩქარა დაბრუნება უსურვეს და სანამ ბესიკი სიბნელეში არ გაუჩინარდა, იქვე იდგნენ.

ბესიკი წამოეწია ქაიხოსროს და ჩუმიად გაუდგნენ გზას. უკვე ისე ბნელოდა, რომ გზის გარჩევა ძნელი იყო. მალე გომურებს მიუახლოვდნენ, სადაც აპალა დაუხედათ. ცხენების ფრ-

ტუნზე შეატყო ბესიკმა, რომ აქ მხედრები ელოდებოდნენ, თუკერძე მსეთი სიხუმე გამეფებულ იქნება. ისე უბნელოდა, გეგონებოდათ, აქ აღამაინის ქაქანებაც კი არ არისო.

— ყველანი მზადა ხართ?—იკითხა ქაიხოსროს.

— მზად გახლავართ მა როგორ იტნება.—გაისმა სიბნელიდან ვილაყას ხმა.

— აბა, მამ შეესხდეთ ცხენებზე და გზას გაეუღგეთ,—გასცა განკარგულება ქაიხოსროს.

მხედრები ახმაურდნენ და სწრაფად მოველენ ცხენებს. ბესიკს და ქაიხოსროსაც მოკვებარეს თავიანთი ბედაურები და შესხდნენ თუ არა, მაშინვე გაისმა სიბნელეში ვილაყას მომავადობეული, სიმღერასავით ტკბილი ლაღი:

— ღმერთო დიდებულო, შენ მოგვიმართე ხელი. მშვიდობით მოგვებრე დიდი გზა. გეამორე ყოველივე ზიფათი და ჰირეება. ჰრისტე მაცხოვარო და ღუთისმშობელო მარია, ძალი და დიდება შენი გვფარავიდეს მუდამ უკუნითი-უკუნიანად.

ამ ლოცვამ უცნაური გავლენა მოახდინა ბესიკზე. თუ აქამდე ის ერთხელაც არ ჩაფიქრებია, რამდენად მძიმე და ძნელი უნდა ყოფილიყო მისთვის ეს მგზავრობა, ახლა მოულოდნელად დაუდგა თვალწინ მთელი ის უბედურებანი, რაც შეიძლება თავს გადახლომოდა. მოაგონდა ვილ-ბლაზის თავგადასავალი, მისი მოგზავრობანი, ტყვეობაში ყოფნა ყაჩაღებთან, შიმშილი, მრავალჯერ განვილილი სიკვდილის საფრთხე და გული აღძვრდა. პირველადი გადაისახა, ცხენს ღეზი ჰკრა და ქაიხოსროს მიჰყვა. მწარე ფიქრებით გართულს უკვე ახლავ ელანდებოდა მეკობრეთა თავდასხმა და წამდაუწუმ ელოდა, აი აგერ გვიგონებ მათ საბრძოლო ყივიანს, თოფების გრიალს და იარაღის ჩხარუნს და



აი აგერო, მაგრამ პირველ ღამეს მათ მშვიდობიანად იმგზავრეს და უჯარმის ციხესთან თავზე დაათენდათ. დღის სინათლემ ბესიკს მკმუნვარე ფიქრები გაუფანტა და თუმცა უძილობისაგან თვალები ეწოდა, მაინც მხნედ გაიმართა ბეჭებში. თავის შეიარაღებულ მხედრებს გადახედა და უნებურად სიამაყის გრძნობამ შეიპყრო. ყველანი ერთი-ერთმანეთზე რჩეული ვაჟკაცები იყვნენ და თავიდანფეხებამდე იარაღში ისხდნენ. ბესიკს უხაროდა, რომ ასეთი ვაჟკაცები მას მცველებად ახლდნენ და ერთი დაძახება იყო საჭირო, რომ ყველანი ერთად თუნდაც ცეცხლში გადაცევილიყვნენ.

ასე მიდიოდნენ ისინი შეუჩერებლივ და სწორედ იმ დროს, როდესაც ბესიკს სრულიად დაავიწყდა ყოველივე მოსალოდნელი ხიფათი, მან უცბად გაიგონა სროლის ხმა და შორეული ყიჟინა. მთის ფერდობზე თვალი მოჰკრა ლეკების ბრბოს, რომელნიც მათკენ მოაქნებდნენ ცხენებს.

ქაიხოსრომ ერთი კი შეჰყარა მრისხანედ წარბები და მისმა ხმამ ხმლის გაღვებასთან ერთად დაიქუხა:

— ჰკა მაგ წუნკლებს!

ბესიკმა გონსაც ვერ მოასწრო მოსვლა, რომ მისმა მხედრებმა უცბად აღვილიდანვე მოსწყვიტეს ცხენები და დგრიალით გაემართნენ თავდამსხმელებთან შესაბრძოლებლად. ისეთი ყოფინა დასცეს და ისე თავგამეტებით გააქრეს ცხენები მიწას, რომ ლეკების ბრბომ უცბად იბრუნა პირი. რამდენიმე მათგანმა სცადეს თავისი გულადობით დანარჩენებიც გაემხნევიდნენ და ქართველთა წინააღმდეგ ხმალაწვდილი გამოემართა, მაგრამ ტყუილუბრალოდ წააგეს თავები. ქართველთა შემოირბნენ შორის ბევრნი იყვნენ ისეთები, რომელთაც მრავალჯერ ჩამოვგდოთ თასი დამბაჩის ტყვიით ყაბახზე შეჯიბრების დროს და ამისთვის სულაც არ გაჭირვებიათ ამ გულადი

ლეკებისთვის ბოლო მოეღოთ. გაღუწვევნი თავიანთ ცხენებს, გაუფრთხილნი დამბაჩები და ყველანი უბრუნდნენ მთის ჩამოჰყარეს, შემდეგ დაღვინენ გაქცეულებს და ვისაც კი მოეწიენენ, შეუბრალებლად ჰკაფავდნენ.

როდესაც ეს მოულოდნელი ბრძოლა დამთავრდა და უკვე აზრი აღარ ჰქონდა გაქცეულ ლეკთა დევნას, ქაიხოსრომ მხედრებს უბრძანა შეჩერებულ იყვნენ, ალაფი მოეგროვებინათ და დაზოცილ ლეკთა ცხენები დაეპირათ. მალე ყველანი ერთ მინდორზე მოგროვდნენ და დაჭერილ ცხენებთან ერთად სამი დატყვევებული ლეკი მოაქნებულეს. სამივე ბესიკთან მიიყვანეს და მის წინ დააჩოქეს.

— სადაურები ხართ?—ჰკითხა მათ ბესიკმა.

ტყვეებმა რაღაც წაილულლულეს და ბესიკმა მათი პასუხი ვერ გაიგო.

— აღარ უნდა მოშალოთ ჩვენს ქვეყანაში თარეში? აბა სთქვით ერთი, რას გიშაეებთ, რომ არ გვასვენებთ.

— ვალაი, ჩვენი ბრალი არ არის...—წაილულლულა ერთმა მათგანმა, რომელსაც წვერით ლოყებიც კი დაფარული ჰქონდა, თვალები ძლივს უჩანდა, ხოლო წმინდად გადაპარსული თავი თეთრად უბზინავდა—ვალაი... ნაიბმა გვიბრძანა...

— ნაიბმა გვიბრძანა!—მწარედ ჩაიციინა ბესიკმა და შემდეგ კვლავ ჰკითხა,—რამდენი იყავით?

ლეკმა ხუთი თითი აჩვენა.

— ხუთასი ყოფილან, დახე მაგ წუნკლებს,—წამოიძახა ქაიხოსრომ,—მერე მაგრე დედლურად რად მოიქციით, თქვენი...

— დაიცა ქაიხოსრო,—შეაჩერა იგი ბესიკმა და ლეკს მოუბრუნდა,—სად მიდიოდით?

— აპისკუ...

— სადარ?—გაუკვირდა ბესიკს.

— აპისკა... აპისკა,—ხელით სამხრეთ-დასავლეთისკენ ანიშნა ლეკმა.

— ახალციხეშიო, — განუმარტა ქაიხოსრომ ბესიკს, — ეგენი ახალციხეს აპისკას უწოდებენ. — შემდეგ ისევ ლეკებს მოუბრუნდა და თვალების ბრიალით უთხრა: — ჰაი ღედასა, მადლი კია, რომ სამივეს ეგ გოგრასავით თავები დაგაყრევინოთ, მაგრამ იღბალი გქონიათ. ბატონი თქვენს სანაცვლოდ სამ კაცს მაინც გამოიხსნის.

მალე ყველანი მოგროვდნენ და გამოირკვა, რომ ამ შეტაკების დროს ოცდაჩვიდმეტი ლეკი დაეხოცათ. მეომრებს ყველასათვის იარაღი აეხსნათ, ცხენები დაეჭირათ და მათ სიხარულს, ასეთი ნადავლის შოვნით, საზღვარი არა ჰქონდა.

ქართვლებიდან არცერთი არ იყო დაჭრილიც კი. მხოლოდ შილდელ პეტასათვის ცხენი მოეკლათ და როდესაც გაქვინებული ცხენი უცბათ წაქცეოდა, პეტას ფეხი ეღრძო.

ქაიხოსრომ ტყვე ლეკები, სამი მხედრის თანხლებით მეფესთან გაგზავნა. დაკოჭლებული პეტაც ცხენზე შესვა და მათ გააყოლა, რადგან ამაღას ის აღარ გამოადგებოდა. ნაღრძობი ფეხი რუმბივით ჰქონდა გასიებული.

შემდეგ ყველანი შენაყრდნენ, ცხენები საძოვრად გაუშვეს და მორიგე ყარაულების გარდა, დამენათეებმა თვალიც კი მოატყუეს. ნაშუადღევს, როდესაც სიციხე ოდნავ შენელდა, ისევ აიშალნენ და გზას გაუდგნენ. ნაშოვნი ცხენები მარტაფად გაიყოლეს.

კარგა დაბინდებული იყო, როდესაც ბესიკი თავის რაზმით აღჯაყალას ციხეს მიაღდა ბორჩალოში.

ეს ციხე წინათ თურქების მიერ იყო აგებული ტრიალ მინდორზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც მდინარე ხრამი სტოვებს თავის კლდოვან დერეფანს და დაცემულ ვაკეზე მიედინება. თურქებს განზრახული ჰქონდათ, ამ ციხით გადაეკეტათ სპარსეთისათვის, როგორც თურქეთისაკენ, აგრეთვე

თბილისისაკენ მიმავალი გზები, მაგრამ შაჰბასმა ისე აღემართა მხელი ეს სიმაგრე, რომ ამ ციხემ მარტოლოდ ქაიხარგა სამხედრო მნიშვნელობა და შემდეგში მხოლოდ ქარაევანთა თავშესაფარს წარმოადგენდა. ციხის ეზო, რომლის სიგრძე ორას ნაბიჯს, ხოლო სიგანე ას ნაბიჯს უდრიდა, დაფარულ იყო მობიზინე ბალახით. ღამისგასათევად მისული მგზავრები აქ ახალახებდნენ თავიანთ ცხენებს. მაღალი ზღუდის გარდა ციხეს ოთხივე კუთხეში მაღალი კოშკები ჰქონდა დატანებული, ხოლო კედლების გასწვრივ კოშკურები, სადაც უშიშრად შეიძლებოდა ღამისგათევა.

დაღლილმა ბესიკმა გადაჭრით განუცხადა ქაიხოსროს, რომ ამაზე უკეთეს ადგილს შესასვენებლად ვერ მონახავდნენ და პირდაპირ მიაშურა ციხის დიდ ალაყაფს. მათ მეციხოვნენი შეეგებნენ და კარი გაუღეს.

ეზოში ორასამდე ცხენი გაეშვათ საბალახოდ და ბესიკმა მაშინვე ჰკითხა ერთერთ მეციხოვნეს, დიდებულთაგანი ხომ არავენ მოსულა, ან ეს ამოდენა ცხენები ვისიაო.

მეციხოვნემ მოახსენა, რომ ეს-ეს არის, ბატონის და ანა მობრძანდა ამოლით და ღამის გასათევად აქ შეჩერდით.

იმდენად მოულოდნელი იყო ბესიკისათვის ეს ამბავი, პირველად ვერც კი გამოერკვა, ვის შესახებ ელაპარაკებოდნენ. რომელი ანა, გაუელვა გუნებაში ბესიკს: — რას მიედებ მოედებაო, მაგრამ მალე თვალი მოჰკრა რამდენიმე მანდილოსანს, რომელნიც ციხის ეკლესიიდან გამოვიდნენ და ახლადმოსულ მხედრებს შეაკეპრდნენ. მათ შორის ბესიკმა უცბათ იცნო ანა. ცხენიდან ჩამოხტა და პირდაპირ მიაშურა მისკენ.

— ბესიკ? — წამოიძახა გოცნებით ანამ, როდესაც ჰაბუკი მიჯნური იც-

ნო.—შენ აქ რა ვინდა? მე ბატონთან მეგონე და აქ საიდან გაჩნდი.

— კვლავ გამხალა ზენამ ღირსი თქვენი ხილვისა, დედოფალო—დაი-ჩოქა მის წინ ბესიკმა და ხელზე ეამ-ბორა.

— სად მიემგზავრები?

— წინათ რომ მოგახსენეთ...

— პო, ვიცო. ნუთუ იქ მიდინხარ? მაშ. შენ...

ანა უცხად აღელდა და სიტყვა ჩაუ-წყდა. უნდოდა ეთქვა, რომ ის ბესიკის გულისთვის მიემგზავრებოდა თელავისაკენ, რომ ახლა დიდხანს ვეღარ იხილავდა მას, შეიძლება ერთ წელი-წადსაც, რომ მას აღარ შეეძლო ბე-სიკის უნახავად თუნდაც ერთი დღე გაეძლო, მაგრამ ყოველივე ამის თქმა მოწმეთა თანდასწრებით შეუძლებელი იყო.

ახლა მისთვის თელავში გამგზავრე-ბასაც აზრი ეკარგებოდა.

— ბატონი თელავს ბრძანდება?—
კითხა ანამ ბესიკს.

— არა, დედოფალო. იქ ქამი გაჩე-ნილა...

— რას ამბობ—იტყვიცა ლოყაზე ხე-ლი ანამ—იტაც? ერთი აქ პო, ჩვენ-თან, კოშკში, გვიამბე ყოველივე.

მალე ქაიხოსროც მოვიდა, ანას მიე-სალმა და ყველანი კოშკისაკენ გაე-მართნენ.

ერთმანეთს გადაება გადარუჯული ტრამალები, ლურჯად და მოწითაო ზოლებად შეფერადებული შიშველი კლოვანი მთები, ყვითელი ქვიშით დაფარული უდაბნონი.

სიცხით იხრაკებოდა ყოველივე. გა-ნუწყვეტლად ლივლივებდა ჰაერი და ლივლივებდნენ დახრამული მთები ტბაში ჩაქიდულ ლანდებივით.

ალაგ-ალაგ ჩნდებოდა მირაყები, მოჩანდა წყალში ჩაძირული სოფელი.

ისე ნათლად, რომ აშკარად შეიძლე-ბოდა წყალში ჩაქიდულს *ჩაქიდულს* და თითო-ოროლა ხეების *ტანჯის* მცხატს ჩევა, მაგრამ მიახლოებისთანავე წყა-ლი სადღაც ქრებოდა. სიცხისაგან ავარ-ვარებულ სოფელს კი ალმური ას-ლიოდა და გავერანებულს ჰგავდა.

გზებზე ხშირად დატურავდნენ უნა-სები და ღორღები საესე იყო მორიე-ლებით. არსად არ შეიძლებოდა ჯდო-მა, არსად არ შეიძლებოდა წოლა. ყველგან ჩასაფრებულნი იყვნენ შხა-მიანი ქვეწარმავალნი.

სალამობით კოლო და მუშლი ბო-ლივით ასდიოდა მიწას და შეუძლებე-ლი იყო თვალში გამოხედვა. არა თუ აღამიანებს, ცხენებსაც კი დოლბანდე-ბის აფარება ქირდებოდათ.

თუ ცეცხლს დაანთებდნენ, მაშინ-ვე ათასი სახის მწერი დაესხმოდათ თავზე, მაგრამ ყველაზე საშინელი ფალანგები იყვნენ, ეს უზარმაზარი ობობები, რომელნიც ბედურებს ბუ-ზებივით იჭერდნენ და რომელთა კბე-ნის შემდეგ აღამიანის გადარჩენა შე-უძლებელი იყო.

ყველაზე ძნელი იყო წყურვილი.

მუდამ საძებნი იყო წყალი.

ალაგ-ალაგ თუ წააწყდებოდნენ ქა-ჭრიზებს, ანუ როგორც ქართველნი უწოდებდნენ ღრუდოებს, მაშინ ნეტა-რებით ითქვამდნენ სულს, სვამდნენ და სვამდნენ გემრიელ ცივ წყალს და შემდეგ ოფლად იღვრებოდნენ.

მაგრამ ქაჭრიზებს იშვიათად ხედე-ბოდნენ და არც თუ ადვილად შეიძ-ლებოდა მათი მიგნება. ქაჭრიზი ორ-მოების საშუალებით ზედაპირის სწვრივად გაჭრილ გრძელ გვირაბს ეწოდება და ამ გვირაბის სიგრძე ხში-რად რამდენიმე ეჯს უდრის. სანამ ბოლომდე მიაღწევდე, სული ამოგზ-დება, ხოლო ორმოებში კი უთოკოდ შეუძლებელია ჩასვლა.

მიდიოდნენ ასე წყალებით და სიც-ხისაგან თვალდაწითლებულ ბესიკს

მუდამ თვალწინ ედგა თავისი ქვეყანა, მოჩუხჩუხე წყაროებით, აბიბინებულ ველ-მინდვრებით, ამწვანებულ ბაღ-ვენახებით და აშრიალეზულ ტყეებით. სიზმარივით აგონდებოდა აღჯაყალას კოშკის სხვენზე გაშარებული ღამე, ვარსკვლავებით მოქედილი ზეცა, კიკინობელთა გაბმული ჭრიალი და ანას აღელვებული ჩურჩული.

— ხომ გეხსოვები, ბესიკ?..

და ახლა ბესიკი იმეორებდა, როგორც მაშინ:

— მუდამ მეხსოვები...

მაშინ არ იყო გულწრფელი ბესიკი. თავაზიანობა აიძულებდა ეთქვა ეს სიტყვები. ახლა კი მართლა გულწრფელად იმეორებდა.

— მეხსოვები, ანა...

და ისევ აგონდებოდა ანას მთრთოლვარე ტუჩების შეხება და ისევ ჩურჩული:

— არ დამივიწყო, ჩემო რაინდო. იქნება, ვეღარც ვნახობ ერთმანეთი, ვინ იცის, რას გეიქადის ბედი? ხედავ, შენი გულისთვის თავიც კი გაეწირე და ისე მოვაწყე, რომ შენთან გამეტარებინა ღამე. ნუ შიშობ, ჩემო ქაბუყო, ეშპაკსაც კი არ მოუეა აზრად, რომ მე და შენ აქ ერთად ვართ.

ბესიკს თვალეზი ელულებოდა მაშინ. კვდებოდა, ისე ეძინებოდა, მაგრამ ანა კვლავ განაგრძობდა ჩურჩულს, ბესიკი ძალით ახელდა თვალეზს და გუნებაში ღმერთს ევედრებოდა, რომ აღრე გათენებულყო.

მიდიოდა ახლა ბესიკი ამ ხრიოკ გზაზე, დაღლილი თელემდა ცხენზე, ხანდახან გაახელდა თვალს, მიმოხედავდა მიდამოს და ისევ დაიწყებდა თელემას.

თელემდა და ისევ აგონდებოდა კოშკი, ვარსკვლავებით მოქედილი ზეცა, კიკინობელთა ვრუალი და ჩურჩული ყურთან.

— გეხსოვები?

— კი!

— ხომ ძალიან გიყვარვარ?

— კი!

— შენ გეძინებაში გეხსოვები?

— არა, არა მეძინება, — უცბად ახელდა თვალს ბესიკი, კოშკი საღივად ჭრებოდა, ისევ გაღარუჯული მიდამოები გადაეშლებოდა თვალწინ, ამოიხზრებდა, ერთ ხანს კვლავ თვალგახელილი ქანაობდა უნაგირზე, მაგრამ მალე მძიმედ ხუტავდა თვალის კილოებს და ყურს უგდებდა ანას ჩურჩულს.

ასე მიდიოდნენ განუწყვეტლივ და აღარ თავდებოდა ეს თვალუწყვენილი გზა. ერეკლემ თუმცა ურჩია ბესიკს, ღამით ველოთ და დღისით ეძინათ, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მართალია, პირველ ხანებში მართლაც ასე იქცეოდნენ, მაგრამ ერეენის სახანოს ფარგლებს რომ გასცდნენ, უკვე აღარ შეიძლებოდა ღამლამობით სიარული. უმთვარო ღამეები დაიჭირა. გზა ძნელი გასაყვლევი იყო, ცის ქვეშ ძილი კი, ისიც დღისით, უამრავ ქვეწარმავალთა და შხამიან მწერთა გამო არ შეიძლებოდა. აუცილებლად ფუნდუკამდე ან ქარვასამდე უნდა მიეღწიათ, იქაც მხოლოდ ღამისსათევად უნდა შეჩერებულყვენენ, რომ ცხენები დაესვენებინათ და გაეძლოთ. დღისით დაბმულ ცხენებს კორაბუზები ავიყებდნენ და ქამას არ აცლიდნენ.

ბესიკს ახლა მხოლოდ ოცდაათი კაცი ახლდა ამაღლად. დანარჩენები მან უკვე ერეენიდან დააბრუნა უკან. იმის შიში, რომ განდგომილი ერეენის ხანი მას ან დაატყვევებდა, ან მის რაზმს შეებრძოლებოდა, არ გამართლდა. ხანი თითონ გამოეგება ბესიკს ქალაქის კარიბჭესთან, ერეკლეს უსტარს ეამბორა და თავზე დაიდო, რაც უდიდეს მორჩილებას გამოხატავდა და ბესიკს მოახსენა, გაეიგე, მტრებს ჩემს მბრძნებელ ერეკლე-ხანთან შევეუსმენივართ, თითქოს მე განდგომას ეუბირებდე, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუე არა-

სო. ბესიკი სასახლეში მიიპატივია, დიდი პატივი სცა და სთხოვა, მეფესთან მიშუამდგომლე, ჩემზე გული მოიღოს და არ განვირისხდესო. საღამოს კი ბესიკს ციხისთავი ეახლა და საიღუმლოდ აცნობა, ხანი ყოველდღე შიკრიკებს გზავნის თურქეთსა და ირანში და ერეკლეს საწინააღმდეგოდ ჯარებს ითხოვსო, მაგრამ, რადგან ჯერ არცერთისაგან გარკვეული პასუხი არ მიუღია, ამიტომ გეპყრობა ასეთი პატივისცემით, რომ ეპკვი არ აიღო, რადგან კარგად იცის, ერეკლე ასეთი ვერაგობისათვის ხეირს არ დააყრისო. როდესაც ქალაქის ციხის გუშაგებს ბესიკის მრავალრიცხოვანი ამაღა დაენახათ და ხანისთვის მოეხსენებინათ, გურჯისტანის ჯარი ქალაქს მოადგავო, მას კინადამ გული გახეთქოდა შიშით. ერევნის ხანს ერეკლეს ლაშქრის განსაკუთრებით იმისთვის უწინოდა, რომ ქალაქის მოსახლეობას ვერ ენდობოდა. სომხები დიდ პატივს სცემდნენ ერეკლეს და ხანს თურქეთისაკენ მიმხრობას არ აპატიებდნენ. ბესიკის რაზმის გამოჩენას ისინი მხიარული ყოფიანთ და შეძახილებით შეეგებენ. ყოველი მხრიდან ისმოდა „კეცე, ერეკლე ხან“.

ხანმა გაიგო თუ არა, რომ ბესიკი შირაზს მიემგზავრებოდა, ნახჭევანის სახანომდე საკუთარი რაზმი გააყოლა მკველად. დაღლილი ცხენებით მოვლილი და დასვენებული ცხენებით შეუცვალა.

ამის გამო აღარ ჩასთვალა საჭიროდ ბესიკმა დიდი ამაღის წაყვანა და თავისიანებიდან მხოლოდ ოცდაათი კაცი გაიყოლა.

ასევე მოიქცნენ ბესიკის მიმართ ნახჭევანის ხანიც და თავარიზის ბეგლარბეგიც.

ყველაზე სახიფათო აღმოჩნდა მგზავრობა თავარიზიდან ქამადანამდე. ბესიკის ამაღას რამდენჯერმე დაესხნენ თავს ქურთები, რომელნიც საერთოდ შიშის ზარს სცემდნენ ამ გზაზე მიმა-

ვალ ქარაენებს, მაგრამ მუდმივ ბრძოლებში ნაწრთობი ქართული ზელომრები ისე იოლად იგერიებდნენ, რომ მსხველმძებლებს, რომ ერთხელაც არ შეფერხებიათ წინსვლა.

მხოლოდ გზას აღარ უჩანდა დასასრული.

სიცხეს თითქოს შეეჩვივნენ. უფრო აღვილი ასატანი გახდა. ქაიხოსრო არწმუნებდა ბესიკს, ეს იმის გამო, რომ აქ უწყლო ქვეყანაა, მშრალი ჰაერია, თორემ ნოტიო მიდამოში ასეთი სიცხისაგან სული ამოგვხდებოდაო.

— კიდეც შორს არის? — განუწყვეტლად იპეორებდა ბესიკი.

— დაიცა, ჯერ სადა ხარ—უბნებოდა ქაიხოსრო.

— ეს რამოდენა ქვეყანა ყოფილა დასასრული არ უჩანს.

— ეს რაა! შენ ჯერ რა გინახავს. აბა ერთი ხორასნის უდაბნოზე გატარა და შაპჯანბადას ჩაგიყვანა, მაშინ იტყვი, ეს რამოდენა, ან როგორა ქვეყანა ყოფილაო! აბა, სიცხე იქ იცის, აი. ერთ კიქა წყლისთვის სიცოცხლესაც არ დაიშურებ. განა ტყუილად ამბობენ ჩვენში წყველას, ჯანაბას შენი თავიო, ან და კიდეც სად მივდივარ და ჯანაბასო. იქ წასვლა მართლა რომ თავის განწირვაა. ისეთი ცხელი ქარი იცის, მგონი, მწვადი რომ მიუშვირო, შასწვას.

— ყოფილხარ იქა?

— ვაჰ! ყოფილვარ რომელია, მთელი სპარსეთი დამივლია. ავღანეთშიაც ვიყავ, ინდოეთშიაც.

გზადაგზა ქაიხოსრომ უამბო ბესიკს ზღაპრული ამბები, არაბეთის ზღვის ისეთ თევზებზე, რომელთაც წინ კბილებიანი მახვილები აქვთ წაზრდილი ეშვებივით და ხომალდების ფსკერს ერთის დაკვრით რომ ამბობენ; ინდოეთის გრძნეულ თვალთმაქცებზე, რომელნიც თოქს აისერიან ჰაერში, ზედ აღიან, იქ კაცს ასო-ასო აქნიან ძირს ჩამოყრიან, მერე საღამურს დაუტყრავენ

და კაცი ისევ ცოცხალი წამოხტება ფეხზე და მრავალი ამის მსგავსი, რაც მას ენახა, ან გაეგონა.

ყოველივე ეს ბესიკს მრავალჯერ ჰქონდა გავიანილი, მაგრამ ახლა მაინც სიამოვნებით უფლებდა ყურს და როდესაც მის თვალწინ დაიწყებდა ამოზრდას რომელიმე სპარსული ქალაქი, მაღალი მინარეთებით, სათესლე ხახვის მაგვარი მრგვალთაფიანი მაღალი კოშკებით, გუმბათიანი მეჩეთებით, სრა-სასახლეებით, ქაიხოსროს ნაამბობს თავისებური შნო და ელფერი ეძლეოდა. ყველაფერი ნამდვილს ჰგავდა, ტყუილიც და მართალიც.

დიდ ქალაქებში და გზაჯვარედინებზე ბესიკი თავის ამალით ქარვასლებში ათედა ღამეს. მეფუნდუკენი განსაკუთრებით პატივისცემით ეგებებოდნენ ერეკლე-ხანის ელჩს და მის ამაღას. საუკეთესო ოთახებს უთმობდნენ ღამისგასათევად და, რაც უნდა ვადაუღებელი საქმე ჰქონოდათ, ყველაფერს თავს ანებებდნენ, რომ საპატიო სტუმართან ესაუბრნათ. შენატროდნენ ბესიკს, რომ ეღირსებოდა შაჰინშას ხილვა და თითქმის ყოველი მეფუნდუკე ევედრებოდა უკან დაბრუნებისას აუცილებლად მასთან შეჩერებულიყო. მათ სურდათ კვლავ ენახათ ის ადამიანი, რომელსაც ასეთი დიდი ბედნიერება ხვდომოდა წილად.

სანამ ისპაჰანს მიუახლოვდებოდნენ, ბესიკს პაპანაქება სიცხის, ხრიოკი მიღამოებისა და მუღმივი წყურვილის გარდა, არც არაფერი შეუგრძენია, არც გაკვირვებია რამე. ქალაქები ყველანი ერთმანეთს წაგავდნენ და არცერთი მათგანი არ იყო უკეთესი ერევანსა და ნახჭევანზე, ხოლო თბილისს ვერცერთი ვერ შეედრებოდა ვერც სილამაზით, ვერც სიმდიდრით და ვერც სიდიდით. მხოლოდ როდესაც ისპაჰანში შევიდა, მაშინ იგრძნო ბესიკმა ამ უდიდესი სამეფოს სიმდიდრე და სილიადე. დასასრული არ უჩანდა უამ-

რავ ბაზრებს, ქარვასლებს, სრა-სასახლეებს და უზარმაზარ მეჩეთებს. გამდებარეობდა გუმბათიანი მინარეთებით. თვალისმომკრელად ელავდა ლურჯი მინანქრით შემკული და ოქროთი მოვარაყებელი შენობები. ქუჩები გაჭედული იყო ათასი ჯურის ხალხით, მდიდრულად ჩაცმული სოფდაგრებით, ტანსაცმელშემოფლეთილი დერევიშებით, ფეხზე მოვაკრეფერევიშებით. ყოველი ქვეყნის წარმომადგენელს მოეყარათ აქ თავი. რუსი, ფრანგი, ესპანელი, ინგლისელი, ერთმანეთში ირეოდა. ზოგი ვაჭრობდა, ზოგი მოგზაურობდა, ზოგი ბედს ეძიებდა. განუწყვეტლად მიმოდიოდნენ აქლემების გრძელი ქარავნები, ისმოდა ზანზალაკთა გაბმული წყარუნნი. ალაგ-ალაგ, თითქოს ზღვა ხალხის თავეძზე, მოძრაობდნენ ოქროსგუმბათიანი ტახტრევენები, რომლებშიაც ისხდნენ ან გრძელწვერა, მთლად ძვირფასი თვლებით აელვარებული დიდებულები, ან ჩადრში გახვეული ქალები.

პირველად ნახა ბესიკმა სპილო, რომელსაც ზანგივით შავი ინდო ერეკებოდა.

ასეთი დიადი სანახაობით თავბრუდახვეულ ბესიკს ყველაზე მეტად გაუკვირდა, რომ ამ ზღვა ხალხში ქართველთა გამოჩენა ყველამ შეამჩნია.

გამოჩნდა თუ არა ბესიკი თავის რაზმით ქალაქში, ყოველი მხრიდან გაისმა:

— გურჯი, გურჯი...

ამ მოულოდნელმა ყურადღებამ ბესიკი საოცრად გაამხნევა და სიამაყის გრძნობით ალავსო. გადახედა მხლებლებს და მაშინვე თვალში ეცა, რომ ქართველები მართლა გამოირჩეოდნენ თავში გარეგნობით და სილამაზით. მართალია, ყველანი მზისაგან იყვნენ გარუჯულნი, მაგრამ თავისებური კეთილშობილური ელფერი გადაჰკარავდა ყველას.

ქარქასლაში, სადაც დასასვენებლად შეჩერდნენ, ქართველებს ნაცნობებიც კი აღმოაჩნდათ. თბილისში ნამყოფი ირანელი ვაჭრები და ნადირ-შაჰის ყოფილი მოხელენი. ისინი ცნობისმოყვარეობით ეკითხებოდნენ ბესიკსა და მას მსლებლებს აწიხებს საქართველოს შესახებ და ყველანი ნატრობდნენ იმ მშვენიერი ქვეყნის მეორედ ხილვას.

სალამოს ბესიკმა და ქაიხოსრომ ქალაქში გაისეირნეს. ქაიხოსრომ თითქმის ზეპირად იცოდა ისპაჰანის ქუჩები და ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი. პირველად ორივენი ქალაქის შუაგულისაკენ გაემართნენ, სადაც დიდი საკრებულო მეჩეთი იყო აღმართული. ბესიკი გააოცა ქალაქის თავისებურმა ნაგებობამ. ყოველი ბაზარი, ყოველი უბანი გარშემორტყმული იყო მაღალი ქვითკირის ზღუდეებით, თითქო აქ შენობებს კი არა, ციხესიმაგრეებს მოეყარათ თავი და ქალაქად შექმნილიყვნენ. ყოველ ასეთ უბანს, ან ბაზარს დიდი ბჭეები ჰქონდა. ხალხი უმთავრესად იმ შუკებზე იყო თავმოყრილი, რომელნიც ქალაქის ზღუდის ბჭეებს უერთდებოდნენ, ხოლო დანარჩენი ქუჩები ცარიელი იყო და უკაცურს ჰგავდა. ხანდახან თუ ჩაივლიდა ვირის კეზზე გადამჯდარი სპარსელი, ან ჩაღრებში გახეული ქალი, თორემ ისე ადამიანი არსად ჰქანებდა.

ორივემ დაათვალიერეს მეჩეთი, რამდენიმე უბანი და უკან გამობრუნდნენ, როდესაც ერთ ვიწრო შუქაში ვიღაც ჩაღრიან ქალს შეეფეთენ. მათ დანახვაზე ქალმა რატომღაც შეანელა ნაბიჯი, შემდეგ შეჩნდა, შეშინებულვით მიმოიხედა და როდესაც დარწმუნდა, რომ სრულიად მარტონი იყვნენ, უცბად ჰკითხა ბესიკს:

— ქართველები ხართ?

ბესიკს გული შეუხტა და ისე აღელდა, რომ პასუხიც ვერ მოახერხა. ქაიხოსრომ უპასუხა:

— ქართველები ვართ. შენ როგორ ხარ?

ქალმა წამით ვაღიწყო და ორივემ დაინახეს ლამაზი შეთვალწარბა, ჩეიდმეტი თუ თერამეტი წლის ქალი. გრძნობამორეულს თქრიალით ჩამოსდიოდა ცრემლები სახეზე, უნდოდა როდაც ეთქვა, მაგრამ ვეღარ ახერხებდა, სული ეგუბებოდა.

ბესიკმა დააპირა ეკითხა ვინაობა, მაგრამ ამ დროს საიდანღაც ფეხისხმა მოისმა, ქალმა სწრაფად ჩამოიფარა ჩადრი და ისეთი სისწრაფით განშორდა ორივეს, რომ ბესიკმა და ქაიხოსრომ გონსმოსვლაც ვერ მოასწრეს. ბესიკმა დააპირა დადევნება, მაგრამ ქაიხოსრომ მტკიცედ ჩაავლო მაჯაში ხელი და წასჩურჩულა:

— გაგიტლი? ბედი ჩვენი, რომ არავის დაეუნახივართ. წამო.

— როგორ თუ დაეუნახივართ? — აიღეწა სიბრაზისაგან ბესიკი და ხმლის ვადა ისე გადახნიქა, კინაღამ გადატეხა:—ჩემი სისხლი და ხორცი ტყვეობაში ცრემლს ღვრიდეს და ბედს უნდა ვუმადლოდე, რომ მას სანუგეშო სიტყვა მაინც ვერ ვუთხრა? გამიშვი-მეთქი.

— კარგი, წამო, იმას ვეღარ ნახავ!—წყნარი ხმით უბასუხა ქაიხოსრომ და მარცხენა ხელით თვალის უბეზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა:—ზღვაში ცრემლის ნახვა უფრო ადვილია, ვიდრე იმ ქალის ამ ქალაქში ხელმეორედ პოვნა. კიდევაც რომ იპოვნო, ვერ იხსნი, თუნდაც ტარიელის მკლავი გქონდეს და მისივე ლაშქარი ვახლდეს.

ორივენი მოღუშულები დაბრუნდნენ ქარქასლაში და ბესიკს მთელი საღამო ხმა არ ამოუღია. მხოლოდ როდესაც ვახშმად დასზდნენ, ბესიკმა თავი მძიმედ აიღო და თარი მოითხოვა. მსლებლები მზიარულად დაფაცურდნენ, საიდანღაც თარი მოარბენინეს და საამო სიმღერების მოლო-

დინში, გაინახნენ, ბესიკმა ნელა მომართა ძალები და ასევე ნელა წამოიწყო ისეთი გულისმომკვლელი სიმღერა, რომ ვერცერთმა ცრემლი ვერ შეიმაგრა:

„ცრემლითა ისარნი
მოსისბარნი
ჩვენდა არენით,
იღმენით გულნი
ჭირნახულნი,
შეგვიწყნარენით!
უცხონი თემით,
სოფლის ცემით
გავიგარენით,
უქნობნი ვარდნი,
ქსგვარ დარდნი,
დავიბიარენით —
არ იოქმის ენით,
არცა სმენით,
ეს იკმარენით“.

კენესოდა თარი. მხედრები პირმოკუმულნი უსმენდნენ ბესიკს. ქაიხოსრომ თვალბუზე ხელი მიიფარა. ცრემლები სურდა დაეშალა. თითქო ის უცნობი ქალი დაღადებდა ბესიკის პირით.

„როს გვაგონდებით,
შევიღონდებით,
ლოწინო ყმა-შვანო,
თანზრდილო სწორნო,
თანასწორნო,
საყვარლად კმანო,
ვა კიდევანთა
უსდენ თქმათა,
გლოვისა ხმანო,
ატადის კალოს,
სავალალოს,
სადა ხართ თქმანო!
დაგებერა ქარმან,
დაუწყნარმან,
ზღვად ვიგარენით!

— კარგი ერთი შენს დღეგრძელობას! — გადასწვდა ქაიხოსრო და ბესიკს თარი ხელიდან გამოგლიჯა. — ჩვენი დარდიც გვეყოფა და შენ კიდევ სანთელივით გინდა დამადნო? დროა, პუ-

რი ექამოთ და ადრიახად დავიძინოთ. ხელ გათენებამდე გზასთან დაგვეკედღეთ. შირაზამდე კიდევ შეგნადი სსპსკვა დღის სავალი მაინცა გვაქვს.

ტყვედგაყიდულ ქართველ ქალთან მოულოდნელმა შეხედრამ სრულიად შეუცვალა განწყობილება ბესიკს. თუ აქამდე ის გაკვირებული იყო ამ უცხო და დიდი ქვეყნის ნახვით, ალტაცებული მისი ქალაქებით, გასაოცარი ხელოვნებით ნაგები სასახლეებით, მეჩეთებით, თვალისმომკრელი სიმდიდრით, სპარსთა თავაზიანობით და მასპინძლობით, ახლა ყოველივე ეს აღარც აკვირებდა და აღარც იზიდავდა. ამიტომ, როდესაც შირაზში შევიდა და ნახა ეს ქალაქი, რომლის მსგავსი არამც თუ სპარსეთში, არამედ მსოფლიოშიდაც კი არ მოიპოებოდა, ყველაფერს ძალზე გულგრილად დაუწყო თვალიერება. შირაზი არ იყო ისე დიდი, როგორც ისპაჰანი, მაგრამ ალლაჰის მიერ აღთქმული სამოთხეც არ იქნებოდა ისეთი მშვენიერი და ყოველი სიკეთით აღსავსე, როგორც ეს ქალაქი.

ვარდებით იყო დაფარული ქალაქის გარეუბნის ბაღები. ვარდები ჰყვავდნენ ყველგან, შუკების გასწვრივ, ეზოებში, ფოლორცებზე, ვარდის ბუჩქთა ღობეები გარს ევლო მეჩეთებს, დიდებულთა გუმბათიან სამარხებს. ლალისფრად და ყვითლად ღვიოდნენ მათი ყვავილები, თავბრუს ახვევდა ახლადმოსულს ვარდთა ტკბილი დამათრობელი სურნელება.

მსოფლიოს ყოველ კუთხეში გაჰქონდათ ვაჭრებს შირაზში დამზადებული ვარდის წყალი.

შაჰინშასთან მიმსვლელს ვარდისწყალით უნდა დაეებანა ტანი.

ვარდისწყალს იპყურებდნენ ტანსაცმელზე, ტანზე, წვერ-უღვაშზე.

ყველაფერი ერთნაირად სუფთა და კრიალა იყო, ქალაქიც, ადამიანებიცა და ჰაერიც.

ბაღები საესე იყო უამრავი ფრინველებით, ყოველი კუთხიდან ისმოდა ბელბელების ყურისწამლები სტვენა. ცაშიატყორცნილ მინარეთების გარშემო ირეოდნენ მტრედების გუნდები.

თვალს იტაცებდა ეს ზღაპრული სანახაობა. სმენას ატკობობდა ფრინველთა გალობა, მაგრამ ბესიკს, საითაც არ უნდა გაეხედა, ყველგან თვალწინ ესახებოდა უცნობი ქართველი ქალის თვალცრემლიანი სახე. ახლა მას ყოველ სახლში, ყოველ სასახლეში ეგულებოდა საქართველოდან გატაცებული და მხეველებად გაყიდული ქართველი ქალები. ბესიკი მზად იყო მთელი ეს სამოთხის მსგავსი ქალაქი ნაციარტუტად ექცია.

შევიდნენ თუ არა ქალაქში, ბესიკმა მაშინვე იკითხა ნარიმან-ხანის სასახლე და თუმცა ქერიმ-ხანის ემიკალაზბაში, რომელიც ქართველებს ქალაქის კარიბჭესთან შეეგება, ბესიკს შაჰის სასტუმრო ქარვასლაში ებატეებოდა, მან პირდაპირ ნარიმან-ხანისკენ გასწვია. შაჰის ვეზირი იღბლად შინ დაუხედა, რომელმაც დიდი სიზარულთ შილო ქართველი სტუმრები და ერეკლეს ბარათს ეამბორა. მხლებლები სასახლის პირველი სართულის პალატებში დააბინავა, ხოლო ბესიკი და ქაიხოსრო ზემო სართულში მიიწვია, სადაც მას საპატიო სტუმრებისათვის რამდენიმე მდიდრული ოთახი ჰქონდა.

ბესიკმა მაშინვე განუცხადა მასპინძელს, რომ სასწრაფოდ უნდა დაბრუნებულიყო უკან და მისი სურვილი იყო, რაც შეიძლება ადრე ენახა შაჰინშა. მასპინძელმა თავაზიანად იუარა და ღიმილით მოახსენა ბესიკს, თქვენისთანა ძვირფას სტუმრებს აქედან ერთ თვეზე ადრე არ გაუშვებო. კარგა ხანს გავრძელდა სტუმარ-მასპინ-

ძლის დღიანები და ბოლოს, როგორც იქნა, ნარიმან-ხანმა ალუქტეა ბესიკს, ხეალ მოვასხენებ ქერიმ-ხანს და ბესიკს მოსელას და როგორც მინარეთებს, ისე მოვიქცეთო. შემდეგ მსახურებს უბრძანა, სტუმრებისთვის განაყოფთრებით მოველოთ. ფარეშებმა ბესიკი და ქაიხოსრო ჯერ სასახლის აბანოში წაიყვანეს, სურნელოვანი საპნით დაბანეს და შემდეგ ვარდისწყალით ტანი დაუზილეს. სუფთა ტანსაცმელი მოართვეს და იქიდან გაშლილ სუფრაზე მიიბატეეს, სადაც მათ გულუბვი მასპინძელი ელოდებოდა. თბილმა აბაზანამ და მსუყე სადილმა მხოლოდ ახლა აგრძობინა ორივეს ნამდვილი დაღლა. ბესიკს მთელი თვის განმავლობაში ცხენზე ჯდომით ისე სტკიოდა მუხლები, რომ როდესაც დასაძინებლად დაიშალნენ, ძლივს ადგა. ორივენი ნეტარებით გაიშოტნენ რბილ ლოგინებზე და გათენებამდე თვალი არ გაუხელიათ.

დილას ბესიკი ქაიხოსრომ გააღვიძა. ის უფრო ადრე ამღვარიყო, თავისი მხედრები მოენახულებინა, რომელნიც მეტად კმაყოფილნი იყვნენ ნარიმან-ხანის მასპინძლობით და ამბობდნენ, ასეთი პატივისცემა ჩვენს დღეში არ გვლირსებიაო. შეუძგ მათ ქაიხოსროსთვის მოეხსენებინათ, გუშინ აქ ეახტანგ მეფის შვილიშვილის ალექსანდრე ბაქარის-ძის მსახური გეახლათ, მაგრამ რადგან გეძინათ, უკანვე გაბრუნდა და მოგახსენათ, რომ ბატონიშვილმა ხვალისთვის თავისთან დაგიბარათო.

გაოცებული ქაიხოსრო მაშინვე აიქრა ბესიკთან, გააღვიძა და ეს ამბავი მოახსენა.

— დაიცა ერთი, — წამოიწია ბესიკი, თვალები მოიფშენრტა და ქაიხოსროს შეაქერდა. — ალექსანდრე ბაქარისძეს აქ რა უნდა, ის ხომ პეტერბურგშია.

— ჰო და მეც აგრე ვიცოდი, ალბათ აქ ჩამოსულა, ნეტავ რისთვის?

— რისთვისო, — დამთქნარა ბესიკმა და ტანზე ჩაცმას შეუდგა, — ის ხომ ბატონ ერეკლეს ტახტს ეცილება. აქამდე რუსების იმედი ჰქონდა, მაგრამ ალბათ ეს იმედი გაუწყდა და ქერიმ-ხანთან მოსულა ბედის საძიებლად. ეგ ვერ არის კარგი საქმე. ალბათ ჯარი სურს გამოთხოვოს საქართველოზე გასალაშქრებლად.

— თუ აგრეა, რისთვის თურქეთში არ წავიდა?

ბესიკი ერთ წუთს დაფიქრდა და შემდეგ დარწმუნებით უთხრა ქაიხოსროს.

— თურქეთში ვერ წავიდოდა, რადგან მაშინ რუსეთს მოიკიდებდა მტრად და საქართველოზე კიდევაც რომ გაემარჯვნა, იმპერატორცა ტახტიდან ჩამოაგდებდა. მაგანაც არჩია, არც მწუავლი დაეწვა, არც შამფური და ირანს მოაშურა. იცის, რომ რუსები ქერიმ-ხანს ულოლიაეებენ თურქეთს არ მიემხროსო, ხოლო, ვინაიდან ქართლ-კახეთი ერთ დროს სპარსეთის სამფლობელოში შედიოდა, თუ ქერიმ-ხანმა მისი დაბრუნება ისურვა, რუსებმა ამაზე შეიძლება თანხმობით უპასუხონ. მააჰ!

— დახე, რა ჰკვიანურად აუშვია აფრა. ქერიმ-ხანს შეუძლია საქართველოს ჯარი შეუსიოს და გამოაცხადოს: ქართლის ტახტზე მისი კანონიერი პატრონი ალექსანდრე უნდა დაესვაო. ქართლის შერისხული თავადები აიშლებიან, წადი და, თუ ბიჭი ხარ, გაუმკლავდი.

— ეჰ, განზრახვა ერთია და შესრულება მეორე, — მშვიდად ჩაილაპარაკა ბესიკმა. — ისიც არ დაგაეიწყედეს, რომ ქერიმ-ხანი ერეკლეს წყალობით გამარდა ტახტზე და აგრე ადვილად ვერ ამართავს ხელს. ჩვენი ბატონის წინააღმდეგ, ეგ უბედური კი საიდან

სად წამოსულა, ქვეყნის ერთი მხრიდან მეორე მხარემდე შეუძლებელია მიზანს მივალწყო. უმჯობესია

— როგორ მოვიქცეთ, ვეახლოთ?

— აბა რას ამბობ? შეუტია ბესიკმა ქაიხოსროს. — რა საქმე აქვს საქართველოს მეფის დესპანს უცხო ქვეყანაში მოხეტიალე ტახტის მოცილე ბატონიშვილთან, თითონაც რომ გვეახლოს, ჩვენ არ უნდა მივიღოთ.

— ეჰ, კარგი ერთი შენს დღეგრძელობას, ამ გადამთიეთში მოსისხლე მტერიც რომ შემხვდეს ქართველი, მაინც გულზე მივიკრავ, აღარ გახსოვს ერეკლე როგორ ეხვეოდა პაატა ბატონიშვილს და როგორი პატივისცემით ეპყრობოდა?

— შენს მტერს ისეთი პატივისცემა, — ჩაიციინა ბესიკმა.

— ეგ ახლა შეთქმულება მოუწყო, უმუხტოლა და ბატონმა დასაჯა კიდევაც, რა იცი, იქნებ ალექსანდრეს ბატონთან მორიგება სურს და ჩვენი ნახვაც იმისთვის განუზრახავს...

— შენ ბევრი გაგეგება პოლიტიკისა, მორიგება თუ სურდა, შირაზში რა ნოარბენინებდა.

ბესიკმა და ქაიხოსრომ მაინც გადასწყვიტეს, თუ ალექსანდრე ბატონიშვილი კვლავ შემოუთვლიდა — ხლებოდნენ, უარი არ ეთქვათ. შემდეგ, ვინაიდან მასპინძელი შაჰის სასახლეში იყო წასული და ჯერ პასუხი არ მოეტანა, საქართველოს ელჩს როდის მიიღებდნენ, ბესიკმა დროს მოსაკლავად ქალაქის დათვალიერება მოისურვა. ნარიმან-ხანის ყულარადასმა ეტიკობა იკისრა და საპატიო სტუმრებს წინ წაუძღვა. სამივემ დაიარეს და დაათვალიერეს თოფ-იარაღის, ქალაღისა და აბრეშუმის საქსოვი ქარხნები, ვარდისწყალის სახელო შენობები, მინანქრისმკეთებელი ოსტატთა სახელოსნოები. შემდეგ ათაბეგ-შაჰის ნაგები დიდებული მერეთი და



ჭერი-ხანის ჯერ დაუმთავრებელი ზეჩეთი „ფაკილი“ ინახულეს. იქედან ყულარადასმა სტუმრები ირანის საამაყო მგოსნების საადის და ჰაფიზის საფლაგების სანახავად წაიყვანა. ორივეს საფლავს მარმარილოს ძეგლები ამშვენებდა. ბესიკმა რიგრიგობით მუხლი მოიყარა ჯერ საადის და შემდეგ ჰაფიზის საფლავის წინაშე და ქაიხოსროს ამოთხერით უთხრა:

— ნეტავ ასე რუსთაველის საფლავზე მომაყრევიანა მუხლი და შემდეგ თუნდაც ერთ დღეს აღარ მაცოცხლა. უბედურნი ვართ ქართველნი, არ ვიცით საკუთარი თავის ფასი და ჩვენი სახელისა და დიდების მომხვეჭ მგოსანთა პატივისცემა. სად არიან უკალოდ დაკარგულნი ჩვენი დიდებული მგოსნების სამარხები? უკალოდ განჰქრენ. ჩვენს ქვეყანაში მგოსანს მხოლოდ დევნა, უცხო ქვეყანაში გარდახვეწა და იქ სიკვდილი უწერია ბედად.

— ბესიკის გარდა, — გაეხუმრა ქაიხოსრო.

— მე როგორ ვაგებდავ დიდებულ მნათობებს უბრალო ციციანთელამ თბვი დავადარო, მაგრამ, ალბათ, მეც უცხოობაში გარდახვეწა და სიკვდილი მიწერია. მასსოვს ჰაფიზის ერთი რუბაია. დაცა მოვიგონო:

„მე სიყვარული შეიცან ჩემი დამათობელი შემსივი ღვინო, მეც დავითური და შენ კი მაშინ ღვინის სასმისით ოაგში დამყარი. ხოლო როდესაც თვალცრემლიანმა ეს გული დამწვი და ფერფლი მისი ფეხქვეშ გავიგე ვითარცა მტერი, შენ მაშინ იგი ცივად, უბოლოდ აამფანტე ჭარში“

გრძელწვერა ყულარადასმა თბვლით უსმენდა ბესიკს და შემდეგ თბვლიანად მოახსენა:

— თქვენ ჩემზე უკეთ გცოდნიათ ჰაფიზის ლექსები, თუმცა მე იგი მრავალჯერ მომისმენია და წამიკითხავს, ზეპირად არცერთი არ მახსოვს. ენამქვერი იყო ჰაფიზი. როდესაც თემურ-ლენგი შირაზში შემოიჭრა, მთელი ფარისისტანი ფეხქვეშ დაემხო ამ უძლეველი მხედარმთავრის წინაშე. მხოლოდ დერევისის ტანსაცმელში გახვეული ჰაფიზი მღეროდა უღარდელად:

„თემიშირაზელი მზეთუნახავი მე გამიღიმებს მაშინ მე იმ ხალს, ლოყაზე რომ აქვს, ძღვენად მივართმევდი სამარყანდსა და ბუხარას“

— განრისხებულმა თემურ-ლენგმა იხმო ჰაფიზი და უთხრა: „მე მთელი მსოფლიო დავიპყარ სამარყანდისა და ბუხარას განსადიდებლად, შენ კი ვით ბედავ საჩუქრად გასცე ეს ქალაქები რაღაც ხალისთვის“. „ქვეყნისმპყრობელო, — უთხრა თავდახრით ჰაფიზმა და თავის დაფლეთილ ტანსაცმელზე მიუთითა, — შენ თითონ ხედავ, თუ როგორ გამაღატაკა მე ასეთმა გულუხვობამ“. თემურ-ლენგს საოცრად მოეწონა, თურმე, ეს პასუხი და გულთანად იცინა. რისხვა წყალობად შესცვალა და ჰაფიზი უხვად დაასაჩუქრა.

ბესიკსაც ძალზე მოეწონა ეს თქმულება და ჰაფიზის მოსწრებული პასუხი. ყულარადასი საკმაოდ განსწავლული აღმოჩნდა და მან ბევრი რამ უამბო ბესიკს საადისა და ჰაფიზის შესახებ.

როდესაც სამივენი შინ დაბრუნდნენ ნარიმან-ხანის უკვე მოხული დაუხვდათ. მან ბესიკს ახარა შაჰინშას ბრძანება ერეკლე ხანის ელჩი დაუყოვნებლივ მომგვარეთო. ბესიკმა დააპირა

მაშინვე შედგომოდა სამზადისს, მაგრამ მასპინძელმა შეაჩერა: ნუ ჩქარობ, რადგან მხოლოდ ზევ გელირსებათ ქერიმ-ხანის ნახვო. შემდეგ ბესიკი ცალკე ოთახში გაიხმო და საიდუმლოთ განუცხადა.

— შაჰინშას ალექსანდრე ბატონიშვილი ეახლა და შემწეობა სთხოვა. პირობა მისცა, რომ ოღონდ ქართლის ტახტი დამიბრუნე, და შენი მორჩილი ვიქნები ისე, როგორც ჩემი პაპა და პაპის-პაპაო. ამას იცოდე საიდუმლოდ გუებნები, შენს მეტმა არაეინ იცოდეს და ერეკლე ხანსაც საიდუმლოდ მოახსენე.

— შაჰინშამ რა უბრძანა?—კითხა მოუთმენლად ბესიკმა.

— შაჰინშამ უბრძანა, დიდება მის სახელს, მე შენი პაპის ვახტანგ-ხანის ერთგული სამსახური მსმენია, ალბათ შენც იმისი კეთილი ზნე გამოგყვა და უმოწყალოდ არ დაგტოვებო. შენთვის სარღლობა გვიბოძებია და რაც ზენაარსმა გვიკარნახოს, ისე მოვიქცეთო.

— მაშ, დაპირებია კიდევაც...

— არა, მხოლოდ დაამედა და თავისთან დაიტოვა,—დაამწვიდა ბესიკი ნარიმან-ხანმა.—შაჰინშამ განა არ იცის, რომ ერეკლე ხანთან ხუმრობა არ შეიძლება და იმის ტახტიდან გადაგდება ისევე ძნელია, როგორც მუშტით ქეიტკირის დანგრევა, მაგრამ ესეც იცოდე, თუ შემთხვევამ მოიტანა, მაშინ ყოველივე მოსალოდნელი.

ბესიკმა მაღლობა გადაუხადა ნარიმან-ხანს ასეთი ცნობებისათვის და მთელი დღის განმეულობაში იმის ფიქრში იყო — ენახა თუ არა ალექსანდრე ბატონიშვილი. მასთან უბრალო საუბარში ბესიკს შეიძლება ბევრი რამ საგულისხმო გაეგო და ყოველივე ეს ერეკლესათვის მოეხსენებინა, მაგრამ თან იმისიც ეწინაოდა, ვაი თუ შეფეს ეწყინოს ჩემს მოცილესთან საუბარი როგორ გაბედეთ.

ბოლოს ქაიხოსროს ეთაბიზია და ორივემ გადასწყვიტეს ბატონიშვილის ზღებოდნენ.

იმავე საღამოს გაემართნენ მასთან. ალექსანდრე ბატონიშვილი სასტუმროში ბინადრობდა და ორი პატარა ოთახი ეკირა. ერთში თავისი ერთგული მსახურნი დაებინავებინა,—მეორეში თითონ ცხოვრობდა. მივიდნენ თუ არა ბესიკი და ქაიხოსროს სასტუმროში, მსახურნი მაშინვე გამოცვივდნენ შესაგებებლად, ორივეს ხან ხელებზე კოცნიდნენ, ხან მუხლებზე ეხვეოდნენ და სიხარულისაგან იხეთიტირილი ასტეხეს, რომ ბესიკიც ატირეს და ქაიხოსროც. მათ თავის სამშობლო ბატონიშვილივით თვალითაც არ ენახათ, მაგრამ თავისი ქვეყნის სიყვარული მაშებისაგან მიეღოთ ანდერძად. რუსეთში დაბადებულებს და აზრდილებს სულ მუდამ ესმოდათ მამათა განუწყვეტელი ლოცვა-ვედრება, რომ ღირსებოდათ სამშობლოში დაბრუნება. ამ ლოცვებმა შეაყვარა ყოველ მათგანს თავისი ჯერ თვალთ უნახავი ქვეყანა და საქართველოდან მოსული ადამიანის დანახვა მათთვის ნამდვილი დღესასწაული იყო.

ერთმანეთის მოკითხვისა და გაცნობის შემდეგ თვალცრემლიანი მსახურნი სტუმრებს ბატონიშვილთან შეუძღვენ, ალექსანდრეც ასეთივე ალერსით შეეგება ორივეს და თავისი მოპყრობით უცხად მოხიბლა ბესიკი.

— ვეუო, მაშინშენის ამბის გაგება მაინც არ გსურდა?—ღიმილით მოუთათუნა მზარზე ბესიკს ალექსანდრემ და თავის გვერდით მოისვა.—გუშინ მსახურმა მითხრა ზაქარია მოძღვრის ვაჟი წარმოუგზავნიათ საქართველოდან დესპანად. მართალი გითხრა, ძალზე შეამა. მამაშენი ჩვენ გვეხლა მოსკოვს და იქ გაივგეთ ყოველივე მისი გაჭირება, შევიფარეთ და ვუპატრონეთ.

ბესიკმა მადლობა მოახსენა ბატონიშვილს მამისადმი ასეთი მზრუნველობისათვის და თავაზიანად მოიკითხა.

— თბილისში უამი გაჩენილათ, მართალია? — ჰკითხა ალექსანდრემ ბესიკს.

— აბა რასა ბრძანებთ, ჭორი მოუხსენებიათ,—უბასუხა ბესიკმა.

— შე რას მიმალავ, თუშეა იქნება ჭორია, რა ვიცი... ერეკლე როგორ ბრძანდება, გადაურჩა კიდევ ვინმე დაუსჯელი?

— ქვეყნის საკეთილდღეოდ მეფემ ვინც არ უნდა დასაჯოს, ეპატიება,—უთხრა თამამად ბესიკმა ალექსანდრეს და თვალბში შეხედა.

ალექსანდრე შეიკმუხნა, ერთხანს ფიქრში წასული მღუპარებდა, მერე თითქოს თავისთვის ჩაიციხა და ბესიკს მიუბრუნდა:

— იცი, რას გეტყვი, შვილო? ქვეყნის კეთილდღეობისათვის მეფეთა ზრუნვა მაშინ არის მოაწონი, როდესაც შინაური კმაყოფილი გყავს და გარეული მორჩილი. მამულის ხელში ჩააგდებდა რომ საკუთარ ძმას ყელი გამოსჭრა—ეგ რა ზრუნვაა ქვეყნისათვის. დაიცა, ვიცი რაც გსურს მიპასუხო, შენ გინდა ვითხრა, რომ ერეკლე საქართველოს წარსული დიდების აღდგენისათვის იღწვის და ერთნაირად ებრძვის შინაურ და გარეულ მტრებს. შე გინა არ ვიცი, რომ ერეკლე უშიშარი სარდალია და ბრძოლაში თავის ჯარს ხმალამოწედილი წინ მიუძღვის! ეგ ვიცი, მაგრამ სად გავგონილა, რომ მეზობელი ოჯახში შემოგვიარდეს, შენს სახლ-კარობას, შენს ცოლ-შვილს დაეპატრონოს და იმის საბაბით, რომ ამ მამულს შე უფრო კარგად ეპატრონობო, შენ თითონ გა-

რეთ გაგავდოს, სახლში აღარ შეგერმვას. თან შინაურსაც გიწიფებდეს... და გაიძახოდეს, მამულისკენ მივდივარ ბისტვის ჩადივარ ამასო. გინა პაპაჩვენმა, ნეტარხსენებულმა ვახტანგმა ქართლი იმისთვის დასტოვა, რომ თავის ქვეყანაზე ხელი აღეო? მას სურდა რუსთა დახმარებით ქართლიდან თურქნი გაედევნა, მაგრამ ბედმა უმუხთოლა, იმპერატორი პეტრე გარდაიცვალა, ხოლო რუსეთში შემდგომად, გამეფებულმა დედოფლებმა სრულიად მიივიწყეს პეტრეს ანდერძი. იქნებ ჩვენ ივის უმჯობესი იყო რუსეთის ნაცულად აქეთ წამოვსულიყავით და ნადირ-შაჰის მფარველობა მოგვეპოვებინა, მაშინ ქართლის ტახტი ისეე ჩვენს ხელთ იქნებოდა და ასე საგლახოდ არ გავვიხდებოდა საქმე. ახლა რაღა ვარ მე, განძარცული, სხვის კარზე წყალობისა და ლექმა პურის მაძიებელი. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის შთამომავალი იძულებული ვარ სპარსეთის შაჰს მუხლმოდრეკით ევახო და დაჩოქილმა ორმოცდაათი ნაბიჯი ხოხეთ გავიარო, რომ შებლით მიეწვდე იმ ნოხის ყურს, რომელზედაც შაჰს ფეხი აქვს დაბეჯინილი.

ალექსანდრე უცბად ფეხზე წამოიჭრა და ფანჯარაში დაიწყო ცქერა. მას ცრემლები სურდა დაეფარა, რომელნიც უნებლიედ აუცურდა თვალბზე. საოცარი სიჩუმე იყო ოთახში.

მსახურნი მგლოვიარებდით აკრულიყენენ კედელზე საყდარში მიხატული ფრესკებივით და თავდახრილნი მღუპარებდნენ.

შორიდან მოისმა მუქინის გაბმული ყვირილი. ის სალოცავად უხმობდა მართლმორწმუნეებს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ღნებოდა ღამე

მალა აფხაიძე



ღნებოდა ღამე... დილის ცისკარი
და დილის სიო ბურუსებს ხედა,
მთას გაღმომდგარმა მზემ ცეცხლის ღვარით
გულში ხმაურით ჩამოიხედა.

გაშალა შუქი და გადაძალა
ღამის ხანმოკლე მოჩვენებანი,
ღღის ვრცელ ლაქვარდებს შთაბერა ძალა,
მალა ასწია მინანქრის ტანი.

ამოალაგა ღრმა წყველიდიდან,
რაც კი გულცივად ღამემ დამარხა;
და გააცოცხლებულ რუსთავის ცეცხლის
მშვენიერება კვლავ დამანათა.

გამოიყვანა ბნელ მარწუხიდან
სამგორის ველი, ჭართლის ძალები,
მათში გაშლილი საესე სიცოცხლის
შე დაეინახე კვლავ გასაღები.

ჩამოიხედა... გულს დამიარა,
გულმა სიამით დაიწყო რხევა,
მასში იმდენი შუქი ჩასტოვა,
რომ უკან აღარ ამოეტევა.

მეხრანული

შევაკეცე ჩემს მთაწმინდას კალთა,
მწვერვალია, ქარი ებრძვის მუხას,
ეზივარ ჩრდილში და ვსაუბრობ ქართან,
თავს რომ მაყრის ბურბუშელას უხვად.

ეხედავ მყინვარს—საქართველოს ლამპარს,
მსუბუქ ღრუბლის თავისუფალ სრბოლას.
ვისმენ ბალის და გომბორის ზღაპარს
სამხრეთით კი ცა რუსთავეის ბოლავს.

ქართლის ველთა სუნს აქ ქარი შითბობს,
მთელ სივრცეში საესებაა სრული;
რა სიხარულს იტევს ამ ცის სითბო,
რამდენ ნათელს ფენს გარემოს გული.

ეზივარ ჩრდილში. არ ვგრძნობ ჟამის დენას,
და ჩანს ყველგან ბრძენთაბრძენის თვალი.
მზიბლავს ქარის, ლაქეარდების ენა,
ამ სიციცხლის ბუმბერაზი კვალი.

მოსავალი

გიორგი კვახიძე



თეთრწვერიანი პაპა წინ მიდის,
შიაგორებენ ურმებს ხარები
და შეხმაურდნენ ოქროს სიმინდით
ბელლის ეზოში მწიფე ყანები.

იგრძნო მიდამომ ყანის განგაში,
მიწის რბილ მკერდზე—ტაროს დაცემა.
ხმაურზე ბელლის ქუქრუტანაში
გამოიხედეს ხორბლის მარცვლებმა.

მისწი-მოსწიეს ბელლის ფიცრული,
ფრთა შეაშველა უმაღ ნიავმა,
ძმადმიღებულის, ძმადშეფიცულის —
მწეფე სიმინდის მოსვლა ეამათ.

გზებზე არ წყდება ურმის კრიალი,
კრებს ნაურმაღზე მარცვლებს ფრინველი. —
ხელდალოცილი პაპა ქვეიანი
ტაროს ბელელში აგდებს პირველი.

ყვიინებს შრომა ცეცხლის მომღებში,
დალა ვაეკაცებს არ ეკარებათ
და ტრიალებენ თეთრი გოდრები
მაღალ კედლიან ბელლის კარებთან.

ჩალას უყრიან პირუტყვეს ნახეღარს,
მოდის საღამო ტყიდან ფარულად.
მთვარემ მოსაეაღს ფრთხილად დახედა
ღრუბლის კოშკიდან გამოპარულმა.

შემკრთალს აჩქრებს ქალთა სიცილი,
აცნობს დღის ამბებს ბერი ჭადარი
და მოსავალზე მღერის წისქვილი
აკაციების ბინდში ჩამჯღარი.

ახალგაზრდა გზარღია

რომანი *

ალექსანდრე ვალდენი



თავი მეოცე

მარინე თავისი ბავშვიანად ბებია ვერასა და ელენა ნიკოლოზის ასულთან ერთად სამზარეულოს გვერდით პატარა ოთახში დადგა. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძემ და ოლეგმა ფიცრებისაგან ორი ტახტი შექარეს და ეზოში წამოდგმულ შეშის ფარდულში ძლივს მოთავსდნენ.

უსმენელებოდ მოქანტულმა ბებია ვერამ (ზომ არ შეეძლო თანამოსაუბრეთ მიეჩნია მოყვითალო კორფლიანი ღუნშიკი!), ახლა დრო იხელთა და ქალაქის ახალი ამბების მთელი გროვა დაყარა მათ თავზე. არცერთი წარმოება-დაწესებულება არ ზღუაობს, მაგრამ გერმანელი კომენდანტის ბრძანებით მოსამსახურეები ვალდებული არიან გამოცხადდნენ თავიანთ სამსახურში და იქ ისხდნენ დაწესებულ საათებში. გერმანელები ებრაელებს იქერენ და მიჰყავთ ვოროშილოვგრადის მახლობლად, სადაც თითქოს მათთვის გეტო იყოს დაარსებული, მაგრამ ზოგნი ამბობენ, რომ ნამდვილად ებრაელები მხოლოდ ვერხნედუენაიას ქალაქში მიჰყავთ, იქ ჰკლავენ და მარხავენო. მარია ანდრიას ასულ ბორცს ძალიან ეშინია: ვინმემ არ გასცეს ჩემი

ქმარიო. აქამდე არცერთი კომუნისტი და კომკავშირელი არ გამოცხადებულა გერმანელ კომენდანტთან რეგისტრაციაზე. („როგორ მე თვითონ ჩავეუვარდე ხახაში, — მანამდე სულიც ამოხდომიათ“, — სთქვა ბებია ვერამ) ამას გარდა, ამბობენ, რომ ბევრი უკვე აღმოაჩინეს, მაგრამ სახელდობრ ვინ, ამის შესახებ ბებია ვერამ არაფერი იცოდა. ტრესტში მომხდარი ხანძრის შემდეგ ამგვარსავე პირობებში დაიწვა ახალი აბანო შანხაის იქით: ის იყო გერმანელებმა დაასუფთავეს და მოამზადეს იგი ყაზარმისათვის, რომ შენობას უცებ ცეცხლი გაუჩნდა. გერმანელი ჯარისკაცების საუბრიდან ცხადი იყო, რომ სადგურ მიტიაკინოს რაიონსა და სხვა ადგილებში გერმანელებსა და პარტიზანებს შორის გამამაფრებელი ბრძოლები სწარმოებდა. ყველა ამ საქმესთან დაკავშირებით ქალაქსა და რაიონში ეჭვმიტანიტ ბევრი უდანაშაულო ადამიანი დააბატონეს.

იმ გარინდებულ მდგომარეობიდან, რომელშიაც ელენე ნიკოლოზის ასული იმყოფებოდა ოლეგის გამგზავრების დღიდან, ჯანსაყუთრებით გერმანე-

ლებს შემოსვლის შემდეგ, თითქოს გრძნეული ხელით გაათავისუფლა ოლეგის დაბრუნებამ, ახლა იმ განუწყვეტელი სულიერი გზნებისა და ენერგიული მოქმედების მდგომარეობაში იყო, რომელიც აგრე ახასიათებდა მის ბუნებას. ისე დასტრიალებდა შვილს, როგორც დედა-არწივი ბუდიდან გადმოვარდნილ ბარტყს. ოლეგი ხშირად გრძნობდა დედის გაკვირვებულს, მოუსვენრად დაძაბულ შემოხედვას: „როგორა ხარ, შვილო? შესძლებ თუ არა გადაიტანო ყოველივე ეს, ჩემო შვილო?“

ოლეგი იმ ზნეობრივი ალტყინების შემდეგ, რასაც გზაში განიცდიდა, დრმა სულიერ გარინდებში ჩაეარდა. ყველაფერი იყო არა ისე, როგორც მას წარმოედგინა.

ქაბუქს, რომელიც ბრძოლაში ებმებოდა, ეს საქმე ძალადობასა და ბოროტების წინააღმდეგ მთელ რიგ განუწყვეტელ საგმირო ბრძოლებად ესახებოდა, მაგრამ ბოროტება აღმოჩნდა უჩინარი, აუტანელი, ბილწი და ყოველდღიური მოვლენა.

მისი ბამბორა თვინიერი შავი ძალღი, რომელთანაც ცელქობა ოლეგს ეგრე უყვარდა, ცოცხალი აღარ იყო. ეზოებსა და ბაღნარებში ხეები და ბუჩქები გაკაფული იყო და ქუჩები გაშიშვლებული სჩანდა. ამ შიშველ ქუჩაში თითქოს შიშველი გერმანელები დაალაგებდნენ.

გენერალი ბარონ ფონ ვენცელი ისევე ვერ ამჩნევდა ოლეგს, მარინესა და ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს, როგორც ბებია ვერასა და ელენა ნიკოლოზის ასულს.

მაგრამ გენერლის საქციელს ბებია ვერა არად ავლებდა და არც არავითარ შეურაცხყოფას არ გრძნობდა ამით.

— მაგათ ახალ წესრიგსაც რა ვუთხარი, — ამბობდა ბებია. — მე უკვე მოვხუციდი და კარგად ვიცი,

რომ ეს წესრიგი ისევე ძველთაგველია, როგორიც ბატონყმობის დროს იყო ჩვენში. ჩვენს შიშველ ქუჩებში ულე გერმანელები, ასეთი ქედმაღალნი და ასეთივე უკარებელნი, როგორიც ეს ბარონია! იიპ, თვალიც მაგას დასდგომია რა უნდა მეწყინოს მისგან? სულერთია ესეთი იქნება, სანამ ჩვენები არ მოვლენ და ყელს არ გამოლადრავენ...

მაგრამ ოლეგისათვის გენერალი თავისი ვიწრო, კრიალა შტიბლეტიანი და სუფთად გახეხილ-გაპარსულ ხეანით იყო მთავარი დამნაშავე იმ აუტანელ დამცირებაში, რომელიც ახლა ჩაეარდნილიყვნენ ოლეგი და მისი მახლობელი ადამიანები. ამ დამამცირებელი გრძნობებიდან გათავისუფლება თითქოს მხოლოდ გერმანელი გენერლის მოკვლით შეიძლებოდა, მაგრამ ამ გენერლის მაგივრად გაჩნდებოდა მეორე, და ამავე დროს, სწორედ ასევე სუფთად გაბანილგაპარსულ ხეანითი და კრიალა შტიბლეტიანი.

კანკმაღალი ადიუტანტი გადამეტებულად ცივი თავაზიანობით ექცეოდა მარინეს და სულ უფრო ხშირად ავალებდა მომსახურება გაეწია მისთვის და გენერლისათვის. როცა ის მარინეს შესცქეროდა, მის უფერულ თვალებში გამოსკვივოდა სიძულვილი და იმავე დროს რაღაც ბავშვური ცნობისმოყვარეობა, თითქოს იგი უმზერდა ეგზოტიურ ცხოველს, რომელსაც მცირე სიამოვნება როდი შეეძლო მიენიჭებია მისთვის, მაგრამ გამოურკვეველი იყო, როგორ მოქცეოდა მას.

ახლა ადიუტანტის თავშესაქცევ საყვარელ საქმეს წარმოადგენდა კამფეტებით მიეტყუებინა მარინეს პატარა ვაფი, ელოდებოდა, ვიდრე ბაღლი გაუწვდიდა მრგვალსა და მსუქან ხელს, მაშინ უკებ ჩაივლებდა კამფეტს პირში. ადიუტანტი აკეთებ-

და ამას ერთჯერ, მეორედ, მესამედ, ვიდრე ბიჭი არ ატირდებოდა. მაშინ იგი თავის მალალი კანკებით ჩაცუცქლებოდა, ენის წითელ წვერზე დაღებულ კამფეტს კვლავ გამოაჩენდა, ყმაწვილის თვალწინ სწუწნიდა, ღეჭავდა და თვალზე გამოკარკლული დიდხანს, დიდხანს ხარხარებდა.

მთელი თავისი არსებით სძულდა იგი მარინეს გრძელი კანკებიდან მოკიდებული არაბუნებრივად თეთრ ბრჭყალებამდე. მარინესთვის იგი ადამიანი კი არა, პირუტყვიც არ იყო. ისე ეზიზღებოდა იგი, როგორც ჩვენს ხალხს ეზიზღება ბაყაყი, ხელიკი, ლოკიკინა და, როცა აიძულებდა მომსახურებოდა მას, მარინე განიცდიდა ზიზღსა და შიშს იმის გამო, რომ ამ პირუტყვის განკარგულებაში იყო ჩაყარდნილი.

მაგრამ ყვითელჭორფლიანი დენშჩიკი მოსვენებას არ აძლევდა ქაბუკებს და აუტანელს ხდიდა მათს ცხოვრებას. ამ დენშჩიკს საოცრად ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა: იგი მთავარი იყო სხვა დენშჩიკთა შორის — მზარეულებში, გენერლის მოსამსახურე სამნეო რაზმის ჯარისკაცთა შორის. მოსამსახურე ჯარისკაცის მთელი თავისუფალი დრო მიდიოდა იმაში, რომ კვალად და კვალად გამოეკითხა ახალგაზრდა ადამიანებისათვის, თუ როგორ უნდოდათ მათ გერმანელებისაგან გაქცევა და როგორ ვერ მოახერხეს ეს, და ახლა, ვინ იცის, მერამდენჯერ ეუბნებოდა მათ თავის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მხოლოდ სულელსა და ველურ ადამიანებს შეეძლოთ სდომებოდათ გერმანელებისაგან გაქცევა.

იგი სდევნიდა ამ ახალგაზრდებს შუშის ფარდულშიც, სადაც მუდამ ისხდნენ ხოლმე, ეზოშიც, როცა სუფთა ჰაერზე გამოვიდოდნენ, სახლშიც კი, როცა გენერალი შინ არ

იყო. მხოლოდ ბებიას გნობენა თუ ვისუფლებდა მათ ჯარისკაცის დენშჩიკისაგან.

თუმცა საკვირველი კი იყო, მაგრამ წითელხელებიან, ახმახ დენშჩიკს, რომელსაც ბებიასთან გარეგნულად ისევე უტიფრად ეჭირა თავი, როგორც სხვა დანარჩენებთან, ეზინოდა ბებია ვერასი. გერმანელი დენშჩიკი და ბებია ვერა რუსული და გერმანული ენების საოცარი ნარევით საუბრობდნენ ერთმანეთში. ამას თან ახლდა სახისა და ტანის მიმიკური მუშაობა, რაც ყოველთვის მეტად ზუსტი და მომზხამავი გამოუდიოდა ბებია ვერას, ხოლო დენშჩიკს კი — უკმეხი, რაღაც პირუტყვული, ხებრული და ღვარძლიანი. მაინც შესანიშნავად ესმოდათ ერთიმეორისა.

ახლა მთელი ოჯახი ფარდულში იყრიდა თავს, საუზმეზე, სადილად და ვახშმად, და ყველაფერი ეს კეთდებოდა ზუსტად, ნამალევედ. სჭამდნენ სამარხვო ბორშის, მწვანის, მოხარშულ კარტოფილს და პურის ნაცვლად — ბებიას მიერ გამოცხობილ ზორბლის ლავაშებს. ბებიას ბევრი სხვა რამეც ჰქონდა გადაძალული. მაგრამ მას შეუძლევ, რაც გერმანელებმა შეჰყლაპეს ყოველივე, რაც უხებროდ იყო, ბებია ყველაფერს მხოლოდ სამარხვოს ამზადებდა. ამით ცდილობდა თვალი აემა გერმანელებისათვის, უჩვენებინა — აქოდა სხვა არა გაგვიანია რაო. ღამით, როცა გერმანელებს ეძინათ, ბებიას ფარდულში ნამალევედ შეჰქონდა ქონის ნაჭერი, ან უმი კვერციხი, და ამაშიც იყო რაღაც დამამკობრებელი რამ, — მალულად ქამა.

ვალკო არაფერს იტყობინებოდა თავის შესახებ. არც ვანია მოდიოდა ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ ენდა შეხვედროდნენ ისინი ერთმანეთს. ყოველ სახლში გერმანელი იჯდა. ისინი იჭვენული დაკვირვებით

უფალთვალბდნენ ყოველ მომსელულ კაცს. თვით ჩვეულებრივი შეხვედრა, საუბარი ქუჩაში ეპეს იწვევდა მათში.

მტანჯველ სიამოვნებას განიცდიდა თავივე მხელეზამოღებით ტახტზე მწოლარე ოლეგი, მაშინ, როცა გარშემო ყველას ეძინა და ტრამალის გრილი ნიაფი იჭრებოდა ფარდულის პატარა ღია კარში, როცა თითქმის საესე მთვარე ცის ტატნობზე შორს ჰფანტავდა ფოლადისფერ შუქს და მბრწყინავ სამკუთხედად ეფინა სოხანეზე, ზედ მის ფეხებთან, — მტანჯველ სიამოვნებას ჰგვრიდა ოლეგს ფიქრი იმაზე, რომ აქვე, ქალაქში ცხოვრობდა ლენა პოზნიშევა. მისი ბუნდოვანი, დაქუცმაცებული, შეუკავშირებელი ხატება თავს დასტრიალებდა: ისეთი თვალეზი ჰქონდა, როგორც მთვარის შუქზე მოელვარე ალუბალი ღამით, — დიად, ეს თვალეზი ნახა მან გაზაფხულზე, პარკში, იქნებ დაესიზმრა ისინი, — თითქოს შორიდან შემოესმა სიცილი, ვერცხლისეზი წყრიალა პატარა ჰმებნისაგან შემდგარი სიცილი, თითქოს ხელოვნურიც კი, სადაც გარეთ კოვზების გადალაგების წყარუნის მსგავსი. ოლეგი ისე იტანჯებოდა მისი სიახლოვისა და მასთან განშორების გამო, როგორც იტანჯებოდა ხოლმე მხოლოდ მისი მოლანდების ბედნიერებით.

იმ საათებში, როცა შინ არ იყო არც გენერალი და არც ადიუტანტი, ოლეგი და ნიკოლოზ ნიკოლოზისძე შედიოდნენ მშობლიურ სახლში. ცხვირში სცემდათ რთული პარფუმერული სურნელება, საზღვარგარეთული თამბაქოს სუნნი და კიდევ მართხელობის ის სპეციფიური სუნნი, რისი ჩახშობაც არ ძალუძს არც თამბაქოს სუნს და, რომელიც ერთნაირად დამახასიათებელია გენერლებისა და

ჯარისკაცების ბუნებისათვის, როცა ისინი ოჯახის გარეთ ცხოვრობენ.

ერთ-ერთ ასეთ მსგავსებას შევიდა ოლეგი დედის წინააღმდეგ. გერმანელი მზარეული ჯარისკაცი და ბებია ვერა ჩუმად მიმდგარიყენენ ღუმელთან, — თვითეული მათგანი თავისთვის ამზადებდა რაღაცას. ხოლო საწოლ ოთახში, რომელიც ახლა სასადილოდ იყო გადაქცეული, ფეხსაცმელიანად და პილოტურიანად დივანზე წამოწოლილიყო დენშიკი და თამბაქოს ეწეოდა, ეტყობოდა ძალიან მოწყენილი იყო. იგი იწვა სწორედ იმ დივანზე, რომელზედაც ჩვეულებრივად ოლეგი იძინებდა ხოლმე.

შევიდა თუ არა ოლეგი ოთახში, დენშიკმა თავისი ზანტი, მოწყენილ თვალეზი მიაპყრო მას.

— შესდეგ! — წამოიძახა ჯარისკაცმა. — გეტყობა, ცხვირს უკვე მალა იწვე, — დიად, დიად, თანდათან სულ უფრო ვამჩნევ ამას! — წარმოსთქვა მან და წამოჯდა. თან იატაკზე ბრახუნით ჩამოდგა სქელლანჩებიანი ფეხსაცმელი. — მკლავეზი ძირს დაუშვი და ქუსლეზი ერთმანეთზე მიაწყე: შენზე უფრო ხნიერ კაცს ელაპარაკები! — ჯარისკაცი ცდილობდა მრისხანება თუ არა, გალიზინება მაინც გამოეწვია, მაგრამ სიცხეს ისე მოეჭანცა, რომ ღონე აღარ ჰყოფნიდა. — შეასრულე, რაც ვითხრესი გესმის? შენ!... — დაიყვირა ჯარისკაცმა.

ოლეგმა, რომელსაც ესმოდა, რასაც დენშიკი ეუბნებოდა, მაგრამ უსიტყვოდ შესცქეროდა მის მოყვითალო-ქორფლიან სახეს, უცებ შეშინებული სახის გამომეტყველება მიიღო. სწრაფად ჩაუტყდა, ხელი დაირტყა მუხლებზე და წამოიყვირა:

— გენერალი მოდის! დენშიკი იმწამსვე ფეხზე წამოიჭრა. მყისვე გამოიღო პირიდან სიგარა და მოასწრო მისი ხელში დაქმუქნა. მისმა ზანტმა სახემ უმაღვე

მლიქნელურ - ბრიყული გამომეტყველება მიიღო. ქტსლები ერთიმეორეზე მიართყა, მკლავები ძირს ჩასქიმა და გაქცავედა.

— მაშ, რა გეგონა, შე ტუტუცო, შენა! ვიდრე ბატონი არ არის, დივანზე გაჯიმულხარ... აი, იდექი ახლა, ასე! — ხმის აუმაღლებლად უთხრა ოლეგმა, თან სიამოვნებას განიცდიდა იმის გამო, რომ უშიშრად შეეძლო ეთქვა ეს დენშიჩისათვის, რადგან იგი ვერ-გაიგებდა ამას. მერმე დედასთან შევიდა ოთახში.

დედა უკან თავგადაწეული იდგა კართან, სახე გაფითრებოდა, ხელში საკერავი ეჭირა: მას ყველაფერი ესმოდა.

— აგრე როგორ შეიძლება, შეილო... — უნდოდა ეთქვა.

მაგრამ ამ დროს დენშიჩი ყვირილით შემოუვარდა ოთახში.

— უკან!.. აქეთ... — ყვიროდა გონდაკარგული ჯარისკაცი.

სახე ისე აღეწოდა, რომ ჭორფლი უკვე აღარ ჩანდა.

— დედა, ყუ-ურადლებას ნუ მიაქევე, ამ რეგვებს! — ხმის ოდნავ კანკალით უთხრა ოლეგმა. იგი არ უყურებდა ჯარისკაცს, თითქოს არც კი ყოფილიყოს იქ.

— აქეთ!.. დორო! — დრიალებდა დენშიჩი.

იგი უცებ მივარდა ოლეგს, ორივე ხელი ჩაავლო ფიჯაკის დანაკეცებში და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ნჯღრევა დაუწყო, ხან აღეწილ სახეზე მსხდარი სრულიად გამოთეთრებული თვალებით შესცქეროდა მათ.

— თავი დაანებე... რა საჭიროა! ოლეგეკ, დაუთმე, რა საჭიროა... — ამბობდა ელენე ნიკოლოზის-ასული, თან ცდილობდა შეიღის მკერდიდან მოეშორებინა დენშიჩის უზარმაზარი წითელი ხელები.

ოლეგაც მთლად აწითლდა, ორივე ხელი ჩაავლო დენშიჩს მუნდირის

ქვეშ, ქამარში და ანთებულ თვალებით სიძულვილის ისეთი ძველად ქაართყა სახეში, რომ იტყუებოდა.

— გა-ამიშვი... გესმის? — საშინელი ჩურჩულით უთხრა ოლეგმა და ღონივრად მოსწია თავისკენ იგი, თან შმაგდებოდა მით უფრო, რომ დენშიჩს სახის გამომეტყველებაში დაეტყო არა თუ შიში, არამედ ეჭვი იმის შესახებ, რომ იგი თავისთვის საკმაოდ ხელსაყრელად არ იტყოდა.

დენშიჩმა ხელი გაუშვა, ორივენი ერთიმეორის პირდაპირ იდგნენ და მიიმედ ქშინავდნენ.

— წადი, შეილო... წადი, — იმეორებდა ელენე ნიკოლოზის ასული.

— ველურო... ველურზე უარესო, დენშიჩი ცდილობდა მთელი თავისი სიძულვილი ჩაექსოვა ამ სიტყვებში და ხმადაბლა ამბობდა, — თქვენ ყველა ძალღებოთ მათრახის ცემით უნდა გაგწერთნან.

— შენა ხარ ყველაზე უარესი ველურთა შორის, იმიტომ რომ მლიქნელი ხარ ველურებთან, შენ მხოლოდ ქათმების ქურდობა შეგიძლია, ქალების ჩემოდნებში ხელის ფათური და გამგლელებისათვის ჩექმების წართმევა, — სიძულვილით შესცქეროდა პირდაპირ გამოთეთრებულ თვალებში და ისე ამბობდა ოლეგი.

დენშიჩი გერმანულად ლაპარაკობდა, ოლეგი კი რუსულად, მაგრამ ყოველივე იმას, რასაც ისინი ლაპარაკობდნენ ისე კარგად გამოსახავდა მათი შემართება და სახე, რომ ორივეს შესანიშნავად ესმოდა ერთიმეორისა. ოლეგის უკანასკნელ სიტყვებზე დენშიჩმა თავისი დაკორმებული მძიმე ხელისგული ისე ღონივრად შემოჰკრა ოლეგს სახეში, რომ ოლეგი კინალამ წაიქცა.

არასოდეს, სიცოცხლის მთელი თექვსმეტნახევარი წლის განმავლობაში, არც სიფიცხით, არც დანასჯე-

ლად — არავისი ხელი არ მოხვედრია ოლეგს. თვით ჰაერიც კი, რომელსაც იგი ბავშვობიდანვე სუნთქავდა როგორც ოჯახში, ისე სკოლაში, იყო შეჯიბრების სუფთა ჰაერი, სადაც უბეში ფიზიკური ძალადობა ისევე შეუქლებელი იყო, როგორც ქურდობა, მკვლელობა, როგორც დივის გატეხა. ოლეგს მდულარე სისხლი მოაწვა ყელში და ეცა. დენშიკი კარისკენ გაიქრა. დედა მხრებზე ჩამოეციდა შვილს.

— ოლეგ! გონს მოდი... მოგკლავს!... — ამბობდა ქალი, თან გამოშრალ თვალებს აპრიალებდა და სულ უფრო მაგრად ეკვროდა შვილს.

ხმაურობაზე ოთახში შემოვარდნენ ბებია ვერა, ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე და ჯარისკაცის მუნდირზე თეთრბალათგადაცმული გერმანელი მზარეული. დენშიკი ვირივით ღრიალებდა. ბებია ვერა განიერად შლიდა ჩამოხმარ მკლავებს, რომლებზედაც ჭრელი სახელოები ფრიალებდნენ, კრუხივით კრიახობდა და ხტოდა დენშიკის წინ, თან სასადილო ოთახში აგდებდნენ ჯარისკაცს.

— ოლეგე, ბიჭო, გთხოვ... ფანჯარა ღიაა, გაიქე, გაიქე!.. — ყურში ჩურჩულით უტრიალებდა ელენე ნიკოლოზის ასული შვილს.

— ფანჯარაში? ფანჯარაში არ გადავხტები საკუთარ სახლში, — ნესტობისა და ტუჩების თრთოლვით ამყად ამბობდა ოლეგი. მაგრამ უკვე გონს მოვიდა. — ნუ გეშინია, დედა, გამიშვი... — მე ისედაც წავალ... ლენასთან წავალ, — უკებ წარმოსთქვა მან.

მტკიცე ნაბიჯით გამოვიდა სასადილოში. ყველამ გზა დაუთმო მას.

— ღორო, შე ღორო, შენა! — წარმოსთქვა ოლეგმა და დენშიკისაკენ შემობრუნდა. — იცებები, როცა იცი, რომ არ შეიძლება პასუხი გაცენ... — და აუჩქარებლად გავიდა სახლიდან.

ლოყა უხურდა. მაგრამ გომბობდა, რომ მორალურად ვეფქრეველქარა, თუ რამე დაუთმო გერმანელს, მაშინ რიქით, გერმანელს შეეშინდა მისი. არ უნდოდა ეფიქრა თავისი საქციელის შედეგებზე. სულერთია ბებია მართალია: ანგარიში გავუწიო მათს ახალ წესრიგს? არავიჯარ შემთხვევაში ისე მოვიქცევი, როგორც მე მინდა. ენახოთ, ვინ ვის აჯობებს!

საპლინების მხრიდან ჭიშკარი გაიარა და ბაღის ქუჩის პარალელურ ქუჩაში გავიდა. და თითქმის სახლთან შეეხეჩა სტიოპა საფონოვს.

— საით? მე შენთან მოვდიოდი. — მკვირცხლად უთხრა თეთრთავა სტიოპამ, თან მეტისმეტად ნასიამოვნევი ორივე ხელით ანჯღრევედა ოლეგის დიდ ხელს.

— ოლეგი დაიბნა.

— აქვე, ერთ ადგილას...

— უნდოდა ეთქვა „ოჯახური საქმის გამოთ“, მაგრამ ენა ვერ დაიმორჩილა.

— რათა გაქვს ლოყა ასე წითელი? — გაკვირვებით იკითხა სტიოპამ და ხელი გაუშვა ოლეგის ხელს.

— გერმანელთან ვიჩხუბე, — უთხრა ოლეგმა და გაიღიმა.

— რას ამბობ? ყოჩაღ! — სტიოპა პატრიისციემით შესეკეროდა ოლეგის აწითლებულ ლოყას, — მით უკეთესი. სწორად რომ ვთქვა, ცოტა არ იყოს მაგ საქმეზედაც მოვდიოდი შენთან.

— ესე-იგი რა საქმეზე? — გაიცინა ოლეგმა.

— წამო, გაგაცილებ, თორემ თუ აქ დავდექით, რომელიმე ფრიცი აგვეკვიატება... — სტიოპა საფონოვმა მკლავი გაუყარა ოლეგს.

— უმმ-ჯობესია, მე გაგაცილებ, — ენის ბორძიკით უთხრა ოლეგმა.

— საერთოდ, იქნებ რამდენიმე ხნით გადასდო შენი საქმე და ჩემთან წამოხვიდე.

— სად?

— ვალია ბორცთან.

— ვალიასთან?!... — სინდისი აწუხებდა, რომ ამდენ ხანს არ მოინახულა ვალია, — მათთან გერმანელები არიან?

— არა, საქმეც ისაა, რომ არა. სი-მართლე თუ გინდა, სწორედ ვალიას დავალებით მოვდიოდი შენთან.

რა ბედნიერება იყო — უცებ მისუ-ლიყო იმ სახლში, სადაც არ იდგნენ გერმანელების შესულიყო ჩრდილიან ნაენომ პატარა ბაღში, რომელსაც ამშვენებდა მონომახის ქუდივით თი-თქოს ტყავშემოვლებული ყვავილნა-რი, და იგივე მრავალტანიანი ბებერი აკაცია, მისი ღია-მწვანე ფოთლების ისე გარინდებული მაქმანით, თითქოს ტრამალის ლურჯ ცაზე ამოუქარგავ-თო.

მარიამ ანდრეას-ასულს ჯერ კი-დეც პატარებად ეჩვენებოდა მისი სკოლის მოსწავლეები. იგი დიდხანს ეხვეოდა, ჰკოცნიდა ოლეგს და თან ამბობდა:

— ძველი მეგობრები დაგავიწყდა? რამდენი ხანია დაბრუნდი და თვალის-თაც არ გვეჩვენე, დაგავიწყდით! სად-ღა უყვარხართ უფრო მეტად? ვინ იჯდა ჩვენთან საათობით შუბლშეკ-რული, ვიდრე მისთვის უკრავდნენ პიანინოს? ვისი ბიბლიოდეით სარ-გებლობდი ოლეგია-დროლეგია, შენა! ჩვენთან კი... — თავში ხელი იტაცა, — როგორ იმალება! — საშინლად მოიჭ-ცია თვალები და ჩურჩულით, ორთქლ-მავალივით დაიქმინა მთელი ქუჩის გასაგონად. — დიალ, დიალ, შენც კი არ გეტყვი, სადაც არის... ასე დამამ-ცირებლად და საშინლად დაიმალო საკუთარ სახლში! და, მგონი, სხვა ქალაქში მოუხდება წასვლა. არც თუ ისე ამკარა ებრაული გარეგნობა აქვს, — შენ როგორ ფიქრობ? აქ გასცემენ, უდავოა, სტალინოში კი საიმედო მეგობრები გვეყვანან — რუ-

სი ადამიანები... დიალ, წახვლა მოტ-ხდება, — ამბობდა მარიამ ანდრეას ასული და მისმა სახვეწი-საფრთხილ-თითქმის მგლოვიარე გამომეტყველე-ბა მიიღო, მაგრამ მარიამ ანდრეას ასული იმდენად ჯანმრთელი ადამია-ნი იყო, რომ სამგლოვიარო გარძობე-ბი სათანადო გამოვლინებას ჰპოუ-ლობდნენ მის სახეზე: მიუხედავ-დ უნარესი გულახდილობისა, მარიამ ანდრეას-ასულს ეგონა — თავს ვიკა-ტუნებო.

ოლეგი ძლივს განთავისუფლდა მი-სი მკლავებისაგან.

— მართლაც, ღორობაა შენი მხრით, — ზემო მსუქანი ტუჩის თავ-მომწონედ მალლა შეტოკებით ამბობ-და ვალია, — რამდენი ხანია დაბრუნ-დი და არც კი შემოიარე.

— შე-ენც კი შე-ეგეძლო შემოგვე-ლო! — დარცხენილი ღიმილით მიუგო ოლეგმა.

— თუ იმისი იმედი გაქვს, რომ ქა-ლიშვილები ივლიან შენთან, მარტო-ხელა სიბერე უზრუნველყოფილი გაქვს! — ხმაურით უთხრა მარიამ ანდ-რეას-ასულმა.

ოლეგმა მხიარულად შეხედა მას და ყველამ ერთბაშად გაიცინა.

— იცი, მან უკვე იჩხუბა ფრიც-თან, — ხედავთ, რა წითელი აქვს ლო-ყა! — სიამოვნებით წარმოსთქვა სტიო-პა საფოროვმა.

— მართლა, ეჩხუბე? — ვალია ცნო-ბისმოყვარეობით შესცქეროდა ოლეგს.

— დედა, — უცებ დედისკენ მიბრუნ-და იგი, — შენ, ეგონებ შინ გელოდე-ბიან...

— ღმერთო ჩემო, ეს რა კონსპირა-ტორები გამიჩნდნენ — ხმაურით წარ-მოსთქვა მარიამ ანდრეას ასულმა და მსუქანი ხელები მალლა აღაპყრო, — წავალ, წავალ...

— ოფიცერთან? ჯარისკაცთან? — არ უსვენებდა ვალია ოლეგს.

ვალისა და სტიობა საფონოვის გარდა პატარა ბაღში იყო ოლევისათვის უცნობი, გამხდარი, ფეხშიშველი, განზე გადაეარცხნილი მაგარხუტუპაქერათმიანი და ოდნავ წინწამოწყულტუნებიანი ბიჭი. ჰაბუკი აკაციის ორკაპზე იჯდა და ოლევის გამოჩენისთანავე თავის მტკიცე გამომეტყველებით დაკვირვებული თვალთ შესცქეროდა მას. ამ გამოხედვასა და თავისდაჭერის მთელს მანერაში იყო პატივისცემის შთამგონებელი რამ და, ოლევიც უნებლიედ იტკირებოდა ხოლმე მისკენ.

— ოლეგ! — წარმოსთქვა ვალიამ მტკიცედ როცა დედა შევიდა შინ — დაგვემარეთ, რომ კაეშირი გავაბათ არალეგალურ ორგანიზაციასთან... არა, დიცი, — დაატანა მან, როგორც კი შეამჩნია უცნაური გამომეტყველება ოლევის სახეზე, თუმცა მან იქვე გულწრფელად გაიღიმა, — შენ ხომ იცი, როგორ კეთდება ესა თქვენს ოჯახში ყოველთვის მრავლად იყენენ პარტიულებს, ისიც ვიცი, რომ შენ უფრო მოზრდილებს მეგობრობ, ვიდრე ყმაწვილებს.

— არა, სამწუხაროდ, კა-ეშირი და-აკარ-გული მაქვს, — ღიმილით მიუგო ოლეგმა.

— ეს ვინმე სხვას უთხარი, აქ ყველანი ჩვენები არიან... დიდი! შენ, იქნებ ამისი გერიდება? ეს ხომ სეროიკა ტიულენინია! — წამოიძახა ვალიამ და სწრაფად გადაძხვდა ტოტების ორკაპზე ჩამომჯდარ ყმაწვილს.

ვალიამ მეტი არაფერი დასძინა სეროიკა ტიულენინის დახასიათებას, მაგრამ ესეც სრულიად საკმაო იყო.

— მე სიმართლეს ვამბობ, — წარმოსთქვა ოლეგმა; იგი ახლა უკვე სეროიკა ტიულენინის მიმართავედა და იჭვიკი არ ეპარებოდა, რომ სწორედ იგი, სეროიკა ტიულენინი იყო ამ საუბრის წამომწყები. — ვიცი, რომ არსებობს არალეგალური ორგანიზაცია. ეკვიცი არ მეპარება, ტრესტისა და აბანოს შე-

ნობების დაწვაც მისი წამოქმედებითაა, — ამბობდა ოლეგი, მაგრამ ის კი ვერ შენიშნა, რომ ამ სიტყვების უკონტრასტული ნაპერწკალმა გაიელვა ვალის თვალეზში და, როგორ შეატოკა ღიმილმა მისი მსუქანი ზედატუჩი, — მეც მაქვს ცნობა, რომ უახლოეს ხანში ჩვენ კომკაეშირელები, მივიღებთ მითითებას, თუ რა უნდა ვაკეთოთ.

— დრო გარბის... ხელები გვექავება! — წარმოსთქვა სეროიკამ.

ისინი მსჯელობდნენ იმ ყმაწვილებსა და ქალიშვილებზე, რომელნიც შეიძლებოდა ქალაქში ყოფილიყვნენ. სტიობა საფონოვმა, — გულლია ჰაბუკმა, რომელიც მთელი ქალაქის ჰაბუკებსა და ქალიშვილებს ემეგობრებოდა, ყველა ისინი ისე დაახასიათა, რომ ვალის, ოლეგსა და სეროიკას დააეიწყდათ გერმანელებიცა და ისიც, თუ რისთვის წამოიწყეს ეს საუბარი, და სიცილით იქაჭებოდნენ.

— სად არის ლენკა პოზდნიშევა? — უეცრად იკითხა ვალიამ.

— აქ არის! — წამოიძახა სტიობამ. — ქუჩაში შევხვდი, ისეთი გამოპრანჭული მიდიოდა, თავი ისე მიჰკონდა, მა-წარმოსთქვა სტიობამ და თავისი ჭორღლიანი პატარა ცხვირით თითქოს ბაღში გასცურა. — „ლენკა, ლენკა-მეთქი“, — მოვნახე, მან კი მხოლოდ თავი ჩაიქნია, აი ასე, — გამოაჯაერა სტიობამ.

— სრულიად არა ჰგავს! — ცბიერად, ცერად გადაძხვდა ოლეგს და ჩაიფრუტუნა ვალიამ.

— გახსოვს რა საუცხოოდ გმდეროდით მასთან! სამი კვირის წინათ, მხოლოდ სამიოდე კვირის წინათ, საოცარია! — წარმოსთქვა ოლეგმა და გულკეთილი ნაღვლიანი ღიმილით გადაძხვდა ვალის. უეცრად აჩქარდა წასასვლელად.

ისინი სეროიკასთან ერთად გავიდნენ.

— ვალიამ ბევრი რამ მიაგმო შენზე, ოლეგ, და მეც, დაგინახე თუ არა, გულით დაგენდე, — რამდენჯერმე დარცხენით გადახედა და ისე წარმოსთქვა სერიოჟკამ, — ამას ასე იპიტომ გუბნები, რომ შემდეგში ამაზე აღარაფერს ვიტყვი, საქმე კი აი რა არის: — არავითარ არალეგალურ ორგანიზაციას არ დაუწევას ტრესტი და აბანო, — მე წავეუიდე ცეცხლი...

— როგორ, მარტო შენ? — ოლეგი გაბრწყინებული სახით შესცქეროდა სერიოჟკას.

— მე თვითონ, მარტო...

ერთხანს ჩემად მიდიოდნენ.

— ცუ-უღია, რომ მარტო... ყოჩად, გაბედული საქმეა, მაგრამ... ცუ-უღია, რომ მარტო შენ, — წარმოსთქვა ოლეგმა, რომლის სახეზე ერთსადიამვე დროს გამოვლინდა გულკეთილობაცა და შეშფოთებაც.

— მე ვიცი, არალეგალური ორგანიზაცია რომ არსებობს, — ისე განაგრძობდა სერიოჟკა, რომ არც კი გამოხმაურებია ოლეგის შენიშვნას. — ის იყო თითქოს წავეწყდი კვალს, მაგრამ... სერიოჟკამ დაღონებით ჩაიქნია ხელი, — ველარ მოვეკიდე...

მან უამბო ოლეგს ეგნატე ფომინისას მისვლასა და ამ მისვლის ყველა გარემოებაზე არც ის დაუმალა, ეგნატე ფომინთან ფარულად მყოფ კაცს რომ მისდა უნებურად ყალბი მისამართი მისცა...

— ესეც უამბე ვალიას? — ანაზღად შეეკითხა ოლეგი.

— არა, ეს არ მითქვამს ვალიასთვის, — მშვიდად მიუგო სერიოჟკამ.

— კა-არგია... ძალიან კ-კარგი!... — ოლეგმა მკლავში სტაცა ხელი სერიოჟკას. — რაკი შენ იმ კაცთან ასეთი საუბარი გქონდა, კიდევ შეგიძლია შეიარო მასთან? — აღუღებით ამბობდა იგი.

— საქმეც სწორედ ისაა, რომ არა, — უთხრა სერიოჟკამ და მისი, თითქოს

შესიებული ტუჩების მახლობლად მკაცრი ნაოჭი არის — ის კაცი მისმა მასპინძელმა — ეგნატე ფომინმა, გერმანელებს ჩაუგდო ხელში. ერთბაშად კი არ გასცა, არამედ გერმანელების მოსვლიდან, ასე ხლთი თუ ექვსი დღის შემდეგ. შანხაიში, ასეთი ხმაა დარხეული, თითქოს იმ ჯაცის გაცემით მთელი ორგანიზაციის ჩაგდება სდომებოდეს, ხოლო ის კაცი კი, როგორც ეტყობოდა, ფრთხილი კაცი ყოფილა. ფომინმა, თურმე უცადა, გასცა, მერმე ადგა და თვითონ პოლიციის სამსახურში შევიდა.

— რომელ პოლიციაში? — გაკვირვებით წაჰოიძახა ოლეგმა: ვიღრე იგი შეშის ფარდულში იჯდა, აი თურმე რა ამბები ხდებოდა ქალაქში!

— იცი, ბარაკი ქვემოთ არის, რაილმასკომის იქით, სადაც ჩვენი მილიცია იყო. იქ ახლა გერმანელთა ეანდარმერიია, ისინი რუსებთანაა ადგენენ პოლიციას. ამბობენ, უფროსის ადგილზე დაუნიშნაეთ ვილაც გაიძვერა სლონიმსკი, ვისაც თურმე რომელიღაც რაიონის პატარა შალაროში ათისთავად უმუშავებია. ახლა კი მათი საშუალებით პოლიციაში თავს უყრიან ათასგვარ ნაძირალებს.

— იმ კაცს რა უყვეს თუ იცი? მოჰკლეს? — ეკითხებოდა ოლეგი.

— სულელები თუ არიან მოჰკლავდნენ, — უთხრა სერიოჟკამ, — მე კი ვფიქრობ, ჯერ ისევე ჰყავთ. ალბათ უნდათ ყველაფერი გაიგონ, იგი კი ისეთი ეინძე არ არის, რომ დააცდენინონ. ალბათ ჰყავთ ბარაკში და ძარღვებს აცლიან. იქ სხვა პატიმრებიც არიან, მაგრამ სახელდობრ ვინ, ეს კი ვერ ვიგე...

საშინელი ფიქრებით ოლეგს უცებ გული ეტკინა: ვიღრე იგი ვალკოსაგან ცნობების მოლოდინშია, ეს ბოშასებურთვალეებიანი ძლიერი სულის მქონე კაციც შესაძლოა იმ ბარაკში ზის, მთის ძირას, ვიწრო და ბნელ საკანში და ისე,

როგორც სერიოკამ სთქვა, ვინ იცის, იქნებ ძარღვებს აცლიან.

— გმადლობთ... მადლობელი ვარ, რომ ყოველივე ეს მიაშვე, ყრუდ უთხრა ოლეგმა.

მან იხელმძღვანელა მხოლოდ მიზანშეწონილობის მოსაზრებით, სრულიად უწყყმანოდ, რომ იგი არღვევდა ვალკოსათვის მიცემულ პირობას — ჯერ ვალკოსთან საუბარი გაუზიარა სერიოკას, შემდეგ კი ვანია ზემნუოვთან საუბარი.

ისინი ნელა მიდიოდნენ დერევიანაიას ქუჩით, — ფეხშიშველი სერიოკა მოშვებულნი, ოლეგი კი, მსუბუქად და ღონიერად მიაბიჯებდა მტვერში, როგორც ყოველთვის, ისე ახლაც კოხტად გაკრიალებული ფეხსაცმელით, — და იგი, ოლეგი, ამხანაგის წინაშე შლიდა მომავალში სამოქმედო გეგმას: თვალყური უნდა ადევნონ ახალგაზღობას, შეიგულონ უფრო ერთგულნი, მტკიცენი, საქმისათვის გამოსადეგნი; უნდა გაიგონ, ვინ არის დაპატიმრებული ქალაქში, რაიონში, სად სხედან ისინი, გამონახონ მათი დახმარების საშუალება, გერმანელ ჯარისკაცებში განუწყვეტლივ უნდა აგროვონ ცნობები სარდლობის ყოველგვარ სამხედრო და სამოქალაქო ღონისძიებათა შესახებ.

სერიოკა უცებ გამოცოცხლდა და წამოაყენა წინადადება, იარაღი შეეკრიბოთ: ბრძოლებისა და უკანდახევის შემდეგ აურაცხელი იარაღი ეყარა მთელს ოლქში, ტრამალშიც კი.

ორივემ კარგად იცოდა, რამდენად საყოველღიურო იყო მთელი ეს საქმე, მაგრამ თანაც მოსახერხებელი, — ამიტომ ორივეს აღძრა მისი განხორციელების რეალურობის გრძნობა.

— ყველაფერი ის, რაც ჩვენ ერთმანეთს უფამბეთ, ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ვაფიქვებთ, ჩვენს გარდა, არავინ არ უნდა იცოდეს, არავინ, არც ერთმა ადამიანმა, რაგინდ ახლოს უნდა იდგეს იგი, არავინ, ვისთანაც უნდა

ემეგობრობდეთ! — ამბობდა ოლეგი, თან წინ იტკირებოდა მოეღვინა, თართო თვალებით — ამხანაგობა, ამხანაგობად იყოს, აქ კი... სინსონის სტენი ნდის, — მტკიცედ დასძინა ოლეგმა. — შენ, მე, ვანია და, — მორჩა... ხოლო, როცა კავშირს დაეამყარებთ, მაშინ გვეტყვიან, თუ რა უნდა ვაკეთოთ...

სერიოკა გაიუშდა. მას არ უყვარდა სიტყვიერი ფიცი და მტკიცება.

— რა არის ახლა პარკში? — იკითხა ოლეგმა.

— გერმანელთა ავტოპარკი; ირგვლივ საზენიტო ქვემეხები დგანან. მთელი მიწა ღორებივით გადათხარეს.

— საბრალო ჩვენი პარკია!.. თქვენსას გერმანელები დგანან?

— ისე, გავლით, ჩვენი ბინა არ მოსწონთ, — გაიცინა სერიოკამ. — ჩვენსას არ შეიძლება შეხედრა, — უთხრა მან, როგორც კი გაიგო ოლეგის შეკითხვის აზრი. — ბევრნი ვართ.

— ვალის საშუალებით ვიქონიოთ კავშირი.

— სწორია, — სიამოვნებით მიუგო სერიოკამ.

რკინიგზის გადასავალთან მივიდნენ მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს. ისინი თითქმის ტოლნი იყვნენ და ამ მოკლე საუბრის შემდეგ ერთბაშად დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ორივენი ვაკეცურ ხალსიან გუნებაზე იყვნენ.

პოზდნიშევას ოჯახი სენიაკის რაიონში ცხოვრობდა. მასაც ისე, როგორც კომუნისტური კორესპონდენტთან ერთად — სტანდარტული სახლის ნახევარი ექვარი. ოლეგმა ჯერ კიდევ შორიდან დაინახა მათი ბინის ძველებური ლეჩაქის ფარდებიანი ღია ფანჯრები, საიდანაც შემოესმა პიანინოს ხმა და ვერცხლივით მოწყრიალე ხმებში ლენას ხმაც შეიცნო. ვიდაც მეტისმეტად ენერგიული და ძლიერი ხელით უკრავდა ოლეგისათვის ნაცნობ რომანსს: ლენოჩკა იწყებდა სიმღერას, მაგრამ მის აკომპანიატორს იქვე ეშლებოდა,

ლენოჩკას ეცინებოდა. მერმე ხმით ეჩვენებდა, თუ სად შესცდა იგი და, როგორ უნდა ყოფილიყო, შემდეგ კვლავ თვითონ იწყებდა სიმღერას.

მისმა სიმღერამ და პიანინოს ხმამ ისე ააღლევა ოლეგი, რომ ერთხანს ვერც კი მოაზერხა სახლში შესულიყო. ამ ხმებმა კვლავ მოაგონეს ოდესღაც გატარებული ბედნიერი საღამოები, აქვე, ამხანაგების წრეში, რომლებიც თითქოს აგრე ბევრნი იყვნენ მაშინ... მაშინ ვალთა უკრავდა, ლენოჩკა მღეროდა, ოლეგი ოდნავ აუღლებით შესცქეროდა მოჯადოებული და ბედნიერი მისი მღელვარებით, მისი ხმით და გულში სამარადისოდ აღბეჭდილი, პიანინოს ამ ხმით, რომელიც მისი ყრმობის მთელს სამყაროს ავსებდა.

აჰ! ნეტავ არასოდეს არ გადმოედგა ფეხი ამ ოჯახის ზღურბლზე! ნეტავ სამარადისოდ დარჩენილიყო გულში ერთად შერწყმული მუსიკის, ყრმობისა და პირველი სიყვარულის შეგრძნობანი.

უკვე პარმალში შევიდა, აქედან სამზარეულოში გავიდა. ამ სანახევროდ ბნელს სამზარეულოში, რომელიც მოთავსებული იყო სახლის ჩრდილოვან მხარეზე, ზალიან წყნარად და შეთვისებულად, როგორც ამას ალბათ არაერთხელ სჩადიოდნენ, სამზარეულოს პატარა მაგიდასთან ისხდნენ: ძველმოდური მუქი კაბით გამოწყობილი და ძველმოდური დალალებიანი გამხმარი ქალი—ლენას დედა და გერმანელი ჯარისკაცი, სწორედ ისეთივე ყვითელთავა, როგორც იყო ის დენშიკი, რომელსაც ოლეგი წაეჩხუბა, სწორედ ისეთივე ჯარისკაცი, მაგრამ უჭორავლო, დაბალი, ჩასუქებული, — ყველანიშინს მიხედვით, ესეც დენშიკი უნდა ყოფილიყო. ისინი ერთმეორის პირდაპირ ისხდნენ, ტაბურეტზე; გერმანელი დენშიკი თვითკმაყოფილი და თავაზიანი ღიმილითა და თვალებში

ერთგვარი გულკეთილობითაც ერთად ცას იღებდა მუხლებზე ჩამოდგმულ რიუჯუაქში და ემყოფებოდა აძლედა ლენას დედას ჩხაკის ხმებზე გამხდარი, მანდილოსნური, დედაბრული გამომეტყველებით გრძობდა, რომ იმადლიერებდნენ მას და ერთსადაიმავე დროს ფარისევლური და მამებელი ღიმილით, აკანკალებული ხელით ართმევდა ამ რაღაცას და მუხლებზე იწყობდა. ისინი ისე გართულნი იყვნენ ამ არც თუ ისე რთული საქმით, რომ ვერც კი გაიგეს ოლეგის შესვლა. ამიტომ ოლეგს შეეძლო დაენახა ყველაფერი, რაც კი მუხლზე ეწყო ლენას დედას: სარდინის ბრტყელი თუნუქის კოლოფი, შოკოლადის ფილა, წვრილი, ოთხკუთხოვანი ნახევარ-ლიტრიანი, მოსახსნელ საცობიანი თუნუქის ღია მოყვითალო ლურჯეტიკეტიანი ქილა, — ასეთი ქილები ოლეგს ენახა გერმანელებთან, თავის სახლში, — ეს იყო ზეითუნის ზეთი.

ლენას დედამ შეამჩნია ოლეგი და ხელი უნებლიეთ გაიქნია, თითქოს უნდოდა დაეთარა ის, რაც მუხლებზე ეწყო; დენშიკმაც დაინახა ოლეგი და გულგრილად მიაჩერდა მას, თან მუხლებზე შეიკავა რიუჯუაქი.

ამ დროს მეზობელ ოთახში გაისმა პიანინოს ხმა და ლენოჩკას სიმღერა, გაისმა მისი და მამაკაცების სიცილი და გერმანული საუბარის ნაწყვეტები. და ლენოჩკამ თავისი ვერცხლისებ წკრიალა ხმით მკაფიოდ წარმოსთქვა.

— არა, არა მე ვიმეორებ ich wiederhoie და ერთბაშად...

ახლა თვითომ ლენოჩკამ გააქროლა თავისი წვრილი თითები კლავიშებზე.

— ეს შენა ხარ, ოლეგი, შენ განა არ წასულხარ? — გაკვირვებით ზეასწია თავისი თბელი წარბები და ყალბი აღერსიანი ხმით წარმოსთქვა

ლენას დედამ.—ლენოჩკას ნახეა გინდა?

მან სამზარეულოს პატარა მაგიდის ქვეშ შემაღა, რაც კი მუხლებზე ედო, გამხდარი ხელები მოისვა დალაუბზე, როგორ არიან თუ არაო, მხრებში თავი ჩარგო, პატარა ცხვირი და ნიკაპი წინ გაიშვირა და გავიდა ოთახში, საიდანაც მოისმოდა პიანინოსა და ლენოჩკას ხმა.

ოლეგს სახეზე სისხლი მოაწვია, დიდრონი ხელები ძირს დაუშვა, ერთბაშად უზრდელი და უხეში გახდა. ოლეგი შუა სამზარეულოში იდგა და მას გულგრილად შესცქეროდა გერმანელი ჯარისკაცი.

ოთახში გაისმა ლენას შეკვივლება, რომელიც გამოხატავდა გაოცებასაც და დარცხვენასაც, რაღაცა უთხრა მამაკაცებს, თითქოს ბოდის ისდისო და ოთახში გაისმა მისი აჩქარებული ფეხის ხმა.

სამზარეულოს ყარებში გამოჩნდა ლენოჩკა: მას ეცვა ნაცრისფერი, მუქსახოვანი მისი წერწეტი ტანისათვის მძიმე ქსოვილისაგან შეკერილი ტანისამოსი, საიდანაც მოუჩანდა შიშველი გამხდარი კისერი, შევევრემანი კიკიპები და შიშველი ხელები, რომლებითაც კარის წირთხლს ჩასკიდებოდა...

— ოლეგ?—წამოიძახა მან ისე დარცხვენით, რომ მყის აელეწა შევევრემანი სახე,—ჩვენ აქ...

მაგრამ იქვე გამოირკვა, რომ მას სრულიად არაფერი ჰქონდა მოშაღებული ამის ასახსენებლად, რომ „ისინი აქ იყვნენ“. და ნამდვილი ქალური არათანმიმდევრობით, არაბუნებრივი ღმილით მიიჭრა ოლეგთან, ხელი ჩაავლო, თავისკენ მისწია, მერმე გაუშვა და უთხრა: „წავიდეთ, წავიდეთ“, მერმე კვლავ შემობრუნდა ზღრუბლზე, თავი განზე მიიქცია და შეიპატოვდა.

ოლეგი ფეხდაფეხ მიჰყვა, ოთახში შევიდა, კინალამ დაეჯახა ლენას დედას, რომელმაც გვერდში მისცხვინა. ორი ერთგვარი ნაცრისფერი მანტიანი გერმანელი ოფიცერი ერთი ღია პიანინოს წინ სკაპზე ნახევრად შებრუნებით მჯდომი, მეორე კი პიანინოსა და ფანჯარას შუა ჩამდგარი, ცნობისმოყვარეობის გარეშე შესცქეროდა ოლეგს, მაგრამ არა წყენით, არამედ უბრალოდ, როგორც დაბრკოლებას, რაააც გინდა თუ არა—მაინც უნდა შეურიგდე.

— ჩვენი სკოლიდანაა,—წარმოთქვა ლენოჩკამ ვერცხლისებრ წყრილა ხმით,—დაჯექი ოლეგ... ხომ გახსოვს ეს რომანსი? ერთი საათია ეწევალები, რომ დაისწავლონ. ბატონებო, ჩვენ ყოველივე ამას გავიმეორებთ! დაჯექი, ოლეგ...

ოლეგმა ოქროსფერი თმით სანახევროდ მიჩრდილული თვალები მიაპყრო მას და მკაფიოდ და თვითონაც ისე გარყევით უთხრა, რომ ყოველი მისი სიტყვა სახეში შოლტვიით ხედებოდა ლენას:

— რი-იტლა გიზღიან? მგონი სამარხეო ზეთით? გაი-ფეხებულხარ!..

იგი ლენას დედასა და მოუციტალოთაიანი ჩასტქებული დენშიჩიკის მახლობლად ქუსლებზე შემოტრიალდა და ქეჩაში გაიჭრა.

თავი ოცდამეერთე

მამის გარდაცვალების შემდეგ, ოპიანობის დროის პირველ ზამთარში, ვალოდია ფსმუხინი, ნაცვლად იმისა, რომ ესწავლა ფოროშილოვის სახელობის სკოლის უკანასკნელ მეათე კლასში, ზეინკლად მუშაობდა ტრესტ „კრანროდონუგოლის“ მექანიკურ საამქროში. მუშაობდა იმ დღემდე, ვიდრე აუნდციტიის შეტევების გამო საავადმყოფოში არ გადაიყვანეს.

ცხადია, გერმანელების მოსვლის გამო ვალოდია არ აპირებდა საამქ-

როში დაბრუნებას. მაგრამ მას შემდეგ რაც გამოვიდა გერმანელი კომუნდანტის ბრძანება სამსახური გამოცხადების აუცილებლობის შესახებ, მას შემდეგ, რაც დაიწყო რეპრესიები და გავრცელდა ხმა—ყველას, ვინც თავს აარიდებს სამუშაოს, გერმანიაში გარეკავენო, ვალოდია მოეთათბირა თავის მეგობარს ტოდია რალოვს და გადასწყვიტა დაბრუნებულიყო საამქროში.

საამქროს უფროსი იყო ძველი გავრდილი ხელოსანი, დაწინაურებული მოხუცი მუშა, ლიუტიკოვი. ეს ის ლიუტიკოვი იყო, რომელიც კრასნოდონში არალეგალური მუშაობისათვის დატოვებულ კომუნისტთა შორის დაასახელა "შულგამ ივანე პროცენკოსთან საუბრის დროს. რა თქმა უნდა, ვალოდიამ არ იცოდა ეს, მაგრამ ლიუტიკოვი მისი დედის ოჯახის, რიბალოვების ოჯახის დიდი ხნის მეგობარი იყო და კარგად იცნობდა ვალოდიას. და როგორც კი დაიწყო მუშაობა საამქროში, ვალოდიამ სწორედ ლიუტიკოვთან ჩამოაგდო საუბარი: ძალიან მინდა მთელი ჩემი ძალღონე გერმანელების წინააღმდეგ არალეგალურ მუშაობას მოვახმარო.

ლიუტიკოვი მოხუცი კაცი იყო, მაგრამ პარტიის ძველი წევრი მაინც არ იყო. ბუნებრივ იგი კარგი კაცი იყო, მაგრამ საზოგადო მოღვაწე მაინც არასოდეს არ ყოფილა. პარტიაში შევიდა იმიტომ, რომ წლოვანებინ გამოსულ უფრო მეტ უხერხელობას განძობდა, რადგან ეს ძველი რუსი ხელოსანი კაცი ამდენ ხანს არ ითვლებოდა თავისი პარტიის რიგებში. ლიუტიკოვი წინათ არ ეწეოდა არალეგალურ მუშაობას, თუმცა არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკებისათვის ბევრჯერ გაუწევია დახმარება. იმ დროს, როცა ვალოდიამ მი-

გართა, ლიუტიკოვი საშინლად დარცხული იყო შულგას უცარი და უნაური გაქრობის გამო. როგორც კი გამოვიდა გერმანელი კომუნდანტის ბრძანება სამუშაოზე გამოცხადების შესახებ, მათე შულგა, რომელიც საამქროში ჩარიცხული იყო ევლოკიმ ოსტაპჩუკის სახელით, პირველ დღესვე, ყველაზე ადრე გამოცხადდა და დადგა დაზგასთან. საამქროში არაერთარი სამუშაო არ იყო, გარდა იმისა, რომ ხშირად შემოირბენდნენ ხოლმე გერმანელი ჯარისკაცები, ეფრეიტორები და ოფიცრის მოსამსახურე ჯარისკაცები კარაქით, ან თაფლით სავსე კონსერვის კოლოფებით და მოითხოვდნენ მათი ზღუდების შეკაშირებას გერმანიაში გადასაგზავნად. მათე კონსტიევიჩმა სათანადო დრო შეუტრჩია და ცალკე მოელაპარაკა ლიუტიკოვს.

პროცენკოს მითითებით, პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ევაკუაციის დღეებში არ გაზიდა რაიონის სტამბის შრიფტი. ეს შრიფტი ბალში იყო დამარხული. მათე კონსტიევიჩს მხოლოდ უკანასკნელ წუთებში გადასცეს გეგმა იმ ადგილისა, სადაც დამარხული იყო ეს შრიფტი. ლიუტიკოვთან საუბარში მათე კონსტიევიჩი სწუხდა: შეიძლება ეს შრიფტი გერმანულმა მეზენიტებმა და ბალში მდგომმა ჯარისკაცებმა იპოვნონო. მათე კონსტიევიჩმა აუხსნა, თუ სად იყო დამარხული ეს შრიფტი და დაავალა ლიუტიკოვს: როგორმე გაიგე, ხელუხლებელია თუ არა შრიფტი და, თუ შესაძლებელი იქნება, სხვაგან გადავიტანოთ.

მისცა თუ არა ეს დავალება, მათე კონსტიევიჩი გაქრა. იგი არ დაბრუნებულა სამუშაოზე არც მეორე დღეს, არც მესამე დღეს და არც ერთი კვირის შემდეგ. ლიუტიკოვმა არ იცოდა მათე კონსტიევიჩის ბინის მი-

სამართი. ლიუტიკოვმა არც იცოდა, თუ ვინ იყო კომუნისტებიდან არალეგალური მუშაობისათვის დატოვებული ქალაქში. ყველაფერი მხოლოდ ერთადერთმა მათე კოსტიევიჩმა იცოდა, მაგრამ მათე კოსტიევიჩი უკვე გჰქრა.

ჩაშლილი ვეაკუაციიდან დაბრუნებულმა ყორა არუთინიანცმა მალე დაამყარა მეგობრული ურთიერთობა ვალოდიასა და ტოლია ორლოვთან. მხოლოდ ლუსია ოსმუნჩინთან ჰქონდა დაძაბული და ოფიციალური დამოკიდებულება. იმ რაიონში, სადაც ოსმუნჩინები ცხოვრობდნენ, გადიოდნენ გერმანელთა მთავარი ნაწილები. ყორა კი ცხოვრობდა გარეუბანში, პატარაქოხში, — გერმანელები ასეთ ადგილებს არ ეტანებოდნენ. მეგობრები ერთმანეთს ხედებოდნენ უმთავრესად ყორა არუთინიანცის ბანახე.

იმ დღეს, როცა ვალოდიამ ლიუტიკოვისაგან მიიღო დავალება, დაეწვერა, თუ რა მდგომარეობაში იყო შრიფტი, სამივე ყორა არუთინიანცისას მოხვდა. არუთინიანცს ჰქონდა პატარა ოთახი, რომელშიც ძლივს ეტეოდა საწოლი და პატარა საწერი მაგიდა, მაგრამ ეს მაინც ცალკე ოთახად ითვლებოდა. აქ შეხვდა მათ ხეტორ ქეემო ალექსანდროვსაიდან ჩამოსული ვანია ზემნუხოვი. ვანია კიდევ უფრო გამხდარიყო, ტანსაცმელი გასცვეთოდა, სულ მთლად დამტკვრიანებული იყო, — იგი ჯერ კიდევ არ ყოფილიყო შინ. მაგრამ მეტისმეტად აღზნებულ საქმიან გუნებაზე იყო და მისი გამოჩენის შემდეგ მთელი მათი შემდგომი ცხოვრების გეგმა ზემნუხოვის ხელში გადავიდა.

ვანიამ იქვე დაავალა ტოლია „მეხი გრგვინავს“, ცხოვრობდნენ თუ არა გერმანელები კოშევიკებისას და შეიძლებოდა თუ არა მათთან შეღწევა.

მიუახლოვდა თუ არა კომუნისტების სახლს ბალის ქუჩის მხრიდან, მეხი გრგვინავს დაინახა მისი მეგობარი სახლიდან, რომლის მახლობლად გერმანელი გუშაგი იდგა, გამოვიარდა ძველკაბიანი, ფეხშიშველა ატირებული ქალი და შემის ფარდულში მიიმალა. იქიდან კი მოისმა მისი ქვითინი და მამაკაცის ხმა; მამაკაცი ამწვივებდა მას. პარმალიდან გამოვიარდა გამხდარი, მწველაკრული დედაკაცი, მას გამხდარ ხელში ვედრო ეჭირა, პირდაპირ კასრიდან ამოიღო წყალი და ისევ სწრაფად შებრუნდა პარმალში. სახლში რაღაც ალიაქოთი ატყდა, მოისმოდა ახალგაზრდა გერმანელის უკმაყოფილო, ბატონკაცური ხმა, რასაც თან ერთვოდა ქალების მობოდიშების ხმებიც. ტოლიას უკვე აღარ შეეძლო მეტი დაყოვნება, არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია ამისთვის, ბალის გვერდით შემოუარა მთელს ამ უბანს, ბალის პარალელური ქუჩიდან მიუახლოვდა ამ პატარა სახლს. მაგრამ აქედან ვერაფერს ხედავდა, არც არაფერი ესმოდა. ისარგებლა იმით, რომ მეზობელ ეზოს, ისე როგორც კოშევიკების ეზოს, ქუჩის ორივე მხრიდან ჰაშკარი ჰქონდა, გადაიარა ამ მეზობელი ეზოს ბოსტანი, წუთით შესდგა ფარდულის უკანა კედელთან, რომელიც ბოსტანში გადიოდა.

ახლა ფარდულში ისმოდა სამი ქალისა და ერთი მამაკაცის ხმა. ახალგაზრდა ქალი ტირილით ამბობდა:

— რომ მომკლან, შინ მაინც არ დავებრუნდები!

გაბრაზებული მამაკაცის ხმა არწმუნებდა:

— ეს როგორ შეიძლება! ოლეგი სადღა წაივდეს? ბავშვს რა ეშველება?...

„მექრთამე, უსინდისო!.. ნახევარლიტრა პროვანსულზე გაგვყიდა!.. მექრთამე!.. შენ ჯერ კიდევ ბევრ

რამეს გაიგონებ ჩემს შესახებ, დიად, დიად, ბევრ რამეს, და ინანებ...“— ამბობდა ლენა პოზნიშევასგან დაბრუნებული ოლეგი, რომელსაც საშინელი ეპკი და თავმოყვარეობის შელახვისგან გამოწვეული ტანჯვა ჰქონდა. დასაელეთით გადახრილი მზე, წითელი, მცხენვარე მზე თვალბში სცემდა ოლეგს, და წითელი რგოლები, რომლებიც ნელინელ ირხოდნენ მის თვალბში, ერთიმეორეს ეხლართებოდნენ,—მას ელანდებოდა ლენას ხატება, მისი ნახი, სალუქი, შავგვრემანი სახე, მისი მტკიცედნაქსოვი, მუქსახიანი კაბა და პიანინოსთან მიმჯდარი ნაცრისფერი გერმანელები,—და ოლეგი სულ იმეორებდა: „უსინდისო!.. უსინდისო!..—და თითქმის ბავშვური მწუხარება ახრჩობდა.

ოლეგს ფარდულში დაუხედა მარინე. იგი პირზე ხელაფარებით იჯდა, თავჩალუნული, შავი ხეჭუქ თმის ღრუბლებში გახვეული. გარს შემოხეოდნენ ნათესაეები.

მაღალკანშებიან ადიუტანტს გენერლის შინ არ ყოფნის დროს გაგრილება მოესურვებინა და მარინესთვის ებრძანებინა, ტაშტი და ერთი ვედრო ცივი წყალი მომიტანეო. როცა მარინემ ტაშტი და წყლით სავსე ვედრო წაიღო და სასადილოს კარი შეაღო, მის წინ იდგა სრულიად შიშველი ადიუტანტი. იგი მაღალი და „მუცლის ქიასავით“ თეთრი იყო—ტირილით ამბობდა მარინე. ადიუტანტი შორს იდგა, დივანის გვერდით, კუთხეში, მარინემ სასადილოში შესვლისას ვერ შენიშნა იგი, მაგრამ ადიუტანტი უეცრად გაჩნდა ქალის გვერდით. ადიუტანტი შესცქეროდა მას ცნობისმოყვარეობით, მძლევარებითა და უტიფრად. გერმანელის მამართ ისეთმა შიშმა და ზიზღმა შეიპყრო მარინე, რომ უეცრად ხელში გაუფარდა ტაშტიც და წყლით სავსე

ვედრო. ვედრო გადაბრუნდა და ოლეგი წყლით დაიფარა, მარინე კი ფარულ ღულში გაიქცა.

ახლა კი ყველანი მოელოდნენ მარინეს წინდაუხედავი საქციელის შედეგს.

— აბა, რა გატირებს?—მკვახედ ლახრა ოლეგმა.—გგონია, რაიმე უნდა ექნა შენთვის? ის რომ აქ უფროსი იყოს, არ დავზოგავდა, დენშიკსაც დაუშახებდა და დაიხმარებდა. ეტყობა, მართლაც დაბანა სლომებია. შიშველი იმიტომ დაგხედა, რომ ალბათ აზრადაც არა ჰქონია მოგრიდებოდა! ამ პირუტყვებისათვის ჩვენ ხომ ველურებზე უარესნი ვართ. მაღლობელი რატომ არა ხარ, რომ აქვე, ჩვენს თვალწინ, არ შარდავენ და გარეთ არ გადიან, როგორც ამას სჩადიან მათი ჯარისკაცები და ოფიცრები სხვა სახლებში ისინი ჩვენების თვალწინ მოურიდებლად შარდავენ, გარეთ გადიან და სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიიჩნეიან ყოველივე ეს. ეკ, რა კარგად შევისწავლე ამ ყოყლოჩინა, მურღალი ჯიშის ბუნება,—არა, პირუტყვები კი არა, უფრო უარესნი არიან ეს ნაძირალები!—ბრაზმორევით ამბობდა ოლეგი.—და ის ამბავი, რომ შენ ახლა სტირი, და ჩვენ ყველანი თავმოყრილნი ვართ—აჰ, რა დიდი მოვლენაა ეს!—რამდენად საწყენი და დამამცირებელი ამბავია ყოველივე ეს ჩვენ უნდა გვჭულდნენ ეს გადაგვარებულნი, უნდა გვჭულდნენ, სანამ ძალა არ შეგვწევს, დიად, დიად, უნდა გვჭულდნენ და არავითარ შემთხვევაში თავი არ უნდა დავიმციროთ ტირილითა და დედაკაცური სულმოკლეობით! ისინი მიიღებენ იმას, რასაც ახლა იმსახურებენ!—ამბობდა ოლეგი.

ოლეგი გაჯავრებული გამოვიდა ფარდულიდან. საზარლად მოეჩვენა ევლავ ენახა ეს გაშიშვლებული ბაღ-

ნარები და ქუჩა, ბალიდან მოკიდებული რკინიგზის გადასასვლელამდე, და მოფუსფუსე გერმანელი ჯარისკაცები.

ელენე ნიკოლოზის ასული ფეხდაფეხ გამოჰყვა მას.

— ელეკადი, რომ ამდენ ხანს არ ჩანდი, როგორ არის ლენოჩკა?— შეეკითხა იგი, თან დაკვირვებითა და შიშით მიაკეპრდა შეილს.

ოლეგს ავადმყოფ ბავშვივით აუტოკდა ტუჩები.

— უსინდისო არსება! ნურასოდეს ნუ მკითხავ მის შესახებ...

და ისე, როგორც ყოველთვის ხდებოდა ხოლმე, მისდაუნებურად ყოველივე უამბო დედას, ყოველივე უამბო, ის, რაც ლენასას ნახა, და ისიც, როგორც თვითონ მოიქცა...

— რა მოხდა მართლაც და მართლაც!...— წამოიძახა მან.

— ნუ სწუხარ მასზე!— აღერსიანად უთხრა დედას, — იმიტომ დედავ, რომ გენანება! შენ კი ნუ გენანება, ნუ! რაკი ასე მოიქცა, ალბათ ყოველთვის იყო არა ისეთი, როგორიც ჩვენ... გვეგონა, — უნდოდა ეთქვა

„როგორიც შენ გვეგონაო“; მაგრამ უმაღლე გადასწყვიტა ეთქვა „როგორიც ჩვენ გვეგონაო“. — ეს კი ცუდად ახასიათებს მას და არა ჩვენ...

ტრამალის უზარმაზარი მთვარე ისე დაბლა ეკიდა სამხრეთით, როგორც ყოველთვის ხდებოდა ხოლმე ზაფხულობით. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე და ოლეგი ჩუმად ისხდნენ ფარდულის ღია კართან და ცას გასცქეროდნენ.

ოლეგი ფართოდ გახეული თვალთ შესცქეროდა საღამოს ღურჯ ცაზე დაკიდებულს, თითქოს დაფიონით გარემოცულ მთვარეს, რომლის გამონაშუქი გადაჰყვებოდა სახლების სახურავებსა და აივანთან მდგომ გერმანელ გუშაგებს. კომბოსტოსა და გოგრის ფოთლებს — ოლეგი ისე თვალგამშტერებით შესცქე-

როდა მთვარეს, თითქოს მას პირველად ხედავსო. იგი შეცვდილი იყო ცხოვრებას ტრამალის მთვარე ქალაქში, სადაც ყველაფერი ნათელს და ნაცნობი იყო მისთვის, რაც კი ხდებოდა მიწასა და ცაზე. და აი, ახლა ყოველივე მიმდინარეობდა მის მიღმა: ახალი მთვარის წარმოშობა, მისი ზრდა, მისი ამოსვლა, და, ბოლოს კი, ეს სავსე მთვარე ამ ღურჯად გაფენილ ცაზე. და ვინ იცის, დაბრუნდება კი ოდესმე ცხოვრებაში ის ბედნიერი დრო, როცა იგი კვლავ მთელი არსებით შეერთვის ყოველივე იმას, რაც სამყაროში უბრალო, კეთილი და წარმატება?

გენერალი ფონ ვენცელი და ადინუტანტი მენდრიხების შმაშურით ჩუმად შევიდნენ სახლში. ირგვლივ ყოველივე ძილის ბურანში იყო. მხოლოდ გუშაგი დადიოდა სახლის მახლობლად. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე მცირე ხანს იჯდა და მერმე ისიც დაწვა. ოლეგი კი ფართოდ გახეული ბავშვური თვალებით კვლავ ღია კართან იჯდა, მთვარის შექმნაფრქვეული.

ანაზლად ზურგში, ფიცრის კედლის იქით, რომელიც მეზობელ ეზოში გადიოდა, ფაჩუნი შემოესმა:

— ოლეგ... გძინავს? გაიღვიძე! — ჩურჩულებდა ვიღაც ჰეტერუტანასთან მომდგარი.

ოლეგი იმ წამსვე კედელთან მიიჭრა.

— ვინ არის? — ფაჩურჩულ მან.

— მე ვარ... ვანია... კარი ღია გაქვს?

— მე მარტო არა ვარ. გუშაგიც დიდის.

— არც მე ვარ მარტო. შეგიძლია გამოძეგე ჩვენსკენ?

— რატომაც არა, შემოძლია...

ოლეგმა შოცხდა. ვიღაც გუშაგი გაივლიდა საპლინების ქიშკრისაქენ, მერმე კედელს აეკრა და ასე შემო-

ვარა ფარდულს გარედან. მეზობლის ზოსტინის გვერდით, მოღზე, რომელსაც ფარდულის სქელი ჩრდილი დაჰყენოდა, მარაოსებრ მიწაზე მუცლით გაწოლილიყვნენ სამნი—ვანია ზემუნხოვი, ყორა არუთინიანცი და ჰესამე ისეთივე, როგორც ისინი, მაგრამ აყლაყულა ჰაბუკი კეპით, რომელიც სახეს უფარავდა.

— ფუ, დასწყევლოს ეშმაქმა ისეთი ნათელი ღამეა, რომ ძლივს გამოვლწივით შენამდე!—წარმოსთქვა ყორამ თვალებისა და თეთრი კბილების კრიალით.—ეს ვალოდია ოსმუხინია, ვოროშლოვის სახელობის სკოლიდან. შეგიძლია სავსებით ენდო მას, როგორც მე,—უთხრა ყორამ, დარწმუნებულმა, რომ აძლევდა მას ყველაზე უმაღლეს ატესტაციას, როგორც კი შეიძლება მეგობარს მიეცეს.

ოლეგი მიწაზე გაწვა მასა და ვანიას შუა.

— უნდა გამოგიტყდე, არც კი მოგვლოდი ამ აკრძალულ ქაშს.—ზნაირული ღიმილით წასჩურჩულა ოლეგმა ვანიას.

— მათ წესებს თუ მისდიე, დართით სული ამოგზდება.

— შენ ხომ ჩემი განუყრელი ბიჭი ხარ!—გაიციანა კოშევიმი და თავისი დიდი ხელი მხარზე მოხვია ვანიას.—ისინი მოაწყე? ზედ ყურთან წასჩურჩულა ვანიას.

— შემიძლია გათენებამდე ვიყო შენს ფარდულში? — შეეკითხა ვანია.—მე ხომ ჯერ შინ არა ვყოფილვარ, ჩვენსას თურმე გერმანელები ჯგანან...

— ხომ ვითხარი, ჩვენსას ღამის გათევა შეიძლება—მეთქი! — აღელვებით წარმოსთქვა ყორამ.

— თქვენამდე ძალიან შორსაა... ეკნათელი ღამე შენთვის და ვალოდიაისთვის არის, თორემ მე სადმე ნესტიან ორპოში გადავიჩეხები!

ოლეგი მიხვდა, რომ ვანიას მისთან მარტო უნდოდა საუბარი, — გათენებამდე შეიძლება მოვიწვიო მან და ვანიას ხელი მოუჭირა მხარზე.

— ჩვენთან არაჩვეულებრივი ახალი ამბავია,—ძლივს გასაგონად წასჩურჩულა ვანიამ.—ვალოდიამ კავშირი გააბა ერთ არალეგალურად მომუშავესთან, და უკვე დაეალებაც მიიღო... არა, უმჯობესია, შენ თვითონ მოკყევი...

არაფერს ისე არ შეეძლო აღეგზნო ოლეგის მკვირცხლი ბუნება, როგორც ღამით ამ ყმაწვილების მოულოდნელ გამოჩენას, განსაკუთრებით კი იმას, რაც მას ვალოდია ოსმუხინმა უამბო. წუთით ისიც კი მოეჩვენა, რომ ვალკოს გარდა სხვას არავის შეეძლო ოსმუხინისათვის ასეთი დავალების მიცემა. და ოლეგმა თითქმის სახე სახეზე მიადო ვალოდიას, პირდაპირ ჩააშტერდა წვრილსა და მუქ თვალეებში და დაუწყო გამოკითხვა:

— როგორ იპოვნე? ვინ არის იგი?

— მისი დასახელების უფლება არა მაქვს,—ცოტა არ იყოს აბნევით, მაგრამ მტკიცედ მიუგო ვალოდიამ,—მე და ყორას ახლა დაზვერვის მოწყობა გვინდა, მაგრამ ორივესთვის ერთად, რა თქმა უნდა, ძნელია ტოლია ორლოვმა გვთხოვა, მაგრამ საშინლად ახველებს,—გაიციანა ვალოდიამ.

ოლეგი ერთხანს უსიტყვოდ გასტკეროდა მის მიღმა.

— მე კი არ გირჩევ დღეს გააკეთო ეს,—უთხრა მან.—ყველა, ვინც კი ბალთან მიდის, ჩანს, ხოლო რა ხდება თვით ბალში, ეს კი არა ჩანს. ამის გაკეთება დღისით სჯობს, ყოველგვარი ფოკუსების გარეშე.

ბალს შემოიკლებოლი ჰქონდა ძელყორე და ოთხივე მხრით ქუჩები აკრავდა, და ოლეგმაც, მისთვის დამახასიათებელი პრაქტიკული საზრით

შემოიტანა წინადადება; მეორე დღესვე ყოველი ქუჩით გავვზავნათ თითო კაცი, რომელთაც დავეალებოდით მხოლოდ დამახსოვრებინათ ქუჩების განაპირას მღვარი სახენითო ქვეშეხების, ბლინდაყებისა და აეტომანქანების განლაგება.

ის საქმიანი აღვზნება, რომლითაც ყმაწვილები მოვიდნენ ოლეგთან, რამდენიმედ განელდა. მაგრამ შეუძლებელი იყო არ დათანხმებულიყვნენ ოლეგის მარტივ მოსაზრებას.

მკითხველო, თუ შეგხედრია ოდესმე ხეტიალი ღამით უდაბურ ტყეში, ან ზარტო თუ მოხვედრილხარ უცხო მზარეში, ან საფრთხესთან პირისპირ თუ მღვარხარ, ან ისეთ განსაცდელში თუ ჩაყარდნილხარ, რომ ყველაზე უფრო მახლობელ ადამიანებსაც კი ზურგი შეუქცევია შენთვის, ან სიახლის, ადამიანისათვის ჯერ უცნობის ძიებისას, დიდხანს თუ გიცხოვრია ყველასაგან გაუგებარსა და უცნობს? თუ კი ცხოვრებაში გწევია ერთ-ერთი ასეთი უბედურება, მიხედვით, თუ რა ბრწყინვალე, რა ვაშაკაცური სიზარული, რა ენით გამოუთქმელი გულითადი მადლობის გრძნობა, რა უძლეველ ძალთა მოზღვაება ჰგლობს ზოლმე ადამიანის სულს მაშინ, როცა იგი შეხვდება ისეთ მეგობარს, რომლის სიტყვა, ერთგულება, ვაყაყობა და თავდადება უცვლელი და ურყევი დარჩენილა! მაშინ შენ მარტო კი აღარ გრძნობ თავს ამქვეყნად, შენს გვერდით სცემს ადამიანის გული.. სწორედ ამ ნათელ გრძნობათა მოზღვაებას, მათს ძლიერ მოწოდებას გრძნობდა გულში ოლეგი, როცა ცის კიდეზე გადაქანებული ტრამალის მთვარის სუქზე ვანიასთან მარტო დარჩენილმა დაინახა მეგობრის მშვიდი, დამცინავი, გულკეთილობითა და ძალღონით ბრწყინავი ბეცთვალეზიანი, შთაგონებული სახე.

— ვანია!— ოლეგმა დიდხანს ხელელები მოჰხვია მას და შეწყნარებულ მიიქრა, თან გაიცინა, ბუნებრივად სიცილით. — ბოლოსდაბოლოს უკვე ვხედავ! ასე რად დაიგვიანე? მოვიქანცე უშენოდ! აჰ, შე ეშმაკო, შენა!— ენის ბორძიკით ამბობდა და კვლავ მეერდში იყრავდა მეგობარს.

— გამიშვი, ნეკნები დამემტერა!— მე ხომ ქალიშვილი არა ვარ, — წყნარი სიცილით ეუბნებოდა ვანია, თან მისი მკლავებისაგან თავს ითავისუფლებდა.

— არ მეგონა, თუ ჯაქვს შეგაბამდა! — ეშმაკურად ჩაუკრა ოლეგმა სიტყვა.

— როგორ არა გრცხვენია, — დაიბნა ვანია, — ყველა იმის შემდეგ, რაც მოხდა, ვანა შემეძლო თავი მიმენებებინა ისე, რომ არ დამეზინაგებინა, არ დავრწმუნებულიყავი, რომ საფრთხე არ მოელით? გარდა ამისა, ის ხომ შესანიშნავი ქალიშვილია! სულეერად ფაქიზი, ფართო გონებრივი პორიზონტის პატრონი ადამიანი! — აღტაცებით ამბობდა ვანია.

მართლაც, იმ რამდენიმე დღის განმავლობაში, რაც ვანიამ მასთან ერთად გაატარა ქვემო ალექსანდროვკაში, ყველაფერი გაუზიარა კლავას, ყველაფერი, რაც უფიქრია და უგრძნია, რაც კი ლექსად დაუწერია თავისი ცხოვრების მთელი ცხრამეტი წლის განმავლობაში. და კლავაც, ვანიასზე შეყვარებული, კეთილი ქალიშვილი, ჩუმად და მოთმინებით ისმენდა ყოველივეს. როცა ვანია რამეს შეეკითხებოდა, კლავა სიამოვნებით უქნევდა თავს, ყველაფერში ეთანხმებოდა. და არა იყო რა საკვირველი იმაში, რომ რაც უფრო მეტდროს ატარებდა ვანია მასთან, მით უფრო ფართოდ ეჩვენებოდა კლავას შეხედულებანი.

— ვხედავ, ვხედავ დაა-ტყვევებულხარ! — ენის ბორძიკით ამბობდა

ოლეგი და მოლიმარი თვალებით შესცქეროდა მეგობარს.—კი არ გეწყინოს,—უცებ სერიოზულად უთხრა, როცა შენიშნა, რომ ეს კილო არ ესიაშენა ვანიას.—მე ისე, გაგებხარ, თორემ, აბა რას ამბობ, მოხარული ვარ შენი ბედნიერებისა. დიახ, მოხარული ვარ,—გრძნობით უთხრა ოლეგმა, თან შუბლზე გრძელი ნაოქვები აეყეცა, მერმე ერთხანს ვანიას მიღმა გასცქეროდა სადღაც.

— გულახდილად მითხარი, ხომ ვალკომ მისცა დავალება ოსმუნისს?—შეეკითხა იგი რამდენიმე ხნის შემდეგ.

— ვფიქრობ, რომ არა.

— მაშინებს მისი ბედი,—უთხრა ოლეგმა,—მაგრამ მოდი, ფარდულში შევჭვრეთ...

ფარდულის კარი გაიხურეს, ორივე ერთად გაუხდელად მოთაესდა ვიწრო ტახტზე და კიდევ დიდხანს ჩურჩულებდნენ სიბნელეში. თითქოს მათ სიახლოვეს არც კი ყოფილიყოს გერმანელი გუშაგი, თითქოს, საერთოდ არც არავითარი გერმანელები ყოფილიყვნენ სადმე მათს ახლოს. უკვე მერამდენეჯერ ამბობდნენ:

— კმარა, კმარა, ცოტა უნდა წავიძინოთ...

და კვლავ მოჰყვებოდნენ ჩურჩულს.

ოლეგმა გაიღვიძა იმიტომ, რომ ძია კოლია აღვიძებდა მას. ზემნუხოვი უკვე აღარ იყო.

— ჩაცმულს რატომ გძინავს?— თვალებსა და ტუჩებში ოდნავ შესამჩნევი ღიმილით შეეკითხა ძია კოლია.

— გოლიათი ძილმა წააქცია...— ზუმრობითვე მიუგო ოლეგმა და ტახტზე გაიზმორა.

— ჰო, ჰო, გოლიათი! მოვისმინე მთელი თქვენი სხდომა ფარდულთან ატეხილ უჯანგარში. ყველაფერი მოვისმინე, ისიც კი, რაც ზემნუხოვთან ერთად ილაყბეთ...

— შე-ენ, გესმოდა?— ოლეგი ტახტზე წამოჯდა, ნამძინარევი და აბნეული გამომეტყველებით, რატომ არ გვანიშნე, რომ არ გეძინა?

— ხელი რომ არ შემეშალა...

— ამას არ მოველოდი შენგან!..

— შენ ალბათ ბევრ სხვა რამესაც არ მოელოდი ჩემგან,—ნელი ხმით უთხრა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძემ.— მაგალითად, იცი თუ არა შენ, რადიო მიმღები რომ მაქვს გამართული, ზედ გერმანელების ცხვირწინ, იატაკქვეშ? ოლეგი ისე დაიბნა, რომ მისმა სახემ რაღაც სულელური გამომეტყველება მიიღო.

— რო-ოგორ? შენ იგი თავის დროზე არ ჩააბარე?

— არ ჩამიბარებია.

— გამოდის, რომ დაუმაღლე საბჭოთა ხელისუფლებას?

— დაუშალე!

— იცი რა, კოლია, მა-ართლა და მა-ართლა.. არ შეგონა, რომ ასეთი მაცდური იყავი.—უთხრა ოლეგმა და არ იცოდა რა ექნა—ეცინა, თუ გაჯავრებულიყო...

— ჯერ ერთი, მე მიმღებით დამაჯილდოეს კარგი მუშაობისათვის,— მიუგო ძია კოლიამ,— მეორეც ისა, რომ ის საზღვარგარეთელია, შეიძლება მიიანი...

— ზომ შეგვიბრდნენ, დავაბრუნებთ!

— შეგვიბრდნენი ასე რომ არ მეტნა, გერმანელების ხელში ჩაეარდებოდა, ახლა კი—ჩვენთან არის, იატაკქვეშ. როცა ღამით გისმენდი, მივხედი, რომ ის ძალიან გამოგვადგება. გამოდის, რომ ყოველი მხრით მართალი ვარ,—გაუღიმიებლად ამბობდა ძია კოლია.

— შენ მაინც ყოჩაღი ხარ, ძია კოლია! მოდი, ხელპირი დაეიბანოთ და საუზმემდე ერთი პარტია ჭადრაკი ვიოიამაშოთ, გერმანელთა ხელისუფლე-

ბაა, სულერთია, მაინც ვისთვის უნდა ვიმუშაოთ!—მშვენიერი განწყობილებით წარმოსთქვა ოლეგმა.

სწორედ ამ დროს მათ შემოესმათ ქალიშვილის ხმა. ეს ქალიშვილი მთელი ეზოს გასაგონად კითხულობდა:

— ყური მიგდე, შე ბოთვე, შენა: ოლეგ კომევი ამ სახლში არ ცხოვრობს?!

— Was sagst du? Ich verstehe nicht,¹ — მიუგო წინკართან მდგომმა გუშაგმა.

— ნინოჩკა, ასეთი ხებრე თუ გინახავს სადმე? ინჩი-ბინჩი არ ესმის რუსულად. მაშინ გაგვატარე, ან დაუძახე რომელიმე ნამდვილ რუს ადამიანს, — მკვირცხლი ხმით ეუბნებოდა გუშაგს ქალიშვილი.

ძია კოლიამ და ოლეგმა ერთი მეორეს გადაჰხედეს, მერმე ფარდულიდან გამოჰყვეს თავი.

გერმანელი გუშაგის წინ, ზედ წინკართან, ცოტა არ იყოს, დაბნეულად იდგა ორი ქალიშვილი. ერთი მათგანი, რომელიც გერმანელს ელაპარაკებოდა, ისეთი მიმზიდველი გარეგნობისა იყო, რომ ოლეგმაც დანიკოლოზ ნიკოლოზის-ძემაც უწინარეს ყოვლისა მას მიაქციეს ყურადღება. ამ პირველ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა ქალიშვილის უჩვეულოდ მყვირალა ჭრელი კაბა. ცისფერი კრებდვინის კაბაზე სქლად ჰქონდა დაფენილი რაღაც წითელი ალუბლები, მწვანე მარცვლები ყვითლად და ლილისფერად მშინავი წინწყლები. დილის მზე ბრწყინავდა თავის წინა მხარეზე ოქროსფერ ტალღასავით დაწყობილ თმში, კისერსა და მხრებზე ჩამოშლილს, როგორც ეტყობოდა, ორი სარკის შუა დახკეულს კულულებში. ხოლო მზიარული ფერის კაბა ისე კობტად შემოკვალთოდა ტანზე, ისე მსუბუქად, ჰაეროვნად შემოსალტოდა მის საგსე,

დასოჭილ ფეხებს ხორცისფერი წინდები და კრემისფერი მალაქისსლებიანი მოხდენილი ფეხსაცმელი, რომ ქალიშვილის შეხედვა რაღაც უაღრესად ბუნებრივის, მკვირცხლის, მსუბუქისა და ჰაეროვნის შთაბეჭდილებას იწვევდა.

იმ წუთში, როცა ოლეგმა და ძია კოლიამ ფარდულიდან გამოიხედეს, ქალიშვილი შეეცადა წინკარში შესულიყო, ხოლო გუშაგმა, რომელსაც ცალ ხელში ავტომატი ეჭირა, და აიენის მახლობლად იდგა, მეორე ხელით გზა გადაუღობა მას.

ქალიშვილი სრულიად დაიბნა, თავისი პატარა თეთრი ხელი მოურიდებლად დაარტყა გუშაგს ქუჩყიან ხელზე, სწრაფად აირბინა წინკარში, მერმე მეგობარი ქალიშვილისკენ მობრუნდა და უთხრა:

— წამო ნინოჩკა, წამო...

მეგობარი ქალიშვილი შეყოყმანდა. გუშაგი წინკარში შევარდა, ორივე მკლავი გაშალა და კარზე გადაუდგა. ავტომატი თასმით დაეკიდა გუშაგის მსუქან კისერს. გერმანელის გაუპარსავ სახეზე ხებრული და თვითკმაყოფილების ღიმილი აღიბეჭდა იმის გამო, რომ იგი ასრულებდა მოვალეობას, და თანაც ეს ღიმილი პირფერული იყო, რადგან იცოდა, რომ ასე მოქცევა შეეძლო მხოლოდ უფლებამოსილ ქალს.

— მე ვარ კომევი, აქ მობრძანდით, — უთხრა ოლეგმა და ფარდულიდან გამოვიდა.

ქალიშვილი სწრაფად შებრუნდა მისკენ, წუთით მოკუტრული ცისფერი თვალები მიაპყრო და კრემისფერი ფეხსაცმლის ქუსლების ბაკუნით მამინვე ჩამოვიდა ძირს.

ოლეგი უცდიდა, უძრავად იდგა ძირს დაშვებული დიდრონი ხელეზით, გულუბრყვილო გაცეებით და სათნო გამომეტყველებით შესტკეოდა მისკენ მიმავალ ქალიშვილს და

¹ რის ამბობ? არ მესმის.

თითქოს ამბობდა: „აი, მე ვარ სწორედ ოლეგ კოშევი... მხოლოდ გაშაგებინეთ, რისთვის გჭირდებათ: თუ კეთილი საქმისათვის, — მიმსახურეთ, ხოლო თუ ბოროტისათვის, — რატომ მაინცდამაინც მე მირჩიეთ?..“ ქალიშვილი მიუახლოვდა, ერთხანს ისე შეაქებრა, თითქოს ფოტოსურათს აღარებსო. მეორე ქალიშვილი კი, რომელსაც ოლეგი ჯერ კიდევ არ აქცევდა ყურადღებას, მეგობარ ქალიშვილს ფეხდაფეხ მიჰყვა, მიუახლოვდა მას და შორიხლო დადგა.

— სწორია: ოლეგია... — თითქოს თავისთვის კმაყოფილებით დაადასტურა პირველმა ქალიშვილმა. — ჩვენ ცალკე უნდა მოვილაპარაკოთ, — უთხრა ქალიშვილმა და ცისფერი თვალი ოდნავ ჩაუკრა ოლეგს.

აღუვებულმა და დარცხვენილმა ოლეგმა ორივე ქალიშვილი ფარდულში შეიყვანა. ღია ფერის კაბიანმა ქალიშვილმა მოჭუტული თვალები ყურადღებით მიაპყრო ძია კოლიას, მერმე ოლეგზე გადაიტანა გაკვირებისა და შეკითხვის გამომხატველი მზერა.

— შეგიძლიათ ილაპარაკოთ მასთან ისევე, როგორც ჩემთან, — განაცხადა ოლეგმა.

— არა, ჩვენ სიყვარულის საქმე გვაქვს, ხომ მართალია, ნინოჩკა? — მიუბრუნდა მეგობარ ქალიშვილს და ოდნავი ღიმილით წარმოსთქვა მან.

ოლეგმაც და ძია კოლიამაც გადაჰხედეს მეორე ქალიშვილს. მას მსხვილნაკეთებიანი მეტისმეტად მზედაკრული სახე ჰქონდა; ხელები იდაყუებამდე შიშველი, შავგვრემანი, თითქმის შავი, დიდრონი და ლამაზი; თითქოს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული გრუნა, უჩვეულოდ სქელი, მუქი თმა შემობორბოლოდა სახეს, მრგვალსა და ღონიერ მხრებზე ეფინებოდა. იმავე დროს რაღაც უჩვეულო უბრალოება გამოსჭვივდა მის ფართო სახეში —

საღლაც მსუქან ტუჩებში, რბილ ნიკაბში, ცხვირის მეტისმეტად უბრალო, ნაზ ხაზებში, — ძალზე მეტწილად ბა, ვნება და გაქანება — საღლაც მისი წარბებზე და ბორცვებში, წარბების გასაყარში, პირდაპირი, თამამი გამომეტყველების ფართო, თაფლისფერ თვალებში.

ოლეგმა უნებლიედ თვალი შეაჩერა ამ ქალიშვილზე, — შემდგომში, სუბრის დროს, იგი მუდამ გრძნობდა ამ ქალიშვილის სიახლოეს და ენის ბორძიკით ლაპარაკობდა.

ცისფერთვალებიანმა ქალიშვილმა დაიცადა, ვიდრე ძია კოლია შორს გავიდოდა ეზოში, და ვიდრე მისი ფეხის ხმა მისწყდებოდა, მერმე ოლეგისკენ გადაიხარა და წარმოსთქვა:

— მე ძია ანდრეამ გამომგზავნა...

— თამამი ყოფილხართ... რა უუყვავით იმ გერმანელს! — მცირე დუმილის შემდეგ ღიმილით დასძინა ოლეგმა.

— არა უშავსრა, გერმანელს უყვარს, როცა სცემენ.. ქალიშვილმა გაიციანა.

— თქვე-ენ ვინ ბრძანდებით?

— ლუბკა! — მიუგო ღია ფერის სურნელოვანი კრეპდეშინის კაბიანმა ქალიშვილმა.

თავი ოცდამეორე

ლუბა შეეცოვა ეკუთვნოდა კომკავშირელთა იმ ჯგუფს, რომელიც ჯერ კიდევ წლის დასაწყისშივე წამოყენებული იყო პარტიზანთა შტაბის განკარგულებაში, მტრის ზურგში გამოსაყენებლად.

ლუბა ამთავრებდა სამხედრო საფერშლო კურსებს და უკვე ფრონტზე წასასვლელად ემზადებოდა, მაგრამ იქვე, ვოროშილოვკრადშივე რადისტთა კურსებზე გადაიყვანეს.

— შტაბის მითითებით ლუბკამ ეს ამ-

ბავი არ გაუმხილა მშობლებსა და ამხანაგებს. ყველას ასე ეუბნებოდა და შინაც ასე სწერდა: სამხედრო საფერწლო კურსებზე გახვავარძობ სწავლასო. ის გარემოება, რომ მისი ცხოვრება საიდუმლოებით იყო მოცული, ძალიან მოსწონდა ლუბკას. იგი იყო „ლუბკა მსახიობი, მელასავით ეშმაკი“ და მთელს სიცოცხლეში თამაშობდა.

როცა ლუბკა სულ პატარა გოგონა იყო, ექიმობიას თამაშობდა. ყოველგვარ სათამაშოს ფანჯარაში გადაპყრიდა ხოლმე, და თეთრი, ჩასუქებული ცისფერთვალეებიანი და ლოყაქუტიანი გოგონა მარლით და ბამბით გამოტენილი წითელი ჯვრის ჩანთით დადიოდა ყველგან. იგი უხვევდა დედასა და მამას, ყველა ნაცხობს, დიდსა და პატარას, ძაღლსა და კატას.

ლუბკაზე უფროსი ჰასაკის ფეხშიშველი ბიჭი ძელყორზე გადახტა და ბოთლის ნატეხით ფეხისგული გაიჭრა. ბიჭი შორეულ ეზოდან იყო, უცნობი, ამ შემთხვევის დროს მონადირეთაგან შინ ისეთი არავინ აღმოჩნდა, რომ დახმარებოდა მას, ექვსი წლის ლუბკამ კრილობა გაუბანა, იოდის წაუსვა და შეუხვია. ყმაწვილს სერიოზოა ერქვა, გვარად ლევაშოვა იყო. ამ ყმაწვილმა არავითარი ინტერესი არ გამოიჩინა ლუბკას მიმართ, მადლობაც კი არ უთხრა. შემდეგ ის ყმაწვილი არასოდეს არ გამოჩენილა ლუბკას ეზოში, რადგან სძულდა გოგონები.

როცა ლუბკამ სიარული დაიწყო სკოლაში, ისე მხიარულად, ისე გულმოდგინედ, ბეჯითად სწავლობდა, თითქოს კი არ სწავლობს,—თამაშობსო. მაგრამ ლუბკას არ უნდოდა გამხდარიყო ექიმი, დიასხლისობა ერჩივნა, და რისთვისაც უნდა მოეკიდა ხელი ოჯახში—იატაკს რეცხდა, თუ ცომის ქუფთას ამზადებდა, —რო-

გორდაც ყველაფერი დედის უფრო მოხერხებულად გამოუდგოდა ხელიდან. თუმცა უნდოდნენ მამის უფილიყო, დიას, სწორედ ჩაბაევი და არა ანკა შეტყვიამფრქვევე, იმიტომ რომ, როგორც გამოირკვა, თურმე მასაც სძულდა გოგონები. დამწვარი კორპით გაიკეთებდა ხოლმე ჩაბაევისებურ ულვაშებს და, ვიდრე არ გაიმარჯვებდა, ებრძოდა ბიჭებს. როცა წამოიზარდა, ცეკვა შეუყვარდა: სანადიმო, რუსული და ევროპული, ხალხურიც, უკრაინული და კავკასიური ცეკვა. იმავე დროს კარგი ხმაც აღმოაჩნდა. ამიტომ ცხადი გახდა მისთვის, რომ უსათუოდ მსახიობი უნდა გამოსულიყო. ლუბკა გამოდიოდა კლუბებსა და ღია ცისქვეშ, ბალებში, ხოლო, როცა ომი დაიწყო, განსაკუთრებული ხალისითა და შთაგონებით გამოდიოდა ნაწილებში, სამხედროების წინაშე. ამის მიუხედავად, ლუბკა სრულიად არ იყო მსახიობი, თამაშობდა მხოლოდ მსახიობობას, მოკლედ რომ ვთქვათ, გედარ გააკვლია, თუ ვინ უნდა ყოფილიყო. მის სულში თითქოს ყოველთვის ლიელებდა რაღაც მრავალფეროვანი რამ, ყოველთვის თამაშობდა იგი, მღეროდა, ხან კი ცეცხლივით აენთებოდა და მძვინვარებდა. არ ასვენებდა რაღაც დაუდგრომელი სიცელქე, აწვალეზბდა, ჰქენჯნიდა დიდების სურვილი და თავგანწირვის საშინელი ძალა, გიჟური თავდადება და ბავშვური, თამაში, გამსჭვალავი ბედნიერების გრძნობა. და ყოველივე ეს კვალად და კვალად სულ წინ მიუხმობდა მას, სულ მალა, რომ ყოველთვის ყოფილიყო რაღაც ახალი რამ, რომ ყოველთვის საჭირო ყოფილიყო მისწრაფება, ლტოლვა მარადიული. ახლა ლუბკას ესიზმრებოდა გმირობა ფრონტზე: მფრინავი ვიქნები, უკიდურეს შემთხვევაში—სამხედრო ფერშალიო,—ფიქრობდა. მაგრამ გამო-

ირკვა, რომ იგი იქნებოდა მხოლოდ მტრის ზურგში მზვერავი რადისტა, რა თქმა უნდა, ამეამად ეს ყველაზე უკეთესი საქმე იყო.

მეტად სასაცილო და უცნაური იყო ის ამბავი, რომ კრასნოდონელ კომკავშირელებიდან რადისტთა კურსებზე მასთან ერთად მოხვდა სწორედ ის სერიოჟა ლევაშოვი, რომელსაც ბავშვობისას საეჭიშო დახმარება აღმოუჩინა და, რომელიც მაშინ აგრე უკადრისად მოექცა ლუბკას. ახლა ლუბკას საშუალება ჰქონდა სამაგიერო გადაეხადა მისთვის, იმიტომ რომ ჰაბუქს უეცრად შეუყვარდა იგი, ქალიშვილს კი, რა თქმა უნდა, არა, თუმცა ჰაბუქს ლამაზი ტუჩები და ლამაზი ყურები ჰქონდა, და საერთოდ, საქმიანიც სჩანდა. სულ არ იცოდა არშიყობა, ეს მზარ-ბეჭიანი ჰაბუქი იჯდა ლუბკას წინ, სდუმდა და მორჩილი სახის გამომეტყველებით შესცქეროდა მას, ახლა ქალიშვილს საშუალება ჰქონდა ევაშულებინა და გაეტანჯა ისე, როგორც მოესურვებოდა.

ვიდრე ლუბკა სწავლობდა, ბევრჯერ იყო შემთხვევა, როცა მეცადინეობაზე ხან ერთი, ხან მეორე კურსელი არ გამოცხადდებოდა ზოლმე: ეს იმას ნიშნავდა რომ იგი ვადამდე ადრე გამოუშვებს და გერმანელების ზურგში გაგზავნეს სამუშაოდ.

მაისის შეხუთული საღამო იყო. ქალაქის ბალი სიცხისაგან გარინდებულიყო. ჰყვალდნენ მთვარის შუქშეფრქვეული აკაციის ხეები. ირგვლივ თავბრულამხვევი სურნელება იდგა. ლუბკას უყვარდა, რომ მის გარშემო ყოველთვის ბევრი ხალხი ყოფილიყო, იმიტომ მუდამ ძალით მიჰყავდა ზოლმე სერგი კინოში, ან ლენინის ქუჩაზე „გასაქროლებლად“. სერგი კი ეუბნებოდა:

— შეხედე, რა კარგი გარემოა. ნუ თუ არ მოგწონს ეს?—მისი ტვა-

ლები გაუგებარი ძალით კიათობდნენ ნახევრად ბნელ ხეივანში, ისინი კვლავ და ავეჯილიდნენ ბალს, სერიოჟკამ თავისი სიჩუმიითა და იმით, რომ არაფერს უგონებდა ლუბკას, თავი მოაბეზრა მას.

სწორედ ამ დროს ქალაქის ბაღში სიცილითა და ყრიაშულით შეფრთხილდა ქალიშვილებისა და ჰაბუქების ჯგუფი. მათ შორის აღმოჩნდა ერთერთი კურსელი ჰაბუქი, ეოროშვილოვგრადელი ბორკა ლუბინსკი, მასაც მოსწონდა ლუბკა და ყოველთვის აცინებდა ზოლმე მას თავისი ლაყბობით „ტრამეაის მოძრაობის თეალსაზრისით“.

ლუბკამ დაუძახა:
— ბორკა!

ჰაბუქმა უმაღვე ხმაზე იცნო ლუბკა, სირბილით მიიპრა მასთან და სერგისთან, და დაუყოვნებლივ დაიწყო ჩვეულებრივი ლაყბობა.

— ვისთან ხარ?— შეეკითხა მას ლუბკა.

— ესენი ჩენი სტამბის გოგონები არიან. გაგაცნოთ?

— რა თქმა უნდა!— მიუგო ლუბკამ.

იქვე გაეცნენ ერთმანეთს და ლუბკამ ყველა ისინი წაიყვანა ლენინის ქუჩაზე. სერგიმ კი სთქვა: მე არ შემძლია წამოსვლაო. ამის გაგონებაზე ლუბკამ უმაღვე გაიფიქრა— ალბათ ეწყინაო, და განგებ, რომ კიდევ უფრო მეტად არ გათამამებულყო ჰაბუქი, ლუბკამ ბორკა ლუბინსკის მკლავში გაუყარა ხელი და ორიენი ცეკვა-ბტუნვით გაიჭრნენ პარკიდან. მხოლოდ ლუბკას კაბამ გაიეღვა ხეივანში.

საერთო საცხოვრებელში დილის საუზმეზე ერთმანეთს არ შეხვედრიან ლუბკა და სერგი, იგი არც მეცადინეობაზე ყოფილა, არც სადილად, არც ვახშმად, იმიტომ ლუბკამ ზედტეტად ჩასთვალა მოეკითხა იგი.

რა თქმა უნდა, ლუბკა სრულიად არ ფიქრობდა იმაზე, რაც გუშინ მოხდა ქალაქის ბაღში, — „ერთომ, ესეც ახალი ამბავია!“ — ფიქრობდა გუნებაში. საღამოს კი უცებ მოიწყინა ოჯახზე, მოაგონდა დედ-მამა, — მოეჩვენა—ვერასოდეს ვერ ენახავო. ჩუმაღ მიწვა ტახტზე, საერთო საც-ცხოვრებელში, სადაც მასთან ერთად ცხოვრობდა ხუთი ამხანაგი ქალი-შვილი. ყველას ეძინა, ფანჯრებზე შუქმფარი მოხსნილი იყო, მთვარის შუქი ჭარბად იჭრებოდა მახლობელ ღია ფანჯარაში. ლუბკა ძალიან მოწყენილი იყო.

მეორე დღეს კი სერგი ლევაშოვი სამუდამოდ გაჰქრა მისი მეხსიერებიდან, თითქოს არც კი ყოფილიყოს იგი ამ ქვეყნად.

ექვს ივლისს ლუბკას გამოუძახეს პარტიზანთა შტაბში და უთხრეს: ფრონტზე არც ისე კარგადაა საქმე, კურსები ვეაქუაციაში მიდის, შენ კი შტაბის განკარგულებაში გტოვებენ, დაბრუნდი შინ—კრასნოდონში და ელოდე, ვიდრე გამოვიძახებენო. თუ გერმანელები მოვიდნენ, ისე უნდა დაიჭიროო თავი, რომ ექვი არ გამოიწვიო. მისამართი მისცეს კამენი ბროდში, სადაც გამგზავრებამდე უნდა შეველო დიასახლისის გასაცნობად.

ლუბკა წავიდა კამენი ბროდში და გაეცნო დიასახლისს. მერმე თავის პატარა ჩემოდანში ჩაალაგა ყველაფერი, უახლოეს გზაჯვარედინზე „ქენკი ჰყარა“ თუ რომელი გზით წასულიყო, და კრასნოდონზე გაალით მიმავალ პირველ საბარგო მანქანას წაჰყვა ეს თამამი ქერა ქალიშვილი.

თანამგზავრებთან განშორების შემდეგ, ვალკო მთელი დღე ტრამალში იწვა. მხოლოდ შეღამებისას ხეე-ხეე

გამოჰყვა, შანხაიჩიკებს შორეულ გარეუბანში გამოვიდა დეკორაციულ-მოხვეუელი ქუჩებითა და მუსიკანტებით გააღწია № 1-ბის მალაროს რაიონში. ვალკო კარგად იცნობდა თავის სამშობლო ქალაქს.

ეშინოდა, შეეცოვებთან გერმანელები იდგომებიანო, ამიტომ მიპარვით, უკანა მხრიდან დაბალ ძელყოჩრეზე გადახტა, ეზოში შევიდა, და საოჯახო ნაგებობათა ახლოს მიიმალა, ალბათ ვინმე გამოვა ეზოში და დაეინახავო. ასე იდგა იგი საცმოდ დიდხანს და უკვე მოთმინება ეკარგებოდა. ბოლოს გარეთა კარმა დაიჭრიალა და ახლოს ჩაუარა კასრიანმა ქალმა. ვალკომ იცნო შეეცოვის ცოლი, ეფროსინე მირონის ასული, და მის შესახებდრად გამოვიდა.

— ვინა ხართ, ღმერთო შენ შემოწყნარე!—ნელა წარმოსთქვა ქალმა.

ვალკო უკვე მიუახლოვდა მას თავისი ჯაგარისებური წვერ-ულვაშით შეფიქტული სახით, ქალმა იცნო იგი.

— ეს თქვენა ხართ?... საღდა...—უნდოდა წამოეწყო ქალს. სანახევროდ ბნელოდა, ცისკიდზე გადაკრულ ნაცრისფერ ბურუსში ძლივს ატანდა მთვარის შუქი, თორემ შეიძლებოდა ეფროსინე მირონის ასულის გაფითრებული სახის მკაფიოდ გარჩევა.

— მოიცა, ცოტა მოიცა. ჩემი გვარიც დაივიწყე. დამიძახე—ძია ანდრი. თქვენსას გერმანელები დგანან? არა?... ქოხში შევიდეთ,—ხრინწინად უთხრა ვალკომ, დამუტხრებულმა იმ ამბით, რაც ახლა უნდა ეთქვა ამ ქალისათვის.

ქოხში შესვლის უმაღლეს მას ლუბკა მიეგება. ვალკო გაოცდა. ეს არ იყო ღია ფერის კაბითა და მალაქქუსლებიანი ფეხსაცმლით კოპწიად გამოწყობილი ლუბკა-მსახიობი, რომელსაც ხშირად ხედავდა იგი კლუბის სცენაზე. არა, ეს როდი იყო ის



ლუბკა. ახლა მას ეცვა უბრალოდ, საშინაოდ, იაფფასიანი კოფთა და მოკლე კაბა, ფეხშიშველი იჯდა საწოლზე და ჰკერავდა. და, დინახა თუ არა ვალკო, უმაღლეს ზეზე წამოიჭრა. ოქროსფერი თმა თავისუფლად ეფინებოდა კისერსა და მხრებზე. მაგიდის ზემოთ, კედელზე დაკიდებული მაღაროს მბუტბავი ლამის შექმნე ოდნავ მოკუმტული თვალები მიაჩერო ვალკოს. ვალკომ ვერ გაუძლო მის შეხედვას და დაბნულად შეათვალიერა ოთახი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენოდა პატრონის შეძლებულობის იერი. თვალები შეაჩერა საწოლის თავთან კედელზე მიკრულ ღია ბარათზე. ეს იყო ჰიტლერის სურათი.

— ცუდი არაფერი გეგონოთ, ამხანაგო ვალკო — მიუბრუნდა მას ლუბკას დედა.

— ძია ანდრი-თქო, — გაუსწორა ვალკომ.

— ჰო, ძია ანდრი, — გაუღიმებლად შეისწორა ქალმა.

ლუბკა მშვიდად შემობრუნდა ჰიტლერის სურათისაკენ და ზიზღით აიჩეჩა მხრები.

— ეს გერმანელმა ოფიცერმა დაჰქიდა! — აუხსნა ვალკოს ეფროსინე მირონის ასულმა. — ჩვენსას მთელი ამ დღეების განმავლობაში ორი გერმანელი ოფიცერი იდგა. გუშინ წავიდნენ ნოვოჩერკასისკენ. შემოვიდნენ თუ არა, მაშინვე მივარდნენ ამას, — „რუს ქალიშვილი ლამაზ, ქერა, ჭკრარა“, — იცინოდნენ, სულ მოკოლდნენ და ორცხობილს სთავაზობდნენ. ერთიც ვნახოთ, მართლაც არ გამოართვა ამ ეშმაკის კუდმა, თან მაღლა იწევს ცხვირს, უხეშდაც კი ექცევა, ხან გაიცინებს, ხან კი ისე კუმტაჯ დაუწყებს საუბარს, — აი, როგორი თამაში წამოუწყო მათ! — წარმოსთქვა დედამ თავისი ქალის გულკეთილ გაიღვით, ხოლო ვალკოსადმი სრულ

ლო ნდობით გამსჭვალულმა, რადგან დარწმუნებული იყო, ეჩვენებოდა ფერს გაიგებდა ისე, უფროსს ვიდრე არა იყო. — მე ვეუბნები: — „ცეცხლს ნუ ეთამაშები-მეთქი!“ — ის კი თავისას გაიძახის: — „ასე უნდაო!“ — წარმოიდგინეთ, რომ მას ასე უნდა! — აი, როგორი თამაში წამოიწყო! — აიკვ გაიმეორა ეფროსინე მირონის ასულმა. — წარმოვიდგენიათ, ამხანაგო ვალკო...

— ძია ანდრი, — ხელახლა შეუსწორა ვალკომ.

— ჰო, ძია ანდრი... ნება არ მომცა მეთქვა მათთვის, რომ მე მისი დედა ვარ, მოახლედ გააცნო ჩემი თავი, მე კი — მსახიობი ვარო, უთხრა მათ. „იო-მი მშობლები — მრეწველები არიან, ქვანახშირის საბადოები ჰქონდათ და საბჭოთა ხელისუფლებამ ციმბირში გადაასახლაო“. ხედავთ, რეები ჰო-ჯონა?

— თქმა არ უნდა, ზორბად კი გამოუგონია! — მშვიდად მიუგო ვალკონ, თან დაკვირვებით მიაჩერდა მის წინ ხელში საკერავიანად მდგომ ლუბკას, რომელიც გამოუტყვეველი ღიმილით შესტკეროდა ძია ანდრის.

— ოფიცერმა, რომელიც ამ საწოლზე იწვა, — ეს კი ამისი საწოლია, ჩვენ ერთად ვიწვეით იმ ოთახში, — ჩემოდნის ამოღებება დაიწყო, მგონი საცვლებს იღებდა, — განაგრძობდა ეფროსინე მირონის ასული. — ეს სურათი ამოიღო და კედელზე მიაკრა. წარმოვიდგენიათ, ამხანაგო ვალკო, ლუბკა მივარდა ოფიცერს და ხელში გამოგლიჯა ის! „ეს ჩემი საწოლია და არა თქვენი, არ მინდა, რომ ჩემს საწოლთან ჰიტლერი ეკიდოსო“. აქვე მოჰკლავს-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ არა, ოფიცერი ხელებში სწვდა, მკლავი გადაუბრუნა, გამოგლიჯა სურათი და ისევ კედელზე მიაკრა. მეორე ოფიცერიც აქვე იდგა, მაგრამ — არა-

ფერი, ისეთი სიცილი ასტეხეს, ფანჯრის მინები აზრიალდნენ. „ჰაი, ჰაი, რა აშარი ყოფილა რუსი ქალიშვილი“, — იძახიან. ერთიც ვნახოთ მართლა არ გაბრაზდა, ლუბკა, სულ მთლად აიღუწა სახეზე, ისე გაექანა წვენი ოთახისაკენ, რომ ირგვლივ კაბის კალთები შემოკეცა, და იცით რა ჰქნა? ტყვიასავით გამოვარდა იქიდან სტალინის სურათით ხელში, გაიჩინა და მოპირდაპირე კედელზე მიაკრა. მერმე დადგა სურათთან, მუშტი მოკეშა, — შიშით კინაღამ გული შემოიღონდა. არ ვიცი, ძალიან მოსწონდათ ლუბკა, თუ თვითონ იყენენ ისეთი ბრიყვეები, გერმანელი ოფიცრები ერთ ადგილას იდგნენ, ხორხოცობდნენ, თან იძახოდნენ: „სტალინი ცუდი-აო!“ — ლუბკა ბრანზორვეით ქუსლებს უბაკუნებდა და უყვიროდა: „არა, სტალინი კარგია!.. ის თქვენი პიტლერია მახინჯი, სისხლისმსმელი, ის მხოლოდ ფესხადგილში უნდა ჩაიხრჩოსო!“ — და ვინ მოსთელის იმისთანები უთხრა. მართალი ვითხრათ, ვფიქრობდი, საცაა რეეოლვერს ამოიღებენ და აქვე მოკლავენ-მეთქი... არ იქნა და არა, არ ჩამოახსნევიან. მერმე ისევ მე ჩამოეხსენი და გადავმალე. ხოლო, როცა ისინი წაიღდნენ, თვითონ ლუბკამ არ ჩამოახსნევიან პიტლერის სურათი: „ღე, ეკიდოსო, — ასე უნდაო!“ — მითხრა...

ლუბკას დედა არც ისე მოხუცი იყო, მაგრამ ისე, როგორც მრავალი სხვა ხანშესული დედაკაცები, რომელნიც ახალგაზრდობიდანვე უხერხულად მშობიარობდნენ, თქოვებსა და წელში გაფიფინებული იყო. ფეხებიც კოჭებთან ჩამოსიებული ჰქონდა, იგი ახლა დაბალი ხმით უამბობდა ვალკოს მთელს ამ ისტორიას, იმავე დროს შესცქეროდა მას გაოცებული, შეკმრთალი, თითქმის მუდარიანი გამოხედვით, ვალკო კი ერიდებოდა თვალეზში შეეხებინა მის-

ვის. ქალი ერთთავად სულ ლაპარაკობდა, თითქოს ცდელვებდეს... შორს გადაეღო ის წუთი, როცა ვალკოს უნდა ეთქვა მისთვის ის ამბავი, რისი გაგონებისაც ეშინოდა. მაგრამ ქალმა უკვე მთელი თავისი საუბარი მოათავა და რაღაცის მოლოდინში აღელვებითა და შიშით შეხედა ვალკოს.

— ეფროსინე მირონის ასულო, იქნებ მამაკაცის რაიმე უბრალო ტანსაცმელი დაგჩრათ, — ხრინწიანად უთხრა ვალკომ, — თორემ, თითქოს, მეუხერხულემა ასეთი ფიჯაკით, შარვლითა და ჩუსტებით სიარული, — ერთბაშად შემეტყობა, რომ პასუხისმგებელი მუშაკი ვარ, — გაიციანა მან.

ისეთი კილო მოისმა მის ხმაში, რომ ეფროსინე მირონის-ასული კვლავ გაფითრდა და ლუბკამაც ძირს დაუშვა საკერავიანი ხელი.

— რა მოუვიდა იმას? — ოდნავ გასაგონად იკითხა დედამ.

— ეფროსინე მირონის ასულო, და შენც, ლუბკა! — წყნარი, მაგრამ მტკიცე ხმით წარმოსთქვა ვალკომ, — არ მეგონა, თუ ბედი ასეთი სამწუხარო ამბის მთქმელად მომიყვანდა თქვენთან, მაგრამ თქვენი მოტყუება არ მინდა, ხოლო ვერაფრით ვერ განუგეშებთ. თქვენი ქმარი, და შენი მამა, ლუბკა, ჩემი საუკეთესო მეგობარი, გრიგოლ ილიას-ძე, დაიღუპა, დაიღუპა ბომბისგან, რომელიც მშვიდობიან ხალხს დააყარეს იმ წყუღმა ვიგინდარებმა... ღე, საუკუნოდ იყოს მისი ხსენება და სახელი ჩვენი ადამიანების გულში...

დედას არ დაუცივლია, თვალეზზე თავშალის წვერი მიიფარა და ჩუმად ატირდა. ლუბკას კი სახე სულ მთლად გაუფითრდა, თითქოს გაქევედაო. ერთხანს ასე იდგა. მერმე, თითქოს ტანში წონასწორობის დამცველი ღერძი გამოაცალესო. მთლად დაიკლანა და უგრძობლად დაეშვა ძირს.



ვალკომ აიყვანა და საწოლზე წა-
თაწინა იგი.

ვალკომ იცოდა ლუბკას ხასიათი,—
ამის მიხედვით იგი მოელოდა მისგან
ტირილს, ცრემლს, იქნებ ამას ცოტა-
თი მაინც შეემსუბუქებინა მისი ტანჯ-
ვა. მაგრამ არა; ლუბკა უძრავად იწვა
საწოლზე, გაჩუმებული, გაქვავებუ-
ლი, გაფითრებული და მის ძირსდამ-
ვებული, განიერი პირის კუთხეებში
ისეთი ნაღვლიანი ნაოჭები აიკეცა,
როგორც მის ღეღას ჰქონდა.

დედა კი თავის მწუხარებას ასე
ბუნებრივად, ჩუმად, უბრალოდ და
გულითადად გამოხატავდა, როგორც
უზრალა რუს დედაკაცებს სხეულის
ოვალზე ცრემლი თავისთავად და-
პაღუპით მოდიოდა. მაშინ, როცა,
ცრემლის წვეთები ჩამოედინებოდა
ტუჩებსა და ნიკაპზე, თავშალის წვე-
რით იზოცავდა, ხელით იცლიდა, ან
კიდევ ხელისგულს მოისვამდა და ასე
იწმენდა. მაგრამ სწორედ იმიტომ,
რომ მისი მწუხარება ასეთი ბუნებრი-
ვი იყო, ახლაც ისე, როგორც ყო-
ველთვის, ჩვეულებისამებრ აკეთებდა
ყველაფერს, რაც კი უნდა გააკეთოს
ღიასახლისმა, როცა სტუმარი ეწვევა.
ხელპირი დაბანინა ვალკოს, სანა-
თური აღნთო და ზანდუქში ამოუღო
ქმრის ის ძველი გიმნასტურა, ფაჯაკი
და შარვალი, რომელთაც იგი შინაუ-
რობაში იცვამდა.

ვალკომ სინათური აიღო, მეორე
ოთახში გავიდა და ტანსაცმელი გა-
მოიცვალა. ყოველივე ეს, ცოტა არ
იყოს, ვიწრო იყო მისთვის, მაგრამ,
როცა ჩაიცვა, თავი უფრო თავისუფ-
ლად იგრძნო. ახლა იგი ხელოსანს
ჰკავდა, ერთ-ერთს მრავალთა შორის.

დაიწყო გრიგოლ ილიას-ძის დადუ-
პვის ამბის დაწვრილებით მოყოლა,
თუმცა იცოდა, თუ რა ძნელი მოსას-
მენი იყო ყოველგვარი წვრილმანი,
მაგრამ მხოლოდ ამ წვრილმანებს შე-
ეძლოთ ახლობლებისათვის ნუგეშის

მიცემა ახლა ამ სასტიკსა და გაჭან-
დვურებელ მწუხარებას. ყველგანაც
საშინლად აღლულებულნი იყვნენ მო-
თებული იყო, მაინც დიდ ხანს და
ბევრი ჭამა, თან ერთი გრაფინი არა-
ყიცი გამოსცალა. მთელი დღე უკმე-
ლად გაატარა და ძალიან მოიჭანცა,
ლუბკა მაინც ააყენა ლოგინიდან, რომ
საქმეზე მოლაპარაკებოდა.

მეზობელ ოთახში გავიდნენ.
— ერთბაშად ჩანს, რომ ჩვენების
მიერ სამუშაოდ ხარ დატოვებუ-
ლი,—წარმოსთქვა ვალკომ, თან ისე-
თი გამოიმეტყველება მიიღო, თითქოს
არც კი შეენიშნოს, თუ როგორ გაი-
ოცა ლუბკამ და სახეც როგორ შეე-
ცვალა.—ნუ ირჯები,—მძიმე ხელი
მალლა ასწია და ისე განაგრძო ვალ-
კომ, როცა შესიტყვებას შეეცადა
ლუბკა,—ვინ დაგტოვა აქ, ან რა სა-
მუშაოსათვის, ამას არ გკითხავ, შენც
არა ხარ ვალდებული დამიდასტურო.
ან უარპყო ეს. მე მხოლოდ ამასა
ვთხოვ—დამეხმარე... მეც გამოგად-
გები.

ვალკომ სთხოვა დაემალა იგი სად-
მე ერთი დღე და ღამით, და შეეხვედ-
რებინა კონდრატოვიჩთან, სწორედ
იქასთან, რომელთან ერთადაც ააფე-
თქა მან № 1-ბის მალარო.

ლუბკა გაოცებით შესცქეროდა
ვალკოს შეგვრემან სახეს. ყოველ-
თვის იცოდა, რომ ეს იყო დიდი და
ჰკვიანი კაცი. იმის მიუხედავად, რომ
ვალკო, როგორც ტოლს, ისე მეგო-
ბრობდა მის მამას, ლუბკა ყოველ-
ვის გრძნობდა, რომ ეს კაცი უფრო
მალლა იღვა, ხოლო თვითონ იგი—
ლუბკა, დაბლა. ახლა კი ლუბკა უკვე
დამარცხებული იყო ამ კაცის შორს-
მკერეტელობით.

ლუბკამ ვალკო მოათავსა მეზობ-
ლის სათიფეში, სხვენზე, ფარდულში:
მეზობლებს ჰყავდათ თხები, მაგრამ
მეზობლები ევაკუაციის წაყვინდნენ,

თხები კი გერმანელებმა შექამეს. ვალკოსაც მაგრად ჩაეძინა.

დედა და შვილი კი მარტო დარჩნენ; დედის საწოლზე ჩამოშხდარნი, თითქმის განთიადამდე სტიროდნენ.

დედა სტიროდა იმის გამო, რომ მთელი ცხოვრება, ცხოვრება იმ ქალისა, რომელიც ახალგაზრდობის წლებიდანვე დაკავშირებული იყო მხოლოდ გრიგოლ ილიას-ძესთან, — ახლა უკვე დასრულებული იყო. მოიგონა მთელი ეს ცხოვრება, სწორედ იმ დროიდან, როცა თვითონ ხელზე მოსამსახურედ იყო ცარიცინში, გრიგოლ ილიას-ძე კი — ახალგაზრდა მკვლევარი, მოიგონა ის დრო, როცა იგი, გრიგოლ ილიას-ძე, გემით მიმოდითა ვოლგაზე, მოიგონა ის დრო, როცა ერთმანეთს ხედებოდნენ მზით გაეარვარებულ ნავთსადგურში, ან ბაღში, ვიდრე გემი დაიტირებოდა, მოიგონა აგრეთვე ისიც, თუ როგორ უჭირდათ ცხოვრება ჯგრისწყრის ბარეულ ხანებში, მაშინ როცა გრიგოლ ილიას-ძეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შერჩეული თავისი შესაფერი პროფესია. მერმე გადმოზარდნენ აქ — დონბასში, თავდაპირველად აქაც არ იყო ადვილი ცხოვრება, შემდგომ კი გრიგოლ ილიას-ძე აღმაველ გზას მიჰყვა, მის შესახებ დაიწყეს წერა გაზეთებში, ეს სამოთახიანი ბინაც მისცეს, ოჯახი ფეხზე დადგა, უხაროდით, მათი ლუბკა რომ დედოფალივით იზრდებოდა.

და ახლა ყოველივე ამას ბოლო მოეღო. გრიგოლ ილიას-ძე უკვე აღარ იყო ამ ქვეყნად, ისინი კი — ორი უმწიფო ქალი, მოხუცი და ახალგაზრდა, გერმანელების ხელში ჩაეარდნენ, და ახლა, ეფროსინე მირონის ასულის თვლებიდან ლაღღებით, თავისთავად იღვრებოდა ტრემლი.

ლუბკა კი ეჩურჩულებოდა საიდუმლო და ალერსიანი ხმით:

— ნუ, ნუ სტირი, ჩემო კახე! დედო, შე უკვე მაქვს კვალთიკიცია, გერმანელებს განდევნა, დასრულდება, რადიოსადგურში შევალ სამუშაოდ, სახელგანთქმული რადისტი ვიქნები და სადგურის უფროსად დამნიშნავენ. ვიცი, ხმაურობა რომ არ გიყვარს, სადგურშივე მოგაწყობ, ჩემს ბინაში, — იქ მუდამ სიწყინარეა, სიჩუმე, ირგვლივ ყველაფერი რბილით არის შემოკედელი, ვერავითარი ხმაურობა ვერ შეაღწევს ოთახის კედლებში, ხალხიც ცოტაა. გვექნება პატარა, სუფთა, მყუდრო ბინა, ვიცხოვრებთ ერთად. სადგურის ახლოს, ეზოში გაზონს დაეთესა, ხოლო ცოტა რომ გაემდიდრდებით, ქათმები-სათვის პატარა ვოლიერს გაგიკეთებ, ლეგორნული და კოხინხინური ჯიშისა ქათმებს მომიშენებ, — ჩახუტებული და კისერზე შემოხვეული ლუბკა საიდუმლოდ ეჩურჩულებოდა დედას და სიბნელეში უხილავად აქნევდა თხლებრჩხილებიან თეთრ ხელებს.

ამ დროს ფანჯარაზე თითის ნელი კაკუნი გაისმა. დედამაც და ქალიშვილმაც ერთსადაიმაც დროს გაიგონეს ეს კაკუნი, ხელი გაუშვეს ერთმანეთს, ტირილი მიატოვეს და ყური მიუდგეს.

— გერმანელები არ არიან? — ჩურჩულთ, მორჩილად იკითხა დედამ.

ლუბკამ იცოდა, რომ გერმანელები ასე არ დააკაკუნებდნენ. შიშველი ფეხის ფლატუნით ფანჯარასთან მიიჭრა, ოდნავ გადასწია ჩამოფარებული საბნის კიდე. მთვარე უკვე ჩასულიყო, მაგრამ ბნელი ოთახიდან ყვავილნარში მდგომი სამი ფიგურა მაინც მკაფიოდ შენიშნა: მამაკაცისა, ზედ ფანჯარასთან, და ორი ქალისა, მახლობლად.

— რა გინდათ? — ხმამალა გასძახა ლუბკამ ფანჯარაში.

მამაკაცი სახით მინას მიეყრდნო. ლუბკამ იცნო ეს სახე. თითქოს მღუღარე მიეძალა ყელში. რაღა ახლა მოუნდა მოსვლა, ამ დროს, ცხოვრებაში ყველაზე უმძიმეს წუთებში..

არ ახსოვდა, როგორ გაიზრდინა ოთახები, თითქოს ქარმა ჩამოიჭროლა აიენიდან, მთელი თავის მადლიერი, უბედური გულის თრთოლვით, მარჯვე და ძლიერი მკლავებით კისერზე შემოეხვია ჭაბუკს და ნამტირალევი, ნახევრად შიშველი, დედასთან ხვეწნით გახტრებულ მთელი ტანით მიეხუტა მას.

— ჩქარა... ჩქარა...—წარმოსთქვა ლუბკამ, მოშორდა, მერმე ხელი ჩაავლო და პარმალისკენ გაიტაცა ჭაბუკი. მაგრამ უკებ მოაგონდა მისი თანამგზავრები.—ესენი ვინ არიან, შენტან ერთად?—იკითხა და ქალიშვილებს დააკვირდა.—ოღია! ნინო!.. ჩემო კარგებო!..—ორივეს ერთად შემოეხვია, ღონიერი ხელებით თავისკენ მიიზიდა ორივეს თავი და ვნებიანად დაუყოვნა სახე.—აქეთ, აქეთ... ჩქარა...—მორთოლვარე ჩურჩულით ამზობდა ლუბკა.

თავი ოცდამესამე

ისეთი ჭეშუიანი და მტერიანები იდგნენ ზღურბლზე, რომ შინ შესვლა ვერ გადაწყვიტათ,—სერგი ლევაშოვი გაუპარსავე იყო, შოფრის, თუ მონტიორის ტანსაცმელი ეცვა. ოღია და ნინო ორივე მკერდიად ჩასკენილი ქალიშვილები იყვნენ, მხოლოდ ნინო ცოტა უფრო მსუქანი იყო. ორივეს ბრინჯაოს დერი გადაჰკრავდა სახეზე, თმა მუჭი და ისეთი მტერიანი ჰქონდათ, თითქოს რმარილი წაუახიათო, ორივეს ერთნაირი მუჭი კაბები ეცვა და მხრებზე საბარგო ტომრები ეკიდა.

ესენი ბიძაშვილები იყვნენ—გვზრად ივანცოვები, რომლებსაც მამა ზგავსებული გვარების გამთავრებულ ჩეედნენ პერეომაიკელი დების—ლილი და ტონია ივანიხინებისაგან. მათზე ასეთი თქმულებაც კი იყო გავრცელებული: „თუ დებს ივანცოვებს შორის ერთ რომელიმეს ხედავ—და ისიც თეთრს, იცოდე, ესენი დები ივანიხინები არიანო“. (სწორედ ის ლილი ივანიხინა, რომელიც ომის დაწყებისას ფრონტზე წავიდა სამხედრო ფერშლად და უგზოუკლოდ დაიკარგა, სულ თეთრი იყო).

ოღია და ნინო ივანცოვები შეეცოვების მახლობლად სტანდარტულ სახლებში ცხოვრობდნენ და მათი მამები, გრიგოლ ილიას-ძესთან ერთად მუშაობდნენ მაღაროში.

— ჩემო კეთილებო, ჩემო კარგებო! საიდან გაჩნდით აქ?—ეკითხებოდა მათ ლუბკა და თავის თეთრფუნთუშა ხელებს იქნევდა. ეგონა, ივანცოვები მოდიოდნენ ნოვოჩერკასიდან, სადაც მათი და—ოღია სწავლობდა ინდუსტრიულ ინსტიტუტში. მაგრამ უკვირდა, საიდან მოხდა ნოვოჩერკასში სერგი ლევაშოვი.

— სადაც ვიყავით, იქ აღარა ვარ, — თავშეკაევებით წარმოსთქვა ოღიამ, თან ოღნავ ღიმილში მოღრიცა გამხმარი ტუჩები, და მთელი, წარბებიანად და წამწამებიანად მტვერში მოსერილი სახე, როგორღაც ასიმეტრულად შექქანდა.

— თუ იცი, ჩვენსას გერმანელები დგანან?—იკითხა მან იმ ჩვევის მიხედვით, რომელიც გამოუმუშავდა ამ ხეტიალის დღეებში, თან სწრაფად, ცალი თვალით შეათვალიერა ოთახი.

— იდგნენ, ისე როგორც ჩვენსას,—დღეს დღლით გაემგზავრნენ,—მიუგო ლუბკამ.

კიდევ უფრო გრიმასულად, დაცინვის თუ ზიზღის გამომხატველად

შეტოკდნენ ოლიას სახის ნაკეთები, როცა კედელზე შენიშნა პიტლერის სურათიანი ღია ბარათი.

— ეს თავის დაზღვევის მიზნითაა?

— დაე, ეკიდოს, — მიუგო ლუბკამ — თქვენ ალბათ საკმელი გინდათ?

— არა, თუ ბინა თავისუფალია, შინ წავალთ.

— თავისუფალიც რომ არ იყოს, რისა გეშინიათ? ახლა, როცა გერმანელებმა დონის ან დონეცისაკენ გაუხვიეს, ბევრი ჩვენიანი ბრუნდება შინ... თუ არა და პირდაპირ იტყვიეთ — სტუმრად ვიყავით ნოვოჩერკასში და შინ ვბრუნდებით-თქო, — აჩქარებით ამბობდა ლუბკა.

— არც გვეშინია. ასე ვეტყვი, — თავშეკავებით მიუგო ოლიამ.

ვიდრე ისინი ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, ზემეროსი — ნინო, თავისი ფართო თვალებით გამომწვევად გახედავდა ხოლმე ხან ლუბკას, ხან ოლიას. სერგის კი იატაკზე დაეგდო მუზეუმი გამოხუნებული რიუკზაგი, ლემელს მიყრდნობოდა, ზურგზე ზელდაწყობილი იდგა და ოდნავ დიმიორეული შესცქეროდა ლუბკას.

„არა, ესენი ნოვოჩერკასში არ ყოფილან!“ — გაუელვა ლუბკას აზრმა.

ღები ივანცოვები წაივინდნენ. ლუბკამ ფანჯრიდან შექმფარი ჩამოხსნა და მაგიდის ზემოთ დაკიდებული მაღაროს ლამაზად ჩააქრო. ოთახში, ფანჯრებსაც, დგამებსაც და აღმინათა სახეებსაც, ყველაფერს ნაცურისფერი გადაეფინა.

— პირის დაბანა გინდა?

— თუ იცი, ჩვენთან გერმანელები დგანან? — იკითხა სერგიმ, და ლუბკა დაფუსფუსებდა ოთახიდან ოთახში, პარმალში და უკან, ვიდრე არ გამოიტანა ტაშტი, წყლით სავსე კასრი, ტოლჩა და საპონი.

— არ ვიცი. ერთმა მიღიან მეორენი მოდიან. გაიხადე შენი ფორმა, ნუ გრცხვენიათ!

სერგი ისეთი კუჭკუნიანი ხეობა, რომ სულ შავი წყალი ჩამოდიოდა ხელპირიდან ტაშტში. მაგრამ ლუბკას ესაიმოვნებოდა მისი ღონიერი და ვანიერი ხელების შეხედვა, იმის შეხედვა, თუ როგორი ენერგიული, მამაკაცური მოძრაობით ისევამდა საპონს, ვანიერ პეშვებს უხვედრებდა დასხმულ წყალს და იბანდა. სერგის კქონდა მზედაკრული კისერი, დიდრონი და ლამაზი ყურები, ტუჩების ნაკეციები ვაჟკაცური და ლამაზი. წარბები კი — არა თანაბარი, მთლიანი, არამედ შესქელებული სახილურთან, თვით სახილურზედაც კი ამოსულიყო თმა, ხოლო წარბების ფრთები უფრო თხელი, ნაკლებშირი და ოდნავ აზიდული, — და აქ, ამ ფრთების ბოლოებში, შებლზე შეყრილიყვენნ ძლიერი ნაოქები. ლუბკას ესაიმოვნებოდა იმის დანახვა, თუ როგორ იბანდა სერგი პირს თავისი დიდრონი ფართო ხელებით, ლუბკას იამებოდა ისიც, რომ სერგი ხანგამოშვებით თვალს შეასწრებდა ხოლმე და გაუღიმებდა.

— ივანცოვებს სად გადაეყარე? — შეეკითხა ლუბკა.

სერგი ფრუტუნებდა, წყალს იშხეფებდა პირზე და პასუხს არ აღევდა.

— შენ ხომ ჩემთან მოხვედი, — მასადაამე, მენდობი. მაშ, რალას ინაზები? ჩვენ ორივენი ერთი ხის ფოთლები ვართ, — ნელა და შემპარავად უთხრა ლუბკამ.

— მოიტა პირსახოცი, მაღლობელი კარ, — უთხრა სერგიმ.

ლუბკა გაჩუმდა და მეტი აღარაფერი უკითხავს. მისი ცისფერი თვალები ცივი გამომეტყველებით გამოიყურებოდნენ. მაგრამ კვლავ წინანდებურად მოემსახურა სერგის, ნაე-

თქურა აანთო, ჩაიდანნი დადგა, საქმელი გამოუტანა სტუმარს და გრაფინში არაყი ჩაუსხა.

— ეს კი რამდენიმე თვეა არ გაბისინჯავს, — ღიმილით უთხრა სერგიმ.

არაყი გადაკრა და ხარბად დაეწაფა საქმელს.

უკვე ინათა. აღმოსავლეთით განფენილ თხელ ბინდს იქით ცის კიდე სულ უფრო მეტად ვარდისფერობდა და უკვე ოქროს ფერიც ეღებოდა.

— არ შეგონა თუ აქ დამხვდებოდნო, საეგებისოდ შემოვიარე, და აი, ზედავ რა გამოვიდა...—ნელი ხმით ამბობდა სერგი.

მის სიტყვებში თითქოს იმაღებოდა შეკითხვა: როგორ მოხდა, რომ ლუბკა, რომელიც მასთან ერთად სწავლობდა რადისტების კურსებზე, აქ, თავის ოჯახში აღმოჩნდა. მაგრამ ამ შეკითხვაზე ლუბკა პასუხს არ აძლევდა. მას სწყინდა ის ამბავი, რომ სერგი, რომელიც წინათაც იცნობდა ლუბკას, ფიქრობდა: ეს თავგასული გოგო ალბათ ჭირვეულობსო, — ლუბკა კი იტანჯებოდა.

— შენ ზომ მარტო არა ხარ აქ? დედ-მამა სადაა?—ჩაიციებით ეკითხებოდა სერგი.

— შენთვის ზომ სულ ერთია?—ცივად უპასუხა ლუბკამ.

— ზომ არაფერი შეემთხვათ?

— ჭამე, ჭამე, — მიუგო ლუბკამ. სერგი რამდენიმე ხანს შესცქეროდა მას, მერმე ისევ დაისხა არაყი, დალია, და უკვე უსიტყვოდ განაგრძობდა ჭამას.

— მადლობელი ვარ, — უთხრა სერგიმ, როცა ჭამა გაათავა და ზელები გაიწმინდა. ლუბკა ამჩნევდა, რომ იგი ვაუხვებულყოფილად ამ ხეტიალის განმავლობაში, მაგრამ არა ეს ვაუხვებება სწყინდა ახლა მას, არამედ სერგის უნდობლობა მის მიმართ.

— რა თქმა უნდა, მოსაწვევი არ მოგეძევათ?—იკითხა სერგიმ.

— რატომაც არა...—ლუბკამ სწრაფად და დასრულებული ფოთოლი თამბაქო. შამამისი ყოველწლიურად რგავდა თუთუნს, წელიწადში რამდენიმე მოსაველს იღებდა, ამბობდა და საქიროების მიხედვით სამართებლით წვრილად სჭრიდა.

მღუმარენი მაგიდეს უსხდნენ—სერგი მთლად ბოლში გახვეული, და ლუბკა. იმ ოთახში, სადაც ლუბკამ დედა დასტოვა, წინანდებურად სინამდვილე იყო, მაგრამ ლუბკამ იცოდა, რომ დედას არ ეძინა, იცოდა, რომ დედა სტიროდა ახლა.

— ვამჩნევ, რაღაც მწუხარება გაქვთ ოჯახში, სახეზე ვამჩნევ.

— შენ არასოდეს არ ყოფილხარ ასეთი, — ნელა უთხრა სერგიმ და გამოხედვაში შეეტყუო ისეთი სიბოლო და სინაზე, რომელიც სრულიად მოულოდნელი იყო მისი ოდნავ უხეში, ლამაზი სახისათვის.

— ახლა ყველა დამწუხარებულია, — მიუგო ლუბკამ.

— რომ იცოდე, ლუბკა, რამდენი რამ გამოვეცადე ამ ხნის განმავლობაში! — ნალელიანად წამოიწყო სერგიმ და მთლად გაეხვია ბოლში. — პარაშუტებით გადმოგვსხეს სტალინის ოლქში, — იქით ევციით, აქით ევციით. მაგრამ ყველა ფარული ბინა გამოკეტული დაგვიხვდა. და ეს არა იმიტომ, რომ ვინმემ გაგვცა, არა, იმიტომ, რომ მან, გერმანელმა, ისეთი მკიდრო ბაღე ამოუსვა, რომ შიგთათსობით მოჰყვა, მართალიცა და დამნაშავეც, — ცხადია, ვინც ცოტათ, თუ ბევრად შეინიშნული იყო, ამ ბაღეში მოჰყვა... მაღაროებში შტოლნები გვამებით არის ამოყორილი! — აღელვებით ამბობდა სერგი, — ცალკეალე ველშობლით, მაგრამ კავშირი მაინც ვეჭონდა, მერმე კი თავიც ა-

რია და ბოლოც. ჩემს მეტოლეს მკლავი მოსტეხეს, ენა მოსჭრეს, მეც გამაბამუნენ, შემთხვევით ნინო რომ არ მენახა სტალინოში. ისა და ოლგა მეკავშირებებად წაიყვანეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა სტალინოს საოლქო კომიტეტი იყო ჩვენთან, კრასნოდონში. ისინი უკვე მეორედ იყვნენ სტალინოში. იქვე გამოირკვა, რომ გერმანელები უკვე დონზე იყვნენ გასულნი. ქალიშვილებმა იცოდნენ, რომ არც ერთი მათი გამგზავნი აღარ იყო კრასნოდონში, ჩემს გამოძახებზეც არაფერი იძლეოდა პასუხს. გადამცემი ჩავაბარე ფარულად მომუშავე საოლქო კომიტეტის რადისტს, გადაეწერებოდა შინ დაბრუნება, და ის იყო, მოვლილით კიდევ... როგორ ვლელავდი შენს გამო!—უცებ გულის სიღრმიდან აღმოხდა სერგის, — რა ეშველება, თუ ისე, როგორც ჩვენ, ჩასხეს მტრის ზურგში და მარტო დარჩა-მეთქი? ან იქნებ სადმე ჩავარდა, და ვინ იცის, იქნებ გერმანელები სტანკავენ-მეთქი, ვფიქრობდი, — ყრულ, თავშეკავებით ამბობდა, მაგრამ არა თბილი და ნაზი გამომეტყველებით, არამედ ისე ვნებიანად, რომ პირდაპირ სჭვალავდა მთელ მის სხეულს.

— სერიოჟა! სერიოჟა! — წარმოსთქვა ლუბკამ, ოქროსფერი თავი ძირს ჩაჰკიდა და ხელები შეაშველა.

სერგიმ თავისი დიდი ძარღვიანი ხელი ფრთხილად გადაუსვა თავსა და ხელზე.

— მე აქ დამტოვეს!—თვითონაც იცა, რისთვის... მითხრეს, ზრძნებას ელოდეთ, — აგერ თვე ხდება და არაფერი ისმის, არც არაფერი ჩანს, — წყნარად, თავაუწველად ამბობდა ლუბკა, — ისე მესევიან გერმანელი ოფიცრები, როგორც ბუნები თაფლს, ჩემს სიცოცხლეში პირველად გასაღებ თავს იმად, რაც არა ვარ, ეშმაკმა იცის, რა ხერხს არ მივმართე,

თავს ვიძებრენდი, მეზღუნებდა გასუნება, საშინლად უკმაყოფილოდ ჩემი თავისა. გუშინაც უფრო უფრო დანდაბრუნებულებმა მიამბეს, — მამაჩემი გერმანელებს მოუტყავთ დონეცის ნაპირზე, დაბომბისას, — ამბობდა ლუბკა და აღისფერ ტუჩებს სიმწრით იკვნიტდა.

მზე მალა მიიწვედა ტრამალზე და მისი თვალისპირა მკრედი სხივები ციმციმებდნენ ჰიზბლდაკრულ ეტერნიტის სახურავებზე. ლუბკამ თავი მალა აიქნია და კულულები შეარხია.

— უნდა წახვიდე! როგორ აპირებ აქ ცხოვრებას?

— ისე, როგორც შენ. აკი შენ თვითონ სთქვი, ჩვენ ერთი ხის ფოთლები ვართო, — დიმილით მიუგო სერგიმ.

ლუბკამ სერგი ეზოს უკანა მხარეზე გადააცილა, თვითონ კი ჩქარა გამოეწყო, რაც შეიძლებოდა უბრალოდ ჩაიკვია, გოლუბიატნიკში მოხუც ივანე გნატეკოსთან მიეჩქარებოდა.

ლუბკა დროზე წაეიდა. სახლის კარზე მაგრად დააკაკუნეს. ეს სახლი ვიროშლოვერადის გნატეკილის მახლობლად იდგა. აკაკუნებდნენ ღამის გასათევად მოსული გერმანელები.

ვალკო მთელი დღე მშვიერი იწვა თავანზე. იპიტომ, რომ შეუძლებელი იყო მასთან მისვლა. ღამით კი ლუბკა დედის ოთახის ფანჯრიდან გადაძვრა და ძია ანდრი სენიკოვი წაიყვანა, სადაც, დაპირების თანახმად, სანდო აღამიანის, ნაცნობი ქვრივი ქალის ბინაში უნდა შეხვედროდა ივანე კონდრატეს-ძეს.

ვალკომ სწორედ აქ გაიგო კონდრატევიჩისა და შულგას შეხვედრის მთელი ისტორია. ვალკო ახლგაზრდობის დროსაც იცნობდა შულგას, როგორც კრასნოდონელ მეზობელს,

აცნობდა მას აგრეთვე უკანასკნელი წლების განმავლობაში ოლქში მუშაობიდანაც. ვალკოს ახლა ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ შულგა იყო ერთი იმ პირთაგანი, რომელიც დატოვებული იყო კრასნოდონში ფარული მუშაობის ხელმძღვანელად. მაგრამ ის კი არ იცოდა, თუ როგორ უნდა მოენახა იგი.

— მაშ, არ გენდო არა?—ოღნავ უხეში ღიმილით ეკითხებოდა ვალკო კონდრატოვიჩს.—ჰჰ, სულელი!—მას არ ესმოდა შულგას საქციელი.— შეილი რას შერება?—მოღუშვით ჩაუქრა თვალი ვალკომ.

— აბა ვინ იცის, — კონდრატოვიჩმა თავი ჩაჰკიდა. — პირდაპირ შევეკითხე: „იმუშავებ ფუ არა გერმანელებთან-მეთქი? — პატოსნად მითხარი მე, მამას, რომ ვიცოდე, თუ რას უნდა მოველოდე შენგან-მეთქი?“ — მიპასუხა: „— რას ამბობ, სულელი კი არა ვარ, იმათ ვემსახურო? უამისოდაც ნაკლებად კი არ ვიცხოვრებ მათთანო!..“

— ეტყობა, მოსაზრებული კაცი ყოფილა, მამას კი არ დამსგავსებია, — სიცილით წარმოსთქვა ვალკომ. — შენ კი სწორედ ეს გამოიყენე. ჰმა დაარბიე ყველგან, რომ იგი საბჭოთა ხელსუფლების დროს პასუხისმგებაში იყო. იმისთვისაც კარგია, და შენც უფრო დამშვიდებული იქნები გერმანელებთან.

— ეჰ, ძია ანდრო, არ შეგონა თუ ასეთ თინებს მასწავლიდი! — გულნატკენად დაბალი ხმით უთხრა კონდრატოვიჩმა.

— ეჰ, ჩემო ძმაო, მოხუცი კაცი ხარ და ამ თეთრი ხალათით გინდა გერმანელების დაძლევა?... სამუშაოზე ხომ დადები?

— რის სამუშაო? მალარო ხომ აფეთქებულია!

— მაშ, როგორც ამბობენ, სამსახურში ხომ გამოცხადდი?

— რადაც ვერა გავიგე რა თქვენი,

ამხანაგო დირექტორო... — კონდრატოვიჩი კიდევ დაიბნა იმდენად ეწინააღმდეგებოდა ვალკოს სიტყვებს, რა წესითაც გადაწყვეტილი ჰქონდა ეცხოვრა გერმანელებთან.

— მაშ არ გამოცხადდი! შენც ადეკი და გამოცხადდი. — მშვიდად უთხრა ვალკომ. — მუშაობო ხომ სხვა და სხვა გვარად შეიძლება. ჩვენთვის კი მთავარია ადამიანების შენარჩუნება.

ვალკო იმავე ჰქრივ ქალთან დარჩა, მაგრამ მეორე ღამეს ბინა გამოიცივალა. მისი ახალი ადგილსამყოფელი იცოდა მხოლოდ კონდრატოვიჩმა, რომელსაც განუსაზღვრელად ენდობოდა ვალკო.

რამდენიმე დღის განმავლობაში კონდრატოვიჩისა და ლუბკას დახმარებით, აგრეთვე სერგი ლევანოვისა და იმავე ლუბკას მიერ რეკომენდებული დების ივანოვების დახმარებით, ვალკო ცდილობდა გაეგო, თუ რას აპირობდნენ ქალაქში გერმანელები, იმავე დროს კავშირს აბამდა ქალაქში დარჩენილ პარტიის წევრებსა და ნაცნობ უპარტო ადამიანებთან. მაგრამ შულგა მაინც ვერ აღმოაჩინა. მხოლოდ ლუბკა წარმოადგენდა ერთად-ერთ ძაღს, რომელსაც შეეძლო ფარულად მომუშავე საოლქო ორგანიზაციასთან მისი დაკავშირება, მაგრამ ლუბკას ხასიათისა და საქციელის მიხედვით ვალკო ხელებოდა, რომ იგი მშვერავი იყო და დრომდე არაფერს არ გაუმხელდა მას. ვალკომ გადასწყვიტა დამოუკიდებლად ემოქმედნა იმ იმედით, რომ ერთი მიზნისკენ მიმავალი გზები, ადრე თუ გვიან, მაინც შეიყრებიანო. ლუბკა გაგზავნა ოლეგ კოშევიჩთან, რომელიც სწორედ ახლა უნდა გამოდგომოდა მას.

— მე, პი-ირადად შემიძლია შეეუხვდე, ძია ანდრიას? — შეეკითხა ლუბკას ოლეგი, თან ცდილობდა ქალიშვილს არ ეგრძნო მისი მღელვარება.

— არა, პირადად მისი ნახვა არ შეიძლება, — ბუნებრივად გაიცინა ლუბკამ. — ჩვენ ზომ, მართლა, სიყვარულის საქმე გვაქვს... ნინოჩკა, მოდი გაიცანი ეს ახალგაზრდა კაცი! ოლეგმა და ნინომ რაღაც უხერხულად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. ერთიცა და მეორეც დაიბნა.

— არა უშავს რა, ჩქარა შეეჩვევით ერთმანეთს. — უთხრა მათ ლუბკამ. — მე ახლა დაგტოვებთ, თქვენ კი ხელი გაუყარეთ ერთმანეთს და სადმე გაიარეთ, გულდანდობით მოილაპარაკეთ იმის შესახებ თუ როგორ უნდა იცხოვროთ. გისურვებ სიამოვნებით გაატაროთ დრო! — წარმოსთქვა მან და ცბიერებით სავსე თვალები ააციმციმა, თავისი ღია ფერის კაბა შეარხია და ფარდულიდან გაფრთხილდა. ერთი მეორის პირისპირ იდგნენ ისინი: ოლეგი — დაბნეული და დარცხვენილი, ნინო, რომლის სახესაც გამომწვევი იერი დაპკრავდა.

— აქ ჩვენი დარჩენა არ შეიძლება. — ერთგვარი ძალდატანებით, მაგრამ მშვიდად წარმოსთქვა ქალიშვილმა. — უმჯობესია, წავიდეთ სადმე... და, მართლაც, უკეთესი იქნება თუ თქვენ გამოიყრით ხელს...

ამ უცნობ ქალიშვილთან ხელგაყრილად გამოსულე ძმისწულის დანახვისას უდიდესი ვაოცება გამოისახა ეზოში მარტოდ მოსეირნე ძია კოლიას სახეზე.

ისინი, ოლეგიცა და ნინოც, ჯერ კიდევ იმდენად გამოუცდელი და ახალგაზრდები იყვნენ, რომ დიდხანს უხერხულად გრძნობდნენ თავს ერთმანეთთან სიახლოვით. ყოველი მიკარება სიტყვის წარმოთქმის უნარს უკარგავდა, როგორც ერთს, ისე მეორეს. ერთიმეორეში გაყრილი მკლავები გახურებულ რკინის შანთებთან ეჩვენებოდათ.

ყმაწვილებთან გუშინდელი შეთანხმების შესაბამისად, ოლეგს უნდა და-

ეზვერა პარკის ის ნაწილი, რომელსაც ბაღის ქუჩა ებრჯინებოდა, და ნინოც სწორედ ამ მიმართულ წიგნს წაუკვანა. ბაღის ქუჩაზე, და თვით პარკის გასწვრივ, თითქმის ყოველ სახლში იდგნენ გერმანელები, მაგრამ გასცდნენ თუ არა ჭიშკარს, ნინომ ერთბაშად ისეთი წყნარი ხმით დაიწყო ლაპარაკი საქმეზე, თითქო რაღაც ინტიმურ ამბავს ჰყვებოდა.

— შენთვის შეუძლებელია ძია ანდრიას ნახვა, შენ ჩემთან გექნება კავშირი... ოლონდ ეს არ უნდა გეწყინოს, მეც ჯერ ერთხელაც კი არ მინახავს იგი... ძია ანდრიამ ბრძანა გავიგოთ: გყავს თუ არა შენ ისეთი ყმაწვილები, რომლებსაც შეუძლიათ გაიგონ, ჩვენებიდან ვინ არის დაპატიმრებული გერმანელების მიერ...

— ერთმა, მეტად გულადმა ყმაწვილმა ხელი მოჰკიდა ამ საქმეს, — სწრაფად მიუგო ოლეგმა.

— ძია ანდრიამ ბრძანა, რომ შენ უნდა მიამბო ყველაფერი, რაც კი იცი... როგორც ჩვენიანების, აგრეთვე გერმანელების შესახებ.

ოლეგმა გადასცა ის, რაც მას უამბოტიულენინმა ერთს ფარულად მომუშავეზე, რომელიც ეგნატე ფომინმა გერმანელებს ჩაუგდო ხელში, უამბო ისიც, რაც მას ღამით უთხრა ვალოლია ოსმუნინმა.

— ეი-იდრე ჩვენ აქ ესაუბრობთ, — ღიმილით წარმოსთქვა ოლეგმა — საამი საზენიტო ქვემეხი უკვე დავთვალე, სკოლიდან მხარმარჯენივ, იქით, სიღრმეში, ხოლო მის გვერდით ბაბლინდაცია, ავტომანქანები კი არ ჩანან...

— ოთხლულიანი ტყვიამფრქვევი და ორი გერმანელი კი სახურავზეა? — უცებ იკითხა ქალიშვილმა.

— ეს კი ვერ შეენიშნე, — გოაცებით მიუგო ოლეგმა.

— იქიდან, სახურავიდან მთელი ბაღი ხელის გულივით მოსჩანს, — ცოტა

არ იყო დაყვედრებით წარმოსთქვა ქალიშვილმა.

— მაშ, შენც ყველაფერს უთვალთვალე, არა? განა შენც დაგავალეს?—არ ეშვებოდა ოლეგი.

— არა, მე ისე, ჩემთვის, ჩვეულებებისამებრ—უთხრა ქალიშვილმა და ანაზად თითქოს გონს მოვიდაო, გამომწვევად მიანათა ოლეგს თავისი ძლიერი, შეყრილი წარბების ქვეშ მოციმციმე თვალები და გაიფიქრა:— მეტისმეტად ხომ არ გამოვაძღვალენ თავიო.

მაგრამ ოლეგი ჯერ კიდევ საკმაოდ გულუბრყვილო ჰაბუკი იყო და ეპიც კი არ აუღია.

— აჰა... აი მანქანებიც,—მთელი წყება ცხვირი მიწაში წაუყვიათ, მხოლოდ მარბების კიდევები უჩანთ, იქვე ბოლავს მათი სალაშქრო სამზარეულო! ხედავ? მხოლოდ, შენ ნუ გაიხედავ იმ მზარეს!—გატაცებით ეუბნებოდა ოლეგი.

— არავითარ საჭიროებას არ მოითხოვს ვუტკირო: ვიდრე სკოლის სახურავიდან სათვალთვალო პუნქტი მოხსნილი არ არის, სულერთია, შრიფტს, შაიხც ვერ ამოვთხრით, — მშვიდად სთქვა ქალიშვილმა.

— მა-ართალია!...—ოლეგმა ჭიამონებით გადაჰხედა მას და გაუღიმა.

— ძია ანდრიამ რომ მკითხოს, ვერ მეტყვი, როგორ მოვნახო ოსმუნინი? ოლეგმა ყორა არუთინიანცის მისამართი მისცა.

ისინი უკვე მიეჩვივნენ ერთმანეთს, ახლა უკვე აუჩქარებლად მიდიოდნენ, და ნინოს მსუქანი, დიდი ქალური ხელი გულდანდობით ესვენა ოლეგის ხელში. ბალს ჩაუარეს. მათს მზარმარჯენიც, ქუჩის გასწვრივ, სტანდარტული სახლების გვერდით, გერმანელთა მანქანები იდგნენ. აქვე იდგნენ საბარგო და სხვა-და-სხვა მარკის მსუბუქი მანქანები, საველე რადიოსადგური, სანიტარული ავტო-

ბუსი და ირგვლივ ირეოდნენ გერმანელი ჯარისკაცები. მზარმარჯენიც გადაშლილიყო უშენი, ზოგჯერ სიღრმეში, ყაზარმული ტიპის ქვიტკირის სახლის გვერდით, ცისფერ სამხრეზე თეთრზონარშემოვლებული გერმანელი სერჟანტი აშეცადინებდა გერმანული თოფებით შეიარაღებულ სამოქალაქო ტანსაცმლიან რუს მოქალაქეთა მცირე ჯგუფს. ისინი ხან მწყობრში დადგებოდნენ, ხან გაიფანტებოდნენ, ხან მიწაზე გაწოლილნი მიხობავდნენ, ხან კიდევ ხელჩართულ ბრძოლას მართავდნენ. ყველა ისინი ხანშესულნი იყვნენ, და ყოველ მათგანს სახელოზე სვასტიკა ჰქონდა დაკერებული.

— ფრიცების ყანდარმია... პოლიციელებს ასწავლის, თუ როგორ უნდა დაიჭირონ ჩვენი ძმები,—თვალის აელეებით წარმოსთქვა ნინომ.

— შენ საიდან იცი?—შეეკითხა ოლეგი და მოაგონდა, რაც მას ტიულენინმა უამბო.

— მე უკვე ვნახე ისინი.
— ნაძირალები!—ზიზლითა და მძულვარებით ჩაილაპარაკა ოლეგმა,— ასეთები სულ უნდა ელიტო და ელიტო...

— ოლონდაც!—დაუდასტურა ნინომ.

— გინდა პარტიზანი იყო?—მოულოდნელად შეეკითხა ოლეგი.

— მინდა.

— არა, ერთი ეს მითხარი, წარმოდგენილი გაქვს, თუ რა არის პარტიზანი? პარტიზანის მუშაობა სრულიადაც არ არის თვალსაჩინო, მაგრამ ის უაღრესად საპატიო საქმეა! პარტიზანი მოჰკლავს ერთ გერმანელს, მოჰკლავს მეორეს, მოჰკლავს მესამეს, მოჰკლავს ასს, ზოლო ასმეერთეს შეუძლია თვითონ იგი მოჰკლას. ეს საქმე თავდადებას მოითხოვს. პარტიზანი არასოდეს არ უფრთხილდება თავის პირად სიცოცხლეს. იგი სამშობლოს ბედნიერებაზე უფრო მალდა

ვერასოდეს ვერ დააყენებს თავის სიცოცხლეს. და თუ საჭირო იქნება სამშობლოს წინაშე ვალის მოხდა, იგი არასოდეს არ დაზოგავს საკუთარ სიცოცხლეს. პარტიზანი არასოდეს არ გაჰყიდის და არ გასცემს თავის ამხანაგს. მე მინდა ვიყო პარტიზანი—ისეთი ღრმა, წრფელი, გულუბრყვილო გატაცებით ამბობდა ოლეგი, რომ ნინომ თვალი მიიპყრო მას, და ამ თვალში გამოისახა რაღაც მეტისმეტი უბრალოება და ნდობა ოლეგისადმი.

— ყური მიგდე, ნუ თუ ჩვენ მხოლოდ საქმის გამო შეგვხვდებათ ერთმანეთს?—ანაზღად წარმოსთქვა ოლეგმა.

— არა, რატომ მხოლოდ საქმის გამო, ჩვენ ისედაც შეგვიძლია შეგვხვდეთ ერთმანეთს... როცა თავისუფალი ვიქნებით,—ცოტა არ იყოს დარცხვენით მიუგო ნინომ.

— შენ სად ცხოვრობ?

— შენ ახლა გცალია? იქნებ, გამაცილებ კიდევ? მინდა გავაცნო ჩემი უფროსი და—ოლია,—უთხრა ქალიშვილმა, არც თუ ისე დარწმუნებულმა იმაში, რომ მას სწორედ ეს უნდოდა ეთქვა, და არა სხვა რამე.

ახალი ნაცნობობითა და მისი საქმეების ასე წარმართვით გაბედნიერებული, ძალიან მოშეებული ოლეგი შინ ბრუნდებოდა. მაგრამ ეტყობოდა, დღეს უკვე ვერ ეღიარებოდა საკმელს, რადგან წინ შემოხვდა ძია კოლა:

— დიდი ხანია გიდარაჯებ: სულ შენ დაგებებს ის „კანაუა“ (ასე ეძახოდნენ ისინი დენშჩიკს).

— ეე—შმაკსაც კი წაუღია!—უღარდელად მიუგო ოლეგმა.

— მაინც ისა სჯობს, რაც უფრო შორს იქნები მისგან. იცი თუ არა, რომ ვიქტორ კისტრინოვი აქ არის, გუშინ გამოცხადდა. გერმანელებს დონიდან დაუბრუნებიათ. მოდი შევი-

დეთ მასთან, კარგია, რომ მის დიასახლისთან გერმანელები არ დგანან, უთხრა ძია კოლაიმ. გულმოდგინედ ნიკოლოზ ნიკოლოზის-მის თანამოსამსახურე და მისი მეგობარი ახალგაზრდა ინჟინერი ვიქტორ კისტრინოვი უჩვეულო ახალი ამბით შეხვდა მათ.

— გაიგეთ? სტეცენკო ბურგომისტრად დანიშნეს!—წამოიძახა მან და ავი ძალღვივით ცალი ყბით დაიღრინა.

— რომელი სტეცენკო? საგეგმო განყოფილების უფროსი?—ამ ამბავმა თვით ძია კოლაიც კი გააკვირვა.

— სწორედ იგი.

— ნუ ხუმრობ!

— სახუმრო როდია.

— ეს შეუძლებელია! ისეთი ჩუმი, ბეჯითი, საქმის ამსრულებელი, თავის სიცოცხლეში არავისთვის უწყენინებია...

— სწორედ ის სტეცენკო, ჩუმი, თავის სიცოცხლეში რომ არავისთვის უწყენინებია, სწორედ ის სტეცენკო, ურომლისოდ წარმოუდგენელი იყო რაიმე ქეიფი, ან პრეფერანსის თამაში, ის სტეცენკო, რომელზეც ყოველთვის ამბობდნენ: აი ნამდვილი ჩვენი კაცი, აი ადამიანის სული და გული, საყვარელი, სიმპატიური, ტაქტიანი კაციო,—სწორედ ის სტეცენკო გახლავთ ჩვენი ბურგომისტრი,—ამბობდა გამხდარი, და კათანდარა, ხიშტივით გაკუთხული, აღრენილი ვიქტორ კისტრინოვი და სიბრაზის გამო დორბლს ჰყრიდა.

— თუ კაცი ხარ, მაცალე გონს მოსვლა, ამბობდა—ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე, რომელსაც დაუჯერებლად მიაჩნდა ეს ამბავი.—საოცარია, ინჟინერთა შორის არ ყოფილა არც ერთი ნადიმი, სადაც იგი არ ყოფილიყო მიწვეული! მე პირადად რამდენი არაუცი დამიღვეია მასთან! და უნდა გითხრათ, არა თუ რაიმე არალოიალური, არამედ უბრალო, ხმა-

ღალი სიტყვაც კი არა მსმენია მისგან... წარსული მაინც ჰქონოდა ცუდი, კიდევ მო,—მას ხომ ყველანი კარგად იცნობდნენ: მაპასახლისი წერილ მოხელეთა წრიდან იყო გამოსული, თვითონ კი ათასოდეს არაფერში ყოფილა გარეული..

—მე თითონ დამილევიას მასთან არაყი ახლა კი, ჩვენ როგორც ძველ ნაცნობებს, პირველთ ჩაგვაგლეებს საკინძეში ხელს და—ან უნდა იმსახურო, ანდა...—კისტრინოვმა წერილი თითებიანი ხელით ჰერ ქვეშ, ჰაერში მარყუჟი შემოხაზა,—ესეც შენი სიმპატიური ადამიანი!...

ისინი ყურადღებასაც კი არ აქცევდნენ მღუმარე ოლეგს, კიდევ კარგა ხანს განიცდიდნენ ამ ამბავს, მსჯელობდნენ, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ყოველივე ის, რომ კაცი, რომელსაც ისინი რამდენიმე წლის განმავლობაში იცნობდნენ, და რომელიც ყველას მოსწონდა, ბურგომისტრად დამდგარიყო გერმანელებთან. ყველაზე უფრო სარწმუნოდ ეჩვენებოდათ შემდეგი ვარაუბები: გერმანელებმა ალბათ სიკვდილის მუქარით აძულეს სტეცენკო დამდგარიყო ბურგომისტრად. მაგრამ რატომ მაინც და მაინც სტეცენკო შეარჩიეს გერმანელებმა? და შემდეგ შინაგანი ჯმა, სინდისის ის იღუმელი, ყველაზე უმწიკვლო ხმა, რომელიც ცხოვრებაში თვით ყველაზე უფრო განსაზღვრავს ხოლმე ადამიანთა მოქმედებას, ცხოვრებაში თვით ყველაზე უფრო პასუხსაგებ და საშინელ წუთებში უკარანახებდა მათ: თვით ისინი, ეს ჩვეულებრივი, რიგითი საბჭოთა ინჟინრები რომ დამდგარიყვნენ ასეთი არჩევანის წინაშე, სულიერად ასე დაეცმას უთუოდ სიკვდილს ამჯობინებდნენ.

არა, ცხადია, არც თუ ისე ადვილად იყო საქმე, რომ სტეცენკო სიკვდილის შიშით დათანხმებულიყო

და ეკისრნა ბურგომისტრობა. ამ გუგუბარი მოვლენის წინაშე მდგარი, ისინი უკვე მერამდენს ვეღარ იმეორებდნენ:

— სტეცენკო! გამაგებინე, გეთაყვა.. არა, ერთი თვითონ დაფიქრდი მაშ, ვისლა შეიძლება ვენდოთ?..

მხრებს იჩეჩდნენ და ხელებს ასავსაევებდნენ.

თამი ოცდამოთხე

ტრესტ „კრასნოდონუგოლის“ საგეგმო განყოფილების უფროსი სტეცენკო, არც თუ ისე მოხუცი იყო, ასე ორმოცდახუთიდან ორმოცდაათამდე წლია თუ იქნებოდა. იგი მართლაც წერილი მოხელისშეილი იყო. მამამისი რევოლუციამდე აქცისში მსახურებდა და მართლაც არასოდეს არაფერში „არ ყოფილა გარეული“. სტეცენკო განათლებით ინჟინერ-ეკონომისტი იყო და მთელ თავის სიცოცხლეში მგეგმავ ინჟინრად მუშაობდა სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებში.

არ შეიძლება ითქვას, რომ იგი სწრაფად აპყლოდეს სამსახურებრივი კიბის საფეხურებს. მაგრამ ერთ ადგილზეც არ იდგა: შეიძლება ითქვას, რომ სართულიდან სართულზე კი არ აღიოდა არამედ საფეხურიდან საფეხურზე. მაგრამ ყოველთვის უკმაყოფილო იყო იმ ადგილისა, რომელიც ცხოვრებაში ეკავა.

უკმაყოფილო იყო არა იმით, რომ მის შრომისმოყვარეობას, ენერგიას, ცოდნას ვთქვათ, არასაკმარდ იყენებდნენ და ამიტომ ცხოვრებისგან ვერ იღებდა იმას, რისი ღირსიც იყო. იგი უკმაყოფილო იყო იმით, რომ ცხოვრებისგან ვერ იღებდა მთელ მის სიკეთეს შრომის, ენერგიისა და ცოდნის დაუხარჯავად. ხოლო ის ამბავი, რომ ასეთი ცხოვრება შესაძლებელი და

სასიამოვნო იყო, ამას სტეცენკო თვითონ შეესწრო ძველ დროში, ახალგაზრდობისას. ახლა კი იმ ძველი დროის, ან საზღვარგარეთელი ცხოვრების შესახებ მას უყვარდა წიგნებში კითხვა.

არ შეიძლება ითქვას, რომ მას სურდა გამხდარიყო ზღაპრულად მდიდარი, დიდი მრეწველი, ვაჭარი, ან ბანკირი,—ყველა ეს აგრეთვე მოითხოვდა ენერჯიასა და მღელვარებას: მუღმივი ბრძოლა, მეტოქეებთან ჭიდილი, გაფიცვები, რალაც, ეშმაკმა იცის, კრიზისები! მაგრამ ზომ არსებობს ამქვეყნად იოლი შემოსავალი, რაიმე რენტა ან კარგი ჯამაგირი რომელიმე მშვიდსა და საპატრიო თანამდებობაზე,—ყოველივე ეს არსებობს ყველგან, მხოლოდ „ჩვენში კი არა“. ცხოვრების მთელი განვითარება „ჩვენში“ სტეცენკოს არწმუნებდა, რომ წლები მიჰქრიათ, იგი კი სულ უფრო შორდებოდა ცხოვრების იდეალს. ამიტომ ეზიზღებოდა ის საზოგადოება, რომელშიაც ცხოვრობდა.

მაგრამ საზოგადოებრივი წყობილებითა და საკუთარი ბედით უქმყოფილო სტეცენკოს არავითარი ღონისძიებისათვის არ მიუშართავს ამ საზოგადოებრივი წყობილებისა და საკუთარი ბედის შესაყელად, რადგან ყველაფრისა ეშინოდა. მას იმისიც კი ეშინოდა, რომ მსხვილად ეკორაენა და უაღრესდ ჩვეულებრივი, რიგითი მეჭორე კაცი იყო, არასოდეს არ გასცილებია საზღვრს, ლაპარაკობდა მხოლოდ იმაზე, თუ ვინ რამდენს სვამდა და ვინ ვისთან ცხოვრობდა. კონკრეტულად არავის არ აკრიტიკებდა, არც მახლობელთ, არც შორეულთ, მაგრამ უყვარდა ლაპარაკი საერთოდ ბიუროკრატიზმზე დაწესებულებებში, პირადი ინიციატივის უქონლობაზე სავაჭრო ორ-

განიზაციებში, „თავისი დროის“ ინტენრებთან შედარებით ახალგაზრდა ინტენერთა განათლებით, სწავლებით, სადილოებსა და აბანოების უკულტურო მომსახურებაზე. არასოდეს არაფერი არ აკვირებდა და ადამიანისაგან აუცილებლივ ყოველგვარ სიამეს მოელოდა. თუ ვინმე დაიწყებდა ლაპარაკს დიდი გაფლანგვის, საიდუმლო მკვლელობის, ან ოჯახური უქმყოფილების შესახებ, სტეცენკო ასე იტყოდა:

— მე პირადად არ მივირის. ყველაფერი მოსალოდნელია. იცით, რა უნდა გითხრათ, მე ეცხოვრობდი ერთ მეტად კულტურულ ქმრიან ქალთან, რომელმაც ბოლოს გამქვრდა...

ისე, როგორც ადამიანთა დიდი უმრავლესობა ჩვენში, ყველაფერი, რასაც კი იგი იცემდა, რითაც ბინას იწყობდა, რითაც იბანდა და კბილებს იწმენდა, — მშობლიური წარმოშობისა და მშობლიური მასალისაგან იყო გაკეთებული. როცა იგი საზღვარგარეთ მივიღინებაში წამყოფ ინტენრებთან იყო და არაყს შექცეოდა, უბრალოდ და ეშმაკურად იტყოდა ზოლმე:

— ჩვენებურია, საბჭოთა! — თან მსუქანი და მისი ვეება აგებულებითისათვის შეუფერებელი პატარა ხელით ისრესდა ზოლებიანი ფოჯაკის სახელოს. და შეუძლებელი იყო იმის გაგება, სიამაყის გრძნობათ ამბობდა ამას თუ დაცინვით.

მაგრამ გულში ამხანაგების მიერ საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ჰალსტუხი და კბილის ჩოთქი იმდენად შეშურდა, რომ მისი ჟოლოსფერი მელოტი თავი ოფლის წინწყლებით იფარებოდა.

— მშვენიერი ნივთია! — ამბობდა იგი, — აიღეთ, თუ გნებავთ, ბენზინის ასანთი, ის ერთადიამავე დროს ჯიბის დანაცაა და პულვერიზატორიც!

არა, რაც უნდა იყოს, ჩვენში ასე ვერ გააქვთბენ, — ამბობდა ეს მოჭილაქე იმ ქვეყნისა, სადაც ასობითა ჯათასობით უბრალო გლეხიქალი კობზინებზე, საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობდა.

სტეცენკო აქებდა საზღვარგარეთელ კინოსურათებს, თუმცა იმის არასოდეს არ ენახა, და შეეჭო მთელი საათობით, დღეში რამდენჯერმე ეფურცლა საზღვარგარეული ფურნალები, — არა ის სამთო საქმეთა ფურნალები, რომლებიც ზოგჯერ ხვდებოდა ხოლმე ტრესტში, უბრალოები არ აინტერესებდა მას, რადგან ენები არ იცოდა და არც ცდილობდა მათ შესწავლას. სტეცენკოს აინტერესებდა ზოგიერთი თამაშისამსახურის მიერ საზღვარგარეოდან ჩამოტანილი სამოდო ფურნალები და საერთოდ ისეთი ფურნალები, რომლებშიც ეხატა კობზიად გამოწყობილი და რაც შეიძლება უფრო პეტად გაშიშვლებული ქალები.

მაგრამ ყველა მის ნათქვამში, გემოვნებაში, ჩვეულებასა და მიდრეკილებაში არაფერი ყოფილა ხოლმე ხაზგასმული, რაც მკვეთრად გამოყოფდა მას სხვა ადამიანებისაგან. იმიტომ, რომ ბევრი, ძალიან ბევრი ადამიანი, რომელთაც ჰქონდათ სულ სხვაგვარი ინტერესი ცხოვრებაში, აზრი და მისწრაფებანი და სულ სხვაგვარი მოღვაწეობით იყვნენ გართულნი, — სტეცენკოსთან ურთიერთობის დროს, ამა თუ იმ შემთხვევაში ამჟღავნებდნენ ასეთსავე გემოვნებასა და შეხედულებებს და სრულიადაც არ ფიქრობდნენ იმაზე, რომ მათს ცხოვრებაში ამ გემოვნებასა და შეხედულებებს ეკავათ მეთე თუ უკანასკნელი, ან უბრალოდ შემთხვევითი ადგილი, ხოლო სტეცენკოს ცხოვრებაში კი ისინი წარმოადგენენ მთელი მისი ბუნების გამოხატულებას.

ასე იცხოვრებდა ალბათ ეს ხორზობა, ეოლოსფერი სახისა და შელოტი, ზანტი, არა გამოშვებული მდ ღირსეულად დარბაისელი უჩინარა, მკერდიდან მომდინარე ხმით მოლაპარაკე, ძველი ლოთის წერილი ჩაწითლებული თვალებით გამოშინებული კაცი. ალბათ, ბოლომდე იცხოვრებდა ისე, რომ არავისთან არ იმეგობრებდა, უკლებლივ ყველას მიერ მიღებული, იცხოვრებდა მისთვის საძულველი სამსახურის დღისა და ღამის საათებში, დაესწრებოდა ადგილკომის სხდომებს, რომლის აუცილებელი წევრიც იგი იყო, იცხოვრებდა სმაჰამისა და პრეფერანსის თამაშში გართული, თანაც, საკუთარი ნებასურვილის დამოუკიდებლად, ნელნელა აპყვებოდა სამსახურებრივი კიბის საფეხურებს, — ალბათ ასე იცხოვრებდა, რომ...

სტეცენკოსთვის იმთავითვე ცხადი იყო, რომ ქვეყანა, რომელშიც ეს უჩინარა ცხოვრობდა, ვერ გაუშვალავდებოდა გერმანიას: არა იმიტომ, რომ მას ჰქონოდა ცნობები ორივე ამ ქვეყნის რესურსების შესახებ და კარგად ყოფილიყოს გარეული საერთაშორისო ურთიერთობის საკითხში; არა, მან სრულიად არაფერი იცოდა და არც სურდა ცოდნოდა არც ერთისა და არც მეორის შესახებ, არამედ იმიტომ, რომ ქვეყანა, რომელიც არ შეესაბამებოდა მისი ცხოვრების იდეალს არ შეიძლებოდა გამკლავებოდა იმ ქვეყანას, რომელიც, მისი აზრით სავსებით შეეფერებოდა მისი ცხოვრების იდეალს. და იენისის იმ კვირა დღეს, როცა რადიოთი მოისმინა მოლოტოვის სიტყვა, სტეცენკომ შინაგანად იგძნო ერთგვარი მოუსვენრობა, მღელვარების მავარი რამ, რასაც კაცი შეჩვეული ბინის გამოცვლისას გრძნობს.

ყოველი ცნობა წითელი არმიის მიერ ისეთი ქალაქების დატოვების

შესახებ, რომლებიც სულ უფრო შორავდნენ საზღვარს, უფრო და უფრო არწმუნებდა მას, რომ საჭიროა ბინის გამოცვლა. ხოლო მტრის მიერ კიევის დაკავებისას სტეცენკო თითქოს ახალი საცხოვრებელი ადგილისაკენ მიემუყრებოდა და ბინის მოწყობისა და ათვისების გრანდიოზული გეგმები უტრიალებდა თავში.

ამგვარად, კრასნოდონში გერმანელების შემოსვლისას სტეცენკომ სულიერად დაახლოვებით ისეთივე მანძილი გაიარა, რაც ნაპოლეონმა ფიზიკურად გაიარა კუნძულ ელბიდან პარიზში შესვლამდე.

სტეცენკოს დიდხანს უღიერად ექცეოდნენ: ჯერ გუშაგი, მერმე კი დენშმიკი და არ უშვებდნენ გენერალ ფონ ვენცელთან. ამ დროს, მისდა საუბედუროდ, სახლიდან გამოვიდა ბებია ვერა, რომლისაც ძალიან ეშინოდა სტეცენკოს, ამიტომ სრულიად მის და უნებურად საჩქაროდ მოიხადა ქუდი, მოწიწებით მიწამდე თავი დაუყრა ბებიას და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მეორე ქუჩაზე გადასასვლელად გაველოს მის ეზოში. არც ბებიას ვაპკვირვებია ეს. და მანაც სტეცენკომ კიშკართან შეუცადა ახალგაზრდა ადიუტანტის გამოსვლას.

ჩასუკებული სტეცენკო, ქუდმოხდილი, ბტუნვა-ბტუნვით, გვერდით და ოდნავ უკან მისდევდა გერმანელ ოფიცერს. ადიუტანტმა, რომელიც უყურებდა და არც უსმენდა მას, გერმანელთა საკომენდანტოზე მიუთითა.

ქალაქის კომენდანტი შტობე ესსელთა სამსახურის შტურმფიურერი, ერთ ყალიბში ჩამოსხმული იმ ხნიერ პრუსიელ ჟანდარმთაგანი იყო, როგორც სტეცენკოს ჰაბუკობისას ბევრი უნახავს ფურნალ „ნივის“ ფოტო-

სურათებში, რომლებიც გამოხატავდნენ გვირგვინოსანთა მსხვედრებს. შტურმფიურერი შტობე: „ჩემთვის სური კაცი იყო, ყოველი დერი შექალარავებული უღვაში ზღვის ცხენის კუდივით ძალზე დაგრეხილი ჰქონდა, მოყვითალო—გეჟანი უწერილესი ძარღვებით დაფარული სახე ლუდის სმით შემუშუბებოდა, ხოლო გადმოკარკლული თვალები იმ მღვრიე ბოთლისფერი იყო, რომელშიც ძნელი გასარჩევია თეთრი გარსი და რჭოვანა.

— თქვენ გინდათ პოლიციაში იმსახუროთ?—უყრადღება არ მიაქცია, რასაც არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონდა და ხრინწიანი ხმით შეეკითხა შტურმფიურერი შტობე.

სტეცენკომ დარცხენით განზე მიიქცია თავი და ბარძაყებზე მკიდროდ მიიღო პატარა მსუქანი ხელები, რომელთა თითები ფერითა და ფორმით საზღვარგარეთულ წერილ ძეხვებს ჰგავდა, და წარმოსთქვა:

— მე ინჟინერ-ეკონომისტი ვარ, და ვფიქრობ...

— მისტერ ბრიუკნერთან! — ბოლომდე არც კი მოუსმინა და წამოიხიბითა შტობემ, თან ისე გადმოკარკლა მარლი თვალები, რომ სტეცენკომ ალაზმალაზ დაიხია უკან და კარებში პირუტყლმა გავიდა.

ჟანდარმერია მოთავსებული იყო დიდი ხნის წინათ შეფეთილ და ჩამოფუჭენილ ერთსართულიან გრძელ ბარაკში, რომელიც გორაკს მიცვროდა, რაილმასკომის ქვეშით, უშენით გამოყოფილი ქალაქის იმ ნაწილისაგან, რომელსაც მდამიურად „ვოსპოდომიკის“ ეძახდნენ; წინათ იქ მოთავსებული იყო ქალაქისა და რაიონის მილიცია. ერთხელ, ომამდე, მილიცია ბინის გაქურდვის გამო სტეცენკო იყო ამ შენობაში.

შეიარაღებული გერმანელი ჯარაყაცის თანხლებით სტეცენკო შევიდა



მისთვის აგრე კარგად ნაცნობ, ჩა-
ხვერად ბნელ დერეფანში და შეზი-
ნებულმა უფროდ დაიხია უკან: კა-
ნალამ დაეჯახა აყლაყულა, ნახევარო
ტანით მასზე უფრო მაღალ კაცს:
მყის თვალი შეაელო და იცნო იგა.
ეს ძველი მოღის ჩიხაქუდიანი კაცო
იყო კრასნოდონში ცნობილი მაღა-
როელი ევანატე ფომინი. მას არაეინ
არ ახლდა. გაპრიალებული ჩექმა და
ისეთივე კარგი კოსტიუმი ეცვა, რო-
გორც სტეცენკოს. ამ კარგად ჩაც-
მულმა ვაჟბატონებმა თვალი შეაე-
ლეს ერთმანეთს ისე გაშორდნენ,
თითქოს ერთმანეთი ვერ იცნესო.

იმ კაბინეტის მისაღებ ოთახში, სა-
დაც წინათ კრასნოდონის მილიციის
უფროსი იჯდა, სტეცენკო შეეფთა
შურკა რეიბანდს პურის ქარხნის
ექსპედიტორს, რომელსაც შავგვრე-
მან გაძვალტყავებულ სტეცენკოსათ-
ვის კარგად ნაცნობი, შავი, ყოლოს-
ფერყალამოიანი ყუბანური ქელი
ეხურა. შურკა რეიბანდს, წარმოზო-
ბით გერმანელ კოლონიისტს, მთელი
ქალაქი იცნობდა, იმიტომ რომ იგი
პურს აძლევდა ყველა საწარმოს სა-
სადილოებს, პურის კიოსკებსა და
ქალაქის სამომხმარებლო საზოგადო-
ების საეაქროებს. მას ყველა იცნობ-
და, როგორც შურკა რეიბანდს.

— ვასილ ილიარიონის-ძევი! — ჩუ-
მი გოცებით მიმართა შურკა რეი-
ბანდმა, მაგრამ რაკი სტეცენკოს
უკან ჯარისკაცი შენიშნა, ენა დაება.

სტეცენკომ ოდნავ გვერდით და
წინ წასწია მულოტი თავი და მიღგო:

— რაო, ბატონო რეიბანდი! მე მინ-
და... — მან სთქვა — არა „სამსახური“,
არამედ „მოვემსახურო“.

ბატონი რეიბანდი ცერებზე შედ-
გა, ოდნავ შეყოყმანდა და დაუკაჯუ-
ნებლად შეძერა უფროსის კაბინეტ-
ში. და აშკარა იყო, რომ შურკა რეი-
ბანდი ახლა წარმოადგენდა ახალი

წყესრიგის—Ordnung-ის განუყოფელ
ნაწილს.

კაბინეტში იგი კარგად იცნო. შემდეგ მისაღებ ოთახში გაისმა
უფროსის ზარის ხმა, გერმანელმა გა-
დამწერმა ჯარისკაცმა თავისი ფერი
მუნდირი გაისწორა და სტეცენკო კა-
ბინეტში შეიყვანა.

სიმართლე რომ ითქვას, მაისტერ
ბრიუენერი იყო არა მაისტერ ბრი-
უენერი, არამედ ვახმისტრი, ესე იგი
ქანდარმთა ვახმისტრი. ამავე დროს
აქ იყო არა ქანდარმერია, არამედ
კრასნოდონის ქანდარმთა პუნქტი.
საოლქო ქანდარმერია კი ქალაქ რო-
ვენკში იყო. თუმცა მაისტერ ბრიუ-
ენერი იყო არა უბრალო ვახმისტრი,
არამედ პუბტვახმისტრი, ესეიგი ქან-
დარმთა უფროსი ვახმისტრი.

როცა სტეცენკო კაბინეტში შევი-
და, მაისტერ ბრიუენერი კი არ იჯ-
და, არამედ იდგა, ზურგზე ხელუბა-
წყობილი. იგი იყო მაღალი, არც
ძლიერ მსუქანი კაცი, მრგვალი მუ-
ცელი დაკიდებული და ძალზე წინ
გამობერილი ჰქონდა. თვალების
უბეები რბილ, ნოქებთან შავ პარ-
კუშებივით ეკიდა რომელთა მიხედ-
ვით დაკვირვებული კაცი ადვილად
მიხედებოდა, მაუბტვახმისტრი ბრი-
უენერი თავისი შეგნებული ცხოვ-
რების მეტ წილს დგომელა და არა
დამჯდარი თუ რატომ ატარებდა.

— განათლებითა და გამოცდილე-
ბით ინჟინერ-ეკონომისტი ვარ, და
ვფიქრობ... — წარმოსთქვა სტეცენ-
კომ, თან მორიდებით თავი დახარა
და ზოლებიან შარვალზე მკიდროდ
მიიღო ძებვებისებრი თითები.

მაისტერ ბრიუენერმა რეიბანდის-
კენ იბრუნა პირი და ზიზლით გადა-
ულაპარაკა გერმანულად:

— უთხარი, რომ ფიურერის რწმუ-
ნების ძალით ბურგომისტრად ვნიშ-
ნავ.

სტეცენკომ უმაღლეს წარმოდგინა, თუ ვინ უნდა გამხდარიყო მასზე დამოკიდებული მის ნაცნობთაგან, რომლებიც წინათ გვერდს უვლიდნენ, ან ძმობიერად ექცეოდნენ მას. და ოფლით დაცვარული მელოტი თავი ჩაჰკიდა. ასე ეგონა, დიდსა და გულთად მადლობას მოახსენებდა მაისტერ ბრიუკნერს, ნამდვილად კი ჩუმად აცმაცუნებდა ტუჩებს და თავს უკრავდა.

მაისტერ ბრიუკნერმა მუნდირის კალთა გადაიწია, საზამთროსავეით მრგვალი, შარვალშემოწყებილი, წინგამობერილი მუცელი გამოაჩინა, ჯიბიდან ოქროს პორტივარი ამოიღო, გახსნა, პაპიროსი აიღო და ყვითელი რომბებით აფაროჯებული ხელის პირდაპირი ზუსტი მოძრაობით პირში გაიჩქო. მერმე ოდნავ დაფიქრდა, კიდევ ერთი ცალი პაპიროსი ამოიღო და სტეცენკოს მიაწოდა.

სტეცენკომ უარის თქმა ვერ გაუბედა.

მერმე მაისტერ ბრიუკნერმა, მაგდაზე დაუხედავად, ხელი მოათათურა, გახსნილი შოკოლადის ფილა აიღო, რამდენიმე შეწებებული თაბკუთხედი დაუხედავად მოსტეხა, და ჩუმად გაუწოდა სტეცენკოს:

— ეს ადამიანი კი არა, იღვალა! — უამბობდა შემდგომ სტეცენკო თავის ცოლს.

რეიბანდმა სტეცენკო წარუდგინა უფროსი ვახმისტრის მოადგილეს, პატონ ბალდერს, რომელიც უბრალო ვახმისტრი იყო და თავისი აგებულებით, მიზერა-მოხერით, თვით ნელო, დაბალი, ბოხი ხმით ისე ჰგავდა სტეცენკოს, რომ თვით სტეცენკო რომ მუნდირით ყოფილიყო გამოწყობილი, ძნელად თუ გაარჩევდით ამ ვახმისტრისგან. სტეცენკომ მისგან მიიღო ქალაქის თვითმმართველობის ჩაოყალიბების ინსტრუქცია და გაეც-

ნო ხელისუფლების მთელ სტრუქტურას ახალი წყობილებეს *Ordnung*-ის დროს.

გიგლინიძე

ამ სტრუქტურის თანახმად, კრასნოდონის ქალაქის თვითმმართველობა ბურგომისტრის მეთაურობით გერმანელების ეანდარმთა პუნქტის ერთ-ერთი უბრალო განყოფილება იყო.

ასე გახდა სტეცენკო ბურგომისტრი.

ვიქტორ კისტრინოვი და ძია კოლია კი ახლა ერთი მეორის პირდაპირ იდგნენ, ხელებს შლიდნენ და ამბობდნენ:

— მაშ, ვისდა შეიძლება ვენდოთ?

იმ საღამოს, როცა მათე შულგა კონდრატოვიჩს დაემშვიდობა, მას უკვე სხვა არა დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ წასულიყო ეგტე ფომინთან, შანხაიში.

გარეგანი ნიშნებით, — ხოლო ახლა მათე კოსტას-ძეს მხოლოდ გარეგანი ნიშნების მიხედვით შეეძლო მიეღო პირველი შთაბეჭდილება, ფომინმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა: კოსტიევიჩს მოეწონა, როცა მან პაროლი უთხრა, ეგნატე ფომინს მღელვარება და ზედმეტი აჩქარება კი არ დასტყობია, არამედ დაკვირვებით ჩათვალა იგი, ირგვლივ მიმოიხედა, მერმე ოთახში შეიყვანა და პასუხი მხოლოდ იქ გასცა. ფომინი სიტყვაძვირი კაცი იყო, არაფერს არ ეკითხებოდა მას, გულდასმით უსმენდა და ყოველ მის განკარგულებაზე ეუბნებოდა: „გაკეთებული იქნება“. კოსტიევიჩს მოეწონა ისიც, რომ ეგნატე ფომინს შინაურობაში ფიჯაკის ქვეშეობა ეცვა, პალსტუხი ეკეთა და ძეწყვიანი საათი ეკიდა, — ამაში იგი ხედავდა საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოზრდილ კულტურულ კაცს, ინტელიგენტ მუშას.

მართალია, ზოგი რამ წერილმანი, არა თუ არ მოეწონა კოსტიევიჩს, —

ასინი ისეთი უმნიშვნელო იყვნენ, რომ არ შეიძლებოდა მისი მხრით ამით ესოდენ გარკვეული დამოკიდებულება გამოეწვიათ,—მაგრამ მაინც აღნიშნა, როგორც არასასიამოვნონი. მას მოეჩვენა, რომ ფომინის ცოლი: ბორციანი, ღონიერი, განიერად ჩამსხდარი წერილთვალებიანი, ელამი ქალი, რომელიც არასასიამოვნოდ გაღიმების დროს ერთბაშად აჩენდა დიდრონ, ყვითელსა და ჩხერ კბილებს, გაცნობისათანავე რაღაც ძალზე მლიქვნელურად და პირფერულად ექცეოდა შულგას. გარდა ამისა, პირველ საღამოსვე უნებლიედ შენიშნა, რომ ფომინი, რომელსაც ერთბაშადვე ეგნატე/სიმონის-ძეს ეძახდა შულგა,—ცოტა არ იყოს ხელმოკერილი კაცი ჩანდა, ვინაიდან, პასუხად კოსტიევიჩის გულახდილი განცხადებისა, ძალიან შშიაო, ფომინმა უპასუხა, სურსათის საქმე ალბათ ცუდად გვექნებაო. და მართლაც, არ შეიძლება ითქვას, რომ მათი შეძლების მიხედვით, მაინცა და მაინც კარგად გამასპინძლებოდნენ. თუმცა კოსტიევიჩი ზედადა, რომ ისინიც იმასვე სჭამდნენ, რასაც თვითონ, ამიტომ გაიფიქრა, შეუძლებელია ვიცოდეთ მათი ცხოვრების მთელი ვითარებაო.

ამ წერილმანებს არ შეეძლო გაექარწყლებინა ის საერთო სასიამოვნო შთაბეჭდილება, რაც მათე კოსტიევიჩზე ფომინმა მოახდინა.

თუმცა უნდა ითქვას, რომ ყველაზე ცუდი და უჯანსკელი ადამიანიც კი, რომელსაც ყოველგვარი შერჩევის გარეშე, სრულიად შემთხვევით შეიძლებოდა სწევოდა მათე კოსტიევიჩი, ეგნატე ფომინზე უკეთესი მაინც იქნებოდა. იმიტომ რომ ქალაქ კრასნოდონში მცხოვრებ ადამიანთა შორის ეგნატე ფომინი ყველაზე საშინელი კაცი იყო, საშინელი განსაკუთრებით იმიტომ, რომ უკვე დიდი ხანია ადამიანი აღარ იყო.

1930 წლამდე თავის სამშობლოში, ვორონეის ოლქის ოსტროვკის ოკრუგში, ეგნატე ფომინი იმ ხანებში სრულიად არ იყო ეგნატე ფომინი, ყველაზე მდიდარ და ძლიერ კაცად იყო ცნობილი. უშუალოდ მას და ჩაყენებულ პირთა საშუალებით ჰქონდა ორი წისქვილი, ორი ცხენის სათიბ-სამკელი მანქანა, მრავალი გუთანი, ორი სანიაგებელი მანქანა, სალენი, სამი ეზო, რამდენიმე დესეტინა ხეხილის ბაღი, ასი ოდე ძირი ფუტყარი, ჰყავდა ათამდე ცხენი, ექვსი ძროხა და, მუდმივად მასთან მომუშავე ოთხი მოჯამაგირის გარდა, ყოველთვის შეეძლო ესარგებლნა რამდენიმე თემში მცხოვრებ გლეხთა შრომით, ვინაიდან ამ თემებში ბევრი იყო მატერიალურად მასზე დამოკიდებული ადამიანი.

ეგნატე ფომინი რევოლუციამდე მდიდარი იყო, მასზე უფრო მდიდარი იყო მისი ორი ძმა, განსაკუთრებით უფროსი, რომელსაც მემკვიდრეობით დარჩა მამის ქონება. ეგნატე ფომინი ძმებში ყველაზე უმცროსი იყო, იგი თოთხმეტი წლის ომის წინ დაქორწინდა, მამამ ოჯახიდან გამოკყო, ცალკე დაასახლა და ამის გამო ნაწყენი იყო. მაგრამ რევოლუციის შემდეგ, დაბრუნდა თუ არა გერმანიის ფრონტიდან, მეტად მოხერხებულად გამოიყენა თავისი ვითომდა სიღარიბე, ძველი ხელისუფლებისაგან ნაწყენ კაცად მოიკატუნა თავი და გაძვრა საბჭოთა ხელისუფლების, სოფლის ყველა საზოგადოებრივ ორგანოში, დაწყებული ღარიბკომით, გაძვრა არა მარტო როგორც ღარიბი და რევოლუციონერი, არამედ თითქოს როგორც რევოლუციის მტრების წინააღმდეგ, უღობლად მეზრძოლი კაცი. გამოიყენა ხელისუფლების ეს ორგანოები, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ როგორც თვითონ, ისე მისი ძმები, მართლაც მდიდრები და საბჭოთა

ხელისუფლების მოძულენი იყვნენ. ეგნატე ფომინმა საქმე ისე მოაწყო, რომ ისინი გაასამართლებინა. ჯერ გადაასახლებინა უფროსი ძმა, მერამე — უმცროსი, თვითონ კი დაეუფლა მათს ჭონებას და სრულიად უმწუროდ დასტოვა მათი ოჯახები თავიანთ ბავშვებთანად, რომლებიც არ ებრალეებოდა ფომინს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ საკუთარი შვილები არ ჰყავდა და არც შეიძლებოდა ჰყოლოდა. ასე გახდა ფომინი ის კაცი, რაც ახლა იყო. ამგვარად, თვით 1930 წლამდე, მიუხედავად ამ სიმდიდრისა, ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი მას სთვლიდა საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე წარმოშობილ თავისებურ მოვლენად, — მდიდრად. მაგრამ სავსებით თავისიანად, ეგრეთწოდებულ კულტურულ მეურნედ.

მაგრამ მთელი რიგი თემების გლეხებმა, რომელთაც მისი გავლენა სწვდებოდა, კარგად იცოდნენ, რომ ფომინი იყო დაუნდობელი, სისტილიანო-პაქელი კულაკი და საშინელი კაცი. როცა ოცდაათიან წლებში დაიწყო კოლმეურნეობათა ჩამოყალიბება და ხელისუფლების მხარდაჭერით გლეხობამ დაიწყო მდიდრების გადციქვნა, ეგნატე ფომინს, რომელიც იმხანად თავისი ძველი, ნამდვილი გვარით ცხოვრობდა, თავზე დაატყდა ხალხის შურისგების რისხვა. ფომინს ყველაფერი ჩამოერთვა და ჩრდილოეთში უნდა გადაესახლებინათ, მაგრამ, როგორც ცნობილი, თითქოს მშვიდი და უწყინარი კაცი, ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადასახლებამდე წინასწარ არ დააბატონრა. ფომინმა ცოლის დახმარებით ღამით მოჰკლა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე და სასოფლის უარეღის მდივანი. იმ დღეებში თავმჯდომარე და მდივანი შინ კი არა, სასოფლო საბჭოს შენობაში ცხოვრობდნენ და იმ ღამით, როცა ფომინი ჩაუსაფრდა მათ, ისინი

ძალზე ნასკამი დაბრუნდნენ ხტუმრობიდან. ფომინმა მოჰკლა ისინი და ცოლიანად გაიქცა ჯერ კლინსკში, მერმე დონის როსტოვში, სადაც სასლო ადამიანები ეგულებოდა.

როსტოვში მან შეიძინა საბუთები რკინიგზის სახელოსნოების მუშის ეგნატე სიმონის-ძე ფომინის სახელზე. ამ საბუთების მიხედვით იგი დამსახურებულ მუშაკად გამოიყურებოდა. ცოლსაც გამოუწყო სათანადო საბუთები. ასე გამოცხადდა იგი დონბასში, რადგან იცოდა, რომ იქ მუშახელის დიდი მოთხოვნილება იყო და არავინ დაუწყებდა გამოკითხვას: საიდან იყო და ან ვინ იყო.

მტკიცედ სწამდა, რომ აღრე თუ გვიან, მიადწევდა გულის საწადელს. ჯერხნობით კი საქციელის გარკვეული და ნათელი ხაზი აიღო. უწინარეს ყოვლისა იცოდა, რომ სინდისიერად უნდა ემუშაენა: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ასე უფრო გაუადვილებოდა დამალვა, მეორე, იმიტომ, რომ გაძრომ-გამომძრომისა და მოხერხებულობის იმ უნართან ერთად, რომელიც მას ჰქონდა, ეს კმაყოფილი ცხოვრების საშუალებას მისცემდა, შესაძლებელი კი, იმიტომ, რომ თუმცა ძველად მდიდრად ცხოვრობდა, მაგრამ შრომას ყოველთვის შეჩვეული იყო. გარდა ამისა, გადაწყვეტილი ჰქონდა მაინცდამინც თვალში არავის ეცმოდა, საზოგადოებრივ საქმეებში ცხვირი არ წაეყო, უფროსებს კი მორჩილებით მოჰყრობოდა და, ღმერთსაც ნუ ექნა, რომ ვინმეს კრიტიკაში ჩასდგომოდა და გაეკრიტიკებინა.

ასე დროთა განმავლობაში, ეს კაცი-უწინმაჩინი პარტიკულარში გახდა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ, არა მარტო, როგორც ბუჯითი, პარტიოხანი მუშაკი, არამედ, როგორც უაღრესად მოკრძალებული და დისციპლინიანი კაცი. იმდენი თავდაქე-

რის უნარი გამოიჩინა, რომ ქვევის ამ ერთხელ აღებული ხაზიდან არასოდეს არ გადაუხვევია, მაშინაც კი, როცა გერმანელები ვოროშილოვგრადს მიუახლოვდნენ, ეჭვიც კი არ ეპარებოდა იმაში, რომ გერმანელები აქ შემოვიდოდნენ. და მხოლოდ მაშინ, როცა შეეკითხნენ:—თუ გერმანელები შემოვიდნენ, არალეგალური მუშაობისათვის დაგვიტოვებთ თუ არა შენს ბინასო,—მას სიძულელითა და შურისგებით გამოწვეული კმაყოფილების ისეთი გრძობა დაეუფლა, რომ კინაღამ გამოიმკლავნა თავი.

და თვით ისიც, რაც ასე ძალიან მოეწონა შულგას,—რომ ფონინი შინაურობაში კოსტიუმით, პალსტუხითა და ძეწვიანი საათით იყო მორთული,—აიხსნებოდა არა კოხტობისადმი მისი სიყვარულით,—ჩვეულებრივ დროს, სხვა მუშებზე, თვითონაც სუფთად და სადად, თუმცა უბრალო, ყოველდღიურ ტანისამოსს იცვამდა,—არამედ იმით, რომ იგი წუთიწუთზე მოელოდა გერმანელებს, და მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მოსწონებოდა, ზანდუკში მოსტებნა ყველაზე საუკეთესო, რაც კი გააჩნდა.

იმ დროს, როცა სტეცენკო ჯერ ეანდარჰთა უფროს ვახმისტრ ბრიუკნერთან, ხოლო შემდეგ ვახმისტრ ბალდერთან იყო,—ნაცემი და დასისხლიანებული მათე კოსტიევიჩი იმავე ბარაკის მეორე განყოფილებაში, პატარა ბნელ საკანში იწვა.

ბარაკის მთელი ეს ნახევარი, რომელიც რამდენიმე საცნისაგან შესდგებოდა და რომელსაც ჰყოფდა მილიციის სასამსახურო სადგომთა გამყოფი დიდი დერეფნის გაგრძელება—ვიწრო დერეფანი, წარსულში წარმოადგენდა ერთადერთ საპატიმრო ადგილს მთელს კრასნოდონში.

ახალი წესრიგი, Ordnung, იმაში ა. „ნათობი“, № 12.

მდგომარეობდა, რომ ახლა ის ნათობი იმე საერთო და ცალკე საკანი, რომლებიც შეადგენდა მთელს კრასნოდონის შენობას, გაჭედდნენ იყო მამაკაცებით, ქალებით, მოზარდებითა და მოხუკებით. აქ იყვნენ ადამიანები ქალაქიდან, სტანიცებიდან და ხუტორებიდან; აქ იყვნენ ადამიანები—დაპატიმრებულნი ეკვმიტანით, იმის გამო, რომ შეიძლება ისინი ყოფილიყვნენ საბჭოთა მუშაკები, პარტიზანები, კომუნისტები, ან კომკავშირელები; აქ იყვნენ ადამიანები, რომლებმაც თავიანთი მოქმედებით, ან სიტყვით შეურაცხვეს გერმანული მუნდირი; ადამიანები, რომლებმაც დამალეს თავიანთი ებრაელობა; ადამიანები, რომელთაც არ აღმოაჩნდათ საბუთები, და უბრალოდ, დაპატიმრებულნი იმიტომ, რომ ისინი ადამიანები იყვნენ.

ამ ადამიანებს თითქმის არ ჰქვებავდნენ, და არა თუ გასასეირნებლად, არამედ ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაც კი არ უშვებდნენ. საკნებში აუტანელი სიმყარის სუნი იდგა, ბარაკის ძველი, დიდი ხნის წინათ უკვე დაობებული იატაკი შარდითა და სისხლით იყო გაქვინითილი.

მიუხედავად იმისა, რომ საკნები გაჭედდნენ იყო, მათე შულგა, ანუ ევდოკიმ ოსტაპჩუკი, ვისი სახელითაც იგი დაპატიმრებული იყო, ცალკე საკანში მოათავსეს.

მას მაშინაც სცემეს, როცა აპატიმრებდნენ,—წინააღმდეგობა გასწია და ისეთი ფიზიკური ძალა გამოიჩინა, რომ დიდხანს ვერ დაიმორჩილეს. მერმე აქაც, საპატიმროშიც სცემეს ჰაუპტკვამისტრმა ბრიუკნერმა, ვახმისტრმა ბალდერმა და მისმა დამპატიმრებლებმა სს-ელმა ფენბონგმა, პოლიციის უფროსმა სოლოკოვსკიმ და გერმანელთა პოლიციელმა ეგნატეფომინმა, რომელთაც იქვეი ჰქონდათ,

ვიდრე გონს მოვა, გამოვტეხავთო. მაგრამ თუ მათე კოსტიევიჩის ჩვეულებრივ მდგომარეობაშიც ვერაფერს დააცდენინებდა კაცი, მით უფრო არაფერს არ იტყოდა ახლა, ამ გააფთრებული ბრძოლის დროს.

იგი ისეთი ღონიერი იყო, რომ ახლაც, ნაცემი და გასისხლიანებული, იწვა არა მოქანცვის გამო, არამედ ძალად იწვა, რომ დაესვენა. მაგრამ კვლავ რომ წაეყვანათ, შეეძლო იმდენი ებრძოლნა, რამდენიც საჭირო იქნებოდა.

სახე დაუსივდა, ცალი თვალი დაუღურჯდა. საშინლად ტეხდა ხელი მტევენის ზემოთ, სადაც რკინის კეტი დაარტყა უნტერმა ფენზონგმა.

მათე კოსტიევიჩის სულიერად სტანჯავდა იმაზე ფიქრი, რომ გერმანელები სადღაც ისევე სტანჯავენ მის ცოლშვილს, სტანჯავენ მის გამო, შულგას გამო, მას კი იმედი არა ჰქონდა, რომ ოდესმე გამოიხსნიდა მათ. მაგრამ ფიზიკურ ტკივილსა და ამ სულიერ ტანჯვაზე უფრო საშინლად კოსტიევიჩის სწევდა იმის შეგნება, რომ მოვალეობა ვერ შეასრულა ისე ჩაეარდა მტრის ხელში და რომ თვითონ იყო ამაში დამნაშავე.

ამ მდგომარეობაში თავის მართლებისათვის, თითქოს ბუნებრივიც კი იყო ეფიქრა: — ჩემს ჩაეარდნაში დამნაშავე მე კი არა ვარ, არამედ დამნაშავენი არიან ის ადამიანები, რომელთაც დავალებული ჰქონდათ საქმე და ვერ მოაგვარესო, — ეს აზრი სულ პირველად მოუვიდა თავში, მაგრამ იმავე წუთში მოიშორა, როგორც სუსტი ადამიანებს ყალბი ნუგეში.

თავისი ცხოვრების გამოცდილებით იცოდა, რომ ყოველგვარი საზოგადოებრივი საქმის წარმატება არ შეიძლება დამოკიდებული არ იყოს მრავალ ადამიანზე, რომელთა შორის, აღმოჩნდებიან ისეთებიც, ვინც ცუდად შეასრულებს დაკისრებულ საქ-

მის ნაწილს. მაგრამ შილოლოვ სულმოკლე და უბადრუკ კაცს, რომელიც გახსაკუთრებულ ვიწროკუნძულზე, განსაკუთრებულ საქმეზე — დაქვემდებარებული მისი შესრულებლობის დროს შეუძლია იწუწუნოს, — ამაში დამნაშავენი სხვები არიანო. მას კი სინდისის შინაგანი სპეტაკი ხმა ეუბნებოდა: შენ განსაკუთრებული კაცი ხარ, წარსულში არალეგალურად მუშაობის გამოცდილების მქონე, სწორედ ამიტომ იყავი განსაკუთრებულ საქმეზე წამოყენებული განსაკუთრებულ ვითარებაში, რათა შენი ნებისყოფით, გამოცდილებით, ორგანიზაციული ჩვევით დაგეძლია ყოველგვარი საფრთხე, სიძნელე, გაჭირვება, დაბრკოლება და გამოვესწორებინა იმ ადამიანთა შეცდომები, რომლებზეც დამოკიდებული იყო ეს საქმე. აი სწორედ ამიტომ არ შეეძლო მათე კოსტიევიჩს გაემტყუნებინა სხვა ვინმე და არც არავის ამტყუნებდა თავის ჩაეარდნაში. იმის შეგნება, რომ არა თუ თვითონ ჩაეარდა, არამედ მთელი საქმეც ჩააგდო, ყოველგვარ ტკივილზე უფრო საშინლად და მწუხარედ ჰქენჯნიდა კოსტიევიჩის სულსა და გულს.

სინდისის მიუყუჩებელი მართალი ხმა უყარანახებდა, რომ სადღაც, რადაცააში შეედა იგი და მეხსიერებაში კვლავ მრავალჯერ ამოწმებდა თავის საქციელს, ყოველგვარ წვრილმანს და ყოველ სიტყვას იმ წუთიდან, რაც ივანე თევდორეს-ძე პროცენკოს დაშორდა, და მაინც ვერ ეპოვნა — სად, როდის და სახელდობრ რაში მოიქცა არასწორად.

და მისი სული საშინელ ტანჯვაში, ატრანელ მწუხარებაში მიმართავდა პროცენკოს და ეკითხებოდა:

— შენ კი სადა ხარ, ივანე თევდორეს-ძე? როგორა ხარ? ცოცხალი ხარ? ურტყამ თუ არა წყვილ მტერს? აჯობებ თუ არა მას ღონით, მოხერხებით? ან, იქნებ, შენს სულსაც ისევე ქენჯნიან, როგორც ჩემსას? იქნებ, ყორნები უკვე ჰკორტნიან შენს მშვენიერ თვალებს სადმე, გაშლილ ტრამალში?

თარგმანი პოლიო აბრამიასი

(გაგრძელება იქნება)

შორი გზები მოგივლიათ მამასუკად გელა ამისულაშვილი

★

ფრთხილად, ხელი არ შეახოთ სუროს ფოთლებს,
თორემ ცრემლი, ცხარე ცრემლი დასცივდებათ...
აქ, ამ ადგილს, მარმარილოს მძიმე ლოდქვეშ
მძიმე ძილით სძინავს, ძმებო, ქართველის დედას...
შორი გზები მოგივლიათ ნამატურად,
შინ მშვიდობით გღირსებიათ დაბრუნება...
ვერ შეგაკრთოთ ხმლის ნათება ამ ალმასურმა
და ვერც ტყვიამ შესძლო თქვენი დაღუპება.
ბევრს შვიდ-შვიდი ჭრილობა გაქვთ, მაგრამ გვეჯერა,
ქართველებო, ქართველურად გიცემთ გული...
მჯერა, ასეთ გაუგონარ გამარჯვებას
სიცოცხლისთვის მოაქვს ძალა მზისებური!..
თქვენ ხომ იცით, დიდ ბელადის დედის გარდა,
ამ მიწაში სძინავთ ქართლის ბულბულებსაც...
როს სამშობლოს განსაცდელის ფაში ადგა,
როს სამშობლოს კართან ცეცხლი გუგუნებდა—
საფლავებში უქმად ყოფნა გაუძნელდათ,—
ნაგუბარმა სულმა მიწა ამოდუნა...
სიმამაცემ ფრთა შემოჰკრა ფარულ სევდას, —
და თბილისი კიდევ უფრო გალომგულდა!..
ვენაცვალე თქვენს გმირობას, შეუარდნებო,
შეუარდნულად გყვარებით გაშლა მხრების.
ლამის მთებმაც სადღეგრძელო შეგაგებონ:
— თქვენ ისარეთ, თქვენ ყოფილხართ ვაეკაცები!..
ვის გინახავთ ომის შემდეგ დიდი კრემლი?
ვის გინახავთ ომის შემდეგ მზის არწივი?
საფლავშიაც არ ისვენებს დედის მკერდი, —
შვილზე ფიქრი ცას მიაპობს ისარივით...
ნათქვამია, დედის გული არა კვდება, —
სალენაქოდ ლაყვარდები შრიალებენ...
შუქს მიბაძავს, წამოდგება სამარიდან,
ნაჭირმაგვეთ დროზე ღიმილს შეაგებებს!..
ფრთხილად, ხელი არ შეახოთ სუროს ფოთლებს,
თორემ ცრემლი, ცხარე ცრემლი დასცივდებათ...
აქ, ამ ადგილს, მარმარილოს მძიმე ლოდქვეშ
მძიმე ძილით სძინავს, ძმებო, ქართველის დედას!

ლექსები

თამარაზ ჯანაშვილი

★

რა მათობდა

თოვლზე ვწევარ.
ფაფუკი და შრილა
მკერდზე ფიფქი დამფენია რამდენი.
ო, ეს არის—მწუხარება კი არა,
სიხარულის შორი შარაევანდელი.
თოვს და ცივა
დილა კიდევ არა სჩანს,
არ ჩანს შთვარეც—ქარდაკრული სანთელი;
რა მათობდა? ფარატირა ფარაჯა,
თუ მოშავლის ჩაუშქრალი ნათელი.

★

წყაროსპირ მწიგნარი

ვერცხლის ევენები ცაში შეირხნენ,
ცეცხლი მოვარდა და ტყეის ქარი.
წყაროსპირ ვწევარ, ნისლო, ხევითხევ
საით მიღიხარ, სად მიიჩქარი?..

წყაროსპირ ვწევარ და მკლავს წყურვილი,
წყალსაც აჩნია სისხლის წინწყალი.
დენთის ბურუსით შემობურვილი
წამწამებს არხევს დილა ცინცბალი.

შებლს გახურებულს შეუღმერ ნიავს,
დახეთქილ ტუჩებს მისველებს ცვარი.
ზემოთ, ტალღებში, მტრის გეამი ჰგდია
და სისხლიან მკერდს ულოკავს წყალი.

ქერათმიანი და პირტიტველა
მიმხერს სიკედელი თუ სიძულვილი.
რა მომზიბლავად, რა მიმზიდველად
მოღველავს წყარო და მკლავს წყურვილი.



თეთრი სიჩუმე დამფარვატებს

ჩემს ირგვლივ დადის ფეხაკრეფით სიჩუმე თეთრი,
თეთრი ღუმილი თავს დამფარვატებს.
შემოგოგდება პალატაში ფრთათეთრი მტრედი
და გახურებულ შუბლზე ფრთას შადებს.
რა საამურად ჩამღულუნებს ფრთათეთრი მტრედი,
ნაზი ალერსი მაგონდება მშობელი დედის.
მო, ჩამოჯექი, სასურველო, მიმღერე ერთი,
ერთი ზღაპარიც მითხარი ბარემ...
აფარფატდება კვლავ ჩემს ირგვლივ ღუმილი თეთრი
და თეთრი მტრედი ეფარება პალატის კარებს.
... და დინჯად ვახელ სიცხიან თვალებს.



გუშინ გამოცედი ჰოსპიტლის კარებს

გუშინ გამოცედი ჰოსპიტლის კარებს,
მივალ, მიმყვება სიჩუმე ფრთხილი.
ვერცხლდადერილ ცაზე ანათებს მთვარე,
ვით ფარაჯაზე შეკრული ღილი.
მივალ, გზასავით გრძელია ფიჭვი,
რჩეაქის სხვიც ფიჭვივით მათოვს,
შეთენდა, წამწამს შეაღხვა კირბლი
და ქუღმობდილმა შეეცინე მნათობს.



გზას მიჩვენივდა

სდგას წითელ ბოძთან. უძილო თვალებს
აელვებს ქართულ ცის ვარსკვლავით
და განთიადის სილურჯეს დაღვეს
ფარაჯიანი თეთრი ყვავილი.
ქართული ღიმი გაუპობს ბაგეს
და აეტომატი მკერდზე ნანაობს.
ასე პატარა, ოდერის აქეთ,
ნეტავ, რა მუხლმა მოიყვანაო...
თვალსაც აღნთებს ღიმი ქართული,
მშობელ მიწამ რომ გამოიტანა.
გზაჯვარედინზე მკლავშემართული
შეაფრიალებს დროშას პატარას.
აეტოკოლონა ჩერდება უცებ,
შუქი აღდება კაბინის კარებს,
იბრება, მისკენ გამოწვდილ ფურცელს
სწრაფად შეაელებს უძილო თვალებს.



განვლილი გზა

(ნაწყვეტიანი მოგონებებიდან)*

მარიამ ბერიძე



თბილისში გადმოსვლისთანავე დამაწყებინეს მზადება. გიმნაზიის მეხუთე კლასში უნდა ჩამებარებიანა გამოცდა. დაიწყო ისევე ჩემი ტანჯვა. ყოველი საგანი უნდა დამეზებებინა, რადგან რუსულად ვაპარებდით. ქანც-გამოლულს სიზმარშიაც სასწავლო საგნები მერევენებოდა, მათემატიკის წესები, მართლწერის კანონები, თუ ეგვიპტის პირამიდები მაგლავუნსასავით მაწვა გულზე და მახრჩობდა.

მამას უყვარდა მშობლიური თეატრი და დროდადრო მიდიოდა წარმოდგენების სანახავად.

ერთ დღეს წამიყვანა ქართულ თეატრში.

მიდიოდა ერისთვის „სამშობლო“. მეორე წარმოდგენა ენახე ვალერიან გუნიას „და-ძმა“ და მესამედ რომ წავიდე, ჰქუა აღარ მომყოლია. ურთილ-აკოტას მსახიობი დალსი ასრულებდა. იმდენად გამიტყუა წარმოდგენებში, გადავწყვიტე მსახიობი გამოვსულიყავ.

ჩემთვის ხელმისაწვდომი შეიქნა იმდროს სახალხო თეატრი, რომელიც აეჭალის ქუჩაზე, ყოფილ საჩაიეს შენობაში, იყო მოწყობილი.

ამ თეატრს ხელმძღვანელობდა საზოგადო მოღვაწე, შემდეგში საბავშვო ეთრნალ „ნაკადულის“ დამაარსებელი,

ბელი, მარიამ დემურია. მივედი მათთან, მგონი გაეხარდათ კიდევ ახალგაზრდა ქალის შემატება. დავიწყე მუშაობა, იქ გაცივანი პოეტი იროდიონ ევდოშვილი და მწერალი შიო არაგვისპირელი, რომელიც ხანდახან რეპეტიციებს ესწრებოდა.

იროდიონ ევდოშვილი სახალხო თეატრის მარჯვენა ხელი იყო. ყველაფერზე მუშაობდა, დურგლობდა, დეკორატორობდა. ზოგ შემთხვევაში მხატვრობასაც წყალობდა, დეკორაციებს ხატავდა და მსახიობი ზომ ჩინებელი იყო. ეასო აბაშიძის აპკლუას ასრულებდა. ამავე დროს სამწერლო შრომასაც ეწეოდა.

ეს არის ცხრაასიანი წლები. არც თუ ისე პატარა ვიყავი, ჩვიდმეტი წლის ქალიშვილს ბევრი რამ მოეთხოვებოდა: შეიძლება ყოფილიყო ის მოწაფე, სტუდენტი, ან უკვე ცოლი, შეეძლო ახალგაზრდა დედაც.

მე კი არც ერთი ვიყავი და არც მეორე. მიწოდდა მხოლოდ მსახიობობა. ამასთანავე დამჩემდა ერთი რამ: წაკითხულიდან, რაც ძლიერ მომეწონებოდა, უნდა გადამეწერნა. ილია ჭავჭავაძის პროზა თითქმის მთლიანად მქონდა გადაწერილი. რად მეჭვირებოდა ეს, დღესაც არ ვიცი. ვფიქრობ, ჩემს სულიერ მოთხოვნილებას ვერ

* დასასრული. „მნათობი“, № 11.



აკმაყოფილებდა მხოლოდ წაკითხული და გადაწერილი ვიესები სულს. როგორი და ვისი ნაწარმოებიც ჩამივარდებოდა ხელში, მას ვკითხულობდი, ვთარგმნიდი რუსულიდან, ვწერდი პატარ-პატარა ლექსებს, რომელიც თავის დღეში არაერთთვის მიჩვენებია. უკვე დაიბენი, აღარ მყავდა ხელმძღვანელი, რომელიც გარკვეულ გზაზე დამაყენებდა.

მთავარი ყურადღება მაინც თეატრისკენ მქონდა. ათას ცხრაას პირველ წელს წავედი ქალაქ ქუთაისში და ვლადიმერ მესხიშვილის დასში შევედი მსახიობად.

ორნახევარი სეზონი დაერჩი თეატრში და ბოლოს მაინც ვარჩიე მისი დატოვება. უკანასკნელად ვეამბორე დეკორაციის მტერიან ჩარჩოს, ვეამბორე სასოებით, ვით პირველი ქრისტიანი გვარცმას ვამბორებოდა ზოლზე. წავედი თეატრიდან და მივედი მწერლობასთან. ორმოცი წლის მანძილზე მუდამ მეკითხებოდა, თუ რად დავირქვი გარიყული? ზოგიერთებს ჰგონიათ რაღაც საშინელი ტრაგედიის გამო. ნამდვილად კი ჩემს ფსევდონიმში სცენიდან წასვლა, სცენიდან გარიყვა გამოვსახე.

ჯერ კიდევ დასში ყოფნის დროს, ვეცნობი მაქსიმ გორკის ნაწერებს, მისმა პატარა მოთხრობებმა ბიძგი მომცეს; ეწერდი ჩემად, ჩემთვის, არავის არ ეუჩვენებდი, არც არავის ეუზიარებდი; არც გამივიღა თავში კადნიერი ფიქრი, რომ ოდესმე მათ დაებეჭდავდი.

1905 წელს ცოლად გავყევი აგრონომ მელქისედექ ვასილის-ძე რატიანს. პირველი ჩემი მოთხრობები „ცხოვრების მსხვერპლი“ და „უბედური ოჯახი“ უკვე დაწერილი მქონდა. სხვათა შორის წაუეკითხე მეუღლეს, მან მირჩია, წამელო რედაქციაში. „ცნობის ფურცელს“ მქონდა კვირაში ორჯერ სურათებიანი დამატება, სადაც წმინ-

და ლიტერატურული ნაწერები იბეჭდებოდა. მივიტანე ამ რედაქციის ოჯახი“.

გაზეთის რედაქტორად იმ დროს იყო ალექსანდრე ჯაბადაძე. თანამშრომლებად—გიორგი ლასხიშვილი, შაქრო ბილანიშვილი, გიგო რციხლაძე, ვანდუგილი, ილია აგლაძე და სხვ.

ჩემი მოთხრობა „უბედური ოჯახი“ დაიწუნეს. მაშინდელ ჩემს გამოცდილებასთან შედარებით, ერთობ დიდი მოცულობის შეიქნა და ვერ გამოვიდა შეკრული, თანაც, ვიწრო ინდივიდუალისტურ ხასიათს ატარებდა, იდეურადაც არ იყო გამართლებული. ასე რომ დავმარცხდი. რა თქმა უნდა, მეწყინა, შემრცხვა და ჯავრიც მომივიღა ქმარზე, რად გადამიყიდა, გამამბრიყვა თავისი რჩევით და ჩამადენინა ასეთი თავხედობა-მეთქი.

ილია აგლაძე გამოცდილი მუშაკი იყო, რა თქმა უნდა შემატყო წყენა, გულისხმიერად მომეპყრო და მითხრა:

— თქვენ უთუოდ შესძლებთ წერას, ეს მოთხრობა რომ არ გავიდა ამ სახით, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ეს ნუ გაგიტეხთ გულს, დრო გავა და თქვენვე აღარ მოგეწონებათ, შემდეგ უთუოდ გადაამუშავებთ; ახლა სხვა უფრო პატარა რამ გექნებათ და ის მომიტანეთ, დარწმუნებული ვარ, ის გამოდგებათ.

არ დამანება ხელნაწერი, სანამ მეორეს არ მიუეტანდი.

— ეს პირველი შეილია თქვენი. გიყვართ და არ დაკარგავთ, ამიტომ მას ვიტოვებ მძველად. და თქვენ სამაგიეროს მომიტანთო.

მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ წაუღე, მაქსიმ გორკის გაელენით, პირველად დაწერილი მოთხრობა: „ცხოვრების მსხვერპლი“.

გათენდა კვირა. მოიტანეს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ სურათებიანი დამატებაში დიდი ასოებით ეწერა „მა-

ჩიამ გარიყული. „ცხოვრების მსხვერპლი“ (მოთხრობა)“.

ეს იყო უდიდესი სიხარული, რაც, ალბათ, ყველა მწერალს განუცდია. ორშაბათს მივედი რედაქციაში, მოულოდნელმა სიურპრიზმა უფრო გამოაცა. ჰონორარად მივიღე ცხრა მანეთი და სამი აბაზი.

ამ გაზეთის ლიტერატურულ დამატებაში დაებეჭდე „ჩვეულებრივი ამბავი“, „სოფლის მსუნაგები“, „ბორკილი“, „ჩინოვნიკი“ და სხვ.

როგორც სიბნელეში ხელის ფათურით მიღის ადამიანი და ეშინია, არას წააწყდეთ, ასეთი იყო ჩემი პირველი ნაბიჯი.

მაგრამ ასეთ მგზავრს რომ გამოუჩნდება ვინმე კეთილის-მყოფელი და გზას გაუნათებს, ეს იყო შალვა დადიანი ჩემს მიმართ. ჩვენი ლიტერატურული მეგობრობა, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ოსტატ-შეგირდობა, იქიდან დაიწყო, როცა ჯერ კიდევ ქუთაისის თეატრში ვთამაშობდით ერთად.

მაშინ მხოლოდ სხვათა მოთხრობებს ეაკეთებდი პიესებად: გადავაკეთე ნინოშვილის „ქრისტიანი“, დეტუ მეგრელის „პირველი ტალღები“ და რაღაც უავტორო ლეგენდა.

პიესების კეთებას მალე დავანებე თავი და დავიწყე პატარ-პატარა ესკიზების წერა. მაგრამ იმ დროს შალვა ქუთაისში უკვე აღარ იყო და ვერც რას მიჩნევდა. მხოლოდ პირველი მოთხრობის დაბეჭდვის შემდეგ შევხვდი შალვას, თბილისში.

მას გაეხარდა ეს გარემოება და აღმითქვა, რომ გამიჩვენდა დახმარებას.

„მწერალს პროექტორის ლამაზუნდა ეკიროს ხელში და ცხოვრების ყოველ კუთხეს აშუქებდესო. მკითხველს თვალნათლივ უნდა აჩვენებდეს ტიპიურ სახეებს, ტიპურ მოვლენებში: რასაც ჩვეულებრივი თვალი ვერ

დაინახავს, მას უნდა სჭერეტდეს მწერლის თვალიო“, — მეტყუდა შალვა.

ყოველივე ეს ასევე მოხდა, მე მაინც ვიტყვი საყვედურს: არაფერი ამ მითითებდა: — წაიკითხე ესა და ეს ავტორი, ესა და ეს წიგნი, ან შეისწავლე ესა და ეს საგანიო.

ეწერდი, ბეჭდავდნენ და მიდიოდა დრო ასე, დრო ძვირფასი, დრო სწავლისა და წინსვლისა.

ხშირად ყოფილა, დაეწერდი რამეს, სადღესასწაულოდ, სასწრაფოდ, საჩქაროდ, ზოგჯერ გადაწერასაც ვერ მოვასწრებდი და ისე ვგზავნიდი რედაქციაში, იმავე სახით იგზავნებოდა სტამბაში და გაუსწორებელ მასალას აწყობდნენ წიგნის მოყვარული ასოთამწყობნი.

1905 წელს პირველი მოთხრობის შემდეგ დაებეჭდე მეორე მოთხრობა „ჩვეულებრივი ამბავი“.

„ჩვეულებრივ ამბავს“, „სოფლის მსუნაგები“ მოჰყვა. ისიც ჩქარა დაიბეჭდა, შემდეგ — „ჩინოვნიკი“ და სხვა.

„ცნობის ფურცელში“ დაწუნებულ მოთხრობა „უბედური ოჯახი“, „ივერიაში“ წაიღე. „ივერია“ მაშის პერიოდულად სცემდა მხატვრულ კრებულებს. „ივერიის“ რედაქცია მოთავსებული იყო სათავადაზნაურო ბანკთან ფრეილინის ქუჩაზე. (ახლა სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა).

შევედი რედაქციაში, მაგიდებით საესე დიდ ოთახში რედაქციის თანამშრომლები თავწაბრილნი მუშაობდნენ.

— უკაცრავად, გოგინაშვილი სად იქნება? — ეკითხე ერთს. მან უსიტყვოდ მიმითითა კარზე და ისევ დახარა თავი სამუშაოზე.

მივედი კარებთან, მაგრამ თითქოს გული შემიკრთა, შევჩერდი. ერთი ნაბიჯითაც უკან დავიხიე. ალბათ იმან თუ შემაკრთო, რომ მოთხრობა ერთადგილზე უკვე დაწუნებული იყო.

— მიბრძანდით, მიბრძანდით, — მო-
მადახა ვილაკამ.

თითქოს ხელი მკრესო, ისე შევალე
კარი. პატარა კაბინეტში სრულმხარ-
ბეკიანი, თმატალღოვანი, გრძელწვე-
რა, ფართო სანდომიანი სახის მქონე
კაცი იჯდა.

— თქვენ ბრძანდებით გოგინაიშვი-
ლი? —

— არა, მე არ ვახლავართ.

— არ შეიძლება მისი ნახვა? — გკითხ-
ხე. ილიას როგორ ვახსენებდი, რო-
გორ გავებდავდი გამომეთქვა მასთან
შესვლის სურვილი.

— რად გნებავთ, ქალბატონო, გო-
გინაიშვილი? — მკითხა.

— საქმე მაქვს.

— ქალბატონო! წინდაწინ უნდა
ვიტოლდე, რა საქმეზე ბრძანდებით,
მოვახსენებ და შემდეგ... — არც მას
აღვლია თავი სამუშაოდან.

„ააა... ეს უთუოდ გოგინაიშვილის
მლივანია. — ილიასთან ალბათ სულ
ვერ შევა კაცი“, — გავიფიქრე... და უც-
ხად გაუწოდე ხელნაწერი.

მან ჩამომართვა, დახედა რვეულს,
წაიკითხა სათაური. უცხად ასწია თავი,
შემომხედა, წამოღვა, ფაცა-ფუციით
მოსწია საეარძელი და მიმიბატყა.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, დი-
დად სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.
პირველი თქვენი მოთხოვნის დაბეჭ-
დვისთანავე მიიქციეთ ჩემი ყურად-
ღება. მინდოდა მენახეთ, მაგრამ ჩვენი
ცხოვრება სულ მოუცლევლობაში მი-
დის.

გაეღიმა, კიდევ შემათვალეურა; —
მე უფრო ხნიერი მეგონეთ ქალო, გა-
მოცდილი კალამი მოსჩანს თქვენი ნა-
წარმოებიდანო.

სიტყვა „ქალო“ მეჩოთირა, მაგრამ
რას ვვადრებდი უცხოს და ისიც ია-
ღარბაისელ კაცს. ვერც ვინაობის კი-
თხვა გავებდე. მოთხოვნა დაგტოვე და
როცა მეორედ მივედი, უკვე ვიცოდი,
რომ თურმე ია ეკალაძესთან მქონდა

საქმე. მე მას ვიცნობდი მწერლობით
და ყველაზე მეტად მომწონდა მისი
თეთრი ლექსი.



„გამოვეცი მუხთალ სოფელს,
ტყე მშვენიერო,
რომ შენს წილას,
შენს მშვენივას შემოვეფარო“

დიდი ლექსი იყო.

იას ჰქონდა კიდევ მოთხოვნები და
მათ შორის პოლიტიკური, ალგორი-
ული ხასიათის მოთხოვნა: „როგორ
ჩამოახრჩეს თხა“.

რამდენიმე ხნის შემდეგ, მივედი
რედაქციაში, რომ გამეგო ჩემი მოთხ-
რობის „უბედური ოჯახის“ ბედი.

მხიარულად მომეგება ია და მისა-
ყვედურა:

ამდენ ხანს რატომ არ მოიკითხე, არ
გაინტერესებდა მაინც მოთხოვნის ბე-
დიო?

მოთხოვნა მოსწონებოდათ და იამ
მითხრა: „ჩქარა გადაეცემა სტამბა-
სო“. ავანსიცი მივიღე 40 მანეთი, მაგ-
რამ მოთხოვნას მზის შუქი არ უნა-
ხავს.

„ივერის“ დამატება ჩქარა დაიკე-
ტა და ის ფული დღემდე ვალად დარ-
ჩა ჩემზე.

ზმირად მქონია შემთხვევა, რომ ერ-
თი რედაქცია დამიწუნებდა ამათუიმ
მასალას, მეორე კი დამიბეჭდავდა. აქ
ცოტა არ იყოს დამწყები მწერალი
გაოგნებული რჩებოდა. ის ფიქრობდა:
„სჩანს არ არსებობს ერთი აზრი, არ
არის ერთნაირი მოთხოვნილება და
გემოვნება, როგორც გამომცემლობა-
ში, ისე, ალბათ, მკითხველშიაც. ყვე-
ლას გემოვნებას ვერ უბასუხებს მწე-
რალი. ყველა სხვადასხვაგვარად
გთხოვს. თავსატეხად მქონდა მწერალს
ეს საკითხი.“

თუ არ ვცდები, 1911 წლის მაისი
იყო, მივედი „სახალხო გაზეთის რე-
დაქციაში. ამ დროს უკვე ორი შეილის
ღედა ვიყავი. ცენტრიდან მოშორებით
ვცხოვრობდი ქმრის სასახურის გა-

მთ. საოჯახო საქმეებმა ჩამითრია და იოლად ველარ გამოედოდი სახლიდან.

რედაქციაში ცვლილებები მომხდარიყო. რედაქციის ძველი შემადგენლობიდან თითქმის ყველა მომუშავე გადაესახლებიათ.

რედაქტორის თანამდებობაზე დამხედა ვეროპიდან ახლადჩამოსული ქერათმიანი ვაჟი. ეს ახალგაზრდა რედაქტორი პატივემული გერონტი ქიქოძე გახლდათ.

მან ჩამომართვა მოთხრობა „ქესო“, იშვინულად დახედა ხელნაწერს, თითქოს ხელში ასწონათ. ირიბულად ჩაედო და მის სახეზე წაიკითხა: „მოერეოდა ამოდენა მოთხრობას ეს ქალი თუ არა?“. შიგადაშიგ გადაფურცლა, აქა-იქ წაიკითხა, შემომხედა და თავი დამიკრა. მეც დავემშვიდობე და გამოვედი.

ერთი თვეც არ გასულა ამის შემდეგ, სოფელში ვიყავი, ბავშვებმა გაზეთი მოიტანეს, გავშალე და... ჩემი მოთხრობა „ქესო“ უკვე დაებეჭდათ.

ათასცხრაასთორმეტ წელს, საქალაქო არჩევნები მიდიოდა. ანდრია ღულაძეს, რომელიც ერთ დროს ცენზორადაც იყო, გამოეგზავნა ჩემთან კაცი და მთხოვდა, დამეწერა რამე ცოცხალი მოთხრობა მათი საკამპანიო გაზეთისათვის: მე დავწერე მოთხრობა „ლეში“. მოთხრობა სამ ფელეტონად დაიბეჭდა.

ამის შემდეგ შევდივარ „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. ახლა უკვე სხვა მორიგი რედაქტორი იჯდა იქ. შესვლის უშალ, მან პირდაპირ მომახალა საყვედური.

— ქალბატონო, განა ჩვენ კი ვერ დაგიბეჭდავდით მოთხრობას, რომ ვიღაც შემთხვევით ხალხთან არ წაგედოთ? რა ორგანო ნახეთ „დილა“, რომ მხატვრული ნაწარმოები იქ გააქციეთ. ჩვენ როდის გეითქვამს უარი?

— არა, ბატონო, მე არ ვფიქრობ რომ არ დამიბეჭდავდით, მაგრამ მათ

დამავალეს და ვერ... აღარ დავაბრუნებ სიტყვა, თან დავეუქლო, იქნებ მართლაც ცუდ აღვიღას განხილვის შედეგად.

— ეს არის მხოლოდ და მხოლოდ თქვენი პატივმოყვარეობა და მეტი არაფერი, აქაც ვინდათ დაბეჭდოთ, იქაც და იქაც.— მიმოაფრინა ხელი რედაქტორმა. რა თქმა უნდა შემრცხვა, გულიც მომივიდა, მაგრამ თავი შევიკავე და მაინც თავაზიანად მივუბნე.

— ბატონო ჩემო! ქართველი მკითხველი, თქვენს გარდა სხვა გაზეთებსაც კითხულობს, მე კი მკითხველთან მინდა მისვლა და ამიტომ...

— რა ამიტომ?— ჩამომართვა სიტყვა.— ამიტომ ყოველ მიმართულებას გაზეთთან უნდა მიხვიდეთ? გახსრულეთ, ყოველ მხატვარს მოეთხოვება თავისი იდეოლოგია, ყოველ ნაწარმოებს უნდა ჰქონდეს იდეური შინაარსი.

— ამიტომ უნდა შეზღუდულ იქმნას მწერლის არენა?— ვკითხე.

— დიად... ყოველ მწერალს უნდა გააჩნდეს მტკიცე პრინციპი. თქვენ რომელი გაგაჩნიათ?— დაუმატა იქედნურად.

თავში სისხლი ამივარდა, ცეცხლი მომედო, თუ წედან ვინანე გუნებაში, რად მივეცი იმათ მასალა მეთქი— ახლა ამ გადამეტებულმა უხეშმა დატუქსემამ გამაჯიქა და წანოვიძახე:

— მოწყალეო ხელმწიფე! მე იდეაც მაქვს და პრინციპიც მეთქი.

... — ...

1906 წელს, სამტრედიოში წავედი ქმრის ოჯახში. ჩემი ბავშვობა დედამისა თუ დედუფლეთის დიდ ეზო-გარემოში მქონდა გატარებული, მაგრამ ისე ლამაზად და კომწიად მორთული კარმიდამო, როგორც სამტრედიოში

გვეონდა, არც მამას ჰქონია და არც ბაბუას.

ძველ სამტრედიოში, რკინიგზის მახლობლად, ასკილის თეთრი ვარდით შეჩითული მაღალი ქვის ყორე უვლიდა გარს დიდ ეზოს, მწვანელ შეღებულ ჰიმნართან იდგა უხსოვარ დროის ქაღარი (დღეს სიძველეთა დაცვის კომიტეტის უფლებამოსია ეს ხე). ჰიმნარიდან ოდის კიბემდე საეტლე გზას, მაღალი გუნდის ხეები მისდევდა მწყრივად. ქვის კიბესთან იდგა მეორე დიდი ქაღარი, აიენის წინ ოთხკუთხ მოედანზე კონინდარი ბიბინებდა, მას ცისფერი დაბალი ხარატული მესერი ჰყოფდა ბალიდან.

პატარა, წვრილი, წითელი გზებით დასერილ ყვავილნარში დაღანებდა, შაისის, ზავერდისა და ჩაის ვარდი, ფერად მიხაკს და სხვა ყუყუნა ყვავილებს ქრელი ხალიჩა ჩაფინათ კვლებად დაყოფილ ფართობში. კამელიისა და ბზის დაბალი თანაბრად გადაკვეცილი ბუჩქები ჰყოფდა და ანაწილებდა ბაღს.

ოდის მარცხნივ მწვანე მოლზე იდგა შავი ქლიაეები, შვინდი და წყაყის ბუჩქები. იქვე იყო კოპშია მარანი და ქვევრების თავზე სტუმრები კოკოშით ხვამლნენ მჩქეფარე ღვინოს.

ატმის, მსხლისა და ვაშლის ბაღს ცალკე ჰქონდა ადგილი მიჩენილ, მარწყვიც ხარობდა, ხურმისა და ქლიაეების ჩრდილში. მრავლად იყო: თეთრი ბალი, კახაშბალი, აღუბალი, მათ კენწეროებზე მთელი დღე ძვივლ-ბივილი გაჰქონდათ ჩიტებს.

თუთებზე შავად შენაბდულ იზაბელას, მეტოქეობას უწევდა ჭარვისფერი მტევნებით დახუნძლული დაბლარი. კაკლის ხეების მწყრივს მოსდევდა თბილისა და ლელეების ხეივანი. ყოლოსა და მოცხარის ბუჩქებზე მარჯანივით ელვარებდა წითელი ნაყოფი.

ეზოს უკანა მხარეზე გაშენებული იყო საფარი ტყე და იქვე ჩამოდიოდა

პატარა დეღე, ამ დეღეში ფაცერო ედგა თურმე დიმიტრი, მჭეფფფფ... ქვეში დედამთილის მამასეულად: (ჩივი) შუთხები ჰყავდა ჩაბმული. სტუმარს ისე დაუკლავდა თურმე ზუთხს, როგორც ქათამს. მღვდელი სტუმართმოყვარე ყოფილა, მაგრამ არც სიძე ვასალ რატინი (ჩემი მამამთილი) უგდებდა ტოლს; ეზოში რომ სტუმრებით საესე ვტლი შემოსრიადღებოდა, მამამთილი მოასწრებდა ახალუხის ღილეების შეკვრას და ორადგაყოფილ ქერაწვერის გადაეარცხნას... სახლშივე გააცივებდა, რომ ღიმილით საესე სახე გაეტანა სტუმრებთან.

— აა, ბატონებო, მობრძანდით, მობრძანდით,—გამლიდა ხელებს, თუ ქალები ვრია სტუმრებში ხელზე ეამბორებოდა, მკლავს დაჰქერდა და ისე აიყვანდა აივანზე. დასბდებოდნენ, ისაუბრებდნენ, მცირე მოკითხვის შემდეგ, ჩაუძღვებოდა სტუმრებს ბაღში, მთლიანად დაატარებდა და აჩვენებდა. სტუმრები ქებას ასხამდნენ მის ბაღს და მასპინძელიც ბედნიერი იყო ამ ქებით. უკან დაბრუნებულთ, ქაღრის ძირში, ან მარნის წინ, თეთრ ლუფრაგადაფენილი მაგიდა ელოდათ. იქვე იყო ნარდი, ქაღრაკი და გიტარა, საუზმის დამზადებამდე რომ არ მოსწყურდათ სტუმრებს და გართობილიყვნენ.

კაცს უნდა შეეხედა ამ დროს სამზარეულოში, რა ალიაქოთი იდგა; იწვევებოდა ვარიები, ცხვებოდა ხაქაპურები და თხელ-თხელი მჭადები, იზილებოდა აბალი სულგუნები, სამზად სახლის უკან შეშით გაჩაღებული „სამოვარი“ ბოლაედა და ათასი რავე მზადდებოდა.

ოჯახის ბავშვებს აინუშშიაც არ მოსდიოდათ სამზარეულოა გასაჭირი, ისინი მზიარული სიცილ-კისკისით ესეოდნენ მესერთან მიყენებულ ეტლს. ზოგი შივ იჯდა მედიდურის სახით, ზოგი გარედან ეკიდებოდა, ზოგი სინ-

ჯავდა და ათვალეებდა ეტლის აგებულებას, ზოგს ცხენები უფრო აინტერესებდა და შორი-ახლოს უვლიდნენ გარს, თან ეშინოდათ ბედაურების. ცხენები დინჯად იდგნენ, ფრუტუნებდნენ და ბუზებს იგერიებდნენ. შეეტლე ან კოფოზე იჯდა და თვლემდა, ან ეტლის გვერდით წინ და უკან დადიოდა, მუხლს იმართავდა, ყალიონს აბოლებდა და ყურადღება სამზარეულოსაკენ ჰქონდა მიქცეული.

ამ დეკორატიული ბალის გაშენება ჩემი მეუღლის მარჯვენას ეკუთვნოდა, სანამ სამსახურს დაიწყებდა, თავისი ეზო-გარემო გაემშვენებინა. გამოწერილი ხილით და ნაირფერადი ყვავილებით მოეჭარგა იქაურობა. ამერიკული ვენახიც მას ჩაეყარა და ჩემი მამამთილი, ნამდვილი უსრომელი აზნაური, როცა ვენახში დაქირავებულ მუშას ადგა თავზე და თოხის პირს მისჩერებოდა, რაა ერთი ღერი ბალახი არ დარჩენოდა მოუტკრელი მუშას. თავათ ხელში გაშლილი ქოლგა ეპირა, რომ მზეს არ შეეწუხებია. დიდკაცობის მოყვარული, სოფელსა და კუთხე მეზობელში აგრერიგად არ გაერეოდა.

1914 წელს, ერთ კვირა დღეს, სადილად დაესხედით, ბუერი ვიყავით ოჯახის წევრი. მართო შინაურები თერამეტი სული მოუსხდებოდათ სუფრას, მაგრამ სულ მცირეწლოვანი ბავშვიც არ დაახლებდა ხელს საქმელს, სანამ ბაბუა ვასილი პირველს არ გადასახავდა და პირველი არ გატებდა პურს.

იმ კვირა დღეს, ის იყო, მამამთილმა ლუკმა აიღო, რომ ამ დროს შემოვიდა მამიდამისი ფოტინე რატიანის ასული, ჩემი მამამთილი „ფოსტას“ ეძახდა მას. მართლაც მთელი დღე დადიოდა და ქვეყნის ამბავს იგებდა. არც დეპეშა იყო მისთვის საჭირო და არც გაზეთი. „მამიდა, წაიკითხეთ, გაზეთში რა სწერია?“ „მამიდა, გაიგეთ ასე ყოფილა?“ ყველაფერს გაიგებდა, ყველაფერს იწვლილებდა, არა გამოეპა-

რებოდა რა; უსათუოდ სადილობდა დროს შემოალეებდა და მოლოდინობდა რომ უდროოდ დადგებოდა, მაგრამ სუფრის თავში მაინც დაჯდებოდა ძმისწულის გვერდით. იმ დღეს შემოსვლისთანავე შემოილაპარაკა: „არ გაგიგიათ წუხელის ხელმწიფეს რომ გაუვლია? ბათუმში წასულა“.

მამამთილმა, პირში წასაღები ლუკმა თეფშშივე ჩააბერტყა და წამოიძახა:

— ღმერთო მოკალი, რა კაცი ვარ ახლა მე? ჭურში არ ვზივარ? ეს არის ცხოვრება? რავე ვერ ვაგვივ ახლა აგი? გაგწყვიტოთ ჭირმა, რურურურუ... რურურუ... გუგუნობთ მთელი დღე, რას გაიგებს კაცი აქ თქვენ ხელში შეუტია ქალიშვილებს,—არ გამიკვირდა, წუხელის გალადღაღებულმა ექსტრენმა რომ ჩეიარა ბათომისაკენ?—შემოიკრა თავში ხელი, სკამი განზე გასწია, ნიბუხი გაივსო, მოსწია და მწუხარედ დაჰკიდა თავი.

— კაცო! შენი საქმე არ მაკვირვებს? რამ გადაგრაია?—მიიძახა მეუღლემ.

— აა... დამიწყებს ახლა ეს... არ უნდა გამეგო ხემწიფის გარება?

აქ ჩემმა დედამთილმა ველარ დაიკავა თავი, გაეცინა და უთხრა:

— რა იქნებოდა, რომ გაგეგო, დახედებოდი სტანციოში, დაპატიყებდი და ნიკოლოზ რომანოვი გავწვევოდა სადილად თუ რაა?!.. კაი, კაი, თუ ღმერთი გწამს, ნუ გიყვარს შენ ერთი, რალაცაზე ატყდები... — აუღლო ბანზე მწუხარება და გვანიშნა დაგვეწყო სადილობა.

ასეთ უსაქმურ აზნაურს გვერდით ედგა გასაკვირვავი ენერგიისა და გონების მქონე მეუღლე, ფატმან გელეიშვილის ასული, მხნე და გამრჯელი. მას ხშირად დაინახავდით ბაღში თოხით ხელში, თესავდა, თოხნიდა, ფოტახავდა, რგავდა, მთელი ზაფხული აკე-

თბდა სხვადასხვანაირ მურაბებს, ინახავდა თესლებს, ჩირს, წნილებს, გვიან შემოდგომით ხელმძღვანელობდა ღვინობის გადაღებას, აგროვებდა ოჯახის დოვლათს; სამამაკაცო საქმე უფრო უყვარდა, ქსოვდა და ქარგვა არ იზიდავდა, თუმცა შეილებს თავით უკერავდა ტანსაცმელს.

ბუერის მომსწრე იყო. ახსოვდა, რონზე დიდი ნაოსნობა, პირველ რკინიგზის გამოყვანა და სხე.

— შეიდი წლისა თუ ვიქნებოდით, — მიაზბო ფატმანმა, — სამტრედიიდან პირველი მე და მამაჩემი ჩაუჯექით, ქვისა და რიყის საზიდავე-გაგონში და კომიტნარამღე მივედით, სოფელი იძახდა, დიმიტრი მღვდელი გადირია და ბავშვსაც დაღუპავსო. მაგრამ ჩვენ მაინც წავედით, აქეთობას ვაგონის ბორბალი ლიანდაგიდან გადავიდა, მაშინ კი შეშინდა-მამა, გადმოჰსუა და ფეხით წამომიყვანა, — ისიც მოითბრო, თუ გზისმშენებელი ინჟინრები როგორ ამოსულიყვნენ ფოთიდან ნავით.

— პირველი პალო ჩვენს მინდორზე დაასვეს. სადგური აქ უნდა გაკეთებულყო. ჩვენი სახლი იქირავეს. კანტორაც იქ გამართეს. აუარებელი ხალხი მოდიოდა, ეზოში ბალახი მოისპო მათ ფეხქვეშ, კიბე და აივანი ატალახდა. მამაჩემს გაუწყდა მართინება და გაიქცა ალექსანდრე მიქელაძესთან, გაუღენიანი პირი იყო. მივიდა მასთან მღვდელი და შესჩივლა:

— იწამე ღმერთი და მომამორე ისრესებო.

მიქელაძეს ეკითხა: — რას გიხდენენო.

— სოფელი წამიბილწეს, ოჯახი ამიილაზრესო.

მიქელაძეს გახარებოდა ეს ამბავი. მაშინვე წამოვიდა თურმე და ინჟინრები კულაშში მიიბატოვა. გაუმართა სადილები, გადიბირა, გადიყვანა და მის მამულში აავებინა სადგური. ახლა

რომ სადგური და ქალაქი, ის კულაშის განაპირა ადგილი იყო გაუქვალე ქაცენარით და საფლურე-ტაღუქვით ნამდვილი სამტრედია კი ესაა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მარა, ინჟინრებს რაკი გეგმაში სამტრედია ეწერათ, ქაცენარს სამტრედია დაარქვენს.

— ასეა შეილო, კაცს თურმე მის ცხოვრებაში ორჯელ მიადგება კარზე ბედი, თუ აღამიანმა ვერ გაუგო და დროზე არ გაუღო კარი, ბედი გაბრუნდება და მერე უნდა იჩინალოს კაცმა თავის სიცოცხლეში. მამაჩემს რომ ქეუა ეტანებია, ის ქალაქი ახლა აქ იქნებოდა და ჩვენც რამდენად წინ ვიქნებოდით, — იტყოდა გულდაწყვეტილად.

სხვა ამბებსაც ბუერს მოითბრობდა. პირდაპირ ზუბირმთხზველი იყო. როგორც კარგ წიგნს გატაცებით კითხულობს კაცი, ისეთივე გატაცებით და გულისხმიერებით ვუგდებდი ყურს მის მოთბრობილ ამბებს. ამბავის ისეთ კვანძებს, ხლართებს და ინტრიგას მოუყრიდა თავს, რომ ნამდვილი სიტყვის ოსტატი მოგაგონდებოდათ.

ტანადი იყო. თეთრ, ფერმკრთალ, ენერგიულ სახეს უმშვენებდა თაფლისფერი, სიმართლით საესე თვალები. იშვიათად თუ ვინმე გაუბედავდა სიტყვის შებრუნებას, სოფელი ჰქვიან ქალს ეძახდა, ზშირად მცხოვლები ნათესავ-მოყვარენი, სთხოვდნენ და წიყვანდნენ, რომ მოერიგებია მათს ოჯახში ატეხილი უსიამოვნება, გაყოფა იქნებოდა თუ სხვა რამ უკმაყოფილება. ეკლესიაში რომ შევიდოდა, მლოცველები მორიდებით უთმობდნენ ადგილს.

თუ ბავშვობისას ბებიამ და დეიღამ უანგარო ამაგი დამდეს ზღაპრების თბრობითა და წიგნების კითხვით, არა ნაკლები ამაგი მიუძღვის ამ დარბაისელ ქალსაც.

ბუერი მოთბრობა ავაგე მის მოთბრობილ ამბების ქარგაზე. „საიდუმ-

ლო“, „სამაგიერო“, „შიშნოილი საქართველოში“ და სხვა. ერთობ უყვარდა, რომ წაეუეთხაედი დაწერილს, რა თქმა უნდა, ლიტერატურულად გაშლილსა და გადაკეთებულს, მაგრამ შიგადაშიგ მაინც იცნობდა თავის ნაამბობს, სახე გაუნათლებოდა და წამოიძახებდა:

— მოიცა, მოიცა, — და იგონებდა ამბავს. შესწორებაც შეჰქონდა, შერე თავს ჩაიქნევედა და იტყოდა: ჰო, ჰო, შენ ასე უნდა დასწერო.

... — ...

1907 წელს დაეწერე მოთხრობა „ჯაშუში“. „სახალხო გაზეთში“ ვერ დაბეჭდა გაზეთისათვის დიდიოა, თან რედაქცია უსახსრობის გამო პონორარსაც აღარ იძლეოდა. შეეუღდეჰი წიგნად გამოცემის საქმეს. გამოცემის მსურველებიც აღმოჩნდნენ. სტამბის მუშა ფილო მინდიაშვილის მეთაურობით შეამზანაგდნენ მუშები და გამოსცეს.

კორექტურა მევე გამომიგზავნეს გასასწორებლად. გაეასწორე და წიგნი ზოგი რამ რჩევისთვის წაუღე ფილიბე მახარაძეს. მას ვიცნობდი ჩემი უფროსი სიძის პლატონ ჯინჭველაშვილის მეშვეობით. ისინი კი სემინარიიდან იცნობდნენ ერთმანეთს. იმ დროს ფილიბე ცხოვრობდა მალაკნის ქუჩაზე. მგონი სასტუმროში.

ფილიბემ სიამოვნებით მოჰკიდა ხელი და გაასწორა კიდევ, მხოლოდ მითხრა: არ მოგერიდები, მხატვრობის მხრივ შეიძლება ვერ იყოს მაღალი ღირსების, მაგრამ ამდროისთვის ერთობ გაბედული ნაბიჯია. იქნებ უსიამოვნებაც ბევრი შეგზედეს ამის გამოო.

მართალი გამოდგა ფილიბე. წიგნმა ბევრი დევნა განიცადა. სად არ დააკავეს: ქუთაისში, ბათუმში, თბილისის ვაგზლის კოსკიდან წაიღეს, კიათურა-

ში მალაზიის პატრონიც დაეჭრაოთ ერთი დღით. ჩემი ბინდენი წაიღეს ორასი ვეჭემლარი. გიგლინიძეც ამავე წლებში ეწერ პატარ-პატარა ფელეტონებს, რომელთაც ბეჭდავს „სახალხო გაზეთი“, „ისარი“ და სხვა გაზეთები.

ბევრს ემუშაობდი და ბლომდაც ვიბეჭდებოდი.

ერთ დღეს მივიღე მისაწვევი ბარათი (ეს იყო 1908 წელს). განსვენებულ გიგო რცხილაძე და ორიც სხვა აწერდნენ ხელს.

სალამოს შვიდ საათზე შევიკრიბეთ ყოფილ არწრუნის ქარვასლაში (იქ რალაც დაწესებულება იყო). კრებაზე ბევრი იყვნენ. აქ ვნახე პირველად კოტე მაყაშვილი, ილიკო ზურაბიშვილი (ელეფთერიძე), მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე. შევხედი ძველ ნაცნობებს—ივანე გომართელს, იროდიონ ევლოშვილს, სიკო ფაშალიშვილს, ლევან მეტრეველს, გემნაზიელ სანდრო შანშიაშვილს და სხვებს. ამდენი ხალხი ერთად რომ დავინახე, შეეკრთი, შემრცხვა, აღარ ვიცოდი, საით მივბრუნებულეიყე და იქვე კარებთან ჩამოვჯექ სკამზე. კრება ჯერ არ გახსნილიყო, ჯგუფ-ჯგუფად საუბრობდნენ ერთმანეთში.

მარტო ეიჯექი გარიყულივით.

ამდენ მამაკაცებში ორი ქალი ერია, ორივე თმა შეეკრცხილი, ამ ქალებმა რალაც იწურჩულეს. ერთი მათგანი, პატარა ტანის, ბამბის ქულათმიანი ქალი მოვიდა ჩემთან პირდაპირ და მკითხა.

— თქვენ გარიყული ხართ, არა?

დიად-მეთქი, ვუპასუხე და წამოვიწიე სკამიდან.

ქალმა პატარა ლამაზი ხელი გამომიწოდა და მითხრა: მე ნინო ნაკაშიძე ვარო, მომკიდა ხელი, მიმიყვანა მეორე ქალთან და მითხრა:

— ეს ეკატერინე გაბაშვილი ბრძანდება.

ყოველთვის მენატრებოდა ამ მწერალ ქალის შეხვედრა, და ამისრულდა კიდევ სურვილი.

ეკატერინე გაბაშვილი თანამედროვე იყო დიდი ილიასი, აკაკის, დიმიტრი ყიფიანის, ივანე მაჩაბლის და მრავალ სხვათა, ეს იყო ჩვენი ეკატერინე, მთავრით მადლი, თოვლივით სპეტაკი, ვერცხლის წყალივით დაუდეგარი, დაუღალავი, ყველასათვის საყვარელი. ჩემი სკოლა იყო ილია, აკაკი, ყაზბეგი, ნინოშვილი და სხვები, მაგრამ მათთან ერთად ეკატერინეს ნაწერებზედაც ვიზრდებოდი.

არა ერთი და ორი ცრემლი დამიღვრია მისი მადლიან კალმის გავლენით. რომელ ქართველ მოწაფეს არ დაუნახავს, ქედზეჭადმომდგარი, სასამართლოდან მოშავალი მისი მაგდანა, რომელსაც თოჯ-ჩაბმული მოჰყავდა თავის ლურჯა? ვისი გულისწყრომა არ გამოუწვევია „რომან დიდებეაში“ აღწერილ ამბავს? ვის არ დასწყვეტია ვული „გადაჩეხილ დეინიაზე“, ან და „თინას ლექტურზე“? მათ წაკითხვის დროს, ვის არ დასახვია თვალწინ გლეხკაცის ღუბჭირი ყოფა? ყველაფერმა ერთად გამიზრდინეს გონებაში, მზად ვიყავი მოვხვევოდი და მეამბორონა მსცოვან მწერალ ქალისთვის.

დამისვენს გვერდით, ჩემი ამბავი კითხვს, მათიც მითხრეს მოკლედ, ცოტად გამოვეცნაურეთ ერთმანეთს და წელანდელი უხერხულობა ჩამოვიბერტყე.

გაიხსნა სხდომა, მწერალთა საზოგადოება უნდა ჩამოყალიბებულიყო. (როგორც იყო „დრამატული საზოგადოება“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“). ვინც ღღეს აქ ვესწრებოდით, მოწვეული ვიყავით დამფუძნებელ წევრებად.

მოსხენების შემდეგ ჩვეულებრივად იწყეს ახრთა გაცვლა-გამოცვლა. კმათი გამოიწვია იმან, თუ რა დარქმეო-

და ამ საზოგადოებას. ბოლოს მიიღეს სახელწოდება „სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოება“, ^{ეკატერინეს წესდების შემდგენელი კომისია.} წესდება შესდგა და შემდეგ გაზაფხულზე მოიწვიეს გაფართოებული კრება, ბელინსკის ქუჩაზე სათავადაზნაურო საკრებულოში.

უზარმაზარი ნათელი დარბაზი სავეყ იყო ხალხით. ნაცნობები ველარ შევაქმნიე, ისე ამიკრელდა თვალები.

შუა ადგილას მწვანე მაუღდადაფარებულ გრძელ მაგიდას შემოსხდომოდნენ დამაახურებელი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. ჩემი ყურადღება მხოლოდ ერთმა მიიპყრო, თითქოს მეტს ველარაგვის ვხედავდი, ვერც ვერაგვის ვამჩნევდი.

თავმჯდომარე ჩატარებული მუშაობის ანგარიშს აცნობდა კრებას. შემდეგ წესდების კითხვა დაიწყო.

მე ყოველივე ეს შორეულ გუბუნად მესმოდა, ერთიმეორეს ვერ ვუკავშირებდი, ჩემამდის არ აღწევდა ნათი მსჯელობა. მიეჩერებოდა მხოლოდ, მაგიდის თავში მჯდომ კაცს, ასე ახლოს მე ის არასოდეს არ მენახა.

შავი ფრაკი ეცევა, გახამებულ საშაჯურებზე ოქროს საკინძეები უელავდნენ, მის ბრძნულ თავს თოვლივით თეთრი თმა ამკობდა, სახეზე თითქოს ლეთიური მადლი აფენიაო მის დამნახველს ჭირ-ვარამი გულიდან მოეცლებოდა.

— თქვენ რა აზრის ბრძანდებით ბატონო აკაკი?—კითხვა მას თავმჯდომარემ.

აკაკიმ დაილაპარაკა, მას ახალგაზრდული, ზარივით წმინდა, წკრიალა ხმა ჰქონდა. მე ეს ხმა უფრო ყმაწვილობისას გრამაფონის ფირფიტაზე მქონდა მოსმენილი.

აკაკიმ სთქვა.

— ბატონებო! ჩვენ მაინცა და მანინც წევრების სიმრავლეს ნუ გამოვუდგებით. თქვენ დამერწმუნეთ, რამ-

დენადაც მცირეა ესა თუ ის წრე, იმდენად უფრო საქმიანიაო.

ისე გამიტაცა მისმა ცქერამ, არც კი გამივია, როგორ გათავდა კრება. ხალხი აიშალა. აქა-იქ ისევ ჯგუფდებოდნენ, ლაპარაკობდნენ, აკაკის გარს ეხვეოდნენ.

— არ მოდიხარ, მარიამ?—მკითხა ნინო ყიფიანმა (დიმიტრი ყიფიანის რძალმა და კოტე ყიფიანის მეუღლემ, იგი ტანახოვანი ქალი იყო. მწერლობის დიდი მოყვარული, „სპარტაკის“ მთარგმნელი და ავტორი პატარ-პატარა გამოუქვეყნებელი ესკიზებისა, რომელსაც მხოლოდ ახლო მეგობრებს წაუკითხავდა. ეურჩევლით დაბეჭდვას, მაგრამ ის ამას არ შეუძლია, მან გადასცა ქართულ მწერლებს დიმიტრი ყიფიანის დიდი მამული დიდივე სახლით სოფელ ქვიშხეთში).

იმ დღეს რატომღაც ორი ქალი ვიყავით კრებაზე მწერალ ქალებიდან.

მაშინვე ავდექი და უსიტყვოდ გავყევი ნინოს. დერეფანში კიტა აბაშიძემ გავვისწრო წინ და კიბეზე ჩამავალ სანდრო შანშიაშვილს მიაძახა:

— შანშიაშვილო, მობრუნდი, აკაკის უნდა შენი ნახეაო.

შანშიაშვილი კიბიდან მალა ამობრუნდა, გაწითლებულიყო და უწესრიგოდ აწეწილ თმებზე უხერხულად ისეამდა ხელს. ხალათის კალთებს ისწორებდა, ერთი სიტყვით თავი წესრიგში მოჰყავდა, რომ იმ კაცის წინაშე წარმდგარიყო, ვინც ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს სილამაზესა და მშვენიერებას უმღეროდა.

შემშურდა შანშიაშვილის ბედი და ხმაიმალა მივაძახე: აჰ, ნეტავი შენმეთქი!

კიტა შემომიბრუნდა, ის რედაქციიდან მიცნობდა.

— როგორ, თქვენ არ იცნობთ აკაკის?—მკითხა გაკვირვებით.

— არა, არ ვიცნობ, — ვუპასუხე გულდაწყვეტილად.

კიტამ უცხად წამაელო ხელი, ბავშვით წამაჩიქჩიქა, მიმეცხვინა აკაკისთან და მოახსენა: გიგლინიძეა

— ჩვენი ახალგაზრდა ბელეტრისტი ქალი მარიამ ვარიყული!

აკაკიმ ხელი ჩამომართვა, შემხედა, გაიღიმა და მითხრა:

— რამ გავრიყა, ქალო! ასე ახალგაზრდა და ვარიყული? მე ხნიერი მეგონე... ვარიყული, განდევილი... ჩამოთვალა, თითები შეათამაშა, თითქოს გულისწყრომა გამოსთქვა „ახირებულო“ ფსევდონიმისათვის.

კიტა აბაშიძე იღვა მოკრძალებით და უცდიდა, როდის დაამთავრებდა აკაკი ჩემთან მცირე გასაუბრებას.

— ესეც ჩვენი ახალგაზრდა პოეტი შანშიაშვილი,—განაგრძო კიტამ.

აკაკის ყურადღება შანშიაშვილზე გადავიდა, მე ნელა დავექარ თავი, უკან დავიხიე და გამოვბრუნდი. ცუდ გუნებაზე წამოვედი კრებიდან და დიდხანს ვწყველიდი ჩემ თავს, თუ რად დავირქვი ვარიყული, მომავონდა ია ეკალაძემ რომ მითხრა, ხნიერი მეგონეო, თურმე აკაკისაც ხნიერი ეგონე, ალბათ, მთელ ქვეყანას ბებური ვგონივარ-მეთქი, ვიფიქრე.

მას შემდეგ ბევრჯერ დავაბირე ფსევდონიმის შეცვლა, მაგრამ დღემდის მაინც „ვარიყულად“ დავრჩი.

აქვე უნდა გავიხსენო ერთი ამბავიც. ეურნალ „ნაკადულს“ სოფლიდან გამოუღზავნე საშობაო მოთხრობა „ლარიბთა ჭერქვეშ“.

იმ დროს ეურნალ „ნაკადულის“ სარედაქციო კოლეგია ხელმოქტი კაცისაგან შესდგებოდა, მათ შორის მხცოვანი მგოსანი აკაკიც იყო, როდესაც თბილისში იქნებოდა, ესწრებოდა რედკოლეგიის კრებებზე.

ჩემი მოთხრობა კოლეგიას წაეკითხა, ნინო ნაკაშიძემ (ეურნალის რედაქტორმა) მითხრა:

— აკაკის ცრემლით ავესო თვლები და სთქვა: დიდი ხანია ასეთი არა-



ფერი წამიკითხავს, მხოლოდ საბავშვო ჟურნალისთვის არ გამოდგება, და სხვა გაზეთის გავუგზავნოთო. მასვე დავსახელებია გაზეთი „თემი“. გაზეთმა მოთხრობა დაბეჭდა, ეს იყო 1913 წელს. ამის შემდეგ, თებერვლის ერთ ცივ საღამოს, სკამებგადასაკეც ტრამვაიში ვიჯექი. ტრამვაი, ყოფილ გოლოვინის პროსპექტზე, სამხედრო ტანსაცმელით გაჩერდა, ვაგონის სახელურს წაერთმია ვიღაც თეთრწყვერა მოხუცი, ცალი ხელი დოღბანდით ჰქონდა შეხვეული. ცალის ხელით გაუჭირდა ტრამვაიში ამოსვლა. შევხედე მოხუცს: აკაკი, ჩვენი საყვარელი აკაკი ხელი გავუწოდე, ამოსვლაზე ვუშველე და ჩემი ადგილი მოკრძალებით დავუთმე. მან შემოხედა, შევატყუე ვერ ნიცნო, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვეცნე.

— მარია გარყული გახლავარ, ბატონო აკაკი—ვუთხარი. გული ნეტარებით ამევსო, რომ ასე ახლოს ვიყავი დიდ პოეტთან.

სქელი, შავი, საზამთრო პალტო ეცვა, ნაცრისფერი გახუნებული ქუდი ეხურა, ხელშიც მსხვილი ჯოხი ეჭირა. გარყულის გაგონებაზე თავი ცოტათი ძირს დახარა, ქუთუთოებზე ამოფარებული თვალებით მომაჩერდა.

— შენ ხარ მარიაში? ჰოო,—რაღაც მოაგონდა...—ჰოო, შენი მოთხრობა წაგიკითხეთ ამასწინათ, მასიამოვნე, ქალო, მასიამოვნე. სწერეთ, სწერეთ... ახლა თქვენი დროა, ჩვენ დაებერდით... აბა, ხომ ხედავ?—შეხვეული ხელი მაჩვენა.—ხომ უყურებ? ტრამვაის ჩაუვარდი და კინაღამ მომკლა, ხელი დამიშავდა.

— მერე, ბატონო აკაკი?—შევეკითხე შეშფოთებით.

— მერე, არაფერი, აფთიაქში შემიყვანეს და იქ შემიხვიეს. იმას გუუბნებოდი, ჩვენ დაებერდით, აღარ შეგვიძლია.

ამ ლაპარაკში მოვედი, კიდევ მკშინდელ ერეენის მოედანზე, ტრამვაიდან გადმოსვლაც ვუშველეს. მხეგრამი იგი აღარ დამშვიდობებია, იქვე დავავიწყდი. კარგა ხანს ვიდექი და მიეჩერებოდი მიმავალ მოხუც აკაკის.

ამ დიდ ადამიანთან შეხვედრის ეს ორი ბედნიერი შემთხვევა მქონდა, ხოლო, მეორე ბუმბერაზ კაცთან, საქართველოს ფიქრსა და აზროვნებასთან კი ერთხელაც არ შეღირსა მიახლოვება.

მხოლოდ ერთხელ, ყმაწვილ ქალობისას ორჯონიკიძის (ყოფ. ანდრეევის) ქუჩაზე შემთხვევით მომიხდა ჩავლა. ამ ქუჩაზე აშენებდნენ სახლს, კალატოზებს თავზე ადგა და რაღაც განკარგულებას აძლევდა ვიღაც, ევროპულად ჩაცმული კაცი, ჩემდა უნებურად შეეჩერდი და დავეუწყე ყურება; ის იყო ილია, დიდი ილია.

შემეშინდა, არ შემამჩნიოს, რომ ასე ვუცქერი-მეთქი, ქუჩის მეორე მხარეზე გადავედი და ვუცქირე, სანამ ლაპარაკს არ მორჩა, ეტლში არ ჩაჯდა, რომელიც იქვე უცდიდა და არ წავიდა. ეს იყო და ეს, მეტად ის აღარ მინახავს ცოცხალი. ვნახე მხოლოდ მისი ცხეღარი.

... — ...

ეკატერინე გაბაშვილის სამწერლო მოღვაწეობის ხანაში არ ყოფილა ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სადაც მას არ შეეტანოს თავისი წვლილი.

იგი ახლაც შეიქმნა „სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოების“ ერთი ფუძემდებელთაგანი.

შოაკოვის ქუჩაზე, თავისვე სახლში, გამოჰყო ერთი დიდი კარგად მორთული ოთახი ამ საზოგადოებისათვის. პირდაპირ რომ ითქვას, სალონი მოუწყო მწერლებს, სადაც კვირაში ერთხელ ეიკრიბებოდით და რიგრიგობით იკითხებოდა ამათემი მწერლის ნაწარ-

მოები. შემდეგ იმართებოდა კამათი და ავტორის ექლეოდა მითითება.

იმ ზამთარში წაიკითხა თავისი მოთხრობა „გაროზგული“ ილიკო ზურაბიშვილმა (ელეფთერძე). საზოგადოების თავმჯდომარემ, ეკატერინეს სიძემ პოეტმა კოტე მყაშვილმა წაიკითხა „ეშმაკი საქართველოში“. ეს იყო ანტირელიგიური სატირა, მაშინდელი სამღვდელთა საშინელი დაცინვა. ეს ნაწარმოები დაიბეჭდა „გრდემლში“.

ლევან მერტველმა წაიკითხა დრამა. შანშიაშვილმაც პოემა წარუდგინა საზოგადოებას. ივანე გომართელმა ლიტერატურული მიმოხილვა გააკეთა, აქ განიხილეს ედოშვილის ლექსების კრებული. მეც წაიკითხე ჩემი მოთხრობა „საიდუმლო“. ეს მოთხრობა დაიბეჭდა „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში.

ხშირად ესწრებოდა კრებებს მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, რომელიც ზოგჯერ გაიმაკვიტებდა კიდევ. იქვე ფანქრით, ხელად მოხაზავდა რომელიმე მწერლის სახეს, ხან ნამდვილს, ხან მეგობრული შარკის სახით.

ერთ-ერთ ასეთ კრებაზე გავიცანი ახალგაზრდა მწერალი ქალი ცეკიტი. მას ვიცნობდი მხოლოდ ნაწერებით, საბავშვო ჟურნალ „ნაკადულში“ ხშირად იბეჭდებოდა მისი ნიჭიერად დაწერილი ცოცხალი მოთხრობები.

დიდხანს ვიკრიბებოდით ამ სალონში, ზოგჯერ, ტკბილ ნამცხვარებითა და ჩაითაც გავგიმასპინძლებოდნენ, აქ, რა თქმა უნდა, თავს იჩენდა, გაბაშვილ-მყაშვილების ძველი ქართული სტუმარ-მასპინძლობის ადათი.

ეკატერინეს უყრს სულ აღარ ესმოდა, კრებებს მაინც ესწრებოდა. ისეთის ცოცხალის თვალებით შეპყრებდა იქმყოფთ, თითქმის ერთი სიტყვაც არ ეკარგებოდა.

საჩქაროდ ეწერდით, რაც ითქმოდა კრებაზე: კატო წაიკითხავდა და სიამოვნებით ჩაიქნევდა თავს.

იმ დროს არსებობდა „ეკატერინელ ქალთა საზოგადოება“. ქართველ მწერალ ქალებიდან რამდენიმე მწერალი ლურად იყო ამ საზოგადოების წევრი.

ამ დროს ეკატერინესთან ვიკრიბებოდით: ნინო ნაკაშიძე, კეკე მესხი, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელისა, ნატ. აზიანი, დარია ახვლედიანი, რამდენჯერმე განდევნილიც მოვიდა.

გადაეწყვიტეთ „ეკატერინელ ქალთა საზოგადოებაში“ ქართველ მწერალ ქალთა“ სახელით ფედერატულად შევსულიყავით, რომ გეჭონოდა ჩვენი კერძო, წმინდა ქართველური საქმიანობა და მათთან შენაკადად ეყოფილიყავით... ამაზე ვმსჯელობდით, ვსაუბრობდით და მიზნებს ვისახავდით, რა უნდა გავეკეთებინა, მაგრამ 1914 წლის მსოფლიო ომმა ჩაგვიშალა ნააზრები, და ჩვენც დავიქსაქსენით.

მე სამტრედიისში, ქმრის ოჯახში, წვედი საცხოვრებლად. მაშინ უკვე სამი შვილი მყავდა. მათი გაზრდა, საოჯახო საქმე, თან ლიტერატურული მუშაობის სიყვარული, ყველა ერთად კისრად მაწეა, რაც ასე ადვილი საქმე როდი იყო ჩემთვის.

ჩემი სამწერლო გზა, ჩემი სულიერი ზაზრლო იყო, მაგრამ ბავშვებზე ზრუნვა, მათი კეთილდღეობა უფრო მეტად მიღირდა, ისინი იყვნენ ჩემი მომავლის იმედი, ჩემი ცხოვრების მიზანი და ჩემი სიცოცხლის გამგრძელებელი.

ამ გრძნობათა და მოვალეობათა ზრუნვა-ქიდილში უთუოდ ერთობ ეწერეილობდი, რაც მელავნდებოდა ეკატერინე გაბაშვილთან მიწერ-მოწერაში.

ეკატერინე ფრიად თბილი წერილებით მამხნევებდა.

„ნუ გადარდებს ის, რომ შვილები ხელს გიშლიან მუშაობაში, რაც უნდა ძვირფასი რამ დასწეროს კაცმა, ან დახატოს, თუნდ გამოძერწოს, დამერწმუნე, შვილზე ძვირფასს, საყვარელს“

და საიმედოს ვერას შექმნის. ჯერ ხომ სამი შეილი გყავს და მეტი არა; ორი ვაჟი და ერთი ქალი. ქართლში ამას „ნანატრ“ შეილებს“ ეტყვიან. განა მე უფრო მეტი არ გავაჩინე, განა მე არ მიშლიდნენ ხელს შეილები ლიტერატურულ მუშაობაში? მიშლიდნენ და ძალიანაც მიშლიდნენ. ჩემი სცენა „ფრთებდაგლეჯილი“ სწორედ ამ ნიადაგზეა დაწერილი. მაგრამ რას ვიზამთ, ჩემო კარგო, მარიამ! დედაკაცის ხედარი ეს არის... შენ იმერელი ქალი ხარ. უფრო ცხარე ტემპერამენტის, ვიდრე ჩვენ, ქართლები, და ამიტომაც გეჩვენება ყველაფერი ეს დიდ უბედურებად.

იმასაც სჩივი, სათანადოდ ვერ ვზრდი შეილებსო. მე კი გეტყვი, ნუ შოინდომებ მათ ჩაკეტვას, მიუშვი ბავშვი ნებაზე, რასაკვირველია, განსაზღვრულ გარემოებამდე, დე თავისუფლად გაიზარდოს, ნუ შევბოქვით მათ ბენი მკაცრი აღზრდით. „არ გატეხო, არ გაიქცე, არ დაეცე, არაფერი იტყინო, არ იტირო“—ეს ყველაფერი ციხეა ბავშვებისათვის.

აქეთ იმდენი, რასაც შენა ღონე ასწევს და ესეც ერთი ავური იქნება იმ შენობის ასაგებად, რაც დღეს ჩვენ უფლებსააყრილ ქვეყანას ესაჭიროებაო“.

ვინ იცის, რამდენჯერ გადამიკითხავს ეს წერილი, რომ ასე სიტყვა-სიტყვით ჩამგდომია მახსოვრობაში.

ვსრომობდი, შეილებს ვზრდიდი, მწერლობასაც არ ვივიწყებდი და საზოგადოებასაც ვემსახურებოდი, საშკითხველოს გახსნით, სალიტერატურო საღამოების მოწყობით, თუ სცენაზე თამაშით.

1923 წელს, როცა ქ. გორში შემოქმედებითი საღამო გამიმართეს, პედაგოგმა ალექსანდრე გარსევანიშვილმა, მოხსენებაში სხვათა შორის სთქვა:

„აქტორი გვეუბნება „ცალი ხელით

რომ ვწერდი, ცალით აკვანს ვიწერდიო“.

და მართლაც მუდამ ვწერდი ვახსოვს სამტრედიისში ყოფნის დროს დიდ ოღაში ორი ოთახი მე მეჭირა.

... ზამთრის ღამეა, მთელ სახლს სძინავს, სძინავს ჩემს ბავშვებსაც, მეორე ოთახის კარი ღია მაქვს და აქედან ვღარავიგებ სამ პატარა საწოლს, სამივეში ჩემი სულის ნაწილები სუნთქავენ, მეოთხე აკენით მიდგას გვერდით და ფეხით ვარწევ.

ქეჩებით მოფენილ ოთახში თბილა, ბუზარი ღულუნებს, შეშას აღრევე ვიშარაგებ, რომ ღამით არ შემაკლდეს. ვუზივარ მაგიდას, შილერს ვკითხულობ, ზოგჯერ ვწერ რაღაცეებს. გარეთ ქარი ზუზუნებს, ფოთლებშემოძარცული ქაღარი ირხევა და ხანგამოშვებით გრძელ რტოებს სახლის ყავარზე ალაწუნებს.

ხანდახან ძალდი დაიყუფს, მატარებელმა ჩაიარა, ღამის სამი საათია.

შემოიღო ოთახის კარი, ნაშინარევემა, მხრებზე ახალუწამოსხმულმა მამამთილმა შემოიპყო თავი კარებში. პირუჯვარი გამოსახა:

— დიდება შენდა, ღმერთო! როდის იძინებ, ადამიანო? თავი მაინც არ გეცოლებათ?

ამბობს და შიღის.

წინათ, ბავშვობაშიც მიტყდებოდა ძილი, იმ უძილობის მიზეზი, ზღაპრებიდან და უფრო მოგვიანებით კი ლიტერატურულ ნაწარმოებებიდან ამღილი სახეები იყო.

ახლა კი ჩემი საკუთარი გმირები არ მაძლევდნენ მოსვენებას. ესენი იყვნენ, პირველყოფლისა, საკუთარი შეილები და შემდეგ ჩემი მოთხრობების ტიპები, თითქმის შეილებად მიმაჩნდნენ, მივდიოდი, მოვდიოდი, თუ საოჯახო რამ საქმეს ვაკეთებდი, ეს შეილობილები, ჩემი გამოსახული პატარა გმირები, თან დამდევდნენ, ხან აქედან მომივლიდნენ, ხან იქიდან, ხან პირდა-

პირ სახეში ვეყურებდი მე მათ, ხან პროფილით. ერთ სახეს ყოველდღიურად ვამატებდი სხვადასხვა აღამიანთა ახალ რამ თვისებებს.

ღამეთა სიჩუმეში, ხშირად ვესაუბრებოდი ჩემს გმირებს. ერთ ღამეს, როცა მთელ ოჯახს ეძინა, მე გავეტაცნე ჩემი ფანტაზიის ნაშობ გმირს და ხმამალლა ვეკამათებოდი.

პატარა გოგონას გაღვიძებოდა, ჩამოსულიყო საწოლიდან, პერანგის ამა-რა მოსულიყო და მომხვევოდა: „გადილიე, დედა?“ — მკითხა. განოვერკვიე თავდავიწყებიდან, ბავშვს ხელი დავავლე და ლოგინში ჩავაწინე.

1915 წელს დავეწერე ნოველა „ღიმილი“, რომელიც დაიბეჭდა სახალხო გაზეთში, ერთ ფელეტონად, მე ეს დაარულებულად მიმანდა.

ამის შემდეგ გავიდა მგონი სამი თვე. ზამთრის ღამეა, მძინავს შეილებთან, ვიღამაც ხელი შევახო და გამეღვიძა, ოთახში მივიხედ-მოვიხედე, არაკინ არ არის. სიჩუმეა, ხოლო ყრმათა სუნთქვა ისმის, ბუნარი შენელებულა. თვალი გამიშტერდა მინელებულ ნაკერჩხლებზე „რად ჩაიწვა შეშა, რად ჩანელდა ცეცხლი, რად ჩაიფურფლა?“ არ ვაცი, რამდენ ხანს ვიყავ ამ არეულ საგონებელში, თითქოს ტვინს მწკავდა რაღაცა.

ვიღაც ნაცნობის სახემ გაირბინა ჩემ თვალწინ, ერთს მეორე მოსყვა, მეორეს—შესამეც. ეს სახეები, სამი თუ ოთხი თვის წინ შემხვდნენ, ილაპარაკეს კიდევ ჩემთან და წავიდნენ. ახლა აქ მოსულან გამაღვიძეს, თავზე დამდგომიან და თითქოს მეტბნებიან. „რისთვის დაგეტოვე შეა გზაზე? დაგვასრულე, დაგვამთავრე“.

სწრაფად გადავიცი ხალათი და მივუჯექი მაგიდას, არც სიცივე მიგრძვინია, არც ყინვა. ზამთრის ღამე საუკუნეა, გაუთავებელი. ირიერთა, მამლებმა იყიელეს, ქათმებიც გადმოფრინდნენ ქანდარებიდან.

ცრემლები მოვიწმინდე, შემცოდნებია ჩემი გმირი და მეტყველად აღამი დაესდე. ნოველა „ღიმილი“ დამთავრდა, მეორე ფელეტონი დაიწერა.

ასევე დავიტირე ჩემი „უსინათლო აღუქსი“, როცა დავამთავრე მისი წერა, გულამომჯდარი ვტიროდი...

ასე ხდებოდა, ასე ვწერდი, ვწერდი ცხოვრების ზოგიერთ მოვლენებზე და ვწერდი იმ აღამიანთა სახეებზე, რომელნიც მხედებოდნენ ცხოვრების გზაზე.



1916 წ. სამტრედიიდან ქუთაისში გადავსახლდი. უფროსი ვაჟი ქართულ გიმნაზიაში შევიყვანე, იქ იმ დროს საუკეთესო მასწავლებლები იყვნენ.

მუშაობა დავიწყე „ჩვენს მეგობარში“. კორექტურას ვასწორებდი, ხანდახან წერილებსაც ვათავსებდი გაზეთებში.

პირველი მსოფლიო ომი დასასრულს უახლოვდება. დაძაბული მდგომარეობაა. ყველას უწყდება მოთმინება, ყველას უნდა ხმა მალლა გამოსთქვას თავისი ფიქრი და ზრახვა.

მეც ჩემს წერილებში ვამბობ ჩემს სათქმელს.

ქუთაისში ორი გაზეთი გამოდიოდა: „ჩვენი მეგობარი“, (სოციალ-ფედერალისტები სცემდნენ) და „სამშობლო“ ეს ნაციონალ-დემოკრატების ორგანო იყო. ამ უკანასკნელს განსვენებული მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა.

მე მას (ნიკოს) გავუგზავნე ნოველა „სამი სიზმარი“. მინდოდა მისი აზრა, თორემ დაბეჭდვას თბილისის რომელიმე გაზეთში ვაპირებდი. უეცრად მომიხდა თბილისში ქმართან გამოგზავრება. და აქ მომისწრო თებერვლის რევოლუციამ.

ამის შემდეგ თბილისში დიდხანს

დარ დავრჩენილვარ. ბავშვებთან გავეშურე. ქუთაისი ზღვასავეთ აბოზოქრებული დამხედა, მიტინგი—მიტინჯს მისდევდა და კრება-კრებას. ოლასკურას გაშლილი მინდერები ვერ იტევედა ხალხს, ღელაძის დიდი მოედანი გაქვიდილი იყო, კახიანოურის ველებში იმართებოდა მიტინგები, მხოლოდ იმ სიერცეს შეეძლო დაეტია ჯარისკაცთა სიმრავლე. ორატორები ორატორებს სცელიდნენ, გამოდიოდნენ სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლები.

ნოველა „სამი სიზმარი“ რომელიც რევოლუციის წინა დღეებში გაეუგზაუნე ნიკო ლორთქიფანიძეს, არც კი უკითხავთ ჩემთვის, ისე გაეშვათ სტამბაში და თბილისიდან რომ დავებრუნდი, დაბეჭდილი დამხედა.

... — ...

1918 წელს ქუთაისიდან ისევ სამტრედიას დავებრუნდი.

ცხოვრება ირყეოდა, ქანაობდა, გატეხილ ნავს ჰგავდა, შიგ წყალი ჟონაქდა.

მენშევიკების მართველობის დრო ყველაზე უნაყოფო იყო ჩემს ცხოვრებაში. არ ამიცხადდა, რასაც ვფიქრობდი, ჩამეხშო ის აღტყინებული გრძნობა, რომელიც აუცილებელი პირობაა შემოქმედისათვის და მე ერთი სტრიქონიც არ დამიწერია ამ პერიოდში.

არ ვიტყვი, რომ მაშინვე ღრმად მესმოდა ის სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და ეროვნული ცვლილებანი, რაც დიდი ოქტომბრის სოციალურ რევოლუციას მოჰქონდა. მაგრამ ფაქტი ყველაზე მჭერმეტყველია და ცხადია, რომ მე მხოლოდ საბჭოთა სინამდვილემ ამადებინა კვლავ ხელში კალამი.

1920 წელს გორში გადმოვედი ბევრი კარგი მახსოვს იქ ცხოვრებიდან, მაგრამ — ბევრი მწარეცა. ჩემთვის ჩემი ერთი გოგონა. 1926 წელს ისევ თბილისს დავებრუნდი მუღმივად.

1907 წლიდან „სიტყვა-კახშულ მწერლობის საზოგადოების“, წევრი ვიყავ და 1925 წლიდან — „ხელოვნების მუშაკთა კავშირის“, ხოლო მწერალთა კავშირის ჩამოყალიბების დღიდან მისი წევრი გავხდი. მახალისებდა და სიცოცხლეს მიმატებდა იქ წასვლა. ის ჩემი მეორე ოჯახი იყო. იშვიათად თუ დავაკლდებოდი იმ კრებებს. ამ კრებებზე ხშირად იჯდა პირველ რიგებში თოვლივით თავთეთრი დარბაზული მწერალი ეკატერინე გაბაშვილი. ის, როგორც ამ ოცდაათი წლის წინათ, ახლაც ისევე ცოცხალი სახით შეჰყურებდა მოლაპარაკეს. როგორც მაშინ, ახლაც ისე ვუწერდათ კრებაზე ნათქვამს და ისიც კმაყოფილებით სახე-გამბრწყინებული ბეჯითად უგდებდა ყურს, თითქოს ესმოდა. მას ყოველთვის ახლდა გვერდით ახალგაზრდა ქალიშვილი ნუგეშა—კოტე მაყაშვილის უმცროსი ქალი; ჩვენ ვაცილებდით ბინამდის, ყოველთვის მთხოვდა, თუ დრო დამრჩებოდა, მივსულიყავ. ასე ვცემდით ერთმანეთს პატივს. მე კი მის დაკრძალვას ვერ დავესწარ, უკრაინაში ვიყავი იმ დროს.

ჩემი ცხოვრების მგონებათა საღაროდან შემოკლებით აესწერე ეს ამბავი. ნუთუ ყველა ვსთქვი? არა, როგორ იქნება სამოცი წლის მანძილზე ოთხმოცი გვერდი ქაღალდი ეყოს კაცს ასაწერად, რაც უნახავს და განუცდია? არა, კიდევ გამაჩნია ხსოვნა და მოგონება და მე ვეცდები ცალკე წიგნში შევაყვსო დანარჩენი.

აგრეთვე აღსანიშნავი რევოლუციური მარქსიზმის შესახებ *)

ვანო შანიანი



რომ ვიდრე სულაძის თვალსაზრისით ფილოსოფიური აზროვნებაში, მისი ფილოსოფიური ევოლუცია დამახასიათებელია ამერიკულ ფილოსოფოსთა გარკვეული ჯგუფისათვის (სანტაიანა, პერი, დრეიკი და სხვ.), რომელიც ერთ დროს აყვავდა პრაგმატიზმის (ჯეიმსი, დიუი და სხვ.) ბრძოლას აბსოლუტური იდეალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ დააკმაყოფილა თვით პრაგმატიზმმა, როგორც ემპირიული იდეალიზმის ერთ-ერთმა სახესხვაობამ და რეალისტური გზების ძიება დაიწყო. „თუმცა ყოველთვის განვიცდიდი სიზმარის აბსოლუტური იდეალიზმის წინააღმდეგ, პრაგმატიზმის საერთო ბრძოლის მიმართ, მე არასოდეს შემეძლო მიმეღო ჩიკაგოს სკოლის ტენდენცია სოციალური ცნობიერებისაკენ“, სწორად სულაძის 1930 წელს თავისი ფილოსოფიური კრდოს ავტობიოგრაფიულ შესავალში. (იხ. „Contemporary American philosophy“, vol 11, p. 263). აბსოლუტურ იდეალიზმს ამერიკაში ჰქონდა თუმცა ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიური ცხოვრება. ის იყო გვიანდელი ინგლისური ჰეგელიანიზმის (ბრედლი) ამერიკული გამოხმა-

ურება ცნობილი ფილოსოფოსი რონისის მეთაურობით. აღმავლობაში მყოფ ამერიკულ იმპერიალიზმს ვერ აკმაყოფილებდა გარეგნულად თუმცა მეტად აქტიური, მაგრამ შინაარსულად იმპონენტური აბსოლუტური იდეალიზმის ფილოსოფია. მის განსაკუთრებულ აქტივობას მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპარეზზე იდეოლოგიურად უფრო უპასუხებდა პრაგმატიზმი, რომელმაც „მეტაფიზიკის“ სახელწოდებით უკუაგდო ონტოლოგიური პრობლემები და ქეშმარიტება პრაქტიკულ მოქმედების სფეროში მოაქცია. აღსანიშნავია, რომ მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის ამერიკული ფილოსოფიის თითქმის ყველა თვალსაზრისით წარმომადგენელმა ამა თუ იმ ზომით ხარკი გადაუხადა პრაგმატიზმს, რომელიც ერთ დროს ამერიკის ფილოსოფიურ დროშად იქცა. ინტერესს არაა მოკლებული ის გარემოებაც, რომ ცხრაასოცდაათიანი წლების მძლავრმა რეაქციამ პრაგმატიზმის წინააღმდეგ ეს უკანასკნელი საბოლოოდ ვერ დაამარცხა. პირიქით, მეორე იმპერიალისტური ომის პერიოდში, როდესაც ყველაზე უფრო გარკვეულად იგრძნო ამერიკულმა იმპერიალიზმმა თავისი ძალა, პრაგმატიზმი კვლავ პოპულარს აღორძინებას და ზოგი მისი წარსული მოწინააღმდეგის

*) მოხსენება წაკითხული მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1946 წლის 21 დეკემბერს.

მხრეა (მაგ. პოკინგი, შელდონი და სხვ.) აღიარებულია ამერიკის წვლილად მსოფლიო ფილოსოფიურ აზროვნებაში (იხ. Sheldon „Americas progressive philosophy“, Hockeng „Lectures on recent trends of american philosophy“). მართალია, პრაგმატიზმის აღორძინება ხდება მისი ერთგვარი გადამღწევისა და შესწორების საფუძველზე, მაგრამ თვით ფაქტი მისი ასეთი ცხოველუნარიანობისა მოწმობს, რომ ის ყველაზე დამახასიათებელი მიმართულებაა ამერიკულ ფილოსოფიურ აზროვნებაში.

ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს პრაგმატიზმი აკმაყოფილებდეს ამერიკის სულიერი ცხოვრების ყველა მხარის მოთხოვნილებას. რეაქცია მის წინააღმდეგ გრძელდება ორი მიმართულებით: ერთის მხრივ ამერიკული იმპერიალისტური ბურჟუაზიის „მდაბიო“ და უბეშ პრაქტიკას მსოფლიოში ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის მონაპოვებლად უსათუოდ ესაჭიროება იდეალური ნიდაბი; მეორეს მხრივ მეცნიერების განვითარების უდავო ფაქტი და აგრეთვე თვით ამ განვითარების მეტოლოლოგიური მოთხოვნილება აყენებს საკითხს ნამდვილად ობიექტიურ რეალისტურ მსოფლმხედველობის შესახებ. რთი ვუდ სელარსი ეკუთვნის ამერიკული ფილოსოფოსების სწორედ იმ ჯგუფს (სანტაიანა, პერი და სხვ.), რომელიც ამ უკანასკნელ ტენდენციას გამოხატავს. მეც ამიტომ ვსცანი საჭიროდ შემეჩერებინა თქვენი ყურადღება სელარსის ფილოსოფიურ შეხედულებებზე.*

* მე აქ არ შევჩერდები სელარსის პოლიტიკურ მოძღვრებაზე. საქმარისია აღინიშნოს რომ „კუმანიზმის“ საბელწოდებით ის არაუბნათად ბურჟუაზიულ დემოკრატიზმის ფილოსოფიური დასაბუთების ცდას ეწევა. რამდენად შეიძლება ვიმსჯელო ჩემთვის მისაწვდომი მასალია მიხედვით, სელარსი ეკუთვნის ამერიკული იდეოლოგიის არა რეაქციულ,

თვით სელარსი მღწმონა, რომ მისი ფილოსოფიური შეხედულება ვითარდებოდა მეცნიერებების განვითარების გასწვრივ. „მე დავიწყეთ, — სწერს სელარსი — საგნებზე ჩემი საკუთარი შეხედულების შემუშავება დაკავშირებით იმ კურსთან, რაც მე ავიღე მეცნიერების ფუნდამენტალური ცნებების მიმართ. ამრიგად ჩემი მეტოდი დაიწყო ნატურალისტური რეალიზმით და თანდათანობით ვითარდებოდა იმისკენ, რასაც მე ვუწოდებ მეცნიერული რეალიზმი“ („Contemporary American philosophy“, vol II, p. 263). ამ თვალსაზრისით უდგება სელარსი ფილოსოფიის ისტორიასაც. „მიუხედავად ჩემი აღფრთოვანებისა პლატონის მიმართ, მე არ შემქმლო არ მიმეჩნია ის ნიკიერ დამცველად ბერძნული აზროვნების იმ მანკიერი ხაზისა, რომელმაც გაუხსნა გზა დუალიზმსა და მისტიციზმს. ჩემი სიმპატიები უფრო არისტოტელესკენ იყო, რომელიც ცდილობდა მტკიცედ დაყრდნობოდა ნიდაბს“ (Op. cit. p. 265).

მეცნიერების მეტოლოლოგიის პრობლემატიკას არ შეეძლო არ მიეყვანა სელარსი ძირითად გნოსეოლოგიურ

არამედ ლიბერალურ-პროგრესულ ფრთის ერთგვარი უტოპიური განხრით. მოვსმინით თვით სელარსს: „მე ვამწნევედი სოციალური რეალისტების გაუბელობას და ნოლწყოლობას, შოგნის ინსტინქტის შედგომე დედას. რა თქმა უნდა, მე მარტო ეს არ შემიძინებია, ვინაიდან ამერიკულ ცხოვრებას ბევრი წარმატება მხარე აქვს. გივეცანი რა ლიტერატურას სოციალური რედორმის შესახებ, მე აუცილებლად წააწყდი მსოფლიო გაქანების მჭირ სოციალისტურ მოძრაობას. მე შევეცადე გამეჩვენა, რა არის მარქიზმში დააფასებელი და რა არის მასში მოქედებელი. ამის შედეგი იყო ჩემი „დემოკრატიის ახალი ნაბიჯი“, რომელიც საკითხის უფრო ინტელისური ყიდის გაშუქებას უბზლოვდება. ის ხაზს უყვამს ისეთი სოციალური ექსპერიმენტების ღირებულებას, როგორცაა კოოპერაცია და მოგების განაირება, მექვიდრაციობის შეზღუდვა და მუშაკთა მხარდი მონაწილეობა“.

პრობლემადე; „თავიდანვე ჩემი ყურადღების ფოკუსი მოექცა სულის და სხეულის პრობლემაში, როგორც გადამწყვეტში და მე მალე დაეინახე, რომ მისი გადაჭრა შეუძლებელია შენეცნების თეორიის დაუფლების გარეშე“ (Jbid.). ჯემსის „ფსიქოლოგიის პრინციპების“ ზეგავლენით მან ეს პრობლემა უფრო ემპირიულ-ფსიქოლოგიურ სფეროში მოაქცია, ვიდრე გნოსეოლოგიურში. ამის შედეგი იყო ეგრეთწოდებული კრიტიკული რეალიზმი, რომელიც მხოლოდ ცდა იყო ემპირიული იდეალიზმის დაძლევისა, მაგრამ არა თვით დაძლევა, რადგან, თუმცა კრიტიკული რეალიზმი ხაზს უსვამდა, რომ შემეცნების საგანი ცნობიერებაში მოცემულობით არ განისაზღვრება და მიუთითებს ცნობიერების გარეთ, ის არ იძლეოდა იმის განსაზღვრას, თუ რა არის ეს ცნობიერების გარეშე მყოფი საგანი (Op. cit. p. 266).

ჩემს მიზანს არ წარმოადგენს სე-ლარსის ფილოსოფიური ევოლუციის დეტალური განხილვა, მაგრამ ინტერესს მოკლებულად არ მიმაჩნია მოკლედ დალაგება იმ შეხედულებათა სისტემისა, რომელსაც ავტორი იზიარებდა ოცდაათიან წლებში რეალიზმის და ნატურალიზმის სახელწოდებით და რომელიც უშუალო საფუძურია „რეფორმირებული მატერიალიზმისაკენ“. ეს მით უმეტეს საკიროა, რომ თვით „რეფორმირებულ მატერიალიზმში“ შეჭრილია კრიტიკული რეალიზმის მემკვიდრეობა, რაც განსაზღვრავს ამ მატერიალიზმის შეზღუდულობას და არათანმიმდევრობას.

თვით სათაური იმ წერილისა, რომელიც სელარსმა დასწერა ფილოსოფიური კრებულისათვის „Contemporary American philosophy“, როგორც გამოხატულება მისი „ფილოსოფიური კრედოსი“, („რეალიზმი, ნატურალიზმი, ჰუმანიზმი), მეტად დამახასიათებე-

ლია; როგორც ამ წერილის შინაარსის მოკლე დალაგება დაგვანახებს, ავტორის კონცეპცია ამ პერსონის მიხედვითაა დაეახასიათოთ, რომელიც მატერიალისმეტყველო—მეცნიერული მატერიალიზმი.

ავტორი ილაშქრებს აგნოსტიციზმის წინააღმდეგ. ის პირდაპირ აღნიშნავს, რომ „შემეცნება არის ფაქტი, რომლის მხოლოდ ახსნას და ინტერპრეტაციას ეძებს შემეცნების თეორია“ (აღნიშნული კრებული, ნაწ. II, გვ. 267). მას არ სწამს აგრეთვე აპრიორიზმი და განიხილავს ლოგიკურ კატეგორიებს, როგორც შემეცნების განვითარების შედეგს; თვით საგნობრიობის (thinghood), როგორც ობიექტის, კატეგორია არაა შემეცნების დასაწყისი, ვინაიდან ობიექტის ცნება გულისხმობს არა მხოლოდ მის მოცემულობას ცნობიერებაში, არამედ ამ ცნობიერების შინაარსის იდენტიფიკაციას ცნობიერების გარეშე მდებარე კორელატთან. ეს კი ცნობიერების განვითარების გარკვეულ საფეხურს მოითხოვს. მაგრამ ავტორი თანმიმდევრულად ვერ ატარებს შემეცნების ისტორიზმის პრინციპს, ვინაიდან თვით ისტორიზმი ეს-მის მას არსებითად, როგორც მხოლოდ რაოდენობრივი ზრდა შემეცნებისა. აქედან ის კატეგორიებს ჰყოფს რთულ და ელემენტარულად, უკანასკნელნი კი მიჩნია არა შემეცნების პროდუქტად, არამედ „ნატურალურ გზებად ქვეყნის ინტერპრეტირებისა“. სე-ლარსი სამართლიანად ილაშქრებს კანტისა და ტრადიციული ინგლისური ემპირიზმის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ მგრანობელობა გვაძლევს ჩვენ არა მხოლოდ შეგრძნებათა (sensations) ქაოსს, არამედ გაფორმებულ სახეებს (patterned field). ამრიგად საგნები კი არ იქმნება ცნობიერებაში უკანასკნელის თვისებების მეოხებოთ. ცნობიერება, როგორც ორგანიზმის გარკვეული აქტივობა, ახდენს საგნების შეერთება-

ზედარება-გაყოფას. აღქმის წარმოქმნის ანალიზიას გეაძლეეს ფოტოგრაფიული კამერა, მაგრამ ორგანიზმს გაანჩნია აქტიუობის შინაგანი წყაროები, რაც კამერას არ გაანჩნია (იხ. აღნიშნული კრებული, ნაწ. II, გვ. 268). შემეცნება ნიშნავს არა იდეების შემეცნებას, როგორც ეს ბერკლის, ჰიუმეს და კანტს ეგონათ, არამედ თვით საგნების შემეცნებას. პერცეპცია არის ტოტალური, მთლიანი აქტი, იგი შეიცავს არა მარტო ელემენტარულ კატეგორიებს და დიფერენცირებას, არამედ რწმენას ობიექტის შესახებ. აღქმის ეს ტოტალური აქტი არის გარეშე ქვეყნის შეცნობის ელემენტარული ერთეული (unit). დაფიქრება გვიჩვენებს, რომ ეს კომპლექსი არის სულიერი და წარმოადგებს აქტიური ორგანიზმის არსებით შიხგან აუცილებელ თვისებას. ავტორი ჰელგან გაურბის სულიერისა და ფიზიკურის დუალიზმს და აღნიშნავს, რომ სულიერი (mental) ნიშნავს მხოლოდ ანდიეიდუმის განსაკუთრებულ (peculiar) აქტიუობას. შემეცნება არის მეტი, ჯდრე უბრალოდ ცნობიერებაში მოქცევა აბსტრაქტებისა, რომელთაც ლოკურ იდეებს უწოდებენ. შემეცნება მავე დროს ობიექტის ინტერპრეტაციაც არის. მიმართება ობიექტისადმი არიბითი შინაგანი მხარეა თვით შემეცნების ბუნებისა, პერცეპტუალურია ეს შემეცნება თუ აშკარად მსჯელობითი. ჩვენი ცნობიერება კი არ აწერს ობიექტს პრედიკატებს, უკანასკნელი თვით ობიექტის დამახასიათებელი თვისებებს გამოვლენაა ჩვენს ცნობიერებაში. როცა ჩვენ მათ ლოკურ ბუნებას ვაწერთ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი მოცემულნი არიან ორგანიზმის იმ განსაკუთრებული აქტიუობის სფეროში, რომელსც სულიერ პროცესს ვუწოდებთ. ისიი არიან საშუალება ობიექტების დიახვისა და შეაწავლია. საკითხავია ჰგვანან თუ არა ეს

გონებაში მოცემული პრედიკატებო თვით გარეშე საგნების თვისებებს (qualities)? ჰო და არა. ექსისტენცია რეალიზმი იმით განსხვავდება გულტ რევილო რეალიზმისაგან, რომ ის შეგრძენებითი თვისებებიდან (sense qualities) მიდის სტრუქტურისა და მიმართებისაკენ. ამრიგად გონებაში მიღებული სტრუქტურა შეესაბამება (corresponds) ობიექტის სტრუქტურას. ამ შესაბამისობის გარეშე შემეცნების გამართლება შეუძლებელია. ლოგიკური იდეა გამოავლენს ობიექტის თვისებებს. ეს უკანასკნელი არ უნდა გავიგოთ, როგორც უცნობ სუმსტანციაში მყოფნი, ისინი ეკუთვნიან ნაცნობ (known) ფიზიკური სისტემის ბუნებას. შესაცნობი ფიზიკური ობიექტი არასოდეს არაა პირდაპირი სახით მოცემული შემეცნების სფეროში. გონებას არა აქვს ექსისტენციალური კონტაქტი ობიექტთან, ის მხოლოდ შგრძნობელობის ორგანოებითაა დაკავშირებული მასთან. ცოდნა არის მიმართება გარეშე ობიექტისადმი, გაშუალებული ცნობიერებით. აქ მოცემულია სულიერი პროცეპცია (pointing) ობიექტისადმი და არა პირდაპირი გადაბტომა (transcendence). შემეცნებას უნიკალური ხასიათი აქვს, ის „ხელს სკიდებს“ ობიექტს მის შიგნით მოცემული შემეცნელების მეშვეობით, რომლებიც, როგორც იყო აღნიშნული, გამოავლენენ გარეშე ობიექტების ბუნებას. ცნობიერებაში პერცეპცია და რეფლექსია განუყრელია (მაგრამ ავტორი არსებითად არ იძლევა რეფლექსის განმარტებას, აღნიშნავს მხოლოდ, რომ ის ორგანიზმის პასუხია გარეშე საგნების შემოქმედებაზე. იხ. აღნიშნული კრებული, ნაწ. II, გვ. 271). ის, რაც არის მოცემული ცნობიერებაში ობიექტის ბუნების გამოვლენის სახით, ექსისტენციალურად არ უკავშირდება თვით ობიექტებს, ის მხოლოდ

ობიექტების რეპროდუქციაა გონებაში აბსტრაქტების მეშვეობით. ეს აბსტრაქტები ლოგიკური ბუნებისაა იმდენად, რამდენად სულიერი პროცესის სახით გვევლინება, ისინი საგანთა იდეებს იძლევიან. ეს გამორიცხავს საგნის პირდაპირ მოცემულობას ცნობიერებაში „შემეცნება არის ობიექტების ხედვა იდეებით მორთულ თანჯრებიდან“ (იქვე, გვ. 272).

კეშმარიტება უპირველეს ყოვლისა შემეცნებითი ცნებაა. კეშმარიტია იდეა, რომელიც იძლევა თავის ობიექტის ცოდნას. რა არის კეშმარიტების კრიტერიუმი? სიძნელეს ქმნის ის გარემოება, რომ ობიექტი უშუალოდ არაა მოცემული იდეაში. აქ ყურადღება უნდა მიექცეოდნოთ ოთხ მომენტს: 1) დადგენილი ფაქტების თანხმობას, 2) იდეათა ლოგიკურ ურთიერთ გადაბმას და მწყობრობას, (coherence), 3) მეკვლევართა ურთიერთ თანხმობას, 4) გზის ჩვენებას და კონტროლს ბუნებაზე. ავტორი თვითონ გრძნობს, რომ ეს ლოგიკური და პრაგმატიული კრიტერიუმი, რომლებიც მას მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნია, არ არის საკმარისი, და საბოლოო ანგარიშში ის გადამწყვეტად სთვლის ინტუიტიურ ფაქტორს. „შე დარწმუნებული ვარ— ამბობს ავტორი— რომ აზრის თვით წინსვლა ემყარება რწმენას, რომ შეგრძნებითი პერცეპციები არიან ბუნების გამოშვლინებულნი და მათი შესაფერი გამოყენება გეანიჭებს უნარს ჩაეწვდეთ ქვეყნის არსებას“ (აღნიშნული კრებული, ნაწ. II, გვ. 273).

ავტორის ნატურალისტური შეხედულება შემეცნებაზე ელინდება შემდგომ სიტყვებში: „შემეცნება არის შედეგი იდეათა ფუნქციონირებისა... რომელთა გამოყენება ხდება თანახმად იმ შინაზრისა და რწმენისა, რომლებიც თანდათან იშლებიან... ორგანიული აქტივობა გადადის ცოდნაში.. მაშ რა შეგვიძლია ვიცოდეთ ჩვენ გარე სამყა-

როს შესახებ? არსებითად ის, რაც მეტნიერებამ უკვე გამოიძუშავეს— სტრუქტურა, რელატიური მდებარეობა, რელატიური მასა, ენჯემენტაციონის, ქვევა. შემეცნების თეორია იმდენად კი არ უქარანხებს მეცნიერებას, რამდენად ინტერპრეტაციას აძლევს მას“ (იქვე).

აღნიშნულ ვნოსეოლოგიურ კონცეპციიდან ავტორი გადადის ონტოლოგიურ პრობლემებზე, რასაც თვითონ კოსმოლოგიას უწოდებს, და იმ თვითვე აყალიბებს ოთხ ძირითად პუნქტს: 1) ბუნების თვითკმარობა წინააღმდეგ სუპერნატურალიზმისა ანუ ტრანსცენდენტიალიზმისა; 2) ფუნდამენტალური (basic) მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის სიერცისა, დროისა და მიზეზობრიობისა; 3) უარყოფა კონცენტრირებული კონტროლისა უნივერსუმში და ამ აზრით პლურალიზმის აღიარება; 4) უქუვდება სულის ანუ გონების პრიმატობისა.

ყოველივე ამას ავტორი აქცევს თერმინში: „ნატურალიზმი“ და აღნიშნავს, რომ ეს ყვეანასკნელი გაცილებით უფრო პლასტიკური თერმინია, ვიდრე მატერიალიზმი. შეიძლებაო, დასძენს იქვე ავტორი, რომ საბოლოო შედეგი იყოს მატერიალიზმის ახალი ფორმა, რამელიც შესძლებს მოიცივს სულიერ აქტივობა და ღირებულებათა ადამიანური მოტივაცია. მომავალი „რედერმირებული მატერიალიზმის“ დაპირებასთან ერთად აქ ცხადია, თუ როგორი სახის მატერიალიზმის რედერმირება ჰქონია ავტორს მხედველობაში.

კრიტიკული რეალიზმი, რამელიც შეიცავდა ფიზიკურ რეალიზმს, შუაგზა იყო ნატურალისმისაკენ. მხოლოდ სულის და სხეულის პრობლემა ჰქმნიდა დამბრკოლებას. სკმარისია აღიაროთ სული, როგორც არსებითი შინაგანი თვისება ცოცხად ორგანიზმისა და მიიღებთ საესეებითფრთა-შესხმულ

ნატურალიზმს. ძველი ფიზიკური რეალიზმის გადამწყვეტი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ ის მექანიკურად იყო. მექანიკური ცნება მოძრაობისა და განვითარებისა არსებითად გარეგნულ მიმართებებზე დაიყვანება, იმ დროს, როცა ბუნებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციას, ესე იგი შინაგან სტრუქტურულ მთლიანობას. მხოლოდ უკანასკნელი ცნება გვიხსნის ნამდვილად ახლის წარმოშობას ბუნებაში. ფიზიკურ სისტემათა სპეციფიკობა უფრო ემპირიულია, ვიდრე მისტიკური. ფიზიკური მთელი ჩვენ არ შეგვიძლია არ წარმოვიდგინოთ, როგორც ნაწილების ერთიანობა. აქაა სწორედ ანალიზის მნიშვნელობა. ფიზიკური ანალიზი იმით განსხვავდება ლოგიკური ანალიზისაგან, რომ ის პირდაპირ შლის მთელს შემადგენელ ნაწილებად, ლოგიკური ანალიზი კი ნაწილებში ეძებს მიმართებებს, რომლებიც ქმნიან მთელს. უფრო მარტივი სისტემები არ არიან ნაწილები სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მთელის დაშლა არავითარ ცვალებადობას არ გამოიწვევდა — ეს ძველი მექანიკური დოგმაა. ამრიგად ფიზიკური და ლოგიკური ანალიზი კი არ უპირისპირდებიან, არამედ ავსებენ ერთი-მეორეს. ავტორი აღნიშნავს, რომ ორგანიზაციის პრინციპის განსაკუთრებული მნიშვნელობის აღმოჩენამ მიიყვანა ის ე. წ. რედუქტიული მატერიალიზმის უარყოფამდე და ევოლუციონური ნატურალიზმის აღიარებამდე.

ახალი ფიზიკური სისტემები წარმოშობიან ბუნებაში სათანადო ხელშეწყობ პირობებში და ამ ახალი ფიზიკური სისტემების თვისებები მათი ორგანიზაციის ფუნქციებს წარმოადგენენ. ამ გზით შეიძლება აიხსნას არა მარტო სასიცოცხლო, არამედ ინტელექტუალური პროცესებიც. სიცოცხლე კი არაა გარედან შემოსული არა-

ბუნებრივი ძალა, ის მხოლოდ თავისებური ახალი უნარია, რომლის საწყისი თვით ბუნებაში მარხია, სხვათა დასხვების დაპირისპირება დაკავშირებულია თვითდაკვირვებასთან, რაც მხოლოდ ადამიანურ სიცოცხლეში უნდა იყოს მოცემული. შეგრძნებათა მონაცემები ყოველთვის დამკვირვებლის ტვინში იმყოფება, რომელიც თავის თავად წარმოადგენს თუშეა უნიკალურს, მაინც ფიზიკურ სისტემას.

რედუქტიური რაციონალიზმი მოითხოვს შეუძლებელს, ე. ი. საბოლოო ახსნას. ყოველი მეცნიერული ახსნა არის სხვა არაფერი, თუ არა ჩაწვდომა ბუნების სტრუქტურაში, მიმართებებში და მოქმედებებში (operations), რათა კერძო შემთხვევები ზოგადით იქნან ინტერპრეტირებული. ცხადია, მეცნიერება მიდის უფრო შორს, ვიდრე უბრალო ემპირიული აღწერა, რამდენადაც სტრუქტურათა დიფერენცირებას, მათ მიმართებას ხსნის, მაგრამ ცხადია ისიც, რომ მეცნიერულ ლოგიკაში აღწერა და ახსნა თვით ახსნის მხოლოდ საფუძვლებს წარმოადგენენ და ახსნას არასოდეს არ შეუძლია გასცილდეს მეცნიერული შემეცნების ფარგლებს.

ჩემთვის, როგორც გულანდელი ნატურალისტისთვის — სწერს ავტორი — ფიზიკური სისტემები არიან საბოლოო და მე არ ვხედავ ექსტრაფიზიკურის პოსტულიორების საფუძველს...“ (აღნ. შრომა გვ. 277). ევოლუციონური ნატურალიზმი მონისტურია და უარყოფს ვიტალიზმს.

ბიპავიორიზმს ავტორი სთვლის „რედუქტიული“ მატერიალიზმის დაძლევადა, რაც გზას უხსნის რეალისტურ შემეცნების თეორიას. გონება (intelligence) შეიძლება შესწავლილ იქნას გარედან, ე. ი. ობიექტურად, რადგანაც ის წარმოადგენს ქვევის გარკვეული სახის უნარს, რაც შეიცავს მესხიერებას, ინტეგრაციას და სპასუხობ რეა-

გირების სხვადასხვა ახალ კომბინაციას. ობიექტურად განმარტებული, ის (გონება) არის თერმინი მოქმედების გარკვეული წესისა, რაც წარმოიშვა ევოლუციის განსაზღვრულ საფეხურზე. მაგრამ თვითდაკვირვება გვაძლევს გონების მოქმედების დამატებითს ცოდნას, ე. ი. იმ მოქმედების ცოდნას, რომელიც თვით ცნობიერების ფარგლებში გვევლინება გაგების (awareness) ანუ ცნობიერებითი ყურადღების სახით. სწორედ აქ იჩენს თავს სუბიექტ-ობიექტის მეტაფიზიკური პრობლემა.

ატომისტური მექანიციზმი და მასთან დაკავშირებული გაგება მატერიალისა, როგორც რაღაცა ინერტუდის, შინაგანად კომოგენურის, მაგარის და უცხოის ისეთი ქვალიტატიური მომენტებისადმი, როგორცაა მგრანობელობა, შეგრძნება და აზრი, უარყოფილია ევოლუციონური ნატურალიზმის მიერ. ტვინის, როგორც დელიკატური ფიზიკური სისტემის, თავისებურება იმაშია, რომ ის ინარჩუნებს წარსულ გამოცდილებას (experience) და წარსულში შექმნილი უნარსაც ინახავს. ტვინი თავისი შესკვლების და გლანდების ორგანიულ ქმედობაში არის გონება. მაგრამ გარედან ჩვენ არ ძალგვიძს ჩაეწვდეთ ამ სისტემას, როგორც ეს თავისთვის არის.

თვით ცნობიერების ფაქტი ახსნას შოითხოვს. უნდა უკუვაგდოთ დუალისტური ტრადიცია და უარყოთ ცნობიერების განხილვა, როგორც იმპერიალური სუბსტანციისა. უფრო სწორია განვიხილოთ ცნობიერება, როგორც მოვლენათა ქვალიტატიური ქსოვილი, რომელიც ტვინის მოქმედების აუცილებელ შინაგან მხარეს წარმოადგენს. ცნობიერების განცდისას ჩვენ ტვინის ფუნქციონირების პროცესის შიგნით ვიმყოფებით. განსხვავებული მომენტები ჩვენს ცნობიერებაში არის გამოხატულება იმისა, რომ თვით ჩვენი

ტვინი დიფერენცირებულად უკანსუნებს სიტუაციათა ზემოქმედებას, აქა მოცემული ყოფიერებების განსაზღვრა (dimension), რომელსაც გარეგნული შემეცნება ვერ გამოუვლენს დამკვირვებელს და რომლის გაგება, როგორც ტვინის აუცილებელი შინაგანი მომენტის, ძნელია ჩვენთვის, ვინაიდან ჩვენი შემეცნება დომინირებულია ორგანიზმის გარეგნული მიმართებით. სწორედ აქ იჩენს თავს კრიტიკული შემეცნების თეორიის აუცილებლობა სულის და სხეულის ურთიერთობის პრობლემის გადასაჭრელად.

ავტორი მკვეთრად ანსხვავებს ურთიერთიდან ცნობიერებას და გაგებას (awareness), უკანასკნელი გულისხმობს ანტიციპაციას, ინტერპრეტაციას, ყურადღებას. ის ყოველთვის რთულია და გაშუალებულია მრავალი გზით და კვმნის აქტიურ კონფიგურაციას თვით ცნობიერების სფეროში. ამ უკანასკნელში ხდება რეფლექტირება ინტეგრირებულ სულიერ სისტემათა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ორგანიზმის მრავალნაირი აქტივობით გამოწვეულ სიტუაციებს. ესაა გაშუალების პროცესი. თვით ცნობიერება უშუალო ნაწილია ტვინის ფუნქციონირებისა. პანსიქიზმი გულუბრყვილო რეალიზმის პირდაპირი საწინააღმდეგო შეცდომაა. ცნობიერება რაიმე ნივთიერ მასალას ანუ სუბსტანციას ვი არ წარმოადგენს, ის მხოლოდ ქვალიტატიურ მოვლენათა ქსოვილია და არავითარ სასწაულს არ წარმოადგენს. ფიზიკური სხეულების ძირითადი თვისებების თვალსაზრისით, მართალია, ის ახალი მოვლენაა, მაგრამ უეჭველად მომზადებული თვით ორგანიულ სისტემათა ბუნებაში. ამ თვალსაზრისით მიუღებელია აგრეთვე სპინოზას პოსტულატი ფსიქიურის და ფიზიკურს უნივერსალური თანაარსებობის შესახებ.

ავტორი ეხება აგრეთვე სამყაროს ერთიანობის პრობლემას. რეალობის თვალსაზრისით სამყარო მონისტურია, ფიზიკური რეალობის იქით არაეითარის სხვა რეალობა არ არსებობს. მაგრამ ამით არ სწყდება მთელი პრობლემა. რჩება ე. წ. სინგულარიზმის და პლურალიზმის საკითხი. მიუღებელია ობიექტური იდეალიზმის სინგულარიზმი, რომელიც ლოგიკურ პრინციპზე შენდება. სულ სხვანაირად აყენებს საკითხს ნატურალიზმი. რამდენად სივრცე და დრო მიჩნეულია დიდძალი ნელოკან კატეგორიად, სინგულარიზმის და პლურალიზმის პრობლემა გულისხმობს მხოლოდ ხარისხს ურთიერთდამოკიდებულებისა ბუნებაში. სინგულარიზმი კომოგენობის და გაუწყვეტელი კავშირის გამოხატულებაა, ხოლო პლურალიზმი — ჰეტეროგენობის და სხვა და სხვა ხარისხის თავისუფლებისა. ერთ შემთხვევაში მხედველობაში მიღებულია ზოგადი ურთიერთკავშირი, მეორე შემთხვევაში — დიფერენცირება კერძო ან ერთეულზე.

უნივერსუმის გაგება, როგორც დროში და სივრცეში მოცემული ორგანიული სისტემისა, მაინც ვერ ხსნის კონტროლის პრობლემას არის თუ არა კონტროლი მხოლოდ მთელის, როგორც ასეთის, ფუნქცია? ამ შემთხვევაში ნაწილი შინაგან აქტივობას დაკარგავდა. ამიტომ კონტროლი უნდა გავიგოთ, როგორც ბრძოლა მოელსა და ნაწილს შორის.

ეს არის ავტორის ცდა, თუმცა უხეირო, მიზეზობრიობის პრობლემა დიექტიკურ გადაწყვეტისა. ამის საფუძველზე წყდება თავისუფლების და აუცილებლობის პრობლემა. თავისუფლება სწორედ პლურალისტურ მხარეს გამოხატავს, ამიტომ ის ყოველთვის შეფარდებითს თვით — დეტერმინაციას ნიშნავს.

როგორც ვხედავთ, სელარსის ევოლუციური ნატურალიზმი მხოლოდ საც ის ოცდაათიან წლებში ჩამოყალიბდა და რომელიც ერთ-ერთი საფუძვლი იყო კრიტიკული რეალიზმისაგან ე. წ. რეფორმირებულ მატერიალიზმისაგან, არსებითად შეიცავს საბუნებისმეტყველო მეცნიერული მატერიალიზმის ყველა ელემენტს. ფიზიკური რეალობა, როგორც ერთადერთი რეალობა, ცნობიერება, როგორც გარკვეულად ორგანიზებული ფიზიკური სისტემის ფუნქცია, სივრცე, დრო და მიზეზობრიობა, როგორც ობიექტიური კატეგორიები, შემეცნება, როგორც ობიექტის და მისი თვისებების შემეცნება და სხვ. ყოველივე ეს აღნიშნული მატერიალიზმის ნიშნებია.

აღსანიშნავია მხოლოდ ავტორის არათანმიმდევრობა ასახვის საკითხში. მართალია ის უარყოფს ნივთს თავის თავად, და ჩვენს ცნობიერებაში მოცემულ პერცეპციებს სთვლის თვით ობიექტის ბუნების გამოვლენად, მაგრამ ეს პერცეპციები ობიექტთა ასლებს კი არ წარმოადგენენ, არამედ მხოლოდ შეესაბამებიათ ობიექტებს. როგორც კვებოდ დაეინახავთ, ეს არათანმიმდევრობა სხვა სახით იჩენს თავს „რეფორმირებულ მატერიალიზმში“.

რა არის ეს უკანასკნელი? ის არსებითად იგივე საბუნებისმეტყველო — მეცნიერული მატერიალიზმის ფილოსოფიური დასაბუთების ცდაა. „ნატურალიზმი ახლა გამოწვეულია ჩამოაყალიბოს და დაიცვას თავისი პოსტულატები. თეოლოგიურად განწყობილი ფიზიკოსები ჩაეწერენ გამოწვევთა სიაში. — თვით... ფილოსოფიურ სფეროში არიან ისეთი გამოჩენილი მოაზრენი, როგორც მარტენი, ჯილსონი, უაიტჰედი, მონტეგუ, პარკერი, ნორტროპი და პარტშორნი, რომელნიც იცავენ თეიზმის ამა თუ იმ ფორმას“ („The philosophical review, 1944, July, p. 361).

ჩვეულებრივი ბურჟუაზიულ-პროფესორული ანტიპატია თერმინისადმი „მატერიალიზმი“ იჩენს თავს მაშინაც, როცა ავტორი იძულებულია საგანს თავისი სახელი დაარქვას. ის ცდილობს მატერიალიზმი „ფილოსოფიურად რესპექტაბელური“ გახადოს და „გნოსეოლოგიური და ონტოლოგიური სიფაქიზე“ მინიჭოს (იხ. Sellars P. W. „Reformed materialism“ — აღნიშნული ჟურნალი, გვ. 360).

ჩემი აზროვნება ყოველთვის მიისწრაფოდა რეფორმირებული მატერიალიზმისკენ, — ამბობს ის ზემოდ ხსენებულ წერილში, — რომელიც ნაკლებად იქნებოდა დომინირებული უკიდურესი ატომიზმით და მკაცრი მექანიციზმით, რაც ჩვეულებრივ მატერიალიზმს ახასიათებდა“ (იქვე, გვ. 359).

როგორ განმარტავს ავტორი მატერიალიზმს? ყველა ფორმის მატერიალიზმის პოსტულატი არის მატერიალური სისტემის იმანენტური არსებობა და შინაგანი გამძლეობა და მოუსპობლობა, (intrinsic endurance). „სახელწოდებას არა აქვს მნიშვნელობა — დასძენს ავტორი. შეიძლება ვუწოდოთ ახალი მატერიალიზმი, რეფორმირებული მატერიალიზმი, ქვალიტაციული მატერიალიზმი“. მატერიალისტს სწამს, რომ კონშოსი თავისი ბუნებით მატერიალურია და არსებობს თავისი საკუთარი უფლებით. მატერიალისტი, რომელსაც არ სწამს მეტაფიზიკური რეალობა, აღიარებს იმ რეალობას, რომელსაც პრაგმატიკები და პოზიტივისტები ტრანსემპირიულს უწოდებენ, და რომელიც როდია მიუწვდომელი და შეუცნობელი. მატერიალისტი უარყოფს მატერიალური სამყაროს შემთხვევითობას. თუ თომისტები esse-ს დმერტს მიაწერენ, მატერიალისტი იმავე esse-ს მიაწერს მატერიალურ სამყაროს (იხ. აღნიშნული ჟურნალი გვ. 359, 361, 377). მატერია არის აქტიური, დინამიური, რელატიური და

საკუთარი თავის მატერიალიზმით. ოთხ ძირითად პრინციპში გამოსახავს ავტორი თავის „ახალ“ მატერიალიზმს. „ოთხი პირველადი პრინციპი“ მატერიალიზმისა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: 1) ნივთიერება ანუ მასალა, 2) დინამიკური კავშირი და ორგანიზაცია, 3) შინაგანი გამძლეობა და მოუსპობლობა, 4) ინტეგრაციული ანუ მოქმედი მიზნობრიობათა სხვა და სხვა დონე. ეს პრინციპები განსაზღვრავენ ერთი-მეორეს“ (იქვე, გვ. 364).

შინაგანი გამძლეობა და მოუსპობლობა წარმოუდგენელია აქტივობის და ურთიერთდამოკიდებულების გარეშე.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ ავტორი ცდილობს თანამედროვე მეცნიერების მონაპოვართა დონემდე აიყვანოს ძველი, მექანიკური მატერიალიზმი. ის ებრძვის მეტაფიზიკას. „მეტაფიზიკა იმდენად მკიდროდა ასოციირებული ბუნების მიღმა მდებარე უმაღლესი რეალობის პოსტულატთან, მეტაფიზიკასთან, რომ მე ვარჩიე უფრო ნეიტრალური თერმინი ონტოლოგია. მე ვაშინევე, რომ მარქსისტებიც ამას აჯობებინებენ, როგორც სანტაიანაც. მაშ, მატერიალიზმი არის ონტოლოგია, იზომორფიული თანამედროვე მეცნიერებასთან“ (იქვე, გვ. 363).

ავტორი გრძნობს, რომ მექანიციზმი, რომელსაც ტრადიციულად უკავშირდებოდა მატერიალიზმი, არ არის უკანასკნელის ერთადერთი ფორმა. ის ცრუ აზრად სთვლის პეპერის და სხვა თანამედროვე ამერიკელი ფილოსოფოსების მტკიცებას, თითქოს მატერიალიზმი აუცილებლად გულისხმობს მექანიციზმს. „ჩემი აზროვნების თვით დასაწყისიდან მე უარყოფდი ნიუტონის აბსოლუტურ სივრცეს და დროს და ონტოლოგიური აზრით ორივე — დროცა და სივრცეც, ვაკეივ ზედ სარ-

თველ (adjectival) რელაციურ ცნებად“ (იქვე, გვ. 365).

ავტორის აზრით, ტრადიციულ მატერიალიზმს არ ჰქონია აღუქვატი შემეცნების თეორია, ის არსებითად ემყარებოდა დუალიტურ პრინციპს, რომელიც მატერიალურ ყოფას აქცევდა გარეცხილ აბსტრაქციებად, როგორცაა წმინდა განფენილება, ყოველგვარი პოზიტიური, შინაარსის გარეშე.—შეცნობისას კი არ დაჰყავს მატერიალური ყოფიერება წმინდა რაოდენობაზე, ის მხოლოდ ამოშინჯავს რაოდენობრივ ზომებს, რაც მისაწვდომია მისი ტექნიკისათვის (იხ. იქვე, გვ. 367).

კარტეზიანიზმის ერთ-ერთ მთავარ ცოდვად ავტორი სთვლის იმას, რომ მან გამორიცხა ონტოლოგიური ქვალიტატიური გაზომილება. ქვალიტეტის ობიექტიურობას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ავტორისათვის, რომ ის მზადაა თავის „ახალ“ მატერიალიზმს ქვალიტატიური მატერიალიზმი უწოდოს. ყოფიერების ქვალიტატიურ დიფერენციაზე ამყარებს ავტორი არა მარტო განვითარებას, არამედ შემეცნების და თვით ცნობიერების შესაძლებლობას. „ცნობიერება კორელატიურია ფუნქციონალურ აქტივობასთან და გამოხატავს იმას, რასაც მე ვუწოდებ მატერიალურ სისტემათა ქვალიტატიურ გაზომილობას“ (იქვე, გვ. 370).

ობიექტის ქვალიტატიური დიფერენციაციის გარეშე წარმოუდგენელია რაიმესი გარჩევა და ასახვა ცნობიერებაში. თვით ცნობიერება თუმცა უნიკალური, მაგრამ ქვალიტატიური და არა სუბსტანციალური ცნებაა. „მე“-ს ცნება ორგანიზმის გარეშე უაზრო აბსტრაქციაა. სწორედ ასეთ „მე“-ს, ე. ი. არარსებულს ეძებდა პიუმი. „ეგოლოგიური მატერიალიზმი აღიარებს, რომ ორგანიკული „მე“ არის მატერიალური სისტემა, რომელსაც აქვს განსაკუთ-

რებული უნარი თავისი თავის შემეცნებისა. ეს ფაქტი უნიკალურია ადამიანის არსებისათვის“.

ცნობიერებას არ ახასიათებს შინაგანი გამძლეობა და მოუსპობლობა, ის „მოდის და მიდის“, მუდამ „ქრება და ჩნდება“. მაშ როგორაა შესაძლებელი შემეცნება? ზომ ცნობიერებაა შემეცნების ინსტრუმენტი და თუ მას სტაბილური ექსისტენციალობა არ ახასიათებს, როგორ უნდა მოხდეს „მე“-ს თვითიდენტიფიკაცია, რაც თავის მხრივ საგნობრიობის ცნების, თვით საგნის იდენტიფიკაციის საფუძველია? ამის ასახსნელად ავტორი მიმართავს შეგრძნების, როგორც უნარის, განსხვავებას შეგრძნებებისაგან და აზროვნების, როგორც პროცესის განსხვავებას აზრებისაგან. კრიტიკულ რეალიზმის, (რომელსაც წინათ თვითონ იზიარებდა) შეცდომას ავტორი სწორეთ მათ ურთიერთ არევაში ზედავს (იხ. იქვე, გვ. 366). რომ ჩვენ არ შეგვიძლოს განვავითაროთ მრავალგვარ განმეორებულ თვითიდენტობის შეცნობა, ვერც საგნობრიობის წარმოდგენას განვავითარებდით. თვითიდენტობა (self-identity) საფუძველს გვაძლევს შევიცნოთ საგანიც, როგორც იგივე. მუხიერება კი არ ქმნის ამ თვითიდენტობას, არამედ გამოაფლენს მას. ჩვენ არ შეგვიძლია გარე საგანთა ინტუიცია, ე. ი. უშუალო შემეცნება. „ყოფიერება, ნივთიერება, სივრცე, დრო, მიზეზობრიობა როგორც ონტოლოგიური, უნდა განვასხვავოთ მათი შემეცნებითი თარგმანისაგან“ ამბობს ავტორი (იქვე, გვ. 366). მაშასადამე ეს თარგმანები არიან ობიექტების სიმბოლოები და არა მათი უშუალო გამოხატულება. „მე ვამტკიცებდი, რომ შეგრძნებებში და გრძნობებში ჩვენ გვაქვს მხოლოდ პარტიციპული ყოფიერების ნიმუში და რომ მაინც ორივე გარეგნული და პარტიციპალური ცოდნა იშლება (operates) აზრის და დასკვ-

ნის თერმინებში, რაც შეიცავს ისეთ კატეგორიებს, როგორცაა თვითშენარჩუნება, აქტივობა, უნარი (capacity), კონატიტუცია. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ შემეცნება იგივე არ არის, რაც შეგრძნება და ემყარება ინტერპრეტაციას და ინტელექციას... პერცეპირება უნდა განვასხვაოთ შეგრძნებისაგან" (გვ. 374).

... რეფლექსიის ეს ფაქტი, აუხსნელი რჩება „რეფორმირებულ მატერიალიზმს“, რადგან მისი ახსნა მხოლოდ დიალექტიკურ მატერიალიზმს შეუძლია. ავტორი იძულებულია ყოველგვარი ახსნის გარეშე დაუშვას „ინტერპრეტაციული, შეცნობითი აქტივობა“ (იხ. იქვე, გვ. 370).

„მე“-ს შემეცნებაც გაშუალებულია, ვინაიდან „მე“-ს ცნებაშიც ორი მომენტია: „მე“—როგორც ორგანიზმი, შეგრძნობის განსაკუთრებული, უნიკალური უნარით. და „მე“-ს გაგება, ცნობიერება შეგრძნებების საშუალებით. მაგრამ „მე“-ს შემეცნება უახლოვდება ინტელექტურს, რადგან თვით „მე“-ს, ამ შემთხვევაში როგორც ობიექტის აქტივობა უშუალოდ მოცემულია შეგრძნებებში, განსხვავებით გარე ობიექტებისაგან, რომელნიც, სანამ ცნობიერებას მიაღწევდნენ, უნდა შეგრძნებულნი იქნან „მე“-სი, როგორც ორგანიზლი სისტემის, მიერ. ავტორს აქვს კიდევ ერთი გრადაცია შემეცნების გაშუალებისა: მეცნიერული შემეცნება შედარებით უფრო უშუალოა ფილოსოფიურ (ავტორის თერმინოლოგიით ონტოლოგიურ) შემეცნებასთან შედარებით, რადგან მეცნიერებას ცდის (experience) უშუალო ფაქტთან აქვს საქმე, ხოლო ონტოლოგია მოითხოვს შემდგომ რეფლექსიას. ამით აიხსნება, ავტორის აზრით, რომ ონტოლოგიური დებულებანი იმ სახით ვერ შემოწმდებიან, როგორც მეცნიერული ანუ პრუდუციული დებულებანი (იხ. იქვე, გვ. 366).

თვითშემეცნება არც მხოლოდ ნაწილობრივი შემეცნება (participate knowing) რამდენად უფრო მეტიც და აზრები მხოლოდ ნაწილი ორგანიზლი „მე“-სი. აქედან ცხადია, რომ თვითონ ცნობიერებას აქვს ნაწილობრივი ყოფიერება და ის უშუალოდ ვერ გავწოდის ნიშნებს იმანენტური არსებობისა და თვითშენარჩუნებისა, ამიტომ ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ იმ ობიექტურ ერთეულებს, რომელთაც ჩვენს გარეშე ვამჩნევთ და ვარჩევთ (denotables), ე. ი. „მე“-დან საგნისკენ უნდა ვიბრუნოთ პირი. ავტორს გადმოაქვს რეფორმირებულ მატერიალიზმში თავისი ძველი შეხედულება, რომ ჩვენს ცნობიერებაში მოცემული პერცეპციები ობიექტებისა მათს გამოვლენას ან გახსნას (revealong, disclosure) წარმოადგენენ. ავტორი მათ უწოდებს „ნატურალურ სიმბოლოებს“. ავტორის აზრით მხოლოდ ამ სიმბოლიური ხასიათის გამო შეიძლება მათი გამოხატვა სხვებისთვის ვასაგებ თერმინებში, მხოლოდ ამიტომ აქვთ მათ სემანტიური შინაარსი.

ს ე ლ ა რ ს ი მტკიცედ იცავს მატერიალისტურ თეზისს იმის შესახებ, რომ „აზრი, დაწყებული პერცეპციით და დამთავრებული მსჯელობით, ყოველთვის მიმართულია რაღაცასკენ, რაც მის მიღმა“ (იქვე, გვ. 374); ის ილაშქრებს პრაგმატიკისტების წინააღმდეგ, რომელნიც ცდის იქით არ მიდიან და შემეცნების და ობიექტის შესაბამისობის პრინციპს უარყოფენ.

მაგრამ ზემოდაღნიშნული სიმბოლიზმი გზას უკეტავს მას თვითონ გაიგოს სწორად ეს შესაბამისობა, როგორც კეშმარტების კრიტიკიუმი. კეშმარტების პრობლემას ის მხოლოდ შემეცნების ფარგლებში ატყვეს და არა შემეცნების და ობიექტის მიმართების ფარგლებში (კეშმარტება თვით ფაქტია შემეცნებისა); ამიტომ გამოდის, რომ როგორც მატერია-

ლისტს, მას არ შეუძლია მოხსნას საკითხი შემეცნების შესაბამისობისა მის ობიექტთან და მიიღოს იდეალისტური პრინციპი შემეცნების შინაგანი ლოგიკური მთლიანობისა (logical coherence) და ამავე დროს ვერ ღებულობს შესაბამისობას „ტრადიციულ“ (ე. ი. მატერიალისტურ) თეორიას. „მე გარდაქმენი ეს ტრადიციული თეორია შემეცნების პირობების და ქვეშარტების შესაბამისობის თეორიად, მე განვსაზღვრე ქვეშარტის, როგორც შემეცნების მომენტს ანუ შემეცნების ფაქტის გამოხატველს. კრიტიკულში არის ემპირიული და ლოგიკური. შესაბამისობა არის გამართლებული დასკვნა (იხ. გვ. 374 შენიშვნა). ამ საკითხში არათანმიმდევრობაზე მას მიუთითა ამერიკელმა ფილოსოფოსმა დიუკასმა. თავის პასუხში (იხ. „Philosophy and phenomenological research“, 1944, September) სელარსი მაინც ვერ აღწევს თავს ამ არათანმიმდევრობას, კიდევ უფრო აღრმავებს მას დებულებით, რომ სიყალბეს ექსისტენციალური დახასიათება არა აქვს (იხ. აღნიშნული ეურნალი, გვ. 100). თუ ქვეშარტება, როგორც ფაქტი, შეცნობილია თვით ცნობიერებაში, შემეცნების ობიექტთან შეფარდების გარეშე, მაშინ კრიტიკულში ზედმეტია. საერთოდ ექსისტენციალობის პრინციპის შემოტანა ქვეშარტების ანუ სიყალბის საკითხში უმართებულოა, ის ქვეშარტების ონტოლოგიზაციას გულისხმობს.

დამახასიათებელია, რომ ავტორი მხოლოდ მეცნიერებას ნიჭურს პრედიკტულ ღებულებებს, რომელსაც პიუმპა ეძებს ფილოსოფიაში. მხოლოდ ამ პრედიკტულ ღებულებებს შეიძლება მივუყვანოთ უშუალო შემოწმება.

ვიღვე ერთი საკითხი შემეცნების თეორიიდან. როგორია კატეგორიის

ბუნება? ხომ კატეგორიების გარეშე მსჯელობა შეუძლებელია. ავტორი თითქმის გვერდს უღლის ამ საკითხს, ყოველ შემთხვევაში იმ საკითხს, რომელიც ციხულ ხასიათის წერილებში, რომელნიც ჩემთვის მისაწვდომი იყო. როგორც მატერიალისტი, ის ეძებს კატეგორიების ობიექტურ კორელატს, მაგრამ მექანიკური ევოლუციონიზმის საფუძველზე ვერ ახერხებს მათი ბუნების ჩაწვდომას. ის ცდილობს ობიექტების უშუალო თვისებიდან გამოიყვანოს კატეგორიები. „თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია მატერიალური არსებობის ინტუიცია გარეგნული დაკვირვებაში (eternal observation), ყოველ შემთხვევაში ონტოლოგისტისთვის ცხადია, რომ მას (მატერიალურ არსებობას) უნდა ჰქონდეს ყოფიერების გარკვეული სახე (the sort of being), რომელსაც კატეგორიები ემყარება... პრინციპში... მატერია შესდგება დაკვირვებისთვის მისაწვდომ შენაერთებისაგან (denotables); მხოლოდ დაკვირვება მკრძნობელობის მეშვეობით არ უნდა ადურიოთ თვით შეგრძნებებს, სწორედ ასეთი არევიით სცოდავს პოზიტივიზმი“ (იქვე, გვ. 368).

საინტერესოა, თუ როგორ ესმის ავტორს მოძრაობა და განვითარება. ჩვენ ვიცით, რომ ავტორის აზრით აქტივობა თვით მატერიის ბუნებაშია მოცემული. ევოლუცია არის უნივერსალური გამოვლენა ამ აქტივობისა, ორგანიზაცია სხვა და სხვა სისტემის სახით—მისი მთავარი ფორმა. როგორ შეუძრივოთ წარმოშობა-მოსპობა მატერიის მუდმივობას და თვითშენარჩუნებას? ავტორის დახასიათებით ეს არის სწორედ „ქმნადობის“ (becoming) მარადიული პრობლემა. რომ ეს გასაგები გახოს. ჩვენ უნდა განიხილოთ ყოფიერება (being) და არსებობა (existence). ყოფიერება გამოხატავს მატერიის ასეიტობას.

ავტორი თვითონ ხმარობს ამ სქოლასტიკურ თერმინს და მე ვერ გამოვუნახე მას ქართული კარელატი.

ასეიტობა ნიშნავს მას, რაც თვით თავის ცნებაში შეიცავს აუცილებელ და მარადიულ არსებობას, ექსისტენციულობა კი გამოხატავს ქვალიტატიურ მატერიალურ სისტემებს, მაშასადამე წარმოშობა-მოსპობის დროს ჩნდება ან ქრება არა მატერია, რომელსაც ასეიტობა ახასიათებს, არამედ ცალკეული მატერიალური სისტემების ქვალიტატიური გარკვეულობა. თავის თავად ეს შეხედულება მატერიალისტურ დიალექტიკას უახლოვდება. მაგრამ მას საფუძვლად უდევს არსებითად მექანიტური კონცეპცია. ამის დასადასტურებლად მოვიყვან ერთს თუშეა ვრძელ, მაგრამ დამახასიათებელ ციტატას. „არის თუ არა ფიზიკური ყოფიერების საფუძველი (floor) პარტიკულარული, თუნდაც ნაწილაკები არას დროს არ არსებობდნენ იზოლაციაში?.. ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა... დავუშვათ პირველადი ენდურანტები (ე. ი. რასაც შინაგანი გამძლეობა და თვითშენარჩუნება ახასიათებს), რომელნიც ქმნიან (form) მათ, რასაც მე ვეძახი მეორად ენდურანტებს. ამის და მიხედვით წარმოშობა და გაბრწნა (generation and corruption) ეკუთვნის უფრო მაკროსკოპულ სფეროს, სადაც ჩვენ შევდივართ იმ შენაერთთა სამეფოში, რომელთა აღნუსხვა და აღწერა შეიძლება. სწორედ ამ საფეხურზე იჩენს თავს არსებობა. ამგვარი რთული შენაერთები (denotables) წარმოიშობიან და იხრწნებიან, ასე რომ არსებობა გნოსეოლოგიურად დამალანსებელია არა არსებობით... ასეთია თვით ბუნება ისტორიისა, ქმნადობისა და პროცესისა... მაგრამ ყოფიერება უნდა შესდგებოდეს უფრო დაფუძველი (sterner) ნივთიერებისაგან. ის მოუხსობელია და... არასოდეს... არ გადადის

არარაობაში. არსებობის ცვლადობა ხდება... ყოფიერების შეცვლა არაა არსებულის უფრო მეტი ხდება არ არსებობს“ (371—372).

მატერიალიზმმა უნდა შეაზამოს საფუძველში მდებარე ნივთიერების მოუსპობლობა კომპოზიტიური მთელის აღმოცენება-გაბრწნასთან. ინტეგრაციული კაუზალობა უდევს საფუძვლად ახალი სისტემის აღმოცენებას და არსებობას ყოფიერების შიგნით. უფრო მაღალი წარმოიშობა უფრო დაბალისაგან. რასაც თომისტი (სქოლასტიკოსი) უწოდებს ფორმას ანუ არსობას (quiddity), მატერიალისტი ორგანიზებულ მთელს უწოდებს. ამ სახით ინტეგრაციული მიზეზობრობა გზას უკავთავს იმანენტურ მიზეზობრობას.

თვით ყოფიერება არ არის ცალიერი და არადიფერენცირებული, არამედ მოწესრიგებულად დამოილი შენაერთებად (ე. ი. ისეთ რაღაცად, რაზე შეიძლება მიუთითო ან რაც შეიძლება აღწერო). ჩვენ ინტუციით ვერ ვიჭერთ მათ, მაგრამ ვარჩევთ „ნატურალურ სიმბოლოების საშუალებით“, რასაც მათი აქტიობა იწვევს ჩვენს ცნობიერებაში. ამრიგად თვით ცნობიერებაა გამოსავალი წერტილი შემეცნებაში. მას, რასაც შემეცნების დროს ჩვენ ვეძებთ ობიექტში, ისეთივე სახის რეალობა უნდა ჰქონდეს, როგორც ჩვენა გვაქვს ცნობიერებაში. არსებობის უბეში ფაქტის გაგება ემყარება თვით ჩვენს მოქმედებას და წვალებას (suffering).

კომპოზიტი სხეულები, როგორიცაა ქიმიური სუბსტანციები ან ორგანიზმები, არიან დროებითი და შემთხვევითი. მათ ახასიათებს ხანგრძლივობა (duration), მათ შორის უმაღლესი ფორმა აღამიანის არსებაა, ინერტიული უცვლელი სულიერი სუბსტანცია არ არსებობს. ჩვენი ცნობიერებაც ქვალიტატიური არსებობაა, ყოველ-



თვის დაკავშირებული გარკვეული სისტემის ორგანიზმთან. ორგანიული „მე“ იგივე ნატურალური შენაერთია (denotable), ამიტომაც ცნობიერების ობიექტური შესწავლაც შესაძლებელი. მხოლოდ მას ახასიათებს რეფლექსიის, თვითშეცნობის უნიკალური უნარი, ის ისეთივე დროებითი და შემთხვევითი მოვლენაა, როგორც ყოველი ნატურალური ქვალიტეტური სისტემა.

ჩვენ არ შეგვიძლია ვიაზროთ ყოფიერების აღმოცენება არაყოფიერებისაგან, მაგრამ შეგვიძლია ვიაზროთ არ არსებობა დროებითი და შემთხვევითი სუბსტანციისა. ეს უბრალოდ იმას ნიშნავს, რომ მაგ. სიმბოლიურად ვერ გამოხატავს საგანს, რომელიც გაქრა. ყოფიერება ნაგულისხმევი პირობაა ყოველი საგნისათვის, რადგან სწორედ მასში ისინი ჩნდებიან და ქრებიან. ამრიგად ონტოლოგიურად „არ ყოფნა“ (not-being) მხოლოდ ვერბალიზმია. არაფრისაგან არაფერი არ გამომდინარეობს. ან შინაგანი მოუსპობლობა მატერიალისტური ნატურალიზმისა, ან ნასესხები (contributed) მოუსპობლობა სუპერნატურალიზმისა მისი ყოველგვარი სოფისტური ფორმით,—შესამე გამოირიცხულია, გარდა ილუზიონიზმისა.

რეფორმირებულე მატერიალიზმი შეაბრუნებს არისტოტელიზმს, ანუ მარქსისტული თერმინოლოგიით, ფეხებზე აყენებს მას. არისტოტელეს პილომორფიზმი კონკრეტი სხეულებიდან უმაღლეს ანუ ფინალურ ფორმისაკენ ისწრაფვის იმ დროს, როცა სინამდვილეში ხდება გადასვლა დაბალი ფორმიდან მაღალი ფორმისაკენ. ავტორი აქვე შენიშნავს, რომ ეს ლინეარულ ევოლუციას არ ნიშნავს, რადგანაც მისი აზრით, ონტოლოგიურად შეიძლება ყველა ფორმა თანადროული და თანაარსებული იყოს. „საესეებით შესაძლებელია—ამბობს ის,—რომ უნაიერსლში ყოველთვის იმგეა-

რი იყო, როგორც ახლა, ე. ი. ქონდა ყოველთვის დიფერენცირებულადა ერცეულად გაშლილი უცხოველად“ (377). ონტოლოგიურად დროს არაფერთარი მიმართულება არ აქვს, ის ყოველთვის ლოკალურია და არსებითად მხოლოდ სახელწოდებაა იმისა, რაც აქტიობაშია ჩაქსოვილი, ე. ი. რეალური დრო არის მხოლოდ ფაქტიური სისტემების აქტიობა, ხოლო ეს აქტიობა ყოველთვის ლოკალური, ვრცელი და რელატიურია.

მარადიულობა—ყოფიერების დამახასიათებელია. რეალური დრო—არსებობის განცდის ფაქტია. კომპოზიტის აღმოცენება გულისხმობს მოუსპობელ ნივთიერების არსებობას, რომლის ინტეგრირება ხდება გენერაციის დროს. მტკიცება: აღმოცენებულა და განაგრძობს არსებობას გარკვეული ხნის განმავლობაში, მერე ისრწნება—ნიშნავს მხოლოდ ორგანიზაციის სეზონის (tide) აღნიშვნას თვით ყოფიერების სფეროში. არც აღმოცენების და არც გახრწნის ფაქტის ასახსნელად არ გეჭირა ჩვენ ყოფიერების სფეროდან გასვლა. ესე იგი აქტიობა და ორგანიზაცია ბუდობს თვით ყოფიერების სუბსტანციაში. ამ საკითხში ულმობელად უნდა შევაქციოთ ზურგი ელვატებს. მატერია გულისხმობს პროცესს და პროცესი გულისხმობს მატერიას (იხ. 378).

თუ, როგორც ავტორი ამტკიცებს, ქვალიტეტი ჩნდება და ისობა აღმოცენების და გახრწნის დროს, მაშინ ქვალიტეტი არ ყოფილა თვით ყოფიერების სტრუქტურაში. მაგრამ ეს ხომ იმ მექანიკური პრინციპის აღდგენა იქნებოდა, რომლის დაძლევა ავტორი ცდილობს. ამიტომ ის იძულებულია დაუშვას პირველადი ქვალიტეტები, რაც ყოფიერებას ახასიათებს. ავტორს ჰგონია, რომ ამით ის წინააღმდეგობას სძლევეს. ის თვითონ გრძნობს ამ საკითხში აღმოცენებულ

სიმწიფეს. ის ამბობს: ქვალიტეტი იმანენტური უნდა იყოს ყოფიერების სათვის. ის არის ყოფიერების ცვალებადი შინაარსი, და დამოკიდებულია ინტეგრაციულ მიზნობრიობაზე. მაგრამ სამწიფხაროდ ჩვენი საკუთარი ინტუიცია ქვალიტეტისა შეზღუდულია ჩვენს ცნობიერებაში მოცემულ ბუნებრივ „იზოლატებით“, ჩვენი კერძო გამოცდილებების პროცესით. ავტორი აღნიშნავს, რომ მას საეჭვოდ მიაჩნია მარქსისტების ჰეგელისეული პრინციპი ქვანტიტეტის და ქვალიტეტის ურთიერთ გადასვლის შესახებ.

მისი მთავარი ყურადღება მიქცეულია იქითვე, რომ ცვალებადობამ არ შელახოს მატერიის მოუსპობლობის პრინციპი. ყოფიერება ფაქტის მიღმა იმ თვალსაზრისით, რომ ის ფაქტის წყარო და საფუძველია. ყოფიერებას ჩვენ აღმოვაჩენთ მის პროცესებში და გამოვლენებში, რომელთა შორის ცნობიერება წარმოადგენს ქვალიტატიური შონაწილეობის უნიკალურ სახეს. რეფორმირებული მატერიალიზმის თვალსაზრისით ონტოლოგიური დრო—მისი პირდაპირად გაშლილი წარსულით, აწმყოთი და მომავლით—ადვილად ბადებს ონტოლოგიურ ილუზიას. გამოდის, რომ ყოფიერება დროის გარეშეა, თუმც ის ვრცელდება. მოვესმინოთ ავტორის თითქმის მხატვრულ დასკვნას: „რადგანაც მე მწამს უნივერსუმის მარადიულობა და სექვტიკურად ვუყურებ სწორხაზოვან (linear) და ციკლიურ (ცოლოციის) ცნებებს, ბუნებრივია, მე ვგულისხმობ, რომ უნივერსუმში ყოველთვის იყო ისეთი, როგორც ის ახლა არის—მრავალფეროვანი არსებობის სამყარო ყოველგან ერთი და იგივე (ნივთიერი) საფუძველით, რომელზედაც აქა-იქ აიშართება ხოლმე ემპირიკული ქმნადობის მთის მწვერვალები, რომელნიც დრო და დრო კვლავ დაეშვებიან... ადგილი აქვს ბიოლოგიური არსებათა და ქვა-

ლიტეტთა გაჩენას, მაგრამ არა სწორად... საცესებით შესაძლებელია, რომ სულიერი უნარი უნივერსული პროცესები იშვიათად აღმოცენდებიან... ნივთიერება ყოფიერებისა არც მატულობს და არც კლებულობს... რამდენად ყოფიერების ნივთიერება არსებითად აქტიური და რელაციური, უნდა ველოდეთ, რომ ყველა გენერაცია და კორუპცია წარმოადგენს ინტეგრაციას და დაშლას, რომლებშიც არც ერთი არ შელახავს თვითშენარჩუნების პრინციპს, რაც გამოხატავს ყოფიერების მოუსპობლობას. ამ სახით შეიცავს მარადიულობა ექსისტენციულ დროს ანუ პროცესს (გვ. 380—381).

მე უმთავრესად პოზიტიურად დავალაგე „რეფორმირებული მატერიალიზმის“ ავტორის შეხედულებანი. მარქსისტისათვის ადვილია მისი ნაკლის გაგება, მაგრამ უდავოა, რომ ავტორი ცდილობს მტკიცედ დაიცავს მატერიალიზმი იდეალიზმის წინააღმდეგ და დაუახლოვოს იგი თანამედროვე მეცნიერებას. ამას კიდევ უფრო ცხადყოფს ს ე ლ ა რ ს ი ს გამოხველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ეინშტეინის რელატიობის თეორიიდან იდეალისტური დასკვნების გამოყენას ცდილობს. მიმდინარე წლის იანვარში მან გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „მატერიალიზმი და რელატივიზმი“. ამ საინტერესო წერილის დეტალური გარჩევა შორს წაგვიყვანდა. მე მხოლოდ იმ მომენტებს აღნიშნავ, სადაც ავტორი იდეალისტების ცდებს ებრძვის.

„ჩვენ არ უნდა დაგვივიწყდეს—ამბობს ის—მახის და ავენარიუსის მეთოდოლოგიური გავლენა ეინშტეინის აზროვნებაზე... პრაგმატიკები და პოზიტივიზმები მიეფარენ რელატივიზმის თეორიას, როგორც ქვეითი ჯარისკაცი ეფარება სანგარს... ამ წერილში მე მინდა დაეიცვა მატერიალიზმი... რამდენად რელატივიზმის თეორიამ წა-

ახლისა ერთგვარი ფილოსოფიური
ობსკურანტიზმი, მე მოვალე ვარ...
მიეცე მას მისი სათანადო კონტექსტი“
(იხ. The philosophical review, 1946
p. 25, 27, 28, 35).

თავის წერილს ავტორი ქვესათაურ-
ში „სემპტიკურ ანალიზს“ უწოდებს,
კინაიდან ის ცდილობს გაარჩიოს თერ-
მინების შემეცნებითი და ონტოლო-
გიური მნიშვნელობა, რომელთა ერთი-
მეორეში არევა, მისი აზრით, ხელს
უწყობს იდეალიზტურ ილუზიას. „ახ-
ლა მოდაშია დიქტუმი, რომ ფიზიკო-
სისათვის აზრი არა აქვს მას, რაც და-
კვირებაში არ მოქცეულა (unobse-
rved). მაგრამ ეს აშკარა ნონსენსია.
მაგ. დაბნელება, გამოანგარიშებული
წარსულისათვის, ვერას დროს ვერ
მოქცევა მეცნიერის დაკვირებაში“
(იქვე, გვ. 26).

მე შემიძლია შევიცნო საგნები და
მოვლენები მხოლოდ დაკვირვებების
და მათგან გამომდინარე დასკვნების
საშუალებით. მაგრამ ეს როდი ნიშნავს
საგნების და მოვლენების დაყვანას
ჩემს დაკვირებაზე. წინააღმდეგ შემ-
თხვევაში ჩვენ ერთმეორეში ავრეგ-
დით არსებობას და მის შემეცნებას
აღაშიანის მიერ.

ნიუტონის აბსოლუტური დრო და
სივრცე ნამდვილად ზღუდავდა ფიზი-
კის განვითარებას. სამწუხაროდ, მათი
დაძლევის დროს მატერიალურ სამყაროს
იგივე მოუვიდა, რაც ლეგენდარულ
ბაქშვს, რომელიც საბანავ წყალს
გაყოფს. რელატივიზმის თეორიაში
ერთიმეორეს აურთივს ფიზიკური სის-
ტემები, როგორც ნაწილები მატერია-
ლური სამყაროსი, დამკვირვებლის
თვალთახედვის მიმართებას. ეს არევა
ბუნებრივად მოჰყვა იმ შემცდარ საერ-
თო შეხედულებას, თითქოს ეინშტეინის
ფორმულა იყო მაიკელსონ-მორ-
ლის პარადოქსის გადაწყვეტა. სინამ-
დვილში მაიკელსონ-მორლის პარა-
დოქსის მიზეზი იყო აბსოლუტური

სივრცე, აბსოლუტური დრო და უძ-
რავი ეთერი. პრობლემატურად
ჩვენ სივრცეს და დროს უწყობს
მეცნიერებას. და მატერია-
ლურ ყოფიერების ზედსართავად ვაქ-
ცევთ „ფიზიკური სივრცე და დრო
არიან ზედსართავნი (adjectival) და
გამოთქმანი... „სივრცეში“ და „დრო-
ში“ არიან ტექნიკური გამოთქმები,
რომლებიც ნიშნავენ, რომ გეომეტრი-
ული პრინციპების და ქრონომეტრიუ-
ლი მეთოდის გამოყენება შესაძლებე-
ლია“ (იქვე, გვ. 33).

რეალისტის თვალსაზრისით ის, რაც
არსებობს, დამოუკიდებელია მისი შე-
ცნობის ყოველგვარ აქტისაგან. მეცნი-
ერების ამოცანაა გამოანახოს შემეცნე-
ბის ტექნიკა. მახის გავლენის ქვეშ
მყოფი ეინშტეინი მხოლოდ ფიზიკუ-
რი შეგრძნებების მოწესრიგებას ცდი-
ლობდა და თავს არ იწუხებდა თვით
მატერიალური სამყაროს გამო. წმინ-
და რიცხვობრივი ანალიზი თვით
რეალობას უკან იტოვებს. ეს აკმაყო-
ფილებს მათემატიკურ ფიზიკოსს,
რომელიც დატრიალებს სიმბოლოების
სამყაროში, მას შეუძლია აგრეთვე
დააკმაყოფილოს ღვთის მორწმუნე ინ-
გლისელები, რომლებისთვის მატერია-
ლური სამყარო არის უმადლესი გონე-
ბის ანუ მათემატიკური ღმერთის გა-
მოვლენა, ან არაფილოსოფიურად გან-
წყობილ ამერიკელ ფიზიკოსებს, რომ-
ლებიც დაინტერესებულნი არიან მხო-
ლოდ მიმართებებით და კალკულა-
ციით, მაგრამ მას (წმინდა მათემატი-
კურ ანალიზს) არ შეუძლია დააკმაყო-
ფილოს მატერიალისტი (იხ. გვ. 34,
35). ფიზიკა უნდა დაუბრუნდეს ბერ-
ძნების ტრადიციას, რომელთათვის ის
ყოველთვის დაკავშირებული იყო მატ-
ერიალურ სამყაროსთან. ჩვენს კულ-
ტურას ესაჭიროება მტკიცედ ყურდნო-
ბოდეს ნიადაგს.

ნიუტონის ორი აბსოლუტი—სივრცე და დრო—ლოგიკურად მოითხოვდა მესამე აბსოლუტს—მოდრაობას. ჩვენ უნდა განვასხვაოთ მოძრაობა (motion) აბსოლუტურ მოძრაობისაგან (movement). ისე როგორ კონკრეტი სივრცე ფიზიკური სისტემების კონკრეტი დამახასიათებელი თვისებაა, ხოლო კონკრეტი დრო ამ კონკრეტ სისტემებში მიმდინარე ცვალებადობის პროცესის გამოხატულება, — კონკრეტი მოძრაობაც მხოლოდ და მხოლოდ ამ კონკრეტ ფიზიკურ სისტემებს შეეხება და ამიტომ რელატიურია, აბსოლუტური მოძრაობა საზოგადოდ პროცესის გამოხატულებაა, კონკრეტი მოძრაობა გარკვეული ფიზიკური სისტემის ცვალებადობის გამოხატულებაა. მეორე გულისხმობს პირველს. დროსა და სივრცის ერთიანობა მტკიცდება იმით, რომ ყოველგვარ ცვლილებას ლოკალური ხასიათი აქვს. არ არსებობს ცარიელი დრო überhaupt. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სივრცე და დრო არ განირჩევიან ერთიმეორისაგან. მოძრაობა წარმოუდგენელია მატერიალური სისტემის გარეშე, ის თავისთავად გულისხმობს მიზეზობრიობას.

ამრიგად რელატივიზმის თეორია მატერიალიზმის უარყოფა კი არაა, არამედ არსებითად, მისი დადასტურებაა. ის ნიშნავს მხოლოდ მექანიკურს, ანუ ავტორის თერმინოლოგიით, რედუცტიული მატერიალიზმის დაძლევას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავტორი ფილოსოფოსების დანაშაულად სთვლის ბრწყინვალე ფიზიკოსების, მათ შორის პირველ რიგში ეინშტეინის, წაბორძიებას ფიზიკური ფაქტების ფილოსოფიური ინტერპრეტაციის საკითხში, და დაასკვნის თავის წერილს მოწოდებით, რომ რეალისტ-ფილოსოფოსებმა ზელჩაყიდებულად უნდა იმუშაონ მეცნიერებთან ერთად „ნატურალური ფილოსოფიის“ გამო-

მუშაებისათვის, რომელიც გააგრძელებს ძველი ბერძნული კონტრფაქციის (იხ. გვ. 51).

გიგლიოთიჯა

მე დაეკმაყოფილდები ზოგადი კრიტიკული შენიშვნებით, რადგანაც მარტისისტული აუდიტორიისათვის თვით ავტორის შეხედულებათა დალაგება, რაც მე საკმაო სისრულით წარმოგიდგინეთ, ნათელყოფს მისი კონცეპციის სუსტ მხარეებს.

მთავარი მანკი „რეფორმირებული მატერიალიზმისა“ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის ცდილობს თვით მეცნიერების განვითარების პროცესში აღმოცენებულ დიალექტიკურ პროზღემათა გადაწყვეტას შეგნებული დიალექტიკის, ე. ი. დიალექტიკური თეორიის გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ სე ლარსის კონცეპცია საუკეთესო ნიმუშია თვით ფილოსოფიაში სტიქიური დიალექტიკის შექრისა ობიექტიურ-მეცნიერული ფაქტების შეგაგულნით. ისეთი ცნებები, როგორც მატერიის იმანენტური აქტიობა, ქვალიტეტის ობიექტიობა და ისტორიულობა, დროის და სივრცის ნიუტონისეული მექანიკური კონცეპციის უარყოფა, ცნობიერების გამოცხადება უშაღლეს ფორმაში ორგანიზებულ ფიზიკური სისტემის, ე. ი. უშაღლესი ორგანიზმის შინაგან თვისებად და სხვა, ამას ადასტურებს. მაგრამ ერთია სტიქიური დიალექტიკა ბუნებისმეტყველებაში, რომელიც სწორედ შეგნებულად უნდა ახსნას ფილოსოფიაში, და მეორეა სტიქიური დიალექტიკა თვით ფილოსოფიაში, რომლის ღირებულება მკირდება იმით, რომ სწორედ გადამწყვეტ მომენტებში მას სძლეეს მეტაფიზიკა და ამიტომ ასეთი ფილოსოფია მეცნიერების მეთოლოგიად ვერ გამოდგება.

ავილოთ შემეცნების საკითხი. არსებითად ავტორი აღწერს შემეცნების რეალურ ემპირიულ ელემენტებს, მაგრამ ვერ იძლევა შემეცნების პროცესის



ახსნას. როგორც ინგლისური ემპირიზმის და კანტიანური ტრანსცენდენტალიზმის მავალით გვიჩვენებს, სწორედ რეფლექსიისა და კატეგორიების პრობლემაზე იტყვება კისერს მეტაფიზიკა. რეფლექსიის და კატეგორიების ბუნების ახსნა მხოლოდ დიალექტიკურმა მატერიალიზმმა მოახერხა, რადგან მან გაიგო შემეცნების ნამდვილი ისტორიზმი, ე. ი. არა როგორც ემპირიულ წარმოდგენათა დაგროვება, რაც თავიდანვე მანაც გულისხმობს მზა-მზარეულ გონებას და მის კატეგორიებს, არამედ თვით გონება და მისი კატეგორიები ქვალიტატიურადაც ისტორიული პროცესის შედეგად გამოაცხადა. ს ე ლ ა რ ს ს კ ი რეფლექსიის ასახსნელად არაფერი ჯაჰნია, გარდა ახალი მეტაფიზიკური ელემენტების პოსტულირებისა ყოფიერების შემეცნებითი აქტივობის სახით (cognitive activity).

მაგრამ ესეც არ ამოწურავს ს ე ლ ა რ ს ი ს შემეცნების თეორიის მეტაფიზიკურობის საკითხს. ის სწორად ვერ სწვევტს ცნობიერებაში ობიექტის მოცემულობის საკითხს, რის გამოც ვერ აწვითარებს ასახვის ნამდვილ თეორიას. მისი თვალსაზრისით შეგრძნებები ობიექტიურ საგანთა ასლს კი არ წარმოადგენენ, არამედ ე. წ. „ნატურალურ სიმბოლოებს“. ამიტომ მის ფილოსოფიაში უნებლიედ, ე. ი. ავტორის სურვილის წინააღმდეგ, თავს იჩენს აგნოსტიციზმის ელემენტები. მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმი არა მხოლოდ შედეგია შემეცნების დიალექტიკური გაგებისა, არამედ მისი საფუძველიც. საგანთა ასახვა ჩვენს ცნობიერებაში არა მარტო იმით განსხვავდება საგნების ურთიერთში ასახვიდან, რომ ჩვენ შევიგრძნობთ და შევიცნობთ ასახულს, თუკაც ეს თავისთავად მეტად მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ჩვენს შეგრძნებაში მოცემულია არა მხოლოდ ობიექტთა გა-

რეგული სახე, არამედ გარკვეული სახით მისი შინაარსიც. ერთდროულად შევიგრძნობ, მაგ., ვაშლს, კეს ზმეყ რუფ ნიშნავს, რომ მე შევიგრძნობ მხოლოდ მის სიმრგვალებს, სიწითლეს, და სხვ. ამ შეგრძნებაში არის მოცემული ვაშლის ზოგადი ცნების ელემენტებიც. მარქსისტული თვალსაზრისით ეს ადვილად აიხსნება. ადამიანური შეგრძნება არასოდეს არ არის მხოლოდ პასიური პროცესი, მასში თავიდანვე აქტივობელ ელემენტად შედის საგანთა მიმართ პრაქტიკული დამოკიდებულება. თვით სუბიექტ-ობიექტის დიფერენციაიცა, მეობის გრძნობა, ამ პრაქტიკული დამოკიდებულების შედეგია. ამიტომ არა მხოლოდ ლოგიკურ კატეგორიებში უნდა ვეძიოთ ჩვენ სოციალური პრაქტიკის განსახიერება, არამედ თვით შეგრძნებებში. მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლება ვამტყვიოთ, რომ ასახვა ჩვენს ცნობიერებაში საგანთა ასლის და ზრა სიმბოლოების, იეროგლიფების მოცემულობას ნიშნავს. მხოლოდ აღნიშნული გარემოებით აიხსნება, რომ ადამიანის ტვინის ფუნქცია ერთსა და იმავე დროს ფიზიკურიც არის და სოციალურიც.

მეტაფიზიკა უღვევს საფუძვლად აგრეთვე სელარსის ონტოლოგიურ შეხედულებებს. მას არ ესმის ქვალიტეტის და ქვანტიტეტის დიალექტიკური ერთიანობა, არსებითად ქვალიტეტი ზედ ერთვის ნივთიერებას. ის თვითონ გრძნობს წინააღმდეგობას ამ პუნქტში—რომ დაუშვას უქვალიტეტო ელემენტური სტრუქტურა მატერიისა—ქვალიტეტის აღმოცენებას ვერ ახსნის და ამიტომ იძულებულია დაუშვას მატერიის ელემენტურ სტრუქტურაში პირველადი ქვალიტეტი.

განსაკუთრებით დროის საკითხში იჩენს თავს სელარსის ფილოსოფიის მეტაფიზიკურობა. მას არ შეუძლია გაიგოს ხანგრძლივობა, როგორც მუდმივობის მომენტი, ამიტომ არსებითად

სამყარო ორად იყოფა ტემპორალურად და მარადიულად. ამასთანავე დაკავშირებული ყოფიერების და არსებობის ერთიერთისაგან მეტაფიზიკური გაწყვეტა. მართალია, ავტორი ხაზს უსვამს შათს ერთიანობას, მაგრამ ეს ერთიანობა ცალმხრივია, რადგანაც არსებობა იშლება ყოფიერების შიგნით, ხოლო თვით ყოფიერება არ იშლება არსებულში, აქედან მეტაფიზიკური დასკვნა: ყოფიერების სამყაროში დროს არავითარი მიმართება არა აქვს, წარსული, აწმყო და მომავალი მასში ერთდროულია, ე. ი. ყოფიერების სამყარო ზედროულია. იგივე მეტაფიზიკურობა იჩენს თავს რელატიობის თეორიის მატერიალისტურ ინტერპრეტაციაში. კონკრეტი დროს არსებითად ჰკარგავს რეალობას და უნივერსუმში, როგორც მთელში, გამოცხადებულია პროცესების აბსოლუტური ერთდროულობა (იხ. გვ. 39). რამდენად რელატიურის და აბსოლუტურის გაგება შეუძლებელია დიალექტიკის გარეშე, სელარსს არსებითად გამოუდის რელატიურის მოწყვეტა აბსოლუტურიდან. ამას მოწმობს მისი მტკიცება, რომ რელატიობის თეორიას ონტოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს. მეტაფიზიკურობის შედეგად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე სელარსის არათანმიმდევრული დასკვნა სამყაროს განსაზღვრულობის შესახებ. ეს ცნება

მას ესაჭიროება იმისათვის, რომ უნივერსუმის შინაგანი უწყვეტობის ცნება დაიცვას, რაც უწყვეტობის ცნებას და მუდმივობას უზღვევს და მექანიკური დებულებაა. კუროზად უნდა ჩაითვალოს, რომ თავისი წერილის დასკვნების მე-5 თვისში სელარსი ამტკიცებს, რომ „უნივერსუმს, როგორც მთელს არ შეუძლია იყოს მოძრაობაში, რადგანაც მას გარემოცვა არ გააჩნია, რომლის, როგორც მეზობლის მიხედვით, შეეძლოს შეიცვალოს ადგილი“. მე-6 თვისში კი ამბობს, რომ „უნივერსუმი განსაზღვრულია (finite) და მას გააჩნია შინაგანი დინამიური წონასწორობა“. ეს, სხვათა შორის, იმასაც მოწმობს, რომ საბოლოო ანგარიშში მას მოძრაობა ესმის, როგორც ადგილის შეცვლა, თუმცა ცდილობს წარმოგვიდგინოს იგი, როგორც ქვალიტატიური პროცესი. მისთვის უცნობია, წინააღმდეგობათა იმანენტური ერთიანობა და ბრძოლა, როგორც ყოველგვარი პროცესის განვითარების და იმანენტურ ერთიანობის საფუძველი.

სელარსის „რეფორმირებული მატერიალიზმის“ მაგალითი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ძველი მატერიალიზმის რეფორმირების ერთადერთი კანონიერი ფორმა იყო და არის მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმი.

სვალინის ენის თავისებურებანი და გაერთიანის ხეობები

წიგრილი მიმოთხა •

ირ. ხანთაძე



თავიანთ მსოფლიო - ისტორიულ მნიშვნელობის შრომებში, სტატიებსა და ზეპირ გამოსვლებში ლენინი და სვალინი ფართოდ სარგებლობენ მხატვრული ლიტერატურით. ლენინის თხზულებათა ფერცლებზე შეხედებით შექსპირს და გოეთეს, სერვანტესს და დოდეს, შილერს და მოლიერს, პუშკინს და გრიბოედოვს, ნეერასოვს და გოგოლს, ჩეხოვს და შჩედრინს, ტოლსტოის და გორკის და სხვა მრავალ მწერალს, რომელთა მხატვრული სახეები და პერსონაჟები იშვიათი ოსტატობით არის ლენინის მიერ გამოყენებული პოლიტიკურ ბრძოლაში, — მეუღის მთავრობის, ნაროდნიკების, მენშევიკების, რენეგატების და სხვადასხვა ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ. მარტო შჩედრინი ლენინის ტექსტში ციტირებულია 320-ჯერ. გოგოლი — 125-ჯერ¹). ლენინის მიერ გამოყენებულია მარტო გოგოლის ოცდაათი ლიტერატურული ტიპი. იქ

შეხედებით მანილოვს, ნოზდრევს, ხლესტაკოვს, სობაკევიჩს, კორობოჩკას, ივან ივანიჩს და ივან ნიკიფოროვიჩს, ტრიაპიჩკინს, პეტრუშკას, ბობჩინსკის და დობჩინსკის, იქვე ნახავთ დერეიშორდას, ჩიჩიკოვს, აკაკი აკაკიევიჩს და სხვებს. ყველა ეს ლიტერატურული ტიპი, ინახავს რა თავის ძველ ნიშნებს, ლენინის მიერ ხელახლაა გააზრებული, განახლებული და ახალი სოციალ-პოლიტიკური შინაარსითაა გამდიდრებული. ასე, მაგალითად, გოგოლის პატრიარქალური მემამულე კულაკი-სობაკევიჩი, ლენინის ტექსტში გამოდის ახალ როლში, იგი გადაქცეულია „შაერაზმელ სობაკევიჩად“, სენტიმენტალური და მეოცნებე მანილოვი ლენინის მიერ გამოყენებულია ნაროდნიკების რომანტიზმის დასახსიათებლად. („მანილოვი ზის თვითეულ ნაროდნიკში“). გრიბოედოვის მარია ალექსეევნა გადაქცეულია „კადეტურ მარია ალექსეევნად“, მენშევიკები — ტარტიუფებად, ხლესტაკოვებად, შჩედრინის იულუშეკებად და ა. შ.

აი შესანიშნავი ნიმუში იმისა, თუ სოციალ-დემოკრატ სტაროვერის მოლაპატრული ბუნების გასაშიშვლებლად როგორ იყენებს ლენინი ჩეხოვის ლიტერატურულ გმირ ქალს, სულიკოს. (Душенька).

* იხ. „მნათობი“ № 8.

¹ იხილეთ ამ საკითხზე მ. ნ. ნეჩკინის წიგნი „Гоголь у Ленина“, მაკაროვას სტატია „Щедрин у Ленина“, ვ. „Литературное наследство“, 1933, № 11 — 12 და აგრეთვე ცენტლინგის წიგნი „Литературные цитаты у Ленина“, 1933 г.

„ოსკობოქდენის“ მიერ წითამამე-
ბული ამხ. სტაროვერი, — სწერს
ლენინი, — განაგრძობს ახალ „ისკრაში“
იმ ცოდვების მონაწილეს, რომლებიც
მან (უცოდინარობის გამო) ჩაიღინა
იმიტ, რომ მონაწილეობდა ძველ „ისკ-
რაში“. ამხ. სტაროვერი ძალიან წა-
გავს ჩეხოვის მოთხრობის გმირ ქალს
„სულიკოს“. სულიკო ჯერ ანტრეპრე-
ნიორთან ცხოვრობდა და ამბობდა: მე
და ვანო ერთად ვდგამთ ხოლმე სე-
რიოზულ პიესებს. შემდეგ ზე-ტყის
ვაჭართან ცხოვრობდა და ამბობდა: მე
და ვასიკო აღშფოთებული ვართ ზე-
ტყის დიდი ტარიფით. ბოლოს ვეტერი-
ნართან ცხოვრობდა და ამბობდა: მე
და ნიკო ცხენებს ვმკურნალობთ. ასე
მოსდის ამხ. სტაროვერსაც. „ჩვენ
ლენინთან ერთად“ ვაგინებდით მარ-
ტინოვს, „ჩვენ მარტინოვთან ერთად“
ვაგინებთ ლენინს. ო, საყვარელო სო-
ციალ-დემოკრატიული სულიკო! ვინ
ჩაგვიკრავს შენ ზვალ გულში?“ (თხზ.
კრ. ტ. 8, გვ. 253).

ანდა, აი კიდევ ერთი ნიმუში იმისა,
თუ ტურგენევის მიერ მოცემული ლი-
ტერატურული სახის საშუალებით, რო-
გორ ამხელდა ლენინი „ყოფილ მარქ-
სისტების“, — პროკოფიჩის, კუსკო-
ვის და სხვ. მონურ სულისკვეთებას,
რომლებმაც თავიანთ გაზ. „ტოვარიშჩი-
ში“ დიდის ამბით მოათავსეს ნეკრო-
ლოგი კონტრრევოლუციონერ მემ-
აშლის გრაფ გვიდენის შესახებ. ამ ნეკ-
როლოგის გამო, სადაც ეს „ყოფილი
მარქსისტები“ ქებათა-ქებას ასხამდ-
ნენ გრაფს, როგორც ვითომც უადრე-
სად „კეთილშობილს“, „განათლე-
ბულს“ და „ჰუმანურ“ ადამიანს,
ლენინი წერდა:

„ასეთი აღტაცება გვიდენის ჰუმანუ-
რობის გამო არა მარტო ნეკრასოვსა
და სალტიკოვს მოგვაგონებს, არამედ
ტურგენევის „მონადირის წერილებ-
საც“. ჩვენს წინაშეა — ცივილიზებუ-
ლი, განათლებული, თავაზიანი მემ-

ბულე, კულტურული მღვდელი, რბი-
ლი ფორმებით, ევროპული რწმთ. მე-
მამულე ღვინით უმანაშრომელს სტუ-
მარს და იწყებს საუბარს მღვდელ-
რებზე. „ღვინო რად არ გაგიტობა?“ —
ეკითხება ის ლაქიას. ლაქია სდუმს და
ფითრდება. მემამულე ზარს რეკავს
და ხმის აღმალღებლად ეუბნება შე-
მოსულ მსახურს: „თედორეს შესახებ...
გაეცით განკარგულება“.

აი ნიმუში გვიდენის „ჰუმანურობისა
ან ჰუმანურობისა à la გვიდენი“. ტურ-
გენევის მემამულეც ჰუმანური და
შიანია სალტიჩინისთან შედარებით.
მაგ., იმდენად ჰუმანიურია, რომ თვი-
თონ არ მიდის საჯინიბოში თვალყუ-
რი ადვენოს — კარგად გასცეს ბრძანება
თუ არა თედორეს გასაროზგავად. ის
იმდენად ჰუმანიურია, რომ არ ზრუ-
ნავს იმაზე — დაასველეს თუ არა მარი-
ლიან წყალში შოლტები, რომლითაც
თედორეს ამათრახებენ. ის — ეს მემ-
ამულე — ნებას არ მისცემს თავისთავს
დაარტყას, ან შეუჟურთხოს ლაქიას,
ის მხოლოდ შორიდან „სცემს განკარ-
გულებას“, როგორც განათლებული
ადამიანი, რბილ და ჰუმანურ ფორმებ-
ში, უხმანოდ, უსკანდალოდ, „საქ-
ვეყნო ჩვენების გარეშე“... (ლენინი,
ტ. მე-12, გვ. 11. სახ. გამოც. 1938 წ.).

როგორც ხედავთ, ტურგენევის მიერ
მოცემული მებატონის ლიტერატურუ-
ლი სახე დიდად დაეხმარა ლენინს
უადრესად თვალსაჩინო ფორმით ეჩვე-
ნებინა ისეთივე მემამულე, როგორც
გრაფ გვიდენი იყო და ემზილა ნეკრო-
ლოგის ავტორების მთელი საზიზღ-
რობა, როცა ისინი ხოტბას ასხამდნენ
გრაფ გვიდენის ხსოვნას.

თვითუფილი პოლიტიკური პარტიისა-
თვის, თვითუფილი კლასისათვის ლენინს
აქვს თავისი სპეციფიკური შედარებე-
ბი. მაგალითისათვის: ნაროდნიკების
ეპიგონები, რომლებიც ებრძოდნენ
მარქსისტებს — ეს ფინიები, სპილოს
რომ უჯაფენ.

„დახეთ გოშისა, სჩანს ძლიერია, რომ ასე უყუფეს ბუმბერაზ სპილოს“, სწერდა ლენინი ნაროდნიკ მიხაილოვსკის მისამართით, რომელიც მარქსის კრიტიკით გამოდიოდა. ფაბრიკანტები, თავიანთ მუშების კეთილსმყოფელად რომ მოაქვთ თავი — ეს მგლებია ცხერის ქურქში გახვეულები. მემამულე, რომელიც ოცნებობს ბატონყმობის დაბრუნებაზე და სოფლად ფეოდალიზმის ნაშთების განმტკიცებაზე—ეს კიბოა, უკან რომ იხევეს. შემოთანხმებლები, ბურჟუაზიული დაპირებებით რომ იხიბლებიან,—ეს ყუავებია, თავიანთ ნისკარტში მოქცეულ ყველს რომ ძირს აგდებენ და ა. შ.

რომ უფრო თვალსაჩინოდ ეჩვენებინა ბურჟუაზიული საზოგადოების მტაცებლური ბუნება, ლენინი იყენებდა კრილოვის იგავ-არაკს („ლომი სანადიროზე“), სადაც მოთხრობილია, თუ როგორ ჰყოფდა ლომი „თანაბრად“ ნადავლს ნადირობის შემდეგ: „ნადავლის ერთი ნაწილი მან თანაამხანაგობის უფლების ძალით მიიღო, მეორე ნაწილი იმისათვის, რომ იგი ნადირთა მფევა, მესამე იმისათვის, რომ ის ყველაზე ძლიერია, ხოლო მეოთხე ნაწილზე სთქვა, რომ ვინც ამ ულუფას თათით მისწვდება, იგი ცოცხალი ვერ გადაარჩებაო“. აი, სწორედ ასე დაიწყებენ ახლა მსჯელობას ჩვენში ფაბრიკანტები“. (თხზულ. კრებ. ტ. 2. გვ. 163).

მხატვრული ლიტერატურის ელემენტები, რომლებიც გვხვდება ლენინის შრომებში, დამორჩილებულია ბოლშევიკურ პუბლიცისტიკას. ლიტერატურულ ციტატას ლენინისათვის აქვს თავისი გარკვეული მიზანდასახულობა. იგი ჩართულია ლენინის ტექსტში მხოლოდ იმისათვის, რომ გაამაზვილოს ლენინის აზრი, მისცეს მას მეტი თვალსაჩინობა, სიციხველე და კონკრეტობა. იმათ წინააღმდეგ, რომლებიც გუშინდელი დღის თეორიის ჩაბლაქუ-

ბით იეიწყებენ პრაქტიკას, ცოცხალ ცხოვრებას, კონკრეტობას, ლენინი ხშირად იმეორებდა ფაქტებს, ცხარე სიტყვებს:

„უფერულია, ჩემო კარგო, აქ თეორიად ოქროს ხე-კი ცხოვრებისა, მუდამ მწვანეა“.

მხატვრული სიტყვის ზემოქმედი ძალა და ცხოველყოფილობა ამხანაგი სტალინის მიერ დაფასებული იქნა ჯერ კიდევ მისი ახალგაზრდობის დროიდან. აშხ. გლურჯიძე თავის მოგონებებში მოგვითხრობს, რომ ჯერ კიდევ თბილისის სასულიერო სემინარიის არალეგალურ წრეში სტალინი ფართოდ სარგებლობდა ლიტერატურული ნაწარმოებებით აგიტაციის მიზნებისათვის. „იოსები გატაცებული იყო „გარემე“ წიგნების კითხვით. მის ირგვლივ იყრიბებოდნენ ამხანაგები, რომ უფრო გავრკვეულეყუებით ჩვენთვის საინტერესო საკითხებში, ჩვენ ვკითხულობდით,—გადმოგვეცემს გლურჯიძე,—ლიბერტის „კულტურის ისტორიას“, ლევ ტოლსტოის „ომსა და მშვიდობას“, „კრეიციკრის სონატას“, „აღღგომას“ და აგრეთვე პისარევის, დოსტოევსკის, შექსპირის, შილერის და სხვა“.

ამხანაგი სტალინი არა მარტო თვითონ სწავლობდა მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსებს, არამედ პოლიტიკურ საკითხებში უკეთ გარკვევისათვის ეწეოდა მათ პროპაგანდას რევოლუციურ ახალგაზრდობაში.

და ამ ცოცხალ ლიტერატურულ ინტერესს ამხანაგი სტალინი ინარჩუნებს თავისი დიდი მოღვაწეობის მთელ მანძილზე. სტალინის მიერ მოცემული დახასიათება კომუნისტური საზოგადოებისა, როგორც ისეთი საზოგადოებისა, „სადაც მეცნიერებას და ხელოვნებას საქმაო ხელსაყრელი პირობები ექნებათ იმისათვის, რომ მიაღწიონ

ზრულ აყვავებას“,¹ სტალინის ცნობილი გამოთქმა იმის შესახებ, რომ „მწერლები ადამიანის სულის ინტინრები“, მისი შეფასება მაიაკოვსკისა, როგორც საბჭოთა ეპოქის უნიკიერესი პოეტისა, მისი აზრი გორკის „ქალიშვილისა და სიკვდილის“ შესახებ, როგორც ისეთი ძალის ნაწარმოებზე, რომელიც გოეთეს ფაუსტზე მალა დგას, და ბოლოს, სტალინის ტექსტში უხვად გამოყენებული ლიტერატურული მემკვიდრეობა, ყოველივე ეს მიგვიბრუნებენ იმ უღარესად აქტიურ და ქმედითს ძალაზე, რომელსაც აკუთვნებს ამხანაგი სტალინი საერთოდ ხელოვნებას და კერძოდ მხატვრულ ლიტერატურას.

ამხანაგი სტალინი საყრდინად შესანიშნავად იცნობდა ქართულ მწერლებს: რუსთაველს, ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგს და სხვა. ცნობილია, რომ ერთერთი დამატიმრებლისა და განჩრეკის დროს სტალინს უბეში აღმოაჩნდა ყაზბეგის თხზულებები. ყაზბეგისადმი სიყვარულით უნდა აიხსნას ის, რომ სტალინმა ფსევდონიმად აირჩია სახელი „მამის მკვლელის“ გმირისა „კობა“. სტალინი ხარბად კითხულობდა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებს.

მკითხველისათვის რომ უფრო ნათელი, მისაწვდომი და ცხადი გახადოს თავისი აზრები, ამხანაგი სტალინი, თავის ეპოქალურ შრომებში, სტატიებსა და ზეპირ გამოსვლებში, მოწოდებებსა და ფურცლებში ხშირად ამახვილებს ამ აზრებს მხატვრული სახეებით, მოხდენილი მეტაფორებით და შედარებებით, ხალხურ შემოქმედებისა და მითოლოგიის ბრწყინვალე მაგალითებით.

სტალინისათვის მხატვრული სახე, ლიტერატურული ციტატა, ბრწყინვალა

ფრაზა კი არაა, ტექსტში რომ განცალკევებით იდგეს, თავს იჭერს და „შემომხედეთ, რა ლამაზი და მკვეთრი ვარო“. მხატვრული სახე ორგანიულად დაკავშირებულია სტალინის ტექსტთან, სტალინის ბოლშევიკურ მიზანსწრაფვასთან. თვითუფრო ლიტერატურული ციტატა, თვითუფრო მხატვრული სახე სტალინის სტატიებსა და სიტყვებში მოძრაობს სტალინის აზრთან ერთად და აქტიურ მონაწილეობას იღებს ამ აზრის უფრო ნათლად, მკვეთრად და ცოცხლად გადმოცემაში.

ამხანაგი სტალინი არა მხოლოდ ლიტერატურის. კლასიკოსებიდან იყენებს საკირო მხატვრულ ფაქტებს და პერსონაჟებს, არამედ საკუთრივ თვითონაც იძლევა სახობრივი გამოთქმის ბრწყინვალე ნიმუშებს.

სტალინის აღნიშნულ შრომებში, მის მოწოდებებსა და ფურცლებში შეხედვებით ადგილებს, რომლებიც უდიდეს მხატვრულ ძალასა და გამოსახულებას აღწევენ.

1905 წლის პროკლამაციაში „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!“, რომელიც სტალინის მიერ არის დაწერილი, გვხვდება რევოლუციის გამარჯვების ურყევი ბოლშევიკური რწმენის გამოხატველი შემდეგი სტრიქონები:

„რუსეთის რევოლუცია გარდუვალია და იგი ისევე გარდუვალია, როგორც გარდუვალია შშის ამოსვლა... უკვე ამოვარდა ქარიშხალი, განთიადის მოციქული“. „... ყური დაუგდეთ ყრუ, მაგრამ ძლიერ დრტვიწვას სოფლად— და თქვენ დარწმუნდებით, რომ რუსეთი გატენილი თოფია ფეხზე შეყენებული ჩახმახით, რომელიც ოდნავი შერხევით შეიძლება გაეარდეს. დიახ, ამხანაგებო, შორს არ არის ის დრო, როდესაც რუსეთის რევოლუცია აუშვებს აფრებს და „იღვეის პირისაგან მიწისა“ საძაგელი მეფის საზიზღარ

¹ ი. სტალინი, „ლენინის სკიტხეობა“, გვ. 233, მე-10 ქართ. გამოც.



ტახტს ჩვენი ურყევი მოვალეობაა — მზად ვიყოთ ასეთ მომენტისათვის...¹.
მხატვრული პუბლიცისტიკის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს სტალინის კალმით დაწერილი რ.ს.დ.მ.პ. თბილისის კომიტეტის 1906 წლის პროკლამაცია, სადაც ვკითხვლობთ:

„სამინელი რეაქციის შავი სისხლიანი ღრუბლები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაზე ჩამოწვა, უკვე იფანტება და მათ ხალხის გულისწყრომისა და აღშფოთების ჭექა-ჭუხილის მომასწავებელი ღრუბლები სცვლიან. ჩვენი ცხოვრების შვე ფონს ეღეა ჰყვეთს და შორს უკვე მოსჩანს ციალი, ახლოვდება ქარიშხალი, რომელიც დედამიწის პირიდან აღგვის ძალადობისა და ჩაგვრის საუკუნოებრივ ბურჯს—ჯალათი მეფის, ხალხის მკვლელის რუსეთის თვითმპყრობელის ნიკოლოზ უკანასკნელის ტახტს“.

აზრის სახიერად გამოთქმის ნიმუშს წარმოადგენს აგრეთვე ამხანაგ სტალინის 1912 წელს დაწერილი საპირველმანისო ფურცელი, სადაც გვხვდება ასეთი ადგილი:

„უზარმაზარი ზვირთები იძვრის პროლეტარათა რისხვის ზღვაზე და თანდათან უფრო მრისხანედ ეჯახება კაპიტალიზმის რყევაში მყოფ სიმშაგრეებს“.

ზოგჯერ — როცა ეს საჭიროა, სტალინი იძლევა პეიზაჟს, ე. ი. მხატვრულად აღწერს ფონს, რომელზედაც იშლება ესათვის სოციალური და პოლიტიკური ხასიათის მნიშვნელოვანი ამბები. იმავე საპირველმანისო ფურცელში მუშათა საბრძოლო დათვალიერების დღეს, პირველ მაისის დღესასწაულს, სტალინი აგვიწერს როგორც გაზაფხულის პირველ დღეს, როცა ბუნებაც განახლებისა და გამოცოცხლე-

ბის საზეიმო ელფერს ატარებს. ბი, პირველი სტრიქონები ამ პროკლამაციისა:

„ამხანაგებო!

წარსულ საუკუნეშივე გადასწყვიტეს ყველა ქვეყნის მუშებმა ყოველწლიურად იღლესასწაულონ დღევანდელი დღე, პირველი მაისი. 1889 წ. ყველა ქვეყნის სოციალისტთა კონგრესმა პარიზში დაადგინა, რომ მუშებმა სწორედ დღეს, პირველ მაისს, როდესაც ბუნება იღვიძებს ზამთრის ძილისაგან, მთები და ტყეები მწვანით იმოსება, მინდვრები და ველები ყვავილებით იფარებიან, მზე უხვად გვაფრქვევს თავის სხივებს, ჰაერში განახლების საშხიარულო სუნი ტრიალებს, როცა ბუნება ღებნას და ცეკვას ეძლევა, მათ გადასწყვიტეს, რომ სწორედ დღეს უნდა გამოუცხადონ მუშებმა მთელ ქვეყანას ამკარად და ომანხანად, რომ მუშებს მოაქვთ კაცობრიობისათვის გაზაფხული და კაპიტალიზმის ბორკილებიაგან თავისუფლება, რომ მუშები მოწოდებული არიან განახლონ ქვეყანა, დაამყარონ თავისუფლება და სოციალიზმი“.

სტატიაში „დაიძრა!“ (1912 წ.) ამხანაგი სტალინი კალმის ერთი მოსმით გაღმოგვეცემს სახალხო მოძრაობის მთელ სიღიადეს, რომელიც ღენაზე მომხდარმა გასროლამ გამოიწვია:

„ღენაზე თოფის გასროლამ—წერდა სტალინი,—დაამხუჩრია დემილის ყინული, და, დაიძრა სახალხო მოძრაობის მდინარე.“

დაიძრა...¹.

ვისაც უნახავს გაზაფხულზე ზამთრის პერიოდში ყინულის არტახებში ჩაკრული და ჩაძინებული მდინარის ერთბაშად ადიდება, როცა იგი აბობოქრებული, ზათქით და ხმაურით „დაიძვრის“, ამხუჩრეეს ყინულის არ-

¹ ამერიკაეკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები, 1904 — 1906 წ. წ. გვ. 87 — 88.

¹ „ზევლეა“, № 32, 1912 წ., 19 აპრილი (2 მაისი).

ტახებს, ასკდება ნაპირებს, ეძებს გზას, თავის მძლავრ ზვირთებში ნაფოტივით ათამაშებს მოგლეჯილ უზარმაზარ ხეებს, ჯებირებს, ყინულის ლოდებს, მილეკავს ყველაფერს, რაც გზად შეხედება, ვისაც სტიქიის ეს აჯანყება უნახავს, იგი ადვილად წარმოიდგენს იმ გრანდიოზულ სურათს, რომელსაც სტალინი გამოხატავს ერთს სიტყვაში „დაიძრას!..“

პროკლამაციაში „ჯარისკაცებს“ — (1905 წ.) ამხანაგი სტალინი სახალხო მოძრაობას აღარებს ამობოჭრებულ ზღვას, რომლის ტალღები დასანგრევად ემუქრებიან თვითმპყრობელობას.

„ამხანაგო ჯარისკაცებო! რუსეთი მღელვარებს... რუსეთი ამჟამად ამო-ბოჭრებული ზღვაა. სახალხო მოძრაობის ტალღები სულ უფრო და უფრო მძლავრად ეხეთქებიან თვითმპყრობელობის მოჭრულ ტახტს. ტახტის საძირკველი სანახევროდ უკვე დანგრეულია და შორს არ არის ის დრო, როცა ამობოჭრებული ზღვის ზღვა შთანთქმავს მას თავის ტალღებში და ტახტისაგან მხოლოდ წყველა-კრულვით აღსავეს მოგონებას დასტოვებს. დაე იგი ჩქარა დაიღუპოს“¹.

ასევე საზობრივად გადმოგვცემს სტალინი რევოლუციის მრისხანებით შემოფოთებულ თვითმპყრობელ მთავრობის სურათს.

„მეფის სამყაროს კაიხანია შავი ღრუბლები გადაეფარას!..“

ყველა გაფაციცებით და ძარღვებ დაჭიმული ელოდება, როდის დაიჭექ-დაიფრიალებს რევოლუციის მეზი და თვითმპყრობელობას ქვესკნელს გაურღვევს... ასე ყოფილა და ასეა დღესაც: როცა ხალხის გამარჯვება მზადდება, მეფენი სამარეში ეშვებიან... რევო-

ლუციის ქარიშხალმა უკვე მოგლრჯა ცხოვრებას ფარდა და ჩვენ თვალწინ ამჟაჲდ გადაშალა დინამიკური სურათი: აი ბნელი, ღრმა, თვალუწვდნელი უფსკრული, მის პირზე სდგას თვითმპყრობელი მთავრობა. ის ძრწის, ძიგ-ძიგობს, შიშისაგან სისხლი უყინდება და სახე საშინლად ეღრუება“².

მოყვანილი ნიმუშებიდან ნათლად სჩანს თუ როგორი ემოციური გაქვინ-თილობით და ღრმა სოციალური გააზრებით ეღერს სტალინის ტექსტში მეტაფორული გამოთქმები როგორცაა „რევოლუციის მეზი“, „ხალხის ამო-ბოჭრებული ზღვა“, „ღუმულის ყინუ-ლი“, „რისხვის ზღვა“, „ქარიშხალი“, „დაიძრას“, „ელვა“, „ციალი“ და ა. შ.

ის სახეები, შედარებები და მეტაფორები, რომლებიც თავის სიტყვაში მოჰყავდა სტალინს, მტკიცედ და ხანგრძლივად ამახსოვრდებოდა მსმენელებს. ცნობილია, მაგალითად, რომ ლენინის ამხანაგი სტალინი აღარებს, ან უკეთ, პირდაპირ უწოდებს ჩვენი პარტიის „მთის არწივს“. „მთის არწივს“, რომელიც სიმაღლიდან ხედავს იმას, რასაც ვერ ხედავენ ბარად. მართო ეს ორი სიტყვა საკმარისია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ ლენინის აზრის ფართო გაქანება, და მთელი მისი სიღიადე.

პროკლამაციაში „თბილისის პირველი რაიონის მუშებს“ (1905 წ.) კლასობრივ მტერს სტალინი აღარებს ბაყაყებს, ხოლო თვითმპყრობელობას — დამყაყებულ ქაობს:

„ძველი წყობილება, — ვკითხულობთ პროკლამაციაში, — წყობილება ძარცვა-გლეჯისა და ძალმომრეობის, მათთვის (კლასობრივი მტრებისათვის. ა. ხ.) ისე აუცილებელია, როგორც დამპალი ქაობი ბაყაყისათვის, თუ ქაობი დამრა-

¹ „მინერკაცე. ბოლშევიკი. ორგან. პროკლა-მაციები 1904 — 1906 წ. წ.“, გვ. 185.

² „მინერკაცე. ბოლშევიკური ორგანიზაცი-ების პროკლამაციები 1904 — 1906 წ. წ.“, გვ. 148 — 149.

ზაყაყებიც დაიღუპება... და აი, ამყაყებული ქაობის (თვითმპყრობელობის) შესანახად ისინი არაერთარ საშუალებას არ ერიდებიან“.¹

პროკლამაციაში „პირველი რაიონის მუშებს“ (1906 წ.) აშხანაგი სტალინი თვითმპყრობელობას რეაქციის წლებში ადარებს ღონეგამოლულ გააფრთხულ მხეცს:

„რეაქციის ბნელი ძალები მძვინვარებენ, ის არატრის წინ არ ჩერდება, არავითარ საშუალებას არ თაკილობს. თვითმპყრობელობა, როგორც სულთმობრძავი სისხლისმსმელი მხეცი აქეთიქით ეხეტება, გააფრთხებით აფრინდება თავის მსხვერპლს და თან ღონეგამოლულს მუხლები ეკეცება“.²

სტალინური ხატოვანი შედარებების ძალა მათს გასაოცარ გარკვეულობაში მდგომარეობს. სტალინი მიმართავს შედარებებს იმისათვის, რომ მათი საშუალებით უფრო მკვეთრად და ღრმად შევიცნოთ ამბები, უფრო მკაფიოდ და თვალსაჩინოდ წარმოგვიდგინოს კლასობრივი მტრის შინაგანი ბუნება, გამოაშქარავოს მისი შეხედულებათა უაზრობა, არასწორი პოზიცია და შეცდომები.

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე ნიმუში:

მენშევიკების მიმართ, რომლებიც გაურბოდნენ საკითხების რევოლუციურად დაყენებას, სტალინი წერდა: „ისინი გაურბიან მათ (ამ საკითხებს, ა. ხ.) როგორც ჩრდილი მზეს“ (ტ. I, გვ. 73).

იმავე მენშევიკებზე, რომელთაც საფრანგეთის დიდი რევოლუციის გამოცდილება შექანიკურად გადმოჰქონდათ რუსეთის რევოლუციაში და გაპყვიროდნენ: „რაც მოხდა იქ, საფრანგეთში, იგივე უნდა მოხდეს აქ, რუსეთში“.

შიო“, სტალინი გამანადგურებელი ირონიით ამბობდა: „ეს ენაბრუნები მზგავსად მეკუბოვისა, იღებენ საზომს დიდი ხნით განსვენებულისაგან და ამ საზომით ზომავენ ცოცხლებსაც“—ო (ტ. I, გვ. 150).

ისევე მენშევიკების მიმართ, რომლებიც მოწიწებით ჭედს იხრიდნენ მხოლოდ კანონის წინაშე და გაიძახოდნენ „ჩვენი პროგრამის პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნები შეიძლება განხორციელებული იქნეს მხოლოდ კანონმდებლობის გზით, დროებითი მთავრობა კი საკანონმდებლო დაწესებულებებს არ წარმოადგენს, მას უფლება არა აქვს გააუქმოს ძველი და შემოიღოს ახალი კანონებიო, — სტალინი ამბობდა: „ეს მოგვაგონებს იმ განწირულს, რომელსაც თავი უნდა მოჰკვეთონ და გვემუდარება, ხელი არ ახლოთ მუწუქს კისერზეო“ (ტ. I, გვ. 156).

სტატიაში „რუსეთის სოც. დემ. მუშ. პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“ (1901 წ.) აშხანაგი სტალინი ბურჟუაზიული წყობილების პირობებში ინტელიგენციას, სტუდენტებს და საზოგადოების სხვა პროტესტანტებს—არსებითად ბურჟუაზიულ ელემენტებად თვლის: „საკმარისია მათ მივეცეთ „შეკვეცილი კონსტიტუცია“, რომელიც ხალხს მცირეოდენ უფლებებს მიანიჭებს და ეს პროტესტანტები სულ სხვა ხმაზე დაიწყებენ სიმღერას. ისინი ქებათაქებას შეასხამენ ახალ რეჟიმს“. ავითარებს რა ამ აზრს, სტალინი იქვე სქოლიოში შენიშნავს: „აქ, რასაკვირველია, ჩვენ მხედველობაში არ გვყავს ის ინტელიგენცია, რომელმაც უკვე უარი სთქვა თავის კლასზე და სოციალდემოკრატიის რიგებში იბრძვის. მაგრამ ასეთი ინტელიგენტები—გამონაკლისის წარმოადგენენ“.

• სტატიაში „მოკლედ პარტიულ უთანხმოებაზე“ იმავე მენშევიკების მიმართ, რომლებიც თავიანთ სატკი-

¹ „მინერკავისის ბოლშ. ორგან. პროკლამაციები 1904—1906 წ. წ.“, გვ. 214.

² იქვე, გვ. 206.

ვარს, „ინტელიგენტურ რყევის“ მიდრეკილებებს, მეუმრავლესობას აბრალელებდნენ, სტალინი წერდა:

„... ეს იმასა ჰგავს, რომ ქურდმა თავის ამხანაგებს ფული მოჰპარა და მერე თვითონვე შექმნა ღრიალი: რა უნამუსობაა, ფული რაღ მომპარეთო! გარდა ამისა, მოგვხსენებათ: ვისაც რა სტკივა—იმაზე ყვირის“. (ტ. I, გვ. 130).

სტალინის ტექსტში ნახავთ ასეთ სახიერ შედარებას:

„კრიტიკის გარეშე წინსვლა—შეუძლებელია. ეს კეშპარიტება წმინდა და გამკვირვალეა ისე, როგორც წმინდა და გამკვირვალე წყაროს წყალი“ (პრავდა. 2 აგვისტო, 1935 წ.).

აღ. წულუკიძის დასაფლავებაზე 1905 წ. 12 ივნისს, სოფელ გუბში, როდესაც სამგლოვიარო პროცესია ქუთაისიდან ზონს მიემართებოდა, სტალინმა თავის სიტყვაში მენშევიკები შეადარა კოლოს, რომელიც ანთებულ ლაშქარს გარს უტრიალებს. „თქვენ ღირსნი არა ხართ იმ ლაშქარს მიუხალოდეთო“,— ამბობდა სტალინი მენშევიკების მისამართით. ჯერ კიდევ 1912—1913 წლებში სამგზის წყველ ხალხს მტერს, ტროცის, რომელიც მაშინ ანტილიკვიდატორებსა და ლიკვიდატორებს შორის ვითოვდა „გამაერთიანებელ კომპანიას“ აწარმოებდა, ამხანაგი სტალინი ახასიათებდა, როგორც „კომპლიანტს“ და „უბრალო ხმაურა ფალავანს, ყალბი კუნთებით“ (იხ. ტ. 2, გვ. 260 და 279). „ხმაურა ფალავანი ყალბი კუნთებით“, როგორც ხედავთ, სტალინის ეს მოსწრებული ეპითეტი სრულ წარმოდგენას იძლევა ტროცის შინაგან სიცარიელეზე, მის მოჩვენებით შემძლებლობასა და ღირსებებზე.

დიდი ხატოვანობით გადმოგვცა ამხანაგმა სტალინმა 1927 წელს ბოლშევიკური პარტიის ურმიდან თვითნებულ მოსახვეწეში ზოგიერთი ლიდერების გადმოვარდნის ისტორიული პროცესი:

„თუ ჩვენი პარტიის ისტორიას გადავხედავთ,—ამბობდა სტალინი პარტიის მე-15 ყრილობის დასრულებისას—აღი გახდება, რომ ყრველთვის, ჩვენი პარტიის განსაზღვრული სერიოზული მობრუნების დროს, ძველი ლიდერების გარკვეული ნაწილი ვარდებოდა ბოლშევიკური პარტიის ურმიდან და გზას უთმობდა ახალ აღამიანებს. მობრუნება—სერიოზული საქმეა, ამხანაგებო. მობრუნება საშიშია იმათთვის, ვინც მაგრად არ ზის პარტიულ ურემზე. მობრუნების დროს ყველას არ შეუძლია წონასწორობის შენარჩუნება. მობრუნდა ურეში, გაიხედავ და ზოგი ეინზე გადმოვარდნილა იქიდან. (ტაშო)... ჩვენი პარტია ცოცხალი ორგანიზმია, როგორც ყოველ ორგანიზმში, მასშიც ნიეთიერებათა ცვლა ხდება: ძველი, დრომოკმული ვარდება (ტაშო), ახალი, მხარდი,—ცოცხლობს და ვითარდება (ტაშო). მიღია ერთნი, ზევიდან და ქვევიდან, იხრდებიან ახალი, ზევიდან და ქვევიდან და წინ სწევენ საქმეს. ჩვენ ამჟამად განვიცდით ახალ ტექნიკურ ბაზაზე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენისა და მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის მობრუნების პერიოდს, როცა სოციალიზმის მშენებლობა წარმოადგენს არა მხოლოდ პერსპექტივას, არამედ ცოცხალ პრაქტიკულ საქმეს, რომელიც მოითხოვს სერიოზული სიმძლეების დამლევას... თქვენ იცით, რომ ეს მობრუნება საბუდისწერო აღმოჩნდა ჩვენი ოპოზიციის ლიდერებისათვის, რომელთაც შეეშინდათ ახალი სიმძლეებისა და ცდილობენ მოაბრუნონ პარტია კაპიტულიაისაკენ... რა გაეწყობა, თუ ზოგი ეინზე, ძველი ლიდერებიდან ზედმეტ ბარგად გადაქცეული, ფიქრობს ურმიდან გადმოვარდნას, გზაც იქით კქონია!“ (მქუხარე ტაშო).

სტალინური შედარებები უმთავრესად ირონიით და გამანადგურებელი

სარკაზმით არის გამჟვალული. გადახედეთ სტალინის გამოსვლებს პარტიის XIV, XV და XVI ყრილობებზე და დაინახავთ, რომ აუდიტორიის სიცილი და ხარხარი სწორედ იქ ისმის, სადაც სტალინი მოხდენილი ჰუმორული შედარებებით ამხელს მოწინააღმდეგის ოინბაზობას, დასციინის მის სიბეცეს და შეზღუდულობას.

პარტიის მე-15 ყრილობაზე, ხალხის შტრებს ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის თავი მოჰქონდათ ეგრეთწოდებულ სიგნალიზატორებად. მათი თავხედობა იქამდის მიდიოდა, რომ ისინი განგაშს სტეხენენ და აფრთხილებდნენ პარტიას მოსალოდნელი საშიშროებებისაგან. რომ უფრო ნათლად და თვალსაჩინოდ წარმოედგინა „სიგნალიზატორების“ ეს სასაცილო მდგომარეობა, ამხანაგ სტალინს მოჰყავდა ასეთი შედარება:

„წარმოიდგინეთ პატარა ნავი, რომელსაც ძლივს უჭირავს თავი ზღვის ზედაპირზე და საცაა დაილუქება და, წარმოიდგინეთ საუცხოო გემი, რომელიც მძლავრად ამობს ტალღებს და გაბედულად მიეჭანება წინ. რას იტყვით თქვენ, ამ პატარა ნავმა რომ თავი გამოიდოს უზარმაზარი გემის გადასარჩენად? (ს ი ც ი ლ ი). ხომ სწორია, ეს სასაცილოზე უფრო უარესი იქნებოდა? სწორედ ასეთ მდგომარეობაში არიან ახლა ჩვენი სიგნალიზატორები ოპოზიციიდან. ისინი გვაფრთხილებენ საშიშროებათა, სიძნელეთა, დაღუპვისა და, რაც გნებავთ ყველაფერის შესახებ, თვითონ კი იძირებიან და ვერც კი ხედავენ, რომ უკვე ფსკერზე ჩაეშვენ“.

იმ პარტიულ ამხანაგების შესახებ, რომლებიც მუშაობენ პატროსნად, დაუღალავად, მაგრამ მუშაობენ მოშაელის გაუთვალისწინებლად, უპერსპექტივოდ და ამ ნიადაგზე გადაგვარების გზას ადგებიან, ამხანაგ სტალინს ენისეის

მენავეთა ცხოვრებიდან მოჰყავს შემდეგი სურათი:

„გინახავთ თუ არა მუშაობის მელნიც სინდისიერად უსვამენ ნიჩაბს, ოფლორეული, მაგრამ ვერ ხედავენ იმას, თუ საითკენ მიჰყავს ისინი მდინარებას? მე ასეთი მენავეები მინახავს მდინარე ენისეიზე. ესენი არიან პატროსანი და დაუღალავი მენავეები, მაგრამ მათი უბედურება იმაშია, რომ ისინი ვერ ხედავენ და არ უნდათ დაინახონ ის, რომ შეიძლება ტალღამ მათი ნავი დააჯახოს კლდეს, სადაც მათ დაღუპვა მოელოთ.

ესევე ემართება ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს, ისინი ნიჩაბს სინდისიერად უსვამენ, ხელებდაკარწყებულნი არიან, მიცურავენ თანასწორად, ეძლევიან მდინარებას, მაგრამ საითკენ მიაჭანებს მათ ეს მდინარება, არა თუ არ იციან, არამედ არც კი უნდათ იცოდნენ. მუშაობა უპერსპექტივოდ, მუშაობა უსაქოდ და უიალქნოდ—აი, საითკენ მიეყვართ სურვილს ვიცუროთ აუცილებლად მდინარების მიმართულებით. როგორია შედეგები? შედეგები ცხადია: ჯერ მათ ეღება ობი, შემდეგ უფერული ხლებიან, შემდეგ ისინი ვარდებიან ობივატელობის წუმბეში და, ბოლოს იქცევიან ჩვეულებრივ ობივატელებად. სწორედ ეს არის ნამდვილი გადაგვარების გზა“.

მემარჯვენე ოპოზიციის დასახასიათებლად, ოპოზიციისა, რომელსაც არ ესმოდა პარტიის ამოცანები, გაურბოდა სიძნელეებს და პანიკა შეჰქონდა პარტიის რიგებში, სტალინი კვლავ მიმართავს ენისეის მეთევზეების ცხოვრებას:

„გინახავთ თუ არა თქვენ მეთევზეები ქარიშხლის წინ დიდ მდინარეზე, როგორიც არის ენისეი? მე ისინი ბევრჯერ მინახავს. არის ხოლმე, რომ მეთევზეების ერთი ჯგუფი, როდესაც ამოვარდება ქარიშხალი, კრებს მთელ

თავის ძალებს, ამხნეებს თავის ხალხს და გაბედულად მიჰყავს ნაღვი ქარიშხალთან შესაბამელად: „მხნელ იყავით, ბიჭებო, მაგრად ჩასკიდეთ ხელი სპის, გასკერით ტალღები, ჩვენ გავმარჯვებით!“ მაგრამ არიან სხვა ჯურის მეთევზეებიც, რომლებიც, როცა გრძნობენ ქარიშხლის მოახლოებას, სულთ ეცემიან, იწყებენ წუწუნს და დემორალიზაცია შეაქვთ საკუთარ რიგებში: „უბედურება გვეწვია, ქარიშხალი ამოვიარდა, დაწეკით, ბიჭებო, ნავის ფსკერზე, დახუკეთ თვალები, იქნება როგორმე ნაპირზე გავგერიოყოს“. მოჰყავდა რა ეს სურათი, ამხანაგი სტალინი განაგრძობდა: „განა საქიროა კიდევ იმის მტკიცება, რომ ბუხარინის ჯგუფის გეზი და საქციელი, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე წააგავს იმ მეთევზეთა მეორე ჯგუფის გეზსა და საქციელს, რომელნიც პანიკით შეპყრობილნი, უკან იხევენ სიძნელეთა წინაშე“.

სამამულო ომის პერიოდში, იმათ მიმართ, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ პიტლერი ნაპოლეონივით იტყევა და ნაპოლეონს ჰგავსო, სტალინი ამბობდა: „პიტლერი ისე ჰგავს ნაპოლეონს, როგორც კატის კნუტი ლომს“. ერთი შტრიხით ამ შედარებაში მოცემულია პიტლერის პაპულა საზე და დაციწვა მათ მიმართ, რომელთაც პიტლერზე ასეთი გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდათ. სტალინის ეს შედარება ნათელს ჰფენს მთელ აზრს. იგი ძირფესვიანად უარყოფს ნაპოლეონსა და პიტლერს შორის ყოველგვარი შედარების შესაძლებლობას და სასაცილოდ იღებს იმათაც, ვინც ასეთი შეუდარებელის შედარების ცდას აწარმოებდა.

ასეთი მოზღენილი ჰუმორული შედარებებით სტალინი ადვილად ახერხებს დაეუფლოს მკითხველის თუ მსმენელის როგორც აზრებს, ისე გრძნობებს.

პიტლერელ ავაზაკებზე, რომლებიც თავიანთ მტაცებლურ ურთიერთობაში ლოზუნგებით ფარავდნენ, სტალინი ამბობდა:

„ყვავები ფარშავანგის ფრთებით ირთუებიან, მაგრამ ყვავი რაც უნდა მოირითოს ფარშავანგის ფრთებით, მაინც ყვავად დარჩება“.

1943 წელს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26 წლისთავზე წარმოთქმულ სიტყვაში პიტლერელთა ბლოკის ზრახვებს და შედეგებს ამხანაგი სტალინი შემდეგი სიტყვებით გადმოგვეცოდა:

„უბმებოდნენ რა ომში პიტლერელ ბლოკის მოწინაევი სწრაფ გამარჯვებას ვარაუდობდნენ. მათ უკვე წინასწარ გაინაწილეს თუ ვის რა ერგებოდა: ზოგს ქადა-ნაზუქი, ზოგს კი დაეეცვა და კოპები (სიცილი, ტაშო). ცხადია, რომ დაეეცვას და კოპებს ისინი თავიანთ მოწინააღმდეგეთ უმზადებდნენ, თავისთვის კი ქადა-ნაზუქს იტოვებდნენ. მაგრამ ცხადია, რომ მათ ახლა მოუხდებათ ერთმანეთის შორის გაიყონ დაეეცვა და კოპები“ (სიცილი, ტაშო).

განსაკუთრებული ინტერესით იკითხება სტალინის გამოსვლების ის ადგილები, სადაც იგი პირადად ნაზული და გაგონილი ეპიზოდების მოხდენილი გამოყენებით ამხელს ჩვენს ნაკლოვანებებს, დასცინის მოწინააღმდეგეს, ნათელს ჰფენს მთელ აზრს.

1934 წლის 4 მაისს კრემლის სასახლეში წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში სტალინი მიგვითითებდა, რომ „ახლა მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანებს, კადრებს, მუშაკებს, რომლებიც დაეუფლენ ტექნიკას, რომ ლოზუნგის „კადრები სწყვეტენ ყველაფერს“ დიადი მნიშვნელობა ბევრს კიდევ არა აქვს შეგნებულ, რომ ჩვენი ხელმძღვანელნი ვერ იხევენ გულისხმიერ დამოკიდებულებას

ადამიანისადმი, რომ მათ მიერ ადამიანების ასეთი დაუფასებლობა, მუშაკების დაუფასებლობა, კადრების დაუფასებლობა, წარმოადგენს ძველი დამოკიდებულობის ნაშთს. რომ უფრო ცოცხალი გამოსახულება მიეცა თავისი აზრისათვის, სტალინი იხსენებს ერთ შემთხვევას, რომლის მოწამე თვითონ ყოფილა შორეულ ციმბირში.

„მე მაგონდება შემთხვევა ციმბირში,—ამბობდა სტალინი,—სადაც ერთ დროს გადასახლებული ვიყავი. ეს მოხდა გაზაფხულზე, წყალდიდობის დროს. ოცდაათი ოდესეცა წავიდა მდინარეზე ხე-ტყის დასაპყრად, რომელიც ვერბრთელა ამოპოქრებულმა მდინარემ გაიტაცა. საღამოს ისინი სოფელში დაბრუნდნენ, მაგრამ ერთი ამხანაგი აკლდათ, როცა შევევითხე, თუ რა იქნა ოცდამეათე, მათ გულგრილად მიპასუხეს: ოცდამეათე „იქ დარჩაო“. ჩემს შეკითხვაზე: „როგორ თუ იქ დარჩათქი“?, მათ ისევე გულგრილად მიპასუხეს: „რაღა საკითხავია, დაიხრჩო ცხადია“. ამავე დროს ერთი მათგანი აფუსფუსდა, სადაც მიჩქარებოდა და განაცხადა: „უნდა წავიდე, ცხენს წყალი დავალევიანო“. ჩემს საყუდურზე, რომ მათ პირუტყვი უფრო ებრალებოდათ, ვიდრე ადამიანი, ერთმა მათგანმა ასე მიპასუხა და ეს პასუხი ყველამ მოუწონა: „რა შესაბრაღისია ადამიანი? ადამიანის გაკეთება ყოველთვის შეგვიძლია, აი ცხენისა კი... აბა სინჯეთ ცხენის გაკეთება“ (ს ა ე რ თ ო გ ა ც ხ ო ვ ე ლ ე ბ უ ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ა დ ა რ ბ ა ზ შ ი). აი ერთი შტრიხი, იქნება მცირემნიშვნელოვანი, მაგრამ მეტად დამახასიათებელი. „მე მგონია,—განაგრძობდა ამხანაგი სტალინი,—ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელის უსულგულო დამოკიდებულება ადამიანებისადმი, კადრებისადმი და ადამიანთა დაფასების უნარის უქონლობა წარმოადგენს იმ უცნაური დამოკიდებულების ნაშთს, რო-

მელმაც გამოხატულება ჰპოვა შორეულ ციმბირში მომხდარ და ამ წუთს აქ ნაამბობ ებიზოდში“ *გეგლინი*

1927 წელს ერთ-ერთ მოლაყბე ოპოზიციონერების მიმართ, სახელდობრ, ვინმე ვუილოვინის მიმართ, რომელიც ათასგვარ ცილისწამებას სთხზავდა და ავრცელებდა პარტიაზე, სტალინი ამბობდა, რომ პარტია ღირსად არ სთვლის პასუხი გასცეს ვუილოვინის კორიკანულ გამოსვლებს და რომ ესევე აზრი განაზღვრებელი დაცინვით მიეტანა მსმენელამდე, სტალინი იხსენებს ებიზოდს გერმანელი პოეტის ჰაინრიხ ჰაინეს ცხოვრებიდან. ჰაინეს ცნობილ გამოთქმას მწერალ აუფენბერგზე და ამ გამოთქმის რამდენიმე პერფორაციებით სობს მას, ამ მოლაყბე ოპოზიციონერს:

„მე მახსენდება გერმანელი პოეტის ჰაინეს ერთი პატარა ისტორია. ნება მომეცით მოგახსენოთ ეს ისტორია. სხვა კრიტიკოსთა შორის, რომლებიც გამოდიოდნენ პრესაში ჰაინეს წინააღმდეგ, იყო ერთი უხეირო და საკმაოდ უნიჭო ლიტერატურული კრიტიკოსი გვარად აუფენბერგი. ძირითადი თვისება ამ უხეირო მწერლისა მდგომარეობდა იმაში, რომ ის დაუღალავად „აკრიტიკებდა...“ ჰაინეს პრესაში. ჰაინე უთუოდ არ სთვლიდა საჭიროდ გამოხმარებოდა ასეთ „კრიტიკას“ და სიტყვასაც არ ძრავდა. ამ მდგომარეობამ გააკვირვა ჰაინეს მეგობრები და მიმართეს ჰაინეს წერილით: როგორ გავივით ეს, რომ მწერალი აუფენბერგი უამრავ კრიტიკულ წერილებს ათავსებს ჰაინეს წინააღმდეგ და ჰაინე კი არ სცნობს საჭიროდ უპასუხოს ნასო. ჰაინე იძულებული შეიქმნა პასუხი გაეცა აუფენბერგისათვის. რა სიტყვა მან საპასუხოდ მეგობრების მიმართვაზე? ჰაინემ მათ ორი სიტყვით გასცა პასუხი პრესის საშუალებით: „მწერალს აუფენბერგს მე არ ვიცნობ, ვფიქრობ, რომ იგი ისეთივეა, როგორც

დარღვევით, რომელსაც აგრეთვე მე არ ვიციან. მოკლედ და მკაფიოდ მანინს სიტყვების პერფორაციებით, — განაგრძობს სტალინი — რუს ბოლშევიკებს შეეძლოთ ეთქვათ, ვუილოვიჩის კრიტიკული ვარჯიშობის შესახებ: ბოლშევიკს — ვუილოვიჩს ჩვენ არ ვიციან, ვფიქრობთ, რომ იგი ისეთივეა, როგორც შოლემა, რომელსაც აგრეთვე არ ვიციან.

აი კიდევ, ეპიზოდის მოსწრებული გამოყენებით როგორ სასაცილო ფორმებში გვიხატავდა ამხანაგი სტალინი ხალხის მტრის, ზინოვიევის მიერ ციტატების მოყვანის რევიზიონისტურ მანერას.

პარტიის XV ყრილობაზე, გაათრეული პოლიტიკური ბრძოლის დროს ხალხის მტრები ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და სხვ. ცდილობდნენ საქმე ისე წარმოედგინათ, თითქოს ისინი იყვნენ ნამდვილი ლენინელები, ნამდვილი მარქსისტები. ამ მიზნით ზინოვიევის უამრავი ციტატა მოჰყავდა მარქსის, ენგელსისა და ლენინის თხზულებებიდან. მარქსის ციტატები, რომლებიც მონოპოლისტური კაპიტალიზმის წინა პერიოდს ეხებოდა, ზინოვიევის შექანიკურად გადმოჰქონდა მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდში, ერთი მეორეში ურევდა ყველა პერიოდს და თარიღს და უკარგავდა მათ ცოცხალ კავშირს სინამდვილესთან. ამის გამო სტალინი იხსენებს ერთ უცნაურ გერსიას, რომელიც მას შვეიცარულ რევოლუციონერ სინდიკალისტთაგან მოესმინა სტოკჰოლმში:

„როდესაც ციტატების მოყვანის ზინოვიევისებურ მანერაზე ვლაპარაკობთ, ერთი საკმაოდ უცნაური ვერსია მაგონდება, რომელიც შვეიცარულ რევოლუციონერ-სინდიკალისტმა გვიამბო სტოკჰოლმში. ეს იყო 1906 წ. ჩვენს პარტიის სტოკჰოლმის ყრილობიდან დროს. ამ შედეგმა ამხანაგმა საკმაოდ კომიკურად დაახსიათა თავის მოთხ-

რობაში მარქსიდან და ენგელსიდან ციტატების მოყვანის სოციალ-დემოკრატიული მანერა. ჩვენს მარქსისტულ ლეგატებში, ვუსმენდით მას და სიცილით ვიხიცივდით. აი, ამ ვერსიას შინაარსი: ამბავი ზღვება ყირიმში ფლოტისა და ქვეითი ჯარის აჯანყების დროს. მოდიან ფლოტისა და ჯარის წარმომადგენელი და ეკითხებიან სოციალ-დემოკრატებს: უკანასკნელ წლებში თქვენ მოგვიწოდებდით ცარიზმის წინააღმდეგ, დავრწმუნდით, რომ თქვენი მოწოდება სწორია. ჩვენ, მეზღვაურები და ჯარისკაცები, შეუთანხმდით, მოეხდინათ აჯანყება და მოგმართათ თქვენ რჩევისათვის. სოციალ-დემოკრატები აცმატურდნენ და უპასუხეს, რომ მათ არ შეუძლიათ აჯანყების საკითხის გადაწყვეტა სპეციალური კონფერენციის გარეშე. მეზღვაურებმა გააგებინეს, რომ დაყოვნება შეუძლებელია, საჭიროა აშკარა პასუხი გაიგონ და თუ სოციალ-დემოკრატები ხელმძღვანელობას არ გაუწევენ აჯანყებას, საქმე ჩაიფრება. მეზღვაურები და ჯარისკაცები წავიდნენ და ელოდებოდნენ დირექტორს. ხოლო სოციალ-დემოკრატებმა მოიწვიეს კონფერენცია საკითხის განსახილველად. აიღეს „კაპიტალის“ პირველი ტომი, აიღეს „კაპიტალის“ მეორე ტომი და ბოლოს მესამე ტომიც აიღეს. დაუწყეს ძებნა დირექტორებს, ყირიმისა და სევასტოპოლის აჯანყების შესახებ, მაგრამ „კაპიტალის“ ვერცერთ ტომში, ვერცერთ დირექტივას ვერ ნახულობდნენ, ვერც სევასტოპოლისა, ვერც ყირიმისა და ვერც მეზღვაურთა და ჯარისკაცთა აჯანყების შესახებ... რა უნდა ქნან? მეზღვაურები უკვე მოვიდნენ და ელიან პასუხს. სოციალ-დემოკრატებმა აღიარეს, რომ ამგვარს პირობებში მათ არ ძალუძთ რაიმე მითითება მისცენ მეზღვაურებსა და ჯარისკაცებს. ასე

ჩაიფუშა ფლოტისა და ჯარის აჯანყების საქმე". „უეჭველია,—განაგრძობდა ამხანაგი სტალინი,—ამ მოთხრობაში ადგილი აქვს გაზვიადებას, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ეს მოთხრობა საკმაოდ მკაფიოდ ახასიათებს მარქსიდან და ენგელსიდან ციტატების მოყვანის ზინოვიევის მანერას“ („კიდეც სოც.-დემ. გადახარაზე ჩვენს პარტიაში“ გვ. 70).

სტალინის მიერ მოთხრობილ ეპიზოდებს უღარესად დიდი შემცენებითი ღირებულება აქვთ. აი, ხშირად დაძაბული ყურადღებით ეცნობით სტალინურ მსჯელობას, სადაც აზრები ლოგიკური თანმიმდევრობით მისდევენ ერთიმეორეს. აზრების სიღრმეს შეჰყავხარ ფრიალ რთულ სიტუაციაში, ფრიალ ღრმა ცალკეულ აზრებში ინთქება ყურადღება და ამის გამო ჰყარავთ კავშირს მთელთან. დამძიმდა ტექსტი. ვინდათ დაუბრუნდეთ წაკითხულს, მაგრამ აი ავტორი თითქოს გრძნობს მკითხველის ამ მძიმე მდგომარეობას და ეხმარება მას იმით, რომ ერთბაშად ზოგად დებულებებს სცელის ხატოვანი გადმოცემით, მოიყვანს რომელიმე ეპიზოდს, რომელიც ნათელს ხდის მთელს აზრს.

თავის სიტყვაში, მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკანტროლო კომისიის პლენუმზე 1928 წლის 19 ოქტომბერს, ამხანაგი სტალინი ეხება მემარჯვენე გადახარის პრობლემას და იმ ამხანაგების მიმართ, რომლებიც გაიძახოდნენ „გვიჩვენეთ მემარჯვენეები, ან შემარჩებლები, დაგვისახელეთ პიროვნებანი, რომ ჩვენ შეგვეძლოს გავესწორდეთ მათო“, სტალინი ამბობდა:

„ეს არ არის საკითხის სწორი დაყენება. პიროვნებანი, რასაკვირველია, თამაშობენ ერთგვარ როლს. მაგრამ აქ საქმე მდგომარეობს არა პიროვნებებში, არამედ იმ პირობებში, იმ ვითარებაში, რომლებიც წარმოშობენ მე-

მარჯვენე საფრთხეს პარტიაში. შეგვიძლია განზე დაეყენოთ პიროვნებანი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ უნდა მოხდეს, რომ ამით ნიადაგი გამოვუქალოთ მემარჯვენე საფრთხეს ჩვენს პარტიაში“...

აქ გამოთქმული აზრის გასაგებად საჭირო ხდება ყურადღების დაძაბვა. როგორ, მემარჯვენე გადახრა—ეს ხომ ადამიანების, პიროვნებების მიმართულებაა და როგორ შეიძლება ამ გადახრის გაგება პიროვნებების გარეშე? და რომ გამოთქმული აზრი თვალსაჩინოდ წარმოედგინა მსმენელებისათვის, ამხანაგ სტალინს იქვე მოჰყავს ერთი ეპიზოდი სამოქალაქო ომის დროიდან, რომელმაც ნათელი მოჰგინა მთელ აზრს:

„არ შემიძლია ამასთან დაკავშირებით,—განაგრძობს სტალინი,—არ მოვიგონო ერთი ეპიზოდი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1919 წლის ბოლოს და 1920 წლის დასაწყისის ოდესაში, როცა ჩვენი ჯარები, უკრაინიდან დენიკინელების განდევნის შემდეგ, საბოლოოდ სპობდნენ დენიკინის ჯარების უკანასკნელ ნაშთებს ოდესის რაიონში. წითელარმიელთა ერთი ნაწილი მაშინ ოდესაში გაათრებით ეძებდა ანტანტას, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ თუ ისინი დაიჭერდნენ მას, ანტანტას, ომს ბოლო მოეღებოდა. (ს ა ე რ თ ო ს ი ც ი ლ ი). წარმოვიდგინოთ, რომ წითელარმილებმა შესძლეს ანტანტის რომელიმე წარმომადგენლის დაჭერა ოდესაში. მაგრამ ამით, რასაკვირველია, არ გადაწყდებოდა ანტანტის საკითხი, ვინაიდან ანტანტის ფესვები ოდესაში კი არ არის, თუმცა ოდესა მაშინ დენიკინელების უკანასკნელი ტერიტორია იყო, არამედ მსოფლიო კაპიტალიზმში. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენს ზოგიერთ ამხანაგებზე, რომლებიც მემარჯვენე გადახარის საკითხში ყურადღებას ამახვილებენ მემარჯვენე გადახარის გამომხატველ პი-

როვნებებზე და იფიწყებენ იმ პირობებს, რომლებიც ამ გადახრას წარმოშობენ“.

როგორც ზედათ, სტალინის მიერ შოთხრობილმა ამ ეპიზოდმა საეხებით უბრალოდ, გასაგებად და თან სასაცალო ფორმებში მიიტანა მკითხველთან ურთულესი აზრობრივი ტვირთი.

ამგვარად, სახობრიობა, როგორც აზროვნების კონკრეტული ფორმა, სტალინის მკვეთრს, სტილში მოცემულ

ლია როგორც ორგანიული, ნაზაგანი კანონზომიერება. ამხანაგი სტალინი თავის ნაწერებსა და გაქრსკლებში მარტო ლოგიკურად გვიმტკიცებს თავის ამათუიმ დებულებების სისწორეს, არამედ ბრწყინვალე სახობრივი თქმებით და მოხდენილი შედარებებით ცდილობს კონკრეტულად დაგვანახოს, გვიჩვენოს და ამ ჩვენების გზითა დაგვიმტკიცოს ბოლშევიკური სიტყვის სიმართლე.

ნ. ა. ნეკრასოვი

ანა ნიკოლაძე



ნ. ა. ნეკრასოვს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რუსულ პოეზიაში. პუშკინის შემდეგ იგი პირველი დიდი პოეტი-ნოვატორია, რომელმაც 60-იან წლებში მთელი რევოლუცია მოახდინა რუსულ მხატვრულ აზროვნებაში. იგი გახდა დემოკრატიული მოძრაობის პოეტური ბელადი, ახალი, გაღვივებული რუსეთის უშიშარი მომღერალი. ნეკრასოვის „მრისხანე მუზა“ რუსეთის მშრომელი მილიონიანი მასების აბოზოქრების პირველი მაუწყებელი იყო. ისტორიულ გარდატეხათა ეს დიდი ეპოქა მოითხოვდა თავის პოეტს, რომელსაც უნდა გამოეხატა ხალხის ლტოლვა და სულისკვეთება.

1860 წელს ჭაბუკი დობროლუბოვი სწერდა:

„ახლა ცხოვრება გვიყენებს თავის უფლებებს. რეალიზმი იჭრება ყველგან ყოველი ჯურის მისტიფიკატორების საწინააღმდეგოდ. ცხოვრების რეალიზმმა უნდა დაისადგუროს პოეზიაში და თუ ჩვენ სულ მალე გვეყოლება შესანიშნავი პოეტი, რა თქმა უნდა იგი უნდა გამოჩნდეს ამ ასპარეზზე. მზის ამოსვლა, ჩიტების კიკვიკი, ვენებით დატბობა, გაურკვეველი დაბნედა რილაცის გამო, მოგონებანი მითოლოგიიდან, ისტორიიდან შეიძლება გამოხატული იქნენ ძალიან კარგად და მოპვარონ პოეტს წუთიერი წარმატება, მაგრამ არასოდეს არ მიიზიდავენ მისკენ იმ ცხოველ, ქმედით და

ენერგიულ თანაგრძნობას, რომელიც მუდამ ვლინდება საზოგადოებაში გარკვეულ ეპოქისათვის საჭირო ადამიანების მიმართ“.

სწორედ ნეკრასოვი იყო ის ადამიანი, რომელიც დაიბადა იმ ახალი ცხოვრების პოეტად. ნეკრასოვი რეალისტური პოეზიის მედროშე გახდა.

ნეკრასოვს თავისი პოეტური მრწამსი შესანიშნავად აქვს გამოხატული ერთს საუბარში ბოტკინთან, რომელიც უსაყვედურებდა პოეტს „უხეშ“ რეალიზმს. „ყოველი მწერალი, — უბასუხებს თავის მოკამათეს ნეკრასოვი, — გადმოგვემს მას, რაც მან ღრმად განიცადა. რადგან მე ბედად მხვდა ბავშვობიდანვე მეცქირა რუსი გლეხის ტანჯვისათვის, რომელსაც იგი განიცდიდა სიცივისაგან, შიმშილისგან და ყოველგვარი სიმკაცრის გამო, ამიტომ ჩემი ლექსების მოტივებს მე მათი გარემოდან ვიღებ, და მივირის, რომ თქვენ უარყოფთ ადამიანურ გრძნობებს რუს ხალხში! დაე, ნუ კითხულობს ჩემს ლექსებს მაღალი საზოგადოება, მე მისთვის როდი ვწერ“.

ეს არ იყო ლიტონი სიტყვები. ამ დიდი ჰუმანიური იდეით აღბეჭდილია ნეკრასოვის მთელი შემოქმედება, რომელიც პოეტმა მჭიდროდ დაუკავშირა რუსი მშრომელი ხალხის ცხოვრებას.

60-იან წლებში ისტორიული პირობები შემზადებული იყო იმისათვის, რომ სამოქმედო ასპარეზზე გამოსულ-

ლიყო პოეტი, რომელიც გამოხატავდა რუსული საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციურ აღმავლობას. მართალია ნეკრასოვი წარმოშობით არ ეკუთვნოდა დემოკრატიულ დაბალ ფენებს, მაგრამ მასში ბავშვობიდანვე იწრთობოდა დაუძინებელი მტრობა მწავგრელთა წინააღმდეგ. ყრმობიდანვე საკუთარი თვალთ ნახულმა და განცდილმა დანერგა პოეტში ღრმა სიძულვილი ბატონყმობისა და თვითმპყრობელობისადმი.

ბავშვობა პოეტმა გაატარა სოფელ გრეშნევიში—მამის მამულში.—იაროსლავლის მახლობლად. ეს სოფელი მდინარე ვოლგის პირად მდებარეობდა. ვოლგის მოსხიბლავმა მიდამოებმა და რუსეთის უსაზღვრო ველებმა ბავშვობიდანვე მიიზიდეს პოეტის გულისყური. ხშირად იგი გაეპარებოდა მშობლებს და მდინარის ნაპირას ფარულად ყურს უგდებდა გლეხების სევდიან თხრობას, რაიც მტკიცედ იჭრებოდა მომავალი პოეტის ცნობიერებაში. მაგრამ კიდევ უფრო ღრმად აღიბეჭდა ნეკრასოვის ბავშვურ გულში მამამისის—სასტიკი მებატონის მიერ ყმების აწიოკების უძძიმესი სურათები, რომლის უნებური მოწამეც იგი ხშირად ხდებოდა. ასე წარმოიშვა და გამოიწრთო გრძნობიერ პოეტში თანაგრძნობა ჩაგრული ხალხის მიმართ და შეურიგებელი მტრობა მემამულეთა წინააღმდეგ.

1838 წელს, შუა ზაფხულს, სოფელ გრეშნევიდან პეტერბურგისაკენ რუსული ეტლი მიაქროლებდა ოცნებებით აღსავსე 17 წლის ქაბუტს—ნეკრასოვს. მებატონე მამა მას გზავნიდა სატახტო ქალაქში სამხედრო კარიერის მოსაპოებლად.

პოეტმა არ ინდომა ბრჭყვიალა მუნღირი და თავისუფალ მსმენელად შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, რისთვისაც მამამ შეუწყვიტა ყოველგვარი მატერიალური დახმარება. ნეკ-

რასოვი იძულებული გზავდა საკუთარი შრომით ერჩინა თავი. მას ხშირად ხედავდნენ ღარიბულად ჩვეულებრივ ნაწერით ხელში ლიტერატურის შეცენატის იაზიკოვის სადარბაზო კარებთან. იგი დაეინებით მოითხოვდა გადაეცათ მისი ნაწერი ცნობილ კრიტიკოსის ბელინსკისათვის. მისი თხოვნა შეასრულეს. ასე გაეცნო პოეტი დიდ რუს კრიტიკოსს.

ბელინსკიმ გადამწყვეტი როლი შეასრულა ნეკრასოვის პოეტური გზის გამომუშავებაში, მისი რევოლუციური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

ნეკრასოვმა თავის დიდ მასწავლებელს—ბელინსკის მიუძღვნა რიგი ნაწარმოებებისა, რომლებშიც ღრმა ლირიზმით აღბეჭდილია კრიტიკოსის წამებული სახე. 1845 წელს ნეკრასოვმა „მობოქარ ბესარიონს“ წაუკითხა თავისი ცნობილი ლექსი „გზაში“, რომელმაც ალტაცებაში მოიყვანა ბელინსკი. ცრემლმორეული კრიტიკოსი ეუბნებოდა პოეტს: „იცი თუ არა, თქვენ, რომ პოეტი ხართ და ქეშმარიტი პოეტი?“ ნეკრასოვის შემდეგმა ლექსმა „სამშობლომ“, რომელშიც მეტი სიმძაფრით იყო გადმოცემული ბატონყმობის მთელი საშინელება, უფრო მიიზიდა საზოგადოების ყურადღება პოეტისადმი და იგი მოექცა მაშინდელი ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში.

1840 წელს, როცა ნეკრასოვმა მარცხი განიცადა საღებუტო ლექსთა კრებულის „ოცნებანი და ბგერების“ გამოცემის გამო, — პირველი ბელინსკი იყო, რომელმაც მიუთითა პოეტს, რომ მისი დანიშნულებაა ცხოვრების სურათების რეალური ასახვა და სინამდვილის ღრმა დაკვირვება. სამაგიეროდ ბელინსკი აღფრთოვანებით შეეგება 1846 წელს ნეკრასოვის აღმანახს „პეტერბურგის კრებულს“. კრიტიკოსი თავის წერილში ასე ახასია-

თებდა ნეკრასოვის ლექსებს: „ისინი გამსკვალულნი არიან აზრით. ეს არ არის ლექსები ქალებსა და მთვარეზე. მათში ბევრია ჭკვიანური, საქმიანი და თანამედროვე“. ბელისკი ვერ მოესწრო ნეკრასოვის ნიჭის სრულს გაშლას, მაგრამ დიდი კრიტიკოსი გრძნობდა მასში ახალი პოეზიის მედროვნეს, რომელსაც ახალ კალაპოტში უნდა ჩაეყენებინა რუსული პოეტური კულტურის განვითარება, ამიტომ მხარში უდგა მას, რომ თავისი რევოლუციური აზროვნებით შთაეგონებინა პოეტის მუზა.

ნეკრასოვმა რუსული პოეზიის ცენტრში დააყენა ადამიანის მოქალაქობრივი ვალი. მისი რევოლუციური პოეზიის ლოზუნგი იყო:

„Кто служба великим целям века,
Жизнь свою всецело отдает,
На борьбу за брата человека,
Только тот себя переживает“.

ნეკრასოვი ხელოვნების უმაღლეს, უკეთილშობილეს მიზნად თვლის ხალხის სამსახურს. „მე ვფიქრობ,—სწერს იგი, — ამ საქმეში (ხელოვნებაში — ა. ნ.) მართალია მხოლოდ ერთი თეორია: გიყვარდეს ჭეშმარიტება უანგაროდ, ვხნებით, ყველაფერზე მეტად... ემსახურე მას და მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება: თუ ემსახურე ხელოვნებას, ემსახურები საზოგადოებასაც და პირიქით, — თუ ემსახურე საზოგადოებას — სამსახურს გაუწევ ხელოვნებასაც. ეს თეორია ვაამართლა ბევრმა დიდმა მსოფლიო ადამიანმა და ამართლებენ... რუსეთის თანამედროვე საუკეთესო მწერლებიც“.

ნეკრასოვი სასტიკად გამოხს პოეტს, რომელიც სალონური პოეზიის მოჯადოებული რკალით არის მოწყვეტილი ხალხისაგან. თვითონ ნეკრასოვი ღრმად იჭრება ხალხის ცხოვრებაში. მის ლექსებში ისმის რუსი გლეხის სევდიანი ლიღინი, მისი კვნესა-ვაება

და თან პოეტის ოცნება ხალხის ხედნიერებაზე.

„სულო ხალხისა, გაბნეულმა ბავშვმა
დამანახეა შენი სიცილი“.

ნაღვლიანად ამბობს პოეტი. პოეტს სწამს, რომ რუსი ხალხი გაიგონებს მის მოწოდებას, მის მგზნებარე სიმღერას და რევოლუციური პათოსით მიმართავს მას:

„Да теперь я к тебе бы воззвал,
Бедный брат, угнетенный, скорбящий,
Голос мой из души исходящий,
В нем такая бы сила была,
Что толпа бы за мною пошла!“
(„Михайлову“).

ნეკრასოვის მშფოთვარე სული ვერ ეგუება შემხუთველ გარემოს. იგი მოუთმენლად მოუწოდებს ჭარბშალს, რომლის ძლიერი რისხვა გაარღვევს წყვედიად, რომ ბედნიერება და ვისუფლება მოუპოვოს ხალხს:

„Душно! без счастья, без воли,
Ночь бесконечно длинна.
Буря бы грянула, что ли?
Чаша с краями полна!
Грянь над пучиною моря,
В поле, в лесу засвищи...
Чашу народного горя
Всю расплеши!“

ორმოციანი წლების ბოლოს ნეკრასოვი იწყებს მეტად ნაყოფიერ საქონალო მოღვაწეობას. 1846 წელს იგი პანაეეთან ერთად იძენს პლეტნიოვისაგან პუშკინის დროის „სოვრემენნიკს“ და თვითონ სცემს მას.

ამ ჟურნალმა გახსნა სრულიად ახალი ფურცელი რუსეთის რევოლუციური პერიოდიკის განვითარებაში. „სოვრემენნიკმა“ მიიზიდა საუკეთესო მწერლები. აქ გამოქვეყნდა პირველად რუსული ლიტერატურის გიგანტის—ლევ ტოლსტოის „ბავშვობა“. სულ მალე „სოვრემენნიკში“ მუშაობა დაიწყო ჩერნიშევსკიმ და დობროლუბოვმა. 60-იანი წლების ამ დიდი რევოლუ-

ციონერ-რაზნოჩინელთა „სოცრემენ-ნიკში“ დაბანაკებამ მისცა ეურნალს გარკვეული დემოკრატიულ-რევოლუციური მიმართულება, რის გამოც იგი ახალი თაობის საბრძოლო ორგანო გახდა. მისი ყოველი ახალი ნომერი ხელიდან-ხელში გადადიოდა და შეუნელებელი ინტერესით იკითხებოდა. „სოცრემენიკის“ ფურცლებიდან რევოლუციონური მოწოდებამ ისმოდა ჩერნიშევსკის და დობროლუბოვის მგზნებარე კრიტიკული წერილები. და ნეკრასოვის პატრიოტული, მოქალაქეობრივი პათოსით გამთბარი ლექსები.

ჩერნიშევსკიმ და დობროლუბოვმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ნეკრასოვის პოეტური ტალანტის შემდგომ განვითარებაზე. ბელინსკის შემდეგ — ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი გახდნენ პოეტისათვის ნამდვილი იდეური შთამაგონებელი, რომლებმაც კიდევ უფრო გააღრმავეს პოეტში მწერლის მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება.

ამ დროს ქმნის პოეტი თავისი პოლიტიკური ლირიკის ისეთ შედეგებს, როგორცაა „პოეტი და მოქალაქე“, „ფიქრები საპარადო მისასვლელთან“, „რკინიგზა“ და სხვა ლექსებს, რომლებშიც ნეკრასოვი გვევლინება, როგორც შეუპოვარი მებრძოლი რევოლუციური - დემოკრატიულ იდეებისათვის.

60-იანი წლების დასაწყისში, როცა აღნიშნული ლექსები იწერებოდა განსაკუთრებით გამწვავდა ლიტერატურაში ბრძოლა ორ ბანაკს შორის, ლიბერალურ - თავადანაურულ მწერლებს დაუპირისპირდა რევოლუციური დემოკრატიული ფრონტი, რომლის იდეური ბელადები იყვნენ ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი.

ლიბერალურ - თავადანაურული ფრთა, ვერ შერაიგებოდა ლიტერატურაში რაზნოჩინელთა და მათი დემოკ-

რატიულ იდეების გაბატონებას. მით ლიტერატურის შეურაცხყოფად მიიჩნდათ ის გარემოება, რომ რევოლუციონერი რაზნოჩინელი ჩერნიშევსკისათვის დისერტაციის ფურცლებზე ხმამაღლა აღიარებდა რეალისტური ესთეტიკის პრინციპებს და აცამტყერებდა იქამდე გამეფებულ პეტელის იდეალისტურ-ესთეტიკურ მოძღვრებას.

დობროლუბოვის წერილმა „როდის დადგება ნამდვილი დღე?“ — საბოლოოდ გაათიშა ეს ორი ბანაკი და ცხადი გახდა, რომ მათი ერთად თანამშრომლობა არასგზით არ შეიძლებოდა.

ნეკრასოვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შესანიშნავად იგრძნო, ვის მხარეზეც იყო ისტორიული კვამარიტება. იგი ურყევად დადგა ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის პოზიციებზე. მისი ლექსებიც ერთგვარი პოეტური დეკლარაცია გახდა იმ რევოლუციური იდეებისა და რეალისტურ-მატერიალისტურ ესთეტიკურ პრინციპებისა, რომლებსაც ასეთის თავდადებით იცავდა მაშინდელი რევოლუციონური რაზნოჩინელობა და მისი პოლიტიკური ბელადი ჩერნიშევსკი.

1856 წელს გამოვიდა ნეკრასოვის ლექსების პირველი კრებული, რომელიც იხსნებოდა საპროგრამო ლექსით „პოეტი და მოქალაქე“. ეს ლექსი ახალი თაობის გაბედული პოეტური დეკლარაცია იყო, მიმართული თავადანაურული ბანაკის ესთეტი მწერლების ტრადიციული გემოვნების წინააღმდეგ. იგი იყო ახალი დემოკრატიული პოეზიის ერთგვარი მანიფესტი, მიმართული არისტოკრატიული მხატვრული სტილის წინააღმდეგ.

აღსანიშნაეია, რომ ნეკრასოვმა რეალისტურ-მატერიალისტური პოეტური ნორმების დადგენისა და აღიარების მიზნით გამოიყენა ტრადიციული დეკლოგური ხერხი, რომელშიც იძლეოდა რევოლუციური ახალი თაო-

ბის გამსახლებრელ დებულეებებს ლიტერატურის არსისა და დანიშნულეების შესახებ.

ე. წ. „წმინდა ხელოვნების“ მიმდევრებმა, ლიბერალური ბანაკის მწერლებმა, ნეკრასოვის დამცირების მიზნით იგი გამოაცხადეს პუშკინის ანტიპოდად.

რათქმა უნდა, ეს სიყალბე იყო. ნეკრასოვი გაცილებით უფრო ახლოს იდგა თავის დიდ წინაპართან—პუშკინთან, ვიდრე 40-იანი და 60-იანი წლების უსახელო ლიბერალი პოეტები, უსახელო ეპიგონები, რომლებიც ამოდ ცდილობდნენ პუშკინის დიდი სახელი თავიანთი ჩამორჩენილი მსოფლმხედველობისა და პოეტური უძღვრების დასაფარავ ფარდად გამოეყენებინათ.

ნეკრასოვის ლექსმა „პოეტმა და მოქალაქემ“ გააშიშვლა მათი უმწეო ლიტერატურული პოზიციები და გაბედულად დააყენა საკითხი პოეზიისა და ხელოვნების ხალხურობის შესახებ. ნეკრასოვის სტრიქონებში ძლიერად ეღერდა მოტივი პოეტის მოქალაქეობრივი მოვალეობისა, სამშობლოსათვის თავგანწირვისა. მწერალი მოქალაქის პირით მიმართავს პოეტს:

„Пора вставать! ты знаешь сам,
Какое время наступило;
В ком чувство долга не остыло,
Кто сердцем неподкупно прям,
Тому теперь не должно спать“

აღსანიშნავია ის ირონიული ინტონაცია, რომლითაც პოეტი მოხდენილად თავსესხმის „წმინდა ხელოვნების“ მომხრეთ.

რომ კიდევ უფრო ნათლად გაშალოს მკითხველის წინაშე თავისი პოეტური კრედი, ნეკრასოვი მოწიწებით ახსენიებს თავის დიდ წინაპარს—პუშკინს, რომელსაც იგი ჩერნიშევსკის მსგავსად რუსული პოეზიის მზეს უწოდებს.

პოეტ-დემოკრატის მზრით ხელოვნის მოწოდებულია ღრმად შეეგნოს მოქალაქის მაღალი ვეფხე-მსახურების ხალხს, სამშობლოს, თუ კი სურს, რომ ღირსეული შვილი იყოს თავისი ხალხისა. იგი მკანებარედ მიმართავს პოეტს:

„А ты поэт! Избранник неба,
Глашатай истин вековых,
Не верь, что неминуший хлеба
Не стоит вещей струи твоих!
Не верь, что повсе пали люди,
Не умер бог в душе людей,
И вопль из верующей груди
Всегда доступен будет ей!
Будь граждани! служба искусству,
Для блага ближнего живи,
Свой гений подчиняя чувству
Всеобщинающей любви“.

არანაკლებ სიმძაფრით ეღერს ნეკრასოვის ის ლექსები, რომელშიც პოეტი თანაგრძნობით მოგვითხრობს რუსი გლეხისა და ქალაქის ღატაკი მასების მძიმე ხვედრის შესახებ.

ღრმა ღრამატიზმით გადმოგვცემს პოეტი ლექსში „ფიქრები საბარადო შესასვლელთან“ რუსი გლეხის უმწეო მდგომარეობას. ბოლშევიკური მწერალი ასე მიმართავს მშობელ მიწას:

„... Родная земля!
Назови мне такую обитель,
Я такого угла не видал,
Где бы сеятель твой и хранитель,
Где бы русский мужик не стонал?“

სევდის ზარად გაისმის პოეტის ლექსში მშობელი ხალხის მევენსარე სიმღერა. ნეკრასოვის მუუხარე ლექსი თავს ევლება, იარებს უხვევს ცხოვრების მძიმე უღელში გაბმულ ხალხს და ცდილობს გაუადვილოს მას კატორღული ყოფის სიმძიმე.

„Вдаль на Волгу: чей стон раздается
Над великой русской рекой?
Этот стон у нас песней зовется,
То бурлаки идут бичевой!“

Волга! Волга! весной многоводной
Ты не так заливаешь поля,
Как великою скорбью народной
Перепопилилась наша земля..“

ნეკრასოვი მოუწოდებს ხალხს ძველ ქვეყანასთან შეურიგებელი მტრობისაკენ. ნეკრასოვი ოცნებობს გმირზე, რომელიც გაათავისუფლებს მის ქვეყანას:

„О, во веки тем памятен будет,
По чьему мановенью народ
Вековую привычку забудет
И веселую песню споет“.

ასეთივე მძაფრი სოციალური პათოსით და მაღალი პემანიური განწყობით არის შექმნილი ნეკრასოვის ცნობილი ლექსი „სიმღერა იერემიასთვის“.

„საზიზღრობაა,—სწერდა ნეკრასოვი ტოლსტოის,—თავი მოაჩვენო (საზოგადოებას) გაბოროტებულად, მაგრამ მე მუხლს მოვიდრეკდი იმ ადამიანის წინაშე, რომელიც გასკდებოდა გულწრფელ გაბოროტებისაგან. განაცოტა საბაბი გვაქვს ჩვენ ამისათვის? და როცა ჩვენ ვიწყებთ გააფებას, მაშინ უკეთესნი ვიქნებით, ესე იგი, უფრო მეტად შევძლებთ სიყვარულს არა თავისთავისას, არამედ საშობლოსას“. პოეტის ეს წერილი იყო პასუხი ლევ ტოლსტოის საყვედურზე, რომ ახალი მიმართულების ძირითადი თემა გაბოროტებაა, სიძულელია ყველაფრის მიმართ.

შევე არ შეიძლება არ გავიხსენოთ დობროლუბოვის ერთერთი წერილი მეგობართან, რომელშიც კრიტიკოსი ხაზს უსვამს ნეკრასოვის აღნიშნული ლექსის ოპოზიციურ, პროტესტანტულ მნიშვნელობას. იგი სწერს:

„ზეპირად ისწავლე და ყველას, ვისაც იცნობ, შეასწავლე „სიმღერა იერემიასათვის“... გახსოვდეს და გიყვარდეს ეს ლექსები... ისინი გზას იკაფავენ პირდაპირ ახალგაზრდა

გულისაკენ, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩაფლულა მეშინობის წიშმეშინებით“.

გიორგი მთავარი

ნეკრასოვი დიდ ყურადღებას უთმობს აგრეთვე ქალაქის დაბალი ფენების მხატვრულ განსახიერებას. თავის ურბანისტულ ლექსებში ნეკრასოვი მრისხანედ თავს ესხმოდა ძველ წყობას და მძაფრი სარკაზმით ამხელდა მის ბნელ მხატვებს. ამ მხრივ მკითხველის ყურადღებას იზიდავს განსაკუთრებით პოეტის ქმნილებანი: „ვოლგაზე“, „დილა“, „რკინიგზა“, „სიმღერა შრომაზე“ და სხვ.

ნეკრასოვის ზემოხსენებულ ლექსებში მოცემულია დასრულებული სურათი ქალაქის დაბალი ფენების უმძიმესი ცხოვრებისა.

შეუძლებელია მღელვარების გარეშე წაიკითხოთ ნეკრასოვის „რკინიგზა“, რომელშიც დიდი ლირიკული ოსტატობით არის გადმოცემული ქალაქის მუშათა ფენების უღმობელი ხვედრი. მიუხედავად ამ ლექსის ტრაგიკული ინტონაციისა, მასში იგრძობა მტკიცე რწმენა რუსეთის ხალხის უძლეველი ძალებისადმი. პოეტს სჯერა, რომ მისი დიდი საშობლო დაამსხვრევს სოციალური მონობის ბორკილებს და თავისუფლებას მოიპოვებს. ამ რევოლუციური ოპტიმიზმით არის გატენილი ლექსის ფინალი.

პოეტს სწამს, რომ რუსის ხალხი.

„Вынесет все — и широкую ясную
Грудью дорогу проложит себе.

Жаль только — жить эту пору прекрасную
Уж не придется ни мне, ни тебе“.

მოქალაქეობრივი მოტივები კიდევ უფრო მეტი ძლიერებით ეღერს პოეტის ეპიურ შემოქმედებაში. მისი პოემები: „ყინვა წითელ-ცხვირა“, „დეკაბრისტი ქალები“, „ვის ეცხოვრება რუსეთში კარგად“ ლოგიკური მხატვრული დასრულებაა მისი ლირიკული შემოქმედებისა.

სოციალური პროტესტი, ლირიკული პათოსი, ძველი სამყაროს სარკასტული მხილება, ქალაქისა და განსაკუთრებით სოფლის ცხოვრების სურათები, რომლებსაც ვხვდებოდით ნეკრასოვის ლირიკულ ნაწარმოებში, აქ — მის პოეტურ ეპიურ ტილოებზე კიდევ უფრო ფართო მასშტაბს აღწევენ. მხატვრული სახეები მის ეპოსში უფრო ცხოველი და ემოციონალური, კონკრეტული და ხალხური ხდება.

ნეკრასოვის პოემები ენციკლოპედიას წარმოადგენენ იმ დროის რუსეთის ცხოვრებისას. პოეტი გვაოცებს სინამდვილის ღრმა ცოდნით, მისი გადმოცემის სიმართლით. პოეტი ვედრებით მიმართავს დედის ძვირფასს აჩრდილს:

„გაღამიყვანე იმთ ბანაკში,
ვინც კვდება ტრფობის დიად საქმისთვის!
ვისი ცხოვრება დაიშხვრა უქმად,
სიკვდილით ძალღმს გიჩვენოს მუდამ,
რომ მისი გული არ ფოქდა მხალადად,
რომ სიყვარული მას ძალღმს კვალად“.

ამ შესანიშნავ ნაწარმოებში ნეკრასოვს უნაზესი ლირიზმით აქვს გადმოცემული რუსი ქალის პეძანური, გმირული პიროვნება, მისი თავდადება თავისუფლებისათვის. უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ნეკრასოვი ერთი პირველი რუსი მწერალთაგანია, რომელმაც თავის შემოქმედებაში ადგილი დაუთმო რუსი ქალის გმირობის აღწერას. პოემაში „დეკაბრისტი ქალები“, ნეკრასოვი მხურვალე თანაგრძნობით მოგვითხრობს დეკაბრისტთა ცოლების ციმბირში გამგზავრების სევდიან ოდისეას.

ტრუბეტკაიასა და ვოლკონსკაიას შთაგონებული სახეებით, ავტორმა გადმოგვცა გასული საუკუნის მოაზროვნე რუსი ქალის სულიერი სიდიადე.

პოემა „ყინვა ცხვირ-წითელა“ მხატვრული სიმძაფრით შლის მითხველის წინაშე გლეხი მძღოლი ცხოვრებას. პოემის ღრმა ემოციონალურ აღქმას აძლიერებს კონტრასტული ხერხი, ბუნების ადამიანთან დაპირისპირებისა. ამ პოემაში ბუნებაც კი ხელს უწყობს ადამიანის ჩაგვრას და გულგრილად ექცევა მის მწუხარებას. მზე, რომელიც ადამიანის მასულდგმულზელი და მისი სიხარულის წყარო უნდა იყოს, — უგულოდ სკერეტს ზამთარში შემისასპრელად წამოსულ გლეხი ქალის დარიას უბედურებას, რომელმაც ქმარი დაკარგა და წერილშვილის ამარა დარჩა. ზამთრის სუსხი იმსხვერპლებს დარიას, იგი იყინება ტყეში, იქ კპოებს უყულმართ ცხოვრებისაგან გაწამებული ქალი თავის სიცოცხლის დასასრულს. ღრმა დრამატიზმით იძლევა ნეკრასოვი ახალგაზრდა ქალის სიცოცხლესთან გამოსალმების სურათს.

„ფრთები შეისხა და მისი სული
გაქცა სიშლერას, მიფრინავს ცაში...
ვერ შეედრება ვერა სიშლერა
სიშლერას, ჩვენ რომ გვესმის სიზმარში!“

მხოლოდ სიზმარში, სიცოცხლესთან გამოსალმების უკანასკნელ წუთებში ისახება პოემის გმირი ქალის დარიას სახეზე, „ბედნიერების ტკბილი ღიმილი“.

მაგრამ ყველაზე უფრო სისრულით ძველ რუსეთს ნეკრასოვი ასახავს თავის უკვდავ პოემაში „ვის ეცხოვრება რუსეთში კარგად“, რომელსაც თვით პოეტი სამართლიანად უწოდებდა „ხალხურ წიგნს“. ამ პოემაში განსაკუთრებული სიძლიერით გამოჰქლავნდა მებრძოლი პოეტის შემოქმედებითი ენერჯია.

ისევე, როგორც რუსული პროზის გიგანტს—გოგოლს თავის „მკედარ სულებში“,—ნეკრასოვს სურს თავის პო-

ემაში გადმოგვეცეს რუსეთი ყოველი მხრიდან.

პოემის თემა, პოემის მთავარი გმირი—ხალხია.

თავის ნაწარმოების სუვეტურ ღერძად ავტორს გამოყენებული აქვს რუსულ ხალხურ ზეპირ-სიტყვაობაში გავრცელებული ზღაპრები გადმოცემაში, თქმულებები იმის შესახებ, როგორ ეძიებდა რუსი გლეხი ბედნიერებას და თავისუფლებას.

პოემის შესავალშივე ნეკრასოვი ჰხატავს თავისუფლებას დანატრებულ გლეხების სურათს, რომლებიც სუსტ ბედურასაც კი შეჰნატრიან, და ჰტიკრობენ, რომ იგი უფრო ბედნიერია მათზე. პოემის შესავალშივე ავტორი აყენებს საკითხს: „ვის ეცხოვრება რუსეთში ბედნიერად?“

ამ მიზნით პოემის გმირები მოივლიან რუსეთს, ეძიებენ მასში თავისუფალ და ბედნიერ ადამიანს, მაგრამ ამაოდ, ასეთი ადამიანი ძველ რუსეთში არ ჩანს. გლეხის ქალის მდგომარეობა კი ყველაზე მძიმეა, პოემის გმირი ქალი მატრონა ტიმოთეს ასული ასე აკვიწრს თავის ყოფას:

„Ключи от счастья женского,
От нашей вольной волюшки
Заброшены, потеряны
У бога самого!“

ნეკრასოვის ამ პოემაში ვხვდებით გლეხებს, რომლებიც უენოდ იტანენ თავიანთ უბედურებას, მაგრამ ნეკრასოვის რევოლუციური მხატვრული ფანტაზია ქმნის აგრეთვე, მებრძოლ გლეხების სახეებს, რომლებიც ვერ ურიგდებიან სოციალურ ბოროტებას და ჯანყდებიან მის წინააღმდეგ. ასეთია დევგმირი საველი, რომელმაც ვერ მოითმინა დაუსრულებელი წამება და შური იძია გლეხების დამონებისათვის.

დობროსკლონოვის სახით ნეკრასოვი გვიხატავს გლეხურ-დემოკრატიუ-

ლი მოძრაობის ბელადს, რომელსაც თავდავიწყებამდე უყვარს თავისი დიდი სამშობლო და რუსული ხალხის როსკლონოვის ხალხურ სიმღერებში ნეკრასოვი გვიხატავს ნი-იან წლების რაზნოჩინელ-რევოლუციონერთა სოციალურ იდეალს:

„Довольно! Окончен с прошедшим расчет
Окончен расчет с господином!
Сбирается с силами русский народ
И учится быть гражданином“
„И ношу твою облегчила судьба,
„Спутница днй славянина!
Еще ты в семействе покуда раба,
Но мать уже вольного сына!“

პოემა „ვის ეცხოვრება რუსეთში კარგად“ ეკუთვნის პოეტის ცხოვრების უკანასკნელ წლებს. მძიმე სნეულებამ, რომელმაც შეიპყრო ამ ხანებში და ბოლოს იმსხვერპლა კიდევ პოეტი, შესაძლებლობა არ მისცა ნეკრასოვს ფართოდ გაეშალა თავისი გრანდიოზული მხატვრული ტილო და მოეცა ხალხის მომავალი ბედნიერების სრული სურათი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნეკრასოვის პოემის სტრიქონები რევოლუციის მოწოდების ზარად ისმოდა რუსეთის ყოველ კუთხეში. რუსეთის ახალი თაობა გულდადებით ისმენდა მომავლად პოეტის ზნდერძს:

Рать подымается —
Неисчислимая!
Сила в ней скажется
Несокрушимая“

1878 წლის იანვრის დასაწყისში (ახალი სტილით) ნეკრასოვი გარდაიცვალა და რუსეთის ხალხმა მისი სახით დაჰკარგა თავისი „მწუხარებისა და არისების“ საუკეთესოდ გამომხატველი პოეტი. ჯერ კიდევ სიკვდილის წინა დღეებში მიიღო ნეკრასოვმა უკანასკნელი სალაში ცარიზმის მიერ ციმბირს გადაკარგულ ჩერნიშევსკისაგან:

„თუ ამ წერილის მიღებისას ნეკრასოვი კიდევ სუნთქავს, — სწერდა ჩერნიშევსკი თავის ნათესავს პიბინს, — უთხარი მას, რომ მზერვალედ მიყვარდა იგი, როგორც ადამიანი, რომ ვმადლობ მას ჩემდამი კეთილი განწყობისათვის, რომ ვკოცნი მას და მჯერა: მისი დიდება იქნება უკვდავი, რომ მარადიულია რუსეთის სიყვარული მისდამი, უგენიალურესს, უკეთილშობილესისადმი პოეტებს შორის. მე ვქვითინებ მასზე: იგი ქვეშაირიტად იყო ადამიანი სულის მაღალი კეთილშობილებისა და დიდი გონების ადამიანი. და როგორც პოეტი იგი, რატომ უნდა, ყველა რუს პოეტზე მაღლა დგას“.

პოეტი რევოლუციონერი და დემოკრატი, რომლის შემოქმედებაშიც ჩერნიშევსკი კითხულობდა მის საკუთარ სოციალურ-პოლიტიკურსა და ესთეტიკური იდეების მხატვრულ ისტორიას, ყველაზე ორგანიული და ძვირფასი იყო რაზნოჩინელთა დიდი ბელადისათვის. ამით აიხსნება ასეთი მაღალი შეფასება ნეკრასოვისა და ლირიკული მღვლეარებით გამთბარი ჩერნიშევსკის სტრიქონები. ნეკრასოვმა თავისი დიდი მასწავლებლის და მეგობრის გამოსალმება და მაღლობა შეუთვალა მას.

ნეკრასოვის შემოქმედებამ, მისი სიკვდილის შემდეგ კიდევ უფრო მიიზიდა მკითხველი საზოგადოების ყურადღება. ნეკრასოვის მძაფრი, ემოციური კილო, უაღრესად გამოკვეთილი ტიპური სახეები, რომლებშიც სრული სიმართლით იყო წარმოსახული მაშინდელი ყოფა, პირდაპირ იკაფავდა გზას ხალხის გულისაკენ. მისი ლექსის თხრობითი ინტონაცია, მდიდარი პოეტური ლექსიკა და საოცარი მხატვრული კონკრეტულობა ხელს უწყობდა ნეკრასოვის ტიპაჟის სიციხოველით აღქმას.

აღსანიშნავია, რომ ნეკრასოვის მხატვრული სტილი, მისი რეალისტური შემოქმედებითი მეთოდი, რომელიც იგი ახერხებს ისტორიულ და სოციალურ მოვლენათა მხატვრულ განზოგადობას — სრულ თანხმობაშია მის მსოფლმხედველობასთან. ნეკრასოვს ხშირად უსაყვედურებდნენ რეალისტური ესთეტიკის მოწინააღმდეგენი და ბრალს სდებდნენ მასში, რომ თითქოს იგი თავის შემოქმედებაში თავისუფალი არ იყო და ამიტომ აღიდებდა გლეხისა და მღაბიო ხალხის „პროზაულ“ ცხოვრებას.

მაგრამ ნეკრასოვიც და 60-იანი წლების რაზნოჩინელობის ბელადები — ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი ამხელდნენ, სასტიკად ებრძოდნენ ხელოვნების თავისუფლების ასეთ ყალბ გაგებას. ჩვენამდე მოღწეულია საინტერესო წერილები ჩერნიშევსკისა და ნეკრასოვისა, რომლებშიც მთელი სიციხადით სჩანს ნამდვილი არსი „პოეზიის თავისუფლების“ და „წმინდა ხელოვნების“ თეორიისა.

ჩერნიშევსკი სწერდა ნეკრასოვს: „... ფეტი არ იქნებოდა თავისუფალი, რომ განეზრახა სოციალურ საკითხებზე წერა, და მას გამოუვიდოდა საძაგლობა; მაიკოვი ერთნაირად არ არის თავისუფალი, რაზედაც არ უნდა სწეროს, მას ყველაფერი შეკვეთით აქვს; გოგოლი იყო სრულიად თავისუფალი, როცა „რევიზორს“ სწერდა, — „რევიზორისაკენ“ იყო მიდრეკილი მისი ტალანტი...“

ნეკრასოვის შემოქმედებას, ისევე როგორც ჩერნიშევსკი სთვლის, მუდამ ბიძგს აძლევდა სოციალური იდეა. სიყვარული ხალხისადმი სრულ თავისუფლებას ანიჭებდნენ მის პოეზიას. „თავისუფლად წარმოშობილი აზრი, გულისწადილი, — სწერს ნეკრასოვი, — რომლებიც განუშორებლად თან მისდევდნენ, ბოლოს და ბოლოს, მაიძულებდნენ მე მეწერნა. ამ მხრივ მე,

შეიძლება, უფრო ერთგული გარ თავისუფალი შემოქმედებისა, ვიდრე ბევრი სხვა“. ნეკრასოვის მოწინააღმდეგეებს, რომლებიც უსაყვედურებდნენ პოეტს პროზაიზმებს, ლექსის სიმძიმეს, ჩერნიშევსკი ჰპირისპირებს ნეკრასოვის ლექსის ღრმა გაგებას: „სიმძიმედ ხშირად ენერგია გვეჩვენებაო!“

ნეკრასოვმა დიდი გავლენა მოახდინა რუსული ლიტერატურის შემდგომს განვითარებაზე. მისი პოეტური იდეალები, მისი მხატვრული მონაფიქრები და თემები მრავალნაირ გამოხმაურებას პოულობენ რუსეთის დიდ კლასიკოსთა შემოქმედებაში.

რევოლუციის წინანდელი პერიოდში ნეკრასოვის შესახებ სწერდა: „მისი პოეტური ფიქრი განუწყვეტელი იყო ხალხის ფიქრისაგან, რომ მისი მწუხარება განუყრელია ხალხის დიდ მწუხარებისაგან... რომ მას სჯეროდა... ხალხის დიად ძალებისა და მხოლოდ ხალხის გამოღვიძებაში ელოდა შემობრუნებას სხვა, უკეთეს ზეედრისაკენ“.

აი ამიტომ უყვარს ნეკრასოვი დღესაც საბჭოთა ხალხს და სიყვარულით იგონებს პოეტს — რევოლუციონერს, რომელმაც მთელი თავისი მხატვრული ტალანტი და მაღალი ადამიანური შეგნება ცარიზმის ბნელ ძალებთან ბრძოლას მოანდომა.



ქართველთა
წიგლისწამყვანთა
კავშირი

ერთი უპართიზანო პასუხის გეგმა

ქონსტანტინე ჭიჭინაძე



გაზეთ „ლიტ. და ხელოვნებაში“ (დეკემბერი, № 49) დაიბეჭდა ანხ. მიხეილ მრევლიშვილის პასუხი ჩვენი წერილისა „დაკვირვებით წაკითხული“ („მნათობი“ № 4, 1946 წ.). ჩვენს მიერ მ. მრევლიშვილის პატარა მოთხრობაში შენიშნულ ორმოციოდე სხვადასხვა ხასიათის შეცდომიდან ავტორი ცდილობს გაამართლოს მხოლოდ ექვსი შეცდომა. კიდევაც რომ ექვსივე მისი მტკიცება სწორი იყოს (ქვემოთ დავინახავთ, რომ არცერთი სწორი არ არის), მაშინაც კი უმართებულო იქნებოდა, როგორც სათაური პასუხისა („უმართებულო კრიტიკული შენიშვნების გამო“), ისე მისი ტონი.

ჩვენი წერილის შესავლის გამო მ. მრევლიშვილი სწერს: „ლიტერატურის დანიშნულების განსაზღვრა მხოლოდ „ესთეტიური ტკობით“ მეტად ვიწრო და შეუფერებელი განსაზღვრაა“. არსებობს ერთი დაფუძისიანი პოლემიკური ზერზი. უნდა მიაწერო მოწინააღმდეგეს ისეთი რამ, რაც მას არ უთქვამს, და შერე შეედავო თუნდაც იმ იმედით, რომ, ვინ იცის, შეიძლება მან არც კი ვიპასუხოს. ჩვენი წერილის შესავალში მსჯელობა იყო მხატვრული მწერლობის და არა საერთოდ ლიტერატურის შესახებ. ვანა მ. მრევლიშვილმა არ იცის, რომ ლიტერატურა ბევრად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მხატვრული მწერლობა? იცის, მაგრამ ის პასუხში განზრახ გვაპარებს ერთბაშად მაგიერ მეორეს, რომ უფრო „საფუძელიანად“ შემოგვედავოს. გავიმეორებთ აქ ჩვენს არც თუ

ორიგინალურ აზრს, რომ ნამდვილად მხატვრული ნაწარმოები ესთეტიურ შემოქმედებას ახდენს მკითხველზე და ამ საშუალებით აღძრავს მასში ამათუიმ სულიერ განწყობილებას. ესთეტიურობას არაფერი აქვს საერთო ჩვენს ხელოვნებაში სამართლიანად დაგმოვბილ ესთეტიკასთან, რომელიც, სხვათა შორის, უნდა ითქვას აქ, გარკვეულად ახასიათებს მ. მრევლიშვილის ამ მოთხრობას. ესთეტიკა იგრძნობა სათაურშივე („ოქროს ზარნიშინი ხანჯალი“) და გასდევს მოთხრობას ბოლომდე.

ახლა განვიხილოთ უკლებლივ ის ექვსი შეცდომა, რომელთა გამართლებას მ. მრევლიშვილი ცდილობს თავის პასუხში.

1. შაშვის გალობა ნოემბერში ჩვენ მ. მრევლიშვილს მნიშვნელოვან შეცდომად ჩაეთვალათ. პასუხში ის ემყარება სახელგანთქმული ბუნებისმეტყველის ბრემის ავტორიტეტს და გვიმტკიცებს, რომ „შაშვის გალობა“ თითქმის მთელი წლის განმავლობაში გაისმის“. არცერთი ფრინველის გალობას არ აგვიწერს ბრემი ისე დაწერილობით და შესანიშნავად, როგორც „შაშვის გალობას“ (ტ. 2, გვ. 47, 48), მაგრამ არაფერი ამის მსგავსი იქ არ სწერია. მაშასადამე, სანამდის მ. მრევლიშვილი ამგვარ ფრაზებს დასწერდა — „კ. ჭიჭინაძეს მკითხველი შეცდომაში შეჰყავს, ან ვის ვერწმუნოთ, აღფრედ ბრემსა, თუ კონსტანტინე ჭიჭინაძესო“, აჯობებდა თავად ჩაეხედნა ბრემის ნაშრომში და არ ცდი-

ლიყო მკითხველის შეცდომაში შეყვანას. მაგრამ მკითხველის შეცდომაში შეყვანა ამით არ მთავრდება. დავხედოთ „ბრემის მიხედვით“ შედგენილი წიგნის იმ გვერდს (ტ. 4, გვ. 488), რომელზედაც მ. მრევლიშვილი მიგვითითებს. იქ აწერილია ეგრეთწოდებული „ქვის შაშვების“ ოჯახს მიკუთვნილი „ლურჯი შაშვი“ (Синий дрозд, *Monticola cyanus*), რომლის შესახებ ნათქვამია: „მისი გალობა თითქმის მთელი წლის განმავლობაში გაისმის“. წიგნის იმავე გვერდზე იწყება განყოფილება „ნამდვილი შაშვები“ (*Turdus*) და შემდეგ გვერდზე აწერილია ის ერთადერთი ფრინველი, რომელსაც ქართულად ეწოდება შაშვი, მაგრამ მისი გალობის პერიოდის შესახებ არაფერია იქ ნათქვამი. ჩვენ შევეცადეთ მოგვეჩვენა ავტორიტეტულ წყაროში საჭირო ცნობა და მოვინახეთ კიდევცდიდი ენციკლოპედიის „Просвещение“-ს მე-8 ტომში 745 გვერდზე, სწორია, რომ მამალი შაშვი გალობს „მარტიდან ივლისამდე“. მწერალს დანაშაულად არ ჩაეთვლება შაშვის გალობის პერიოდის უცოდინარობა, მაგრამ ვერ ვიტყვით ამასვე მწერლის შესახებ, როდესაც ის, თავისმართლების მიზნით, აშკარა ტყუილს მიმართავს პრესაში.

2. მოთხრობის ერთი ფრაზის გამო „სათოფურებიდან გადმოიხედეს შუბიანმა გუშაგებმაო“, ჩვენ შევნიშნეთ, რომ სათოფურებიდან უნდა გადმოიხედონ თოფიანმა და არა შუბიანმა გუშაგებმა (აქ მეორე შეცდომაც არის, რომელიც ჩვენ წინათ არ აღვნიშნავს: სათოფურებიდან შეიძლება გამოჰკვრეტა და არა გადმოიხედუა, რადგან სათოფურები ციხის კედლებშია დატანებული); აღვნიშნე აგრეთვე, რომ, თუ არა „სათოფურები“, ეს სურათი საშუალო საუკუნეებს მოგვაგონებდა. თუმცა ამბავი მე-18 საუკუნის

ბოლოს ხდება. ამაზე ავტორი გვიპასუხებს, რომ შუბები იხმარებოდა მე-18, მე-19 და თვით მე-20 საუკუნეში, რომ წითელი არმია შეიარაღებული იყო შუბებით სამოქალაქო ომში და სხვა. რა საჭიროა ყოველივე ეს? მ. მრევლიშვილმა თავით იცის, ალბათ, რომ სამოქალაქო ომის პერიოდში შუბებით შეიარაღებული იყო წითელი არმიის კავალერია მხოლოდ. ვერცლემ მეფის ჯარები კი შუბებით არ ყოფილან შეიარაღებულნი, მათი იარაღი იყო თოფი, ზმალი და ხანჯალი, ჰქონდათ ზარბაზანიც. საერთოდ, ციხის სათოფურებთან შუბიანი გუშაგების დაყენება მხატვრულ ნაწარმოებში კუროზად უნდა ჩაითვალოს, რა უხდა ვაჟკეთონ „სათოფურებთან მდგარმა ციხისმცველებმა შუბებით ხელში, როდესაც, მაგალითად, ციხეს თოფებით შეიარაღებული მტერი დაესხმის თავს? გაჰყონ სათოფურებში თავიანთი შუბები შამფურებივით? მერე რა გამოვა აქედან? აშკარად სჩანს, რომ შუბები აქ დასპირებია ჩვენს ავტორს, როგორც ლამაზი საძკაული და არა როგორც ეპოქისა და გარემოებისთვის შესაფერი საომარი იარაღი.

3. ჩვენ დავუწუნეთ მ. მრევლიშვილს ფრაზა „სისპეტაკე სულარისა ჰგლოვობდა კაცს“. ავტორი პასუხში ცდილობს მონახოს ავტორიტეტულ მწერლობაში მსგავსი გამოთქმა, მაგრამ ეს საქმეს ვერ შევლის. „სისპეტაკე სულარისა ჰგლოვობდა კაცს“ არის პრეტენზიული, ვითომდა ლამაზი სტილში გამომხატველი, ნამდვილად კი მხატვრულად სრულიად გაუმართლებელი სახე. მხატვრულ მეტყველებაში დახელოვნებული მწერალი ამას არ დასწერს, კვალიფიციურ მკითხველსაც ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონება.

4. მოთხრობაში მრევლიშვილს ნათქვამი აქვს: „ყველა ომი პატარბატარა ნაწყვეტების დიდტანიანი კრე-



ბულია, რომელიც ერთად, ერთიანი ნებით შედუღებული, ჰქმნის გამარჯვების სიმფონიას“. ამის გამო, სხვათა შორის, ჩვენ შევნიშნეთ, რომ თანამედროვე ომის „ნაწყვეტები“ გრანდიოზული ძალების შეჯახებას წარმოადგენენ. პასუხში ის გვედავება როგორც ეტყობა, მ. მრევლიშვილს ერთმანეთისაგან ვერ გაუტრჩევეია ორი ცნება—„ბრძოლა“ და „ომი“. ბრძოლა არის მოწინააღმდეგე ძალების ცოტა და თუ ბევრად დამოუკიდებელი ნაწილებს შეჯახება ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ბრძოლა შეიძლება გათავდეს ერთ საათში, ან გაგრძელდეს რამდენიმე დღეს და კვირასაც კი. ომი ეწოდება შტერთა შორის ყველა საბრძოლო მოქმედების ჯამს დღიდან მშვიდობიანობის დარღვევისა ზეამდე. ომი ზოგჯერ მალე თავდება, უმეტეს შემთხვევაში კი რამდენიმე წელს გრძელდება. ისტორიამ ისეთი ომიც იცის, რომელიც ათეული წლები გაგრძელდა. მაგრამ მოთხრობის ზემოაღნიშნულ ფრაზას ჩვენ უმთავრესად იმიტომ გამოვედავით, რომ მისი მიხედვით გამოდის თითქოს ყოველი ომი გამარჯვებით თავდება, რაც სრულ შესაბამისსაა წარმოადგენს; ამის შესახებ კი ავტორი თავის პასუხში არას ამბობს. ეს ფრაზა უეარგისია მთლიანად დაწყებული „პატარ-პატარა ნაწყვეტებიდან“ და გათავებული „გამარჯვების სიმფონიით“.

5. მთელი ჩვენი წერილის დედა-აზრი იყო: არ უნდა სწერო იმაზე, რაც არ იცი. მ. მრევლიშვილს შემოუბრუნებია თავის პასუხში კეხი და გვასწავლის: „არსებობს ერთი უდავო კეშმარიტება: რაც არ იცი, იმაზე არ უნდა სწერო: თუ, მაგალითად, პოეტმა კ. კივინაძემ არ იცის, თუ სად მდებარეობს შუამთის მონასტერი, მან ამ საგანზე არც უნდა სწეროსო“. საკითხი ჩვენი უცოდინარობის შესახებ აქ მკვეთრად დასმული. საჭიროა ამი-

ტომ გავიხსენოთ, თუ რა გარემოება იწვევს კამათს ამ შემთხვევაში. მოთხრობაში მხედარი უმცლესდემოკრატიის მონასტერს და ნათქვამია: „ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივი მხედრის საკურველზე ბრჭყვინავდა“. ჩვენ შევნიშნეთ, რომ შუამთის მონასტერს, მისი მდებარეობის გამო, ჩამავალი მზის სხივი ვერ მოხვდება. აქ იმასაც დაეუმატებთ, რომ შუამთის მონასტრისაკენ მიმავალ ადამიანს ჩამავალი მზის სხივი, და ისიც უკანასკნელი, არ შეიძლება შეეხოს თუნდაც იმიტომ, რომ ვხა იქ ახლაც დაფარულია ტყით. მრევლიშვილი სწერს: „შუამთის აღმოსავლეთით მთა ცივი მდებარეობს, ხოლო დასავლეთით გომბორი“. გამოდის, რომ შუამთა სხვა ყოფილა, ცივი სხვა და გომბორი კიდევ სხვა. ადგილობრივ მცხოვრებთათვის ეს, ალბათ, ასეც არის, მაგრამ საერთოდ კი გომბორის მთები ეწოდება მთების იმ კომპლექსს, რომელიც მთავრეხილის სახით გაწოლილა ალაზანსა და იორს შუა. ჩავიხედოთ ენციკლოპედიაში? „Гомборские горы (Циви) тянутся на значительном протяжении с СЗ на ЮВ и, поднимаясь до 5—6 т. фт., составляют водораздел между Иорюю и Алазанью („ბროკ. და ეფრ“ ტ. 17, გვ. 148). ცივი აქ იგივეა, რაც გომბორი. მაგრამ ჩვენი კამათის ნამდვილ საგანს მთების სახელწოდებანი არ წარმოადგენენ, იმიტომ დაუბრუნდეთ ისევ „უკანასკნელი სხივის“ ესთეტურს, მაგრამ სადავო ბრჭყვინავას მხედრის საკურველზე. მზის ჩასვლა ეწოდება იმ მომენტს, როდესაც მზე ფართოდ გაშლილ ჰორიზონტს იქით დაიმალება და ამას მალე მოჰყვება შებინდება და შერე დაღამება. თორემ რამდენჯერ მზე მთას ან გორას მოეფარება, იმას მზის ჩასვლად ვერ ჩაეთვლით. რაც შეეხება შუამთის მონასტერს ნამდვილად ჩამავალი და არა უბრა-

ლოდ მთას მოფარებული მზის სხივები შეიძლება შეხებოდა მათ მხოლოდ მაშინ, თუ ეს მონასტერი მოთავსებული იქნებოდა გომბორის ქედს გადაღმა კი არა, არამედ გადმოღმა, ესე იგი გომბორის მთაგარეხლის იმ კალთებზე, რომელიც მიქცეულია იორისაკენ. ჯერჯერობით შუამთის მონასტერი გომბორის ქედს გადაღმა მდებარეობს და ამიტომ მ. მრევლიშვილი ამ დავაშიც უქველად სცდება.

6. მოთხრობაში სჭირია: „ხოვზბრის მზიანს, მაგრამ სუსხიან დღეს ბოლო ეღებოდა“. ჩვენ შევნიშნეთ, რომ კახეთში ნოემბრის დღე, თუ მზიანია, სუსხიანი არ იქნება. ჩვენს შენიშვნას მ. მრევლიშვილი სთვლის „სრულ გაუგებრობად“ და „უპასუხისმგებლო განცხადებად“. იგი სწერს: „თუ ნოემბერში ალაზნის ველზე ზოგჯერ ცხელა კიდეც, რატომ არ შეიძლება ამ ველზე ზოგჯერ ციოდეს კიდეც, განსაკუთრებით ნოემბერში, საღამო ხანს, შუამთის კალთებზე. ესმის თუ არა კრიტიკოსს მნიშვნელობა სიტყვისა „ზოგჯერ“? ჯერ ერთი „საღამო ხანი“ აქ არაფერ შუაშია. რადგან ფრაზაში „მზიანს, მაგრამ სუსხიან დღეს ბოლო ეღებოდა“ იგულისხმება მთელი დღე და არა მხოლოდ საღამო; მეორე, კრიტიკოსს კი ესმის, თუ რას ნიშნავს სიტყვა „ზოგჯერ“, მაგრამ, როგორც ეტყობა, მ. მრევლიშვილს არ ესმის, რომ მხატვრულ შემოქმედებაში განზოგადოებულად ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ტიპურ მოვლენებზე, ხოლო თუ მწერალი აგვიწერს იმას, რაც ხდება „ზოგჯერ“, გამონაკლისის სახით, მაშინ მან უნდა აღნიშნოს, რომ ეს გამონაკლისია. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ რომელიმე მწერალმა დასწერა: „მიმინო ძლივს მიჰტრენდა ტყის თავზე“. ჩვენ უფლება გვაქნება გუთხარათ ავტორს, რომ მიმინო ძალიან სწრაფად ჰტრენს, და რატომ მიჰ-

ტრენდა მისი მიმინო „ძლივს“? რაზე გორ მოგეწონებოდათ მწერლის ამგვარი პასუხი: „მიმინო ჩემს მოთხრობაში იმითომ მიჰტრენს ძლივს, რომ ის დაჭრილია მონადირის მიერ“. ცხადია, თუ მიმინო დაჭრილი იყო, მწერალს უნდა აღნიშნა ეს გარემოება. მაგრამ ჩვენ კატეგორიულად უარყოფთ, რომ ნოემბრის მზიანი დღე კახეთში, სადაც ქარი არ იცის, სუსხიანი იყოს, თუნდაც ზოგჯერ. კახეთის შესახებ ვახუშტი სწერს: „ხოლო პავითა არიან მშვენნი, სამთარ თბილი, ზაფხულ ცხელი და არა ეგდენ, მცირეთოვლიანი, უყინულო, უყივრო, ვინაითგან ვეროდეს გაჰყინავს მდინარეთა და არცა დადგრების თოვლი დღე სამ, და უქარო“. (გეოგრაფია, გვ. 286). სადაც სამთარი თბილია, იქ არ შეიძლება შემოდგომაზე, მზიან ამინდში სუსხი იცოდეს („სუსხი — снххххх мороз“, დ. ჩუბ. ქართ.-რუს. ლექსიკონი).

ამგვარად, ჩვენ დავინახეთ, რომ მ. მრევლიშვილმა ვერ გააბათილა ვერცერთი ჩვენი კრიტიკული შენიშვნა. მიუხედავად ამისა, მეტად უდიერი ტონით დაწერილ თავის პასუხს იგი ამგვარი სიტყვებით ამთავრებს: „ასეთი კრიტიკა სცილდება ობიექტურობისა და მიუდგომლობის ფარგლებს და მწერალს სწორი ორიენტაციის მაგიერ ყალბ გზაზე აყენებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მწერალი უფრო პასუხისმგებლობით უნდა უდგებოდეს, ამათუიმ მხატვრული ნაწარმოების გარჩევას“.

ჩვენ შეცდომაზე მიგვიითიბებია უფრო გამოჩენილი მწერლებისათვის, ვიდრე მ. მრევლიშვილია, მაგრამ ისინიც კი არ გაფიცებულან, ამდენად. არასოდეს ჯერ კრიტიკას ნამდვილი მწერალი არ მოუკლავს, პირიქით, ზოგჯერ თვალსაჩინო დახმარება გაუწევია მისთვის.

ბიბლიოგრაფია



„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, 1, 1946.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. აკად. ნ. შარის
სახელობის ენის ინსტიტუტი. 7X11, 404 გვ.

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ნ. შარის სახელობის ენის ინსტიტუტის ორგანოა (რედაქტორი — აკად. ვ. თოფურია). იგი არსებითად აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომელთაც ამკვიდრებდა „აკად. ნ. შარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე“ (ენიქის მოამბე; რედაქტორი — აკად. ს. ი. ჯანაშია) და რომლის გამოცემაც შესწყდა 1941 წ., როდესაც, საქ. მეცნიერებათა აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით, ენიქი გაიფო ორ მომე ინსტიტუტად: „აკად. ნ. შარის სახელობის ენის ინსტიტუტად“ და „აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტად“. ენიქის მოამბის უკანასკნელი—XIV—ტომი გამოქვეყნდა 1944 წელს (ამ ტომის რედაქტორია პროფ. ს. ყაუხჩიშვილი). ეს ორგანო წარმოგვიდგენდა სხვადასხვა დისციპლინებს: ისტორიას, ენათმეცნიერებას, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას, შესაბამისად იმ ინსტიტუტის პროფილისა, რომლის ორგანოც ის იყო. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ წმინდა საენათმეცნიერო ეურნალია, რომელშიაც სისტემატურად გამოხატულდება იპოვის თბილისის საენათმეცნიერო სკოლიდან გამოსული ნაშრომები, — თბილისის საენათმეცნიერო სკოლისა, რომელიც ერთი უმძლავრესი სამეცნიერო სკოლათაგანია საბჭოთა საქართველოში და რომლის მიღწევები კარგად ცნობილია როგორც ჩვენს საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც.

თამაშად შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად კავკასოლოგიისა და ქართველოლოგიის ცენტრს თბილისი წარმოადგენს, მთის კავკა-

სიის ენათა შესწავლას განუზომელი მნიშვნელობა აქვს როგორც თავისთავად, ისე ქართველი ერის ისტორიული ფესვების ამოსაცნობად, რამდენადაც ამ ენებში დაფენებულია ძველისძველი ელემენტები მცირე აზიის გადაშენებულ ეთნიკურ ერთეულთა ენობრივ საშუაარდან. საინტერესოა წარმოადგენილია ქართველ ენათმეცნიერთა უკანასკნელ წლებში (უშვავრესად სამამულო ომის პერიოდში) მოპოვებული შედეგები ქართველურ და კავკასიურ ენათა მეცნიერულ დამუშავებიდან.

წარმოდგენილი გამოკვლევები ეხებიან: 1. ქართველურ ენებს, 2. ქართველურ ენათა ურთიერთობას, 3. ქართველურ ენათა მიმართებას სხვა სისტემის ენებთან.

ქართული ენის რიცხვის პრობლემას მიეძღვნება ორი მნიშვნელოვანი გამოკვლევა. რიცხვი ქართული ზმნის უღვლილების ერთი ძირითადი კატეგორიათაგანია. ზმნაში რიცხვის აღნიშვნის ამ უძველესი ნორმით თითქოს მართა ქართულის ნიდაგზედაც მართლდება ფრანგი ლინგვისტის ე. ვანდრიესის დებულება, რომ დროის კატეგორიასთან ერთად რიცხვის კატეგორიას სინამდვილესთან უფრო მეტი შვიდრო კავშირი აქვს, ვიდრე სქესს, და თანამედროვე მსოფლგაგებაში რაციონალურად მართლდება... შრავლობითი რიცხვის გამოსახატავად ქართულს თავისი გახსაკეთრებული ნიშნები (ფორმანტები) გააჩნია, მაგრამ ზოგჯერ სისტემა ირღვევა და ფუძის შეცვლითაც გამოიხატება მრავლობითობა. მაგალ, ი გ დ ე ბ ს ქ ვ ა ს, მაგრამ: ყ რ ი ს ქ ე ბ ს. ივ. ჭავთარაძის გამოკვლევის შემდეგ („რიცხვნაკლი ზმნები ძველ ქართულში“) ირკვევა, რომ, თუ დღემდის ამ-

გვარივე ტიპის გვეგონა, მაგალითად, დას-
 უა (ახალი ქართულით: დასვა), ერთი მხრით
 (ვთქვათ, ბავშვი), და დასხა (ვთქვათ, ბავ-
 შვები), მეორე მხრით, ე. ი. სხვადასხვა ფუ-
 ძედ შეიწინვედით, — ამიტომდნ ნათელია,
 რომ ერთნაირი ფუძეა ორივეგან: დასუა,
 დასუ-ხა (უ შემდეგ ამოვარდა). ძირი
 სუ, როგორც მხოლოებითში, ისე მრავლო-
 ბითში უდომის ცნების გამოსახატავად. რაღა
 მრავლობითში მომატებული ხ? იგი, ირკვევა,
 მრავლობითობის ვადამწებელი ფორმანტია,
 რომელიც დღეს ქართულში არ ითვლება
 სიმრავლის გამოსახატავად, მაგრამ ძველად
 კი არსებობდა (რელიქტურად შემორჩენილა
 ენისიკურ სახელებში: ჯეა-ხ, ტაო-ხ, კოლ-
 ხ, და ეოტალია სვანურში და ჩრდ. კავკასიის
 ენებში, როგორც ნიშანი მრავლობითობისა),
 ასეა გაანალიზებული რამდენიმე სხვა სიტყ-
 ვაც. ეს უფროდ ჰქვამახვილური დაკვირვებ-
 ბის შედეგია!

მრავლობითი რიცხვის ნიშნები ქართულ-
 ში უპირატესად სიტყვის ბოლოსაა, ე. ი.
 სეფიქსური წარმოებისა. მხოლოდ პირველი
 პირის ობიექტი გადმოიცემა პრეფიქსით,
 ძველს ქართულს საამისოდ ორი ნიშანი აქვს:
 მ და ვუ (მო-მ-ეც ჩვენ, მო-ვუ-ეც ჩვენ).
 აქედან მრავლობითობის სპეციფიკურია
 ვუ (თანამედროვე გვ.) მ მხოლოდობითობის-
 საც სახიაროა. არჩ. ჩაქობავა („მრავლო-
 ბითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისა-
 თვის ქართული ზნის უღელიღების სის-
 ტემაში“) ამტყობებს, რომ ვუს უძველეს
 ქართულში არ ეკისრებოდა მრავლობითობის
 გამოხატვა. ამგვარად, ეს დაბრკოლებაც იხ-
 ნება და მუშავდება მწყობრი სურათი: რიცხ-
 ვის გამოსახატავად ქართულისათვის ნიშან-
 დობლივია პრეფიქსაცია... რაც შეეხება ორ
 ერთიანტ მ-სა და ვუს (რომელთაც შემდეგ
 მინიჭებიათ რიცხვის გამოხატვა), ისინი სხვა-
 დასხვა დიალექტური წარმოშობისაა. ვეფ-
 ხესტყავისანში და საერო ლიტერატურის
 სხვა ძეგლებში უკვე ბატონდება ვუ და გან-
 დენილია მ. განახლებული ქართული სალი-
 ტერატურა ენისთვის, მიყოლებული XII სა-
 უკუნისდან, აღმოსავლური კილოებია ისევ
 საორიენტაციო (1122 წ. ისევ თბილისია სა-
 ქართველოს დედაქალაქი), ხოლო ვუ ვა-
 რიანტი აღმოსავლური კილოების წარმო-
 ნაქნიათ, მსგელობს იეტორი.

საყურადღებოა არ. მარტიოსოვის გამო-
 ელვევა: „თანდებული ქართულში“. ცნობი-
 ლია, რომ თანდებულები მიმდინარეობენ
 ცალკე, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქო-
 ნე სიტყვათაგან. თავისთავად სიტყვები ხში-

რი ხმარებისაგან დროთა ეითარებაში ისე
 გაცვინენ, რომ ნაწილაკებად იქნენ. ზო-
 გირთ ენაში დღესაც არსებობს მრავლობითობის
 ამ ოდესლაც დამოუკიდებელი მნიშვნე-
 ლობის მქონე სიტყვითა პირვანდელი ბრუნ-
 ბისა. ისტორიულად თანდებული სხვას რომ
 მიეკლდა, დაეარდა დამოუკიდებელი მნი-
 შნელობა და თავის მხრივ გავლენა მოახ-
 დინა სახელთა ბრუნების სისტემაზე. პროტესი
 ისე ზორს წავიდა, რომ თანდებულობაში
 ბრუნვამ ნაწილობრივ შეაფეროვა და რიც
 შემთხვევაში განდევნა კიდევაც ზოგიერთი
 დამოუკიდებელი ბრუნვა. ასეთი ბედი ეწია
 ბრუნვებს, მაგ. ფრანგულსა და ინგლისურ-
 ლს... ქართულში ეგ საკითხი დაწვრილებით
 არ ყოფილა შესწავლილი. ავტორი მონო-
 გრაფიულად წარმოგიდგენს ქართულ ობი-
 დებულებს, არკვევს მათ ფუნქციას ისტო-
 რიულად და ადგენს ეტიმოლოგიებს. გამოვე-
 ნებულია ქართული ლიტერატურული ძეგ-
 ლები V საუკუნიდან მოყოლებული დღემ-
 დის; საილუსტრაციო მავალითები მოტანი-
 ლია თანამედროვე საბჭოთა მწერლთაუდანაც.
 თანდებულის საკითხს მიეძღვნება ჯ. ძიწენი-
 ძის ნაშრომიც: „გან თანდებულობის მოკ-
 პრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში“.

ქართული ენა მდიდარია შორისდებულე-
 ბით. გ. ვანდრიესი შორისდებულებს მი-
 კლუნებას „აფექტურ მეტყველებას“ და გა-
 ნასხვავებს მათ „ინტელექტუალურისაგან“
 შორისდებული ადამიანის რთულ ემოციებს.
 და სულიერი განწყობილების ექსპრესიას
 გადმოცემა მას ხმის საკუთარი მოდულაცია
 და ინტონაცია ახასიათებს. ამიტომ აფექტუ-
 რი ელფერი, ინტონაციურ-ექსპრესიული და
 ფონეტიკური მხარე შორისდებულებს გაცი-
 ლებით უფრო მდიდარი აქვთ, ვიდრე სხვა
 მეტყველების ნაწილებს. მათი სემანტიკა მრ-
 ვალფეროვანია, — გამოხატავს: აღტაცებას,
 სიზარტულს, სიამოვნებას, მოწოდებას, კმაყო-
 დილებას, ზიზღს, ტანჯვას, დაკინებას, გამე-
 ღაბას და მისთანანი... საფუძვლიანი გამო-
 კვევა უძღვნა ამ საკითხს სერგი ვლენტმა
 („შორისდებული ახალ სალიტერატურო ქარ-
 თულში“). სითანადო თვალსაზრისით შესწავ-
 ლილია ახალი ქართული მწერლობის დირს-
 უსანიშნავი წარმომადგენლები. ავტორს მო-
 მყავს პარილუბები უცხო ენებიდანაც. შეა-
 დარე მაგ. ქართ. ვეშ („ვეშ! დაევირა“, ეკა-
 კი), გერმ weh; ქართ. ჩუ (ჩუ, გამოხტა ავტრ
 მწვერი), რუს. Чу (Чу, два похоронных
 удара; Некрасов) და მრავალი სხვ. ხომ არ
 არის ამგვარ შემთხვევაში სესხება? იეტორის
 იზრით, ბერათა კომპლექსების მხრივ და

ზოგჯერ სემანტიკური და მსგავსი შორისდებულები დამოუკიდებლად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ. ჩანს, სხვადასხვა ენას რთულ ემოციურ გრძობათა გამოსახატავად ერთნაირი ენობრივი მასალა გამოუყენებია... სადრეკიბელია, ეს გარემოება ნაწილობრივ აისწნება იმ ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებით, რომელნიც შორისდებულთა საფუძველს შეადგენენ და მას სხვა მეტყველების ნაწილთაგან განასხვავებდა. შიდაარი ინტონაციურ-ექსპრესიული და ფონეტიკური მხარე შორისდებულებს სხვადასხვა ენაში ერთნაირ ხმოვანთა ან ერთნაირ თანხმოვანთა და ხმოვანთა შეერთებით გამოხატავს... მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შორისდებულების სხვახედასაც არ ჰქონდეს ადგილი (მაგალითად: რუსულში თათრულიდან შეესულია **ამამ** და სხვ.).

ქეთ. ლომთაძე („დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში“) ყურადღებას ამახვილებს ყოლოებში დაკრულ ერთ სინტაქსურ თავისებურებაზე: დამოკიდ. წინადადების ბოლო სიტყვის ბოლო მარცვლი გავრძელებულად გამოითქმის გურულ-აჭარულ-ინგოლოურში („გარეთ რომ გამევიდა, დუღძაბა...“). მოცემულია ასწრა: აჭარული დამოკიდ. წინადადება განსაზღვრული ხასიათისაა, ე. ი. მათში იგულისხმება იმ ვითარებაზე მითითება, რაც თანამოსაუბრისათვის უკვე ცნობილია; ეს გრამატიკული ზერხი დამოკიდ. წინადადებას ანიჭებს განსაზღვრულობას... ავტორის აზრს უაღრესად საგულისხმოა. მის სასარგებლოდ დამარკობენ გარკვეული ფაქტები. მაგრამ ჩვენ გვებადება სხვადავარი აზრია, აქ შეუძლებელია დეტალურად დავასაბუთოთ ჩვენი აზრი, და ამიტომ დავკმაყოფილებით ზოგადი შენიშვნებით. ჯერ ერთი, კორექტეს საჭიროებს დებულება, რომ ამ ტიპის წინადადებაში ყოველთვის იგულისხმებოდეს იმ ვითარებაზე მითითება, რაც თანამოსაუბრისათვის უკვე ცნობილია. გარდა ამისა, ავტორი არსად არ აღნიშნავს, რა სახეობის დამოუკიდებელ წინადადებაში აქვს ადგილი სათანადო თავისებურებას. თუ ჩვეულებრივად ვწეროთ დამოუკიდებელ საილუსტრაციო ნიმუშებს, დავრწმუნდებით, რომ გვაქვს დროის პირობისა და რელაციური წინადადებები. ამ არსებითი ხასიათის გარემოებისადმი ყურადღების მიქცევა დაავადებულდება ავტორის გარკვეული დასკვნები გამოეტანა. რაც შეეხება სათანადო ფაქტის ინტერპრეტაციას, თითქოს განსაზღვ-

რულობის კატეგორიასთან გვეკონტაქტს სტყვე, გამოსარიცხავი თვალსაზრისი გვეგონა, ეს არ არის. მაგრამ სხვადასხვა ნაწილობრივ სხვადასხვა, რომ ქართულში **მე** სიტყვის მიხედვით და დროის წინადადება კითხვითი წინადადება იყო ენის ძველ საფეხურებზე (პრაქტიკის პერიოდში) და მას სათანადო ინტონაციურ-მელოდიკური თავისთავადობა ახასიათებდა. ამგვარ კითხვის წინადადებას პასუხობდა მასთან ლოგიკურად დაკავშირებული მეორე წინადადება, და როდესაც ენაში დაქვემდებარებული წინადადების კონსტრუქცია გამოუმწავდა; ეს მეორე წინადადება მოვარად იქცა და პირველი დამოკიდებულად. და აი, კოლოებში შემონახულია ის ძველი, გარდამავალი ვითარება, როცა ჯერ კიდევ კითხვის ინტონაცია მოშლილი არაა, თუმცა კონსტრუქცია ჰიპოტაქსურია: ამას მშვენივრად ადასტურებს ინგილოური დიალექტის მონაცემები: **მ. ჯანაშვილის ტექსტებში** ბოლო სიტყვას ა ემატება, და ეს ა სხვა არაფერია, თუ არ ძველი ქართულიდან ცნობილი ფორმანტი კითხვითობისა. აქ ა რელიტურად შემორჩენილია და იგი შემდეგ შესაძლოა არც აღიჭვავოდა, როგორც კითხვის მარეწებელი, რადგანაც საამისო საჭიროება აღარაა (დაქვემდებარების კონსტრუქცია საბოლოოდ განმტკიცებულა). ამიტომ, არ არის გასაკვირველი, რომ ამ საუკუნის პირველ წლებში ეგ მოკლენა ინგილოურში ჯერ კიდევ კოცხალი იყო, ამგვარად ეს ა აღარ ახასიათებს ინგილოურ მეტყველებას.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართული ენის სინტაქსი ნაკლებად დაქვემდებარებული დარგია, ცხადი გახდება მნიშვნელობა ყოველგვარი ნაშრომისა ამ მიმართულებით. საყურადღებოა **ანტ. კიორიას** წერილი სათაურით: „ნათესაობითარი მანუალებების ურთიერთობისათვის საზღვრულთან ძველ ქართულში“. საანალიზო მასალა უხვადაა მოყვანილი და ექვსმოუტანელი. ავტორის მიერ მიღებული დასკვნები დამაჯერებელი და საინტერესოა.

ძველ ქართულ ენება აგრეთვე **თინ. ყაუხიშვილის** წერილი: „ზოგი ნაწილათისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში“. ფაქტები გაანალიზებულია ამომწურავად; დასკვნები გამოტანილია ბერძულ-სომხურთან შედარების ფონზე.

საყურადღებოა **ვუკ. ბერძის** ეტიმოლოგიური ძიება („**ზღუდე** სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ **შეზღუდულის** მნიშვნელობის ევო-

ლუციისათვის"). აბდულმესიანში არის შემდეგი აბგალი:

ნესტორად მძლეობ, არა თუ ლეობ, დიმიტრის მიერ ძალ შეზღუდულია. რას ნიშნავს ძალშეზღუდული? დღევანდელი გაგებით, შეზღუდული უფროსი შევიწროებულს, შემცირებულს, დაკლებულს (ограниченный), მაგრამ ეს გაგება ახალია, ხელ ოთხიხუთი ათეული წლისაა (მაგალი საბამ და ჩუბინაშვილმა იგი არ იციან). ავტორი სრულიად დამარწმუნებლად ცხადჰყოფს ძველი ქართული წერილობითი ძეგლების საფუძველზე, რომ შეზღუდული ნიშნავდა გამაგრებულს, განმტკიცებულს. ამ სიტყვის საფუძველია ზღუდე. თავდაპირველად ის ნიშნავდა კედელს, ზღვარის დამდებ სიმაგრეს. მხოლოდ ახალ ქართულში მიენიჭა ამ სიტყვას ის გაგება, რაც ახლა ცნობილია

სევანური ქართველურ ენათა შორის ხმოვნებით ყველაზე უფრო მდიდარია. არაგვს-პერიმენტულმა დაკვირვებებმა მათზე მრავალი მკვლევარი შეიყვანა შეცდომაში. გამოჩენილი მკვლევარი, სევანურის კარგი მკოდნე ნ. შარი გარკვეულ სიმძლეებს აწყდებოდა ამ მხრივ. იგი აღნიშნავს ერთგან: „შეგვიან შეენიშნე უშგულურში ხმოვანთა სიგრძე და არა ერთბაშად და საცნებით კარვად შევითვისე შერბილებული ა, რომელსაც პირველ ხანებში ხშირად ვერცხად თითქმის აა-ში“. სანაური ვოკალიზმის ზუსტ შესწავლას ამ მეტყველების ბევრ ფონეტიკურსა და მორფოლოგიურ მოვლენებში შეუძლია გაგვარკვიოს... სერგი ვდენტს („სევანურ ხმოვანთა პალატოგრაფები და რენტგენოგრაფები“) დიდი მუშაობა ჩაუტარებია სევანური ხმოვნების ექსპერიმენტული შესწავლის დარგში და მნიშვნელოვანი შედეგები მიუღია. სევანურ ხმოვანთა პროფილების ზუსტად გამოსარკვევად მას გამოუყენებია ხელოვნური სასისა და რენტგენოგრაფიის მეთოდები.

სევანურსაც ეხება თინ. შარაქნიძის გამოკვლევა: „უარყოფითი ნაწილაკები სევანურში“. სევანური მდიდარია უარყოფითი ნაცვალსაბუღებით და მათგან ნაწარმოები უარყოფითი ნაცვალსაბუღებით, ზმნისართებითა და კავშირებით. ეგ საკითხი კი დღემდის შესწავლული იყო. ავტორი აღწესსავს სევანურში არსებულ უარყოფითს ნაწილაკებს, ნაცვალსაბუღებს, ზმნისართებს, კავშირებს და აღგნის მათ მნიშვნელობას.

მეგრულს მიეძღვნება კრებულში ქეთ. ლომთაიძის სტატია: „ქ სუფიქსისათვის მეგრულ მსხმებში“. მეგრულში ზმნებს აწყყოს

დროის პირველ და მეორე პირში მსხმათებს ქ სუფიქსი (ეორე — ქ...), ამ მორფოლოგიური მოვლენის გენეზის შესახებ სხვადასხვა ავტორი (კავკასიურ ენათმეცნიერები, თოფურია, ჩიქობავა), მაგრამ დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მიუციათ. ქ ლომთათიძის ამ სანიშნუო გამოკვლევაში საფუძვლიანადაა განხილული ხსენებული მოვლენა, მოყვანილია შესადაარბელი ფორმები როგორც ქართულ-სევანურიდან, ისე კავკასიურ ენათაგან და მიღებულია ერთადერთი შესაძლებელი დასკვნა მისი რაობის შესახებ. ავტორით, ეს ქ გენეტიკურად დამხმარე ზმნიდან მომდინარეობს.

ქართველურ ენათა ურთიერთობის საკითხებიდან სარცენზოთი კრებულში წარმოდგენილია რამდენიმე ნაშრომი. ვარლამ თოფურიას ვრცელ გამოკვლევაში („რედუქციისათვის ქართველურ ენებში“) განხილულია ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართველურ ენათა ფონეტიკიდან — რედუქციის ბუნება და ისტორიული ვითარება. რედუქციის წესი მეტად გავრცელებულია სევანურში; მეგრულ-ქანურში სუსტადაა წარმოდგენილი, ხოლო ქართულში სხვადასხვა ვითარება დაილექტალურად; ძველ ქართულს ნაკლებად ახასიათებდა. დადგენილია რედუქციის გავრცელების წესები. ფაქტების ანალიზისა და შედარებების ნიადაგზე ავტორი ექვემდებარებს ხდის რედუქციის ისტორიულ განვითარებას ქართველურ ენებში. ირკვევა, რომ რედუქცია გვიანდელი მოვლენაა; იგი ერთნაირი ძალისა და ერთნაირად გავრცელებული არ ყოფილა ჩვენს ენებში და კილოებში.

ქართველურ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის მიეძღვნება რამდენიმე გამოკვლევა. არ სებობს გარკვეული პრეზუმპცია ქართველურისა და არაქართველური კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ. სთაწალო კონკრეტული გრამატიკული ფაქტები ჯერ კიდევ შედარებით მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, მაგრამ უხვად მოგვეპოვება ტიპოლოგიური ხასიათის პარალელები. ტიპოლოგია, თუნდაც მკვეთრად გამოშვლავებული, თავისთავად ვერ გადასწყვეტს ენათა ნათესაობრივი ურთიერთობის საკითხს. ჩვენ არაკავკასიურ ენებშიც ხშირად ვპოულობთ ქართველურისა და, საერთოდ, კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელ მოვლენებს. მაგრამ ჩვენი ენებისათვის მნიშვნელოვანია ტიპოლოგიურ შეხვედრათა ერთობლივი სისტემა და არა ყერობითი ხასიათის პარალელები. ტიპოლოგიური პარალელების ერთობლივი და მეტ-ნაკლებად მილიანი სისტემა

შეცნაურულ დამაჯერებლობას ანიჭებს ჯერ კიდევ მცირერიცხოვან გრამატიკულ დაქტებზე დამყარებულ დებულებას ქართველურ და სხვა კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ. ქართველურისა და კავკასიური ენების სტრუქტურული ურთიერთობის დისადგენად განსაკუთრებით სვანურის მონაცემებია გასათვალისწინებელი. სვანურში ცოცხლად წარმოდგენილია ქართველურ ენათათვის დამახასიათებელი ძირითადი და ტიპური ინვენტარი. სვანურის ნარეობის დაქტი მკვეთრად გამოიხატა ნ. შარვა, ვ. თოფურიაშვილს გამოკვლევაში („სვანური ენა“) ცხადყო, რომ სვანური ზმნის ბუნება არსებითად არ განირჩევა სხვა ქართველურ ენათა ზმნის ბუნებისაგან. მაგრამ ამ საერთო მოცულებითან ერთად სვანურში ისეთი გრამატიკული ფორმებიც გვხვდება, რომლებიც განასხვავებენ მას ქართულ — შერეულ — ჭანურისაგან და ახლოს აყენებენ დაღისტურსა, ჩანურ-ინგულურსა და უმთავრესად, აფხაზურ-ადიღურ ენებთან. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაშრომები გამოაქვეყნა სიმ. ჯანაშიამ. ერთ-ერთ გამოკვლევას ს. ჯანაშია აღნიშნავს: „სვანური ქართველურ ენად რჩება და ვე დებულება ურყველია. ჩერქეზული ელემენტი სვანურში მხოლოდ იმის მოწმობაა, რომ ამ ქართველურს, და ზოგად-ქართველურის თვალსაზრისით, უაღრესად საფურადღებო ენას რომელიც ისტორიულ პერიოდში (შეიძლება ენავე დავაზუსტოთ: რიგს ისტორიულ პერიოდებში) მქონდა და ინტენსიური კონტაქტი მქონია ჩერქეზულ ენობრივ-კულტურულ სამყაროსთან. ურთიერთობის ინტენსიურობისათვის ყოველის უწინარეს მორფოლოგიური დაქტებია ნიშანდობლივი“. „ჩერქეზული ელემენტი“ სვანურში გავრცელებულია არა როგორც მეჭინჭურად ნასესხები, არამედ როგორც შედეგი სვანურისა და ჩერქეზულის მქონდრო და ინტენსიური ურთიერთობისა... კამიშე დინდუხას გამოკვლევა („ადიღური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში“) ამავე რიგისაა: მასში შეცნიერული დამაჯერებლობით ნაჩვენებია ადიღურ-სვანურის შეხვედრები ერთი ბრუნვის საფუძველზე. ჩვენი ენებისა და უღურთ ენის პარალელებიდან რამდენიმე ნაშრომის ავტორი ვლად. ფანჩიძე სარტყენზიო წიგნში წარმოდგენილია გამოკვლევით: „მორფოლოგიური შეხვედრებისათვის უღურთ ენისა ქართულ-ქართველურ ენებთან“. ჯერ ნაჩვენებია სტრუქტურული ხასიათის შეხვედრები როგორც სახელის, ისე ზმნის კატეგორიებში. უღრო მნიშვნელოვანია ის მონაცემები უღ-

რი ენისა, რომელთაც პარალელი შეხვედრა ქართველურ ენებში არა მარტო სტრუქტურულად, არამედ ფონეტიკურად ადვილსაჩვენებელია, რაც ავტორს აფიქსირებებს ამ ენების გენეტურ ურთიერთობას (ცხადია, ზოგადი კავკასიური ეთარების გათვალისწინებით). ამ ხასიათის შეხვედრები დასტურდება სახელისა და ზმნის მორფოლოგიაში. ქართველური და ადიღური ენების მიმართებას ფონეტიკის სფეროში მივძღვნება გამოკვლევა გ. როგავას: „ფარინგალურ ხშულთა რიგისათვის ქართველურსა და ადიღურ ენებში“. მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია ზოგად კავკასიური ფონეტიკური სისტემის პრობლემატიკის თვალსაზრისით. სხვათა შორის, ადიღური ელემენტი გამოვლილია მთელ რიგ ქართულ გვარებში: ზაძ-ლუა, ტაძ-ლუა ფა-ლუა (ფაღაფა), ბო-ხუა, ლაბა-ხუა, რუ-ხუა-ძე (რუხაძე), თალა-კვა-ძე, ვე-კვა, რე-კვა-ვა, მი-გუა, გა-გუა, ბოლ-ქვა-ძე, სალუ-ქვა-ძე, ჩი-ქვა-ნი, ჩი-ქვა-ვა (ჩიქვა-ვა), ჩი-ქვა-ნაია, და სხვ. ამ მხრივ ნაშრომი წარმოადგენს იმ გზის გაგრძელებას, რაც დასაბამი. ჯანაშიამ. ჩვენი ენების მიმართების საკითხს სხვა სისტემის ენებთან მივძღვნება რამდენიმე სტატია. სიმ. ყაფხაშვილი, რომელსაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართულის ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობიდან, სარტყენზიო წიგნში წარმოდგენილია სანიმუშო ნაშრომით: „ბერძნულ-ქართული სემასიური პარალელები“. გამოკვლევა საყურადღებოა არა მხოლოდ ქართულ-ბერძნულ სემასიური ურთიერთობების შესასწავლად, არამედ ზოგადი ლექსიკოლოგიის თვალსაზრისითაც, რამდენადაც მასში ჩინებული ნიმუშებია გაანალიზებული სემანტიკის ქაზოგადო კანონების საილუსტრაციოდ. კოლხეთის ერთი ეთნიკური ერთეულის პროფილს ეტება გ. ტურჩაინიშვილის წერილი. ირანულთან ქართული ენის მიმართების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს შხია ანდრონიკაშვილის სტატია: „ირანული წარმოშობის ზოგი ქართული სიტყვის ეტიმოლოგიისათვის“. ირანული ძირებია გამოვლენილი (ძალიან ადრე შეთვისებული) ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: აზნაური, ეშმაკი, ბორცვი, შართ-ალი, ნაძვი, ფართო, ცრუ-მარხ-ვა. საინტერესოა, რომ ერთი და იგივე ძირის ყოფილა სიტყვები: ბრძანება და ბრძენი. ასეთი სემასიური დავაწერება არაბულშიც შეინიშნება. ქართველური ენების ელემენტების გადასვლას თურქულ ენებში არკვევს სერ. ჯიქია:

„კოლექტიური შრომის ერთი ქართული ტერმინისათვის თურქულ ენებში“. საქართველო წარსულში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და რაციონალიზების დარგში წამყვან როლს ასრულებდა არა მარტო ამიერ და ჩრდილო კავკასიაში, არამედ, როგორც ჯიქიას ნაშრომიდან ჩანს, იგი იმ სფეროში თავისი შედარებით მაღალი კულტურით ზეგავლენას ახდენდა აღმოსავლეთ ანატოლიის თურქულ მოსახლეობაზედაც. ლაზებისაგან შეუთვისებიათ თურქებს სიმინდის კულტურა და უწოდებიათ **ლაზუთი**. ასევე შეუთვისებიათ ტერმინი **მოდემა**. ავტორი არცეცს აქ სიტყვის მნიშვნელობას და იმეორებს მთელ რიგ ავტორებს.

ძველ სომხურს დაუცავს სიტყვა „შორო-მაძვეს“. აქად. ნ. შარს გამოთქმული აქვს მოსახრება, რომ პირველი ნაწილი ამ სიტყვისა — „შორომ“ ნიშნავდა ხაშს, გადატანით თავს, ღვინის სასმისს, — მეორე ნაწილი („ძვეს“) კვანძობური ფორმის ჭურჭელია.

„შორომ“ მეგრულ-ქანურია წარმოშობის სიტყვაა, აღნიშნავდა მარი ჭიპოთეზურად, — სათანადო გაბგერების სიტყვად, მერე მეგრულ-ქანურში ვერ ენახა. შგაგვრულ-ჭრეველ ქაჭურულსაც დაუცავს („შოლრაჰ“). ნ. შარსს ჰიპოთეზურად გამოთქმული მოსახრების რეალურ გამართლებას წარმოადგენს **შაკარ ზებუას** პატარა წერაილი, მოთავსებული სარეცენზიო კრებულში. იგი მიუთითებს მეგრულ **ჩორამა-ზე** (ღვინის სასმისი), რომელსაც მეგრულები გამოიყენებენ გახურებულ ღვინის სმაში. აქ არის დამოხვევა როგორც ფონეტიკური, ისე შინაარსობრივი.

სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილია აგრეთვე ამ სტრიქონების ავტორის ორი წერაილი: 1) „ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველი ქართულ კოლოებსა და ზანურში“, 2) „მეგრული სუფიქსის კვალი ქართულში (ეტიმოლოგიური შენიშვნა)“.

შოთა ძიძიოვაძე

ელ. კოლუმოვსკინოვი — „მოთხრობები“



ელიზბარ პოლუმოვსკინოვის ახლახან გამოსულ წიგნში თავმოყრილია თითქმის ყველაფერი, რაც შვერალს თავისი სამწერლო მოღვაწეობის მანძილზე შეუქმნია. აქ არის მოთხრობები სამამულე ომზე, სვანური მოთხრობები, თბილისის წარსულის ამსახველი მოთხრობები, და აგრეთვე მოთხრობები, რომლებიც ქართველი მუსათა კლასის კრეოლუციურ ბრძოლას გვაცნობენ. ეს მოთხრობები გვისურათებენ გზას, რომელიც შვერალს გაუვლია 1926 წლიდან დღემდე. ამისდა მიხედვით მათში მეტნაკლები მხატვრული ფექტატობით გაშუქებულია ის საზოგადოებრივი მოვლენები, რომლებიც ახასიათებენ ჩვენი ცხოვრების განვითარებას. ასე, მაგალითად, შვერლის უტრადღებას არ გამოჩინებია ისეთი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა, როგორცაა კოლექტივიზაცია, რამაც მთელი რეეოლუცია მოახდინა სოფლის მეურნეობაში, ოქტომბრის რეეოლუციის ზეგავლენა ხალხის ფსიქიკაზე, მის ზნეობებზე და სხვ. საგრძნობი ადგილი აქვს დიდიძილი სამხელე ომს. ამრი-

ვად თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია. შვერლის ინტერესის ცენტრში უმთავრესად დგას ის საკითხები, რომლებიც ხალხს აღელვებენ. სამწუხაროდ ამასვე ვერ ვიტყვით ავტორის მხატვრული წარმოსახვის ძალაზე. საუტრადღებოა ამ მხრივ სამამულე ომის თემაზე დაწერილი მოთხრობები, უკეთ რომ ეთქვათ, ნარკვევები. ეს მოთხრობები ეხებიან იეთს მღელვარე საკითხებს, როგორცაა საბჭოთა ადამიანის პატრიოტიზმი, მისი თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს დირსებისა და თავისუფლებისათვის. მაგრამ მოთხრობათა უმეტესობა არ აღელვებს მკითხველებს, არ იწვევს მათში ემოციურ დაძაბულობას, ამის მიზეზია ის გარემოება, რომ შვერალი ვერ ახერხებს ღრმად ჩაწედს მოვლენებს, იგი უმთავრესად ამ მოვლენების ზედაპირზე რჩება, ვერ ახერხებს დასამახორებელი მხატვრული სახეების მოხაზვას, გმირთა ხასიათების დახატვას. ყველა გმირი ერთმანეთს ჰგავს, არცერთი არ არის მოცემული კონკრეტულ გარემოებაში დამახასიათებელი, რომ მოთხრობების გმირ-

თა მოქმედების არე უმეტესად არ არის ლოკალიზებული, მათი მსგელონა და აზრები ზოგადია, მოკლებულია ინდივიდუალურ ინტონაციას. გმირთა სახეები შერთალია, არ ჩანს მათი პორტრეტები, ავტორს აქვია იმ დეტალების შესატრული აღქმის შესაძლებლობა, რომელიც აუცილებელია პროზაული ნაწარმოებისთვის. ავტორი უმეტეს შემთხვევაში გვიხატავს გმირებს არა მათი მოქმედებაში, არამედ თითონ მსგელობს ამ მოქმედებაზე. ამიტომ მოთხრობა დეტულობის მშაალი პლაკატის იერს. ავტორის მიერ დახატული მებრძოლები მოკლებულნი არიან ადამიანურ გრძნობებს, ისინი ავტორის მიერ არიან შეგონილნი და ამიტომ — არადამაჯერებელნი.

მოთხრობა „სამშობლოში“ ავტორს გამოუვანილი ჰყავს ოცუელის მეთაური, რომელიც შეტევის წინ მებრძოლს უშლის ფიქრს საკუთარ ოჯახზე. „ტპილია ეს ფიქრი, — ეუბნება იგი მას, — მაგრამ აქ ამ ტპილ ფიქრს, საუბარი სჯობია. ბრძოლის მოლოვნიში ის ერთადერთი ფიქრი უნდა გვაწუხებდეს, თუ როგორ გავიმარჯვოთ“. მაგრამ განა შეიძლება იმის თქმა, რომ ოჯახის პედნიერების დარღვევაზე. მის გამოწვევებზე უფლებზე ფიქრი მოადუნებს ჯარისკაცის ნეპისყოფას, მის განწყობას ბრძოლისადმი და, პირიქით, უკანასკნელს ხელს შეუწყობს ისეთი ზღაპრების მოსმენა, როგორიც ეს მეთაური ჰყვება? სტანდარტულია მეტად ეს მეთაური „მას ჯგავრი არა სწევდა, ხშირად უღიზიანდა სახე, მის ხმაში კი ურველთვის სიამოვნება ეღერდა-ო“, ამბობს მის შესახებ ავტორი. ასეთი მეთაური, რომლის ხმაში ურველთვის სიამოვნება ეღერს, რასაკვირველია, ვერ ჩასწვდება მებრძოლს სულის სიღრმეში, ვერ გაიგებს მის განცდებს, მის მდიდარ სამყაროს.

მეთაური ჰყვება ზღაპრს შეტევის წინ ზღაპრის მიზანია ვალეიეოს მებრძოლთა შორის პატრიოტული გრძნობა. „ერთ პატარა და მშვენიერ ქვეყანაში ბრძოლის ველზე დაცვა სარდალი“, იწყებს მეთაური. სანს რომ მტერი მშვენიერ ქვეყანაშია შემოსული, მის შიგნით ომს აწარმოებს. დაბაისლები ეძებენ გმირი სარდლის შემსკვლელს, ვერ იპოვენს „დრო კი აღარ ითმუნდა, მტერი კარებზე იყო მომდგარი“. განაგრძობს მეთაური როგორ უნდა გაიგონ მშენებელმა მებრძოლებმა: „მტერი კარზე იყო ძაბვჯარა“ თუ „მშვენიერ ქვეყანაში“ იყო უკვე შესული? გუდებარია ავტორი რა ესხა დილაში, რომელიც სარდლის პრეტენდენტს დანი-

შულ ადგილამდე უნდა მიეტრა, ისე რომ წვეთი არ დაეცია: სისხლი, ურველთა, ერთ ადგილზე ზღაპრი ასე ამყარებს მშვენიერებს: „დაცქერს ის ფილის ნაპირებს, ცდილობს თანამემამულეთა სისხლი წვეთამდე არ დაეღვაროს, ის ხომ თვითველი ადამიანის სიცოცხლე არის?“ აქ სისხლზეა ზღაპრული შემდეგ: „მინანქოვანი ხელადიდან ხელახლა შეავსეს ფილა“ — აქ კი ღვინოზე. „დარბაისელნო, მე შევებულ ჩვენი დედატაქის ირგვლივ ამ სასამისს წვეთადულვლად შემოტარებას — სთქვა მან (ზღაპრული პრეტენდენტზე) და თავისი მზერა ისარივით ჩასასო ფილაში დაბმულ ღვინოს“. ძსარივით ჩასობილი მზერა მეტად გახშირდა ჩვენს პროზაში. ნუთუ იგი ასეთი მიმზიდველი სახეა? უკანასკნელად პრეტენდენტმა ურველთა გვარი დაბრკოლება გადალახა და ფილა დღისის (თუ სისხლის) წვეთის დაუქცევლად პიტანა დანიშნულ ადგილზე. იგი სარდლად აირჩია ხალხმა. ზღაპრმა იმოქმედა მებრძოლებზე, განთიადისას ისინი შეტევაზე გადავიდნენ, მათი ერთადერთი ფიქრი სამშობლო იყო. ისინი შეიჭრნენ ქალაქში.

მეორე მოთხრობაში „ღვინო გულის“ სახელწოდებით დახატული დედა, რომელიც ღვინო აფრქვევდა ომში წასულ ზღუთ ვებს“, ეს დედა, ავტორის თქმით, „არასოდეს გულში დარდს არ გაიგებდა“. ეს არის კალიონური ოპტიმიზმი, რომელმაც არაფერი აქვს საერთო იმ დიდ შინაგან ტკივილთან, რომელიც საბჭოთა დედამ ამ ომში განიცადა. ავტორის მიერ აწერილი სოფელი არაფერი უნდა ქონდეს საერთო დღევანდელ სოფელთან. ამ სოფელში „ხალხი მიემართება წმინდა გიორგის ტელისისკენ, შესაწირავი ჰიაჭეთ სალოცავში“. შეიძლება და საჩესბით დასაშვებია, რომ მოხუცი დედა წასულყო სალოცავდ და შესაწირავიც წაეღო, როგორც იგი ამას სიადის, მაგრამ შეიძლება მისი მოქმედების განზოგადება და შიველ სოფელზე მიწერა? ეს ხომ არაფრითა შეზღუდვაში არ შექნება მება დაღწევანდელ სოფელის სინამდვილეს? სამაგიეროდ კარგია ამ მოთხრობის ბოლო. მიწურში მყოფი მებრძოლნი დედის წერბლს დებულობენ, მათ შორის მისი უმცროსი შეილიცაა. უველას გაებარდა, მაგრამ ერთმა ფიქრმა შეიპყრო ისინი: „ღვინის წერბლი რომელ მთავანს უნდა ჩაეღვო უბეწი? არც ერთი არ სთმობდა მათ, რადგან უველას ეკუთვნოდა იგი“.

მოთხრობა „მადნაფიციში“ ისეთივე სიტუაციაა დახატული, როგორც „სამშობლოში“ იმ განსხვავებით, რომ იერიშზე გადას-

ვლის წინ აქ მებრძოლი შალვა ავაზაშვილი ზღაპრის ნაცვლად ამხანაგებს „ვეფხისტყაოსანს“ უკითხავს, თუმცა მეტყველიმფრქვევითა გუნდის მეთაური „ახლა მდღემარე შოლოდინში, როდესაც ახლოდებოდა ივრამზე გადასვლის დრო, ფიქრობდა, რომ წაიკითხა შეუძლებელი იყო“. უნდა დავუშვათ, რომ ფსიქოლოგებთან მეთაური მართადაც უნდა ყოფილიყო. მოთხრობას სანტიმენტალიზმის იერიც დაჰკრავს.

მოკლებულია კონკრეტულობას მოთხრობა „ხეხილიც გრძობს“. სად ხდება მოქმედება, რომელ ქალაქში? მკითხველმა იცის მხოლოდ, რომ აქ „ტყეშლისა და ხეშის ყვავილები“... ეფინებოდნენ ბაღებს, რომ „ფრინველები უკვე მოფრინალებენ“.

ხის განთავსებულ დანგრეულ ქალაქში, დანგრეული სახლის წინ მოხუცი ვასილი და თავისიანთა დაბრუნებას მოელოდა. საიდანაც გაჩნდა მისი შვილიშვილი ვლადიმერის ვასილიმ შვილიშვილი ჩაიხუტა, სიხარულის კრემლები გადმოსცვივდა მას, მაგრამ ეს არა ყოფილა მისი სიხარული“. მაშ რა იყო მისი სიხარული? იკითხავს მკითხველი, მაგრამ ვერცხველ პასუხს ვერ მიიღებს, თუ აყვით პასუხად არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ ბაბუა შვილიშვილს ბაღში შეიყვანს და ხეხილს არ დაარბევინებს. ავტორს ხშირად არ ყოფნის ძალა იმისათვის, რომ ახრი მხატვრულად დაასრულოს.

ნარკვევისა და მხატვრული მოთხრობის მიჯნაზე სხვა ნაწარმებშიც, როგორცია „მე ის მოვალა“, „შურისძიება“, „კალატონის სიყვლილი“. მათ არა აქვთ ნარკვევის კონკრეტულობა, დოკუმენტური ხასიათი, პუბლიცისტური სიმამრე, მაგრამ არც მოთხრობის განზოგადება ახასიათებთ. ნაწარმებში „მე ის მოვალა“ ორსამ გვერდზეა აწერილი გმირთა მიმდინი ცხოვრება. ამიტომ შესხირებში არცერთი სხე არ რჩება. „შურისძიებაში“ მოქმედობს სხეუთა ქალიშვილი ვალენა, რომლის საამური ხმა ტყეში ფოთლებსაც აშრიალებს, ხის კენწერობსაც არხვეს“, დაიწყო ომი. ამ სოფლის მამაკაცები, სადაც ვალენა ცხოვრობდა, პარტიზანებად წაიყვინენ. ერთ დღეს „უცხად ვალენის თვალი ცაში მოშხადარმა სანახაობამ (?) მოიტყა. ორი თვითმფრინავი ერთმანეთს ებრძოდა. ვალენამ თვლიანთივ დანიხა, რომ ერთ-ერთი თვითმფრინავიდან კაცი გადმოხტა, პარაშუტი გაშალა და ნელი რწევით დაეშვა დაბლა. ვინ არის? იქნებ მტერია?— გიფიქრა გულში და გადასწყვიტა მისულიყო“. ხელცარიელი მივიდა მისთან, თუმცა არ

იყოდა ძირდაშეგებული მფრინავის ვინაობა. გამოირკვა, რომ ეს იყო სპეკულა მფრინავი, პარტოელი, ვაჟაკი, რომელიც კრილობა ჰქონდა მიყენებულ. სხეულში ტყვია გარინნოდა. ვალენამ დაჰრალი სახლში მიიყვანა. ამავე დროს სოფელში შორე ბოლოდან დამსტრბის შემოვიდნენ. დაჰრლის სხეულზე იყვანენ. ვალენს დრო და შეკთბველი ასეთი დიალოგის შოწმე ხდება:

- „კრილობები უკვე მომირჩა, ვალენა!
- არა, ჯერ არ მოგჩინიათ!
- მომირჩა ნამდვილად“.

მკითხველმა არადერი იცის, როგორ მორჩა ხუთი კრილობის მქონე მხედარი, ასე ზედნიერად, უქეიმოდ, უპარაკაიოდ, სახლის სხეულზე შწოლარე. შემდეგ გამომთვლებული მფრინავი პარტიზანებთან მიდია. ერთ დღეს ვალენას სოფლის ბოლოში დამსტრბები შეხედეზიან, გაუპატოურებას მოუნდომებენ, მაგრამ სწორედ ამ დროს გაჩნდება იქ მფრინავი და დამსტრბ ოფიცერს მოჰკლავს. ყველაფერი ხდება ისე, როგორც ავტორს უნდა.

ნაწარმოებთა ამ ციკლში ყურადღებას იმყრობს „მამა“. იგი ერთერთი საუკეთესოა ამ წიგნში და ხალისით იკითხება, ავტორი ფაქიზი გრძობით ხატავს კომკავშირელ ალექსანდრესა და მამამისის სახეებს. რით არის მიღწეული აქ მხატვრული ეფექტი? უბრალო, პატარა დეტალით. ალექსანდრეს ზავშობაში შუბლი გაეკაწრა. წამოიზარდა იგი, თვითმფრინავზე ოცნებობდა. ჯერში გაიწვიეს. შემდეგ ომი დაიწყო. ალექსანდრემ ვაჟაკობა გამოიჩინა. ვაზეთებშიც კი გასწერეს. „მთელმა სოფელმა გაიხარა, მხოლოდ ივანე არ იჩნევედა ამ სიხარულს. ჩვეულებრივად წვერზე ხელს ისეამდა და შინაგანა დღედა რომ არ შეემჩნიათ, ხშირად იღებდა კვსაბებს და ჩიბუშიში მქიდროდ ჩაქვილი თამბაქოს უკიდებდა ცუხლს“. სწორად აქვს დახატული ავტორს მოსაყვარებელ მამის ფსიქოლოგიური სურათი. მკითხველი მას გარკვევით ხედავს, ალექსანდრე გმირი გახდა მშობლიურმა სოფელმა ამის გამო ზეიმი გადაიხადა. ცხრამუხასთან კოლმეურანობის სახლში აივანზე მისი სურათი ჩამოკიდეს. ღამით მარტო მივიდა მამა სურათთან, „სახის ნაკეთებს ამტერდებოდა. იმ კრილობის კვალსაც კი ეძებდა, შუბლზე რომ ჰქონდა დამწვეული, მერე ორივე ხელით ჩარჩოს ჩაეკიდა და თეთრი მთითოღვარე წვერით მიეკრა გრილ ჭალაღს“. ასეთი ღრმა იდამიანური გრძობით არის დაჯილდოებული მამა მოთხრობაში ჰარბად იგრძობა ეს სიბობა,

ცხოვრების სიმართლე და ამიტომ სტოვეს კარგ შთაბეჭდილებას.

წიგნის მეორე კარი შეიცავს მოთხრობებს, რომლებშიც ავტორს სურს ასახოს ის გარდატეხა, რომელიც მოახდინა ოქტომბრის დღეში რევოლუციამ სენათში შემონახულ ძველ ადამ-ჩვევებში. კლასობრივ დიფერენციაციის გამოხატავს მოთხრობა „მე ძმა ვარ შენი“, სენათში ახალი იდეების შეტრის დახატვის ასახავს მიზნად მოთხრობა „უაშშოლარ“. შიშხედავად იმისა, რომ უცნასწენელი სურტი და მკრთალი მხატვრული შესრულების მხრივ, თავის დროზე მან ერთგვარი როლი მანაც შეასრულა ახალი ცხოველყოფელი იდეების ავტორისა საქმეში. მოთხრობა დაწერილია 1928 — 33 წლებში. ავტორს არ შესწევს ძალა იმისათვის, რომ ღრმა აზრი მხატვრულად ჩამოაყალიბოს. მეტად ფხვიერია მოთხრობის კომპოზიცია, თითქოს თავდება ნაწარმოები და ავტორს მოქმედებაში ახალი გმირები შეჰყავს. ღარიბი და არაგამომეტყველია მოთხრობის ენა-მოთხრობა ასეთი სტილითა დაწერილი: „თვალები წინ წამართა და დაშტრდა დედის ტურებს“, „ჰალო, გინძერ, მზე მოგვიცარდა ოთახში, მთებიც წამოდგენ“ (ასეთი ენით სენა ქალბები ვერ ილაპარაკებენ), „ხელმა საკუთარ ტანზე ხანჯალი წაქცია“ (რას ნიშნავს ხანჯლის წაქცევა?), „აბ აშხა ფეხზე წამოდგა. მამის მკერდს საზე მიაკრო და, ვიდრე მამა გულთბილად ებასებოდა, სულ იმას ფიქრობდა, თუ რისთვის უნდა მას ქმარი?“, „სიმზიარულე და სიხალისე იხსენიზოდა, როგორც გულში გძმონისა იღენიზი და იპყრობდა არეს“, „უცხად გაისმა მძღავრად მოქნეული შთარახის დარტყმა“, „მათირი იღიშებოდა, გულწრფელად იცინოდა ასეთ შეხედულებაზე და ჟრადლებას არ აქცედა ამ ხმებს“, „თუთრად შეხვეული ცერი თითით“, „საწოლში კი ახლად დაბადებული ბავშვი გორაობს“. ახლადდაბადებული ბავშვის გორაობა წარმოუდგენელია.

მოთხრობაში ზოგიერთი ადგილი და სიტუაცია ბუნდოვანი და ხელოვნურია. არ არის გარკვეული მკითხველისთვის, ვინ აალებინა ხელი ბათირს, ძველი ადათების დამცველ, პირადი მტრის, რადიოს დამსხვრეტელისა და მისი შეზღვის გამტების გვეს მოკვლაზე? ვინ მიპართავს მას კითხვით: გინდა თუ არა აბაშხა ცოლად გამოგაყოლო? თუ აბაშხას მამა გურმანია, რატომაა იგა ნაწყხი ქალიშვილზე. რით მიაყენა შეუარაცყოფა ბათირის ოჯახში, გურმანს? არ არის დამა-

ჯერებელი გვეს უცარი გარდაქმნა და სხვა უფრო მეტი მხატვრული სისადავით და უშეაღბობით არის დაწერილი წიგნის „ადათის დასარული“, რომელიც ავტორს სისხლის აღების ადათის მოსპობას სენათში და იმ გარდაწყვეტ როლს, რომელიც შეასრულა ამ საქმეში საბჭოთა ხელისუფლებამ. მხოლოდ აქა-იქ ამ მოთხრობაში გამოკრთის გამოთქმები, რომელთაც არავითარი აზრი არ გააწინათ. გრძელბარია, მაგალითად, რას ნიშნავს „და თვალები ნაპწრკლებით რომ არ დაწამოდა“, შესაძლებელია ცრემლის ნაპწრკალთან შედარება? პრეტენზიული და მეტად ხელოვნურია.

წიგნის მესამე კარი — „ბედნიერ ცხოვრებაზე მეოცნებები“ — არაფერს ახალს და ღირსშესანიშნავს არ შეიცავს. მათში ვაღმოცემულია ნ. ბარათაშვილის, აკ. წერეთლისა და უფრო ვრცლად — პუშკინის ბიოგრაფიული ცნობები. „პოეტის სიკვდილი“ კარგი იქნებოდა, რომ მასში გახსნილი იყოს ნ. ბარათაშვილის მარტოობის ტრაგედია. არ იგძნობა, რომ ნ. ბარათაშვილის სიკვდილით ხამდვილად დიდი სინაღლე ჩაქრა. არ ჩახს ბედნიერ ცხოვრებაზე მეოცნებე. დიდი თემა ტრიტიალურადაა გადაჭრილი. უფრო სწორად რომ ეთქვით, მასში, ისე როგორც „უცნასკნელ ღამეში“, ჩვენი დიდი პოეტების ცხოვრების პატარა მხარეა გადმოცემული მხატვრული გაღრმავების გარეშე.

მოთხრობაში „შორეულ ცის ქვეშ“, რომელიც დოკუმენტალურ მასალებზე აგებული მოთხრობაა, ასეთი ადგილია: „სამეტი წლის ტატოს თითქმის ყოველდღე თვალწის ეხატება ყოველი მხრიდან მთებში შემოვლენული თბილისის სურათები, როდესაც ის წიგნებით იღლიაში ჩამოვილის იმის ყელიდან, შედგება მეტების ხილზე და გადაავლებს თვალს მტკერის მდინარებას“. ამონაწერიდან აუც გამოდის რომ 13 წლის ტატო ჰდგარა მტკერის ვალში. ჯერჯერობლივ ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობებით ეს არ შეეფერება სინამდვილეს. რამდენადაც საკითხი შეეხება ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიას, საჭიროა მეტი სიზუსტის დაცვა.

ავტორის აზრით დიდ პოეტს პუშკინს ასეთი წარმოდგენა აქვს ქართველებზე:

„— ბატონებო, ბედნიერი ხართ, მოწინაველში ქეიფი იყით. თქვენს გულს მწუხარება, ალბათ, არასდროს არ მიეკარება. მისი გაღანტვა, როგორც ჯადოქარებს, ისე შევიპილიათ. იყავით ბედნიერი მთელს თქვენს სიცოცხლეში“.

ასეთს შეტრაცხყოფელ მომართვაზე ავტორი შელიტან ბარათაშვილის პირით ამგვარ რეპლიკას აძლევს:

— ჩვენ გიცნობთ პეშენს, დიადი გრძნობების მტყველი ხართ. თქვენი ფიქრები და სურვილები ნაცნობია ჩვენთვის. ჩვენ სხვა საქმე აღარ დავგებინებთ, ან უნდა ვომოვდეთ, ან უნდა გვიფიქრობდეთ. დიაცხვივით ცრემლების ფრქვევა არ შეგვიძლია“.

ძველი თბილისის სურათის მოცემის პრეტენზიითა დაწერილი მოთხრობები „ვერცხლის ტაძარი“ და „ლურჯი სუფრა“. მკითხველსა მესხიერებაში თითქმის ცოცხლდება „ვიწრო ქუჩები, ლენის სარდაფები, ზურნა, ყაჩაღობები, რომლებსაც გულგადაღლილ ახალბედებიდან ბალნაინი მკერდები მოჰქანის“ და სხვ. ამ მოთხრობების შემეცნებითი და მხატვრული ღირებულება დაბალია, შიშვედად იმისა, რომ ცალკეული სცენები ცოცხლად დაწერილი. მთელი რიგი ადგილები ავტორის გემოვნების დაბალ დონეზე შეტყვევებენ: „ბშირაღ იღლებს (მთვარეზეა ლაპარაკი) და მთის წვერს რომ მიადრწევს, ჩამოვდება ხოლმე მის ნაპირზე და ბარათაშვილივით ფიქრობს მოაწმინდაზე. შერე მიდის“. ანდა „შენ დიდბანაა მთის იქით გადავიდა, ოფლები დასაქრად დაეღვენა, მაგრამ გაუსტტათ — ბინდმა შეეშალა ხელი“, „დილა თვითონ გათენდება“.

საკომლეთნეო შრომის თემაზეა აგებული მოთხრობა „წყურვილი“. თემა აქტუალური და წამახალისებელია, მაგრამ სუსტად არის შესრულებული. შაა შშირაღი ავტორის ხასიათი აქვს მოქმედნი პირნი ჩვეულებრივი სტანდარტული ერთი მტყველებენ. კომკავშირელი კოლმურზე შალვა ამხანაგებს ასეთი მალაღფარდოვანი, ყალბი პათოსით მიმართავს: „... ბიჭებო, ტოლებო, შესხდეთ ამ წყაროს, ისე სჩქეს, როგორც სიწმინდე. წყაროში ჩაჭოვილია სანდროს სახე და სახელი. და განა ის მკვდარია? ის ცოცხალია, ის ჩვენს ბედნიერებაში სუნთქავს“. და ა. შ. ამავე კარში მოთავსებულია „ბრძოლას განკარგობით“, რომელიც მკითხველს აცნობს

ჩვენი მუშათა კლასის ბრძოლის ერთ-ერთ სახელოვან ფორცელს. მოთხრობაში ნაქმინებია ახალგაზრდა სტალინი, რომელიც მუშათა კლასის გათვითცნობიერების, მინა დაჩაწვევას საქმეში, მოთხრობა ფრავმენტალური ხასიათისაა. გაუგებრობას იწვევს მოთხრობის დასასრული. ციშირში ასახლებენ მოთხრობის ერთერთ გვირს ალექსის. სადგურზე შეილის გასაცილებლად გამოსულია ალექსის დედა. შეილი თხოვს დედას არ იტყროს.

— არა, შეილა, არა, აბა როდი ეტირი? უპასუხებს დედა, მაგრამ ნამდვილად იგი თავს ვერ იკავებს და „წამწამებზე ბროლის მძივები დაეტყო“. სასებთი გასაგებ რეაქციას ავტორი ბურუსში ხევეს. იგი დასცენის: „ოლონდ საზე შინც იცინოდ, ძნელი გაშასარკვევი იყო. ცრემლები იყო ეს თუ აღტაცებების ნაპერწკლები“. რას უნდა მოეყვანა ასეთს დროს დედა აღტაცებაში? არ არის ბუნებრივი. შეუფასებელია დედის ბუნებრივი გრძნობა.

წიგნში მოთავსებული რამდენიმე მოთხრობა. ვერ კმის ამინდს. მათ აკლიათ მხატვრის თვლი და გრძნობის სიღრმე, უშეალობა. მოთხრობების უმეტესობა სქემატურია, მკრთალია იდენტურად და მსუბუქი მხატვრული შესრულებით. არ სტოვებს მკითხველში შესამხნევე კვალს. მის სულიერ ცხოვრებაზე ნაკლებ ზეგავლენას ახდენს, არ ავიდრტებს მის ცხოვრების გამოცდილებით, არ აღფრთოვანებს მოქმედ პირობა მოქმედებით. სამაშულო ომზე დაწერილ მოთხრობებს ახასიათებთ ერთფეროვნება, უსიცოცხლო და ბრკვედილა ენა. მოქმედ პირებს არ გაანიათ მათთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ენა. ისინი ერთი სტანდარტული, უმეტეს შეთხვევაში, ავტორის ერთი მტყველებენ. საკირო და აუცილებელი იყო ზოგიერთი იმ მოთხრობის საფუძვლიანად გადაჭრუვაება და სტილისტურად დაწმენდა, რომლებიც ავტორის საწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ წლებშია დაწერილი.

მკითხველი

ქურონალ „მნათობის“ 1946 წლის ნომრების შინაარსი

ლიტერატურა

ლენინ-სტალინის დიდი დროშით, აბ. გ. თ. ალექსანდროვის მოხსენება 1946 წლის 21 იანვარს — ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 22 წლისთავისადმი მიძღვნილ სპეციალ-სამკვლევარო სხდომაზე, № 1.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვა ქ. მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს, № 2—3.

ამხანაგ ლ. პ. ბერიას სიტყვა თბილისის — სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1946 წლის 5 თებერვალს, № 2—3.

აბ. ქ. ნ. ჩარკვიანის წერილი საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავის შესახებ, № 2—3.

აბ. ვ. მ. ბაქრაძის მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს საიუბილეო 9 სესიაზე, № 2—3.

სსრ კავშირის სახალხო მფრინობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა და თბილისის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები — საქართველოს კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ქ. ნ. ჩარკვიანის მოხსენება თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1946 წლის 16 აპრილს, № 4.

ქრონალის „ზევლისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 11 აგვისტოს დადგენილებიდან, № 8.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხები „სანდვი ტიშის“ მოსკოველი კორესპონდენტის ბენ ალექსანდრე ვერტის მიერ ამხანაგ სტალინის სახელზე 1946 წლის 17 სექტემბერს გაგზავნილ ბარათში დასმულ კითხვებზე, № 9—10.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხები ამერიკელი სააგენტოს „იუნაიტედ პრესის“ პრეზიდენტ ბენ ჰიუ ბეილისაგან 1946 წ. 23 ოქტომბერს მიღებულ კითხვებზე, № 9—10.

აბ. ე. დანოვის მოხსენება ქრონალის „ზევლისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ, № 9—10.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები, — აბ. პ. ა. შარიას მოხსენება საქართველოს საბჭოთა მწერლების შესამე ყრილობაზე, № 9—10.

რეზოლუცია სსრკ-ის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმისა 1946 წლის 4 სექტემბრის თარიღით, № 9—10.

რეზოლუცია საქ. საბჭოთა მწერლების შესამე ყრილობისა, № 9—10.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 29 წლისთავი, — აბ. ა. ა. ე. დანოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს 1946 წლის 6 ნოემბრის სპეციალ-სამკვლევარო სხდომაზე, № 11.

რომანი, პიესა, ნარკვევი, მოგონება

ბარნივი ვასილი — დედოფალი ბიზანტიისა, ისტორიული რომანი, № 9—10.

ბელიაშვილი აკაკი — თავგადასავალი ბესიკ ვაბაშვილისა, რომანი, ნაწილი მეორე, № 5—6, 7, 8, 9—10, 11, 12.

გაბიუული მარიამი — განვლილი გზა, ნაწვევები მოგონებიდან, № 11, 12.

დადიანი შალვა — მენჯი-რობუ, რომანი, გაგრძელება, № 1, 4, 5—6.

დოდაშვილი რუსუდანი — კრიკინობცლა, მოთხრობა, № 5—6.

თორდუა ელადიშვილი — სურათი, მოთხრობა, № 11.

ირვინივი ვუოშინგტონი — საქმრის ანრდილი, მოთხრობა, თარგმანი ინგლისურიდან ი. ლ. გამყრელიძისა, № 7.



- სულაშერიძე დადი — აგვაროზი, № 2 — 3.
 ფორჩხიძე შალვა, ლექსები, № 5 — 6.
 შანშიაშვილი ხანდრო — იგავ-არაკები, № 5 — 6.
 შატერაშვილი ვიორჯი — სადღევრდელი უძლეველი ლექსისა, უკანასკნელი „საქართველო“
 № 2 — 3; ლექსები, № 5 — 6.
 შენგელია აღეკო — ხმის ვადღე, № 2 — 3.
 შუბლაძე ვერა — ჩემი გაზაფხული, № 2 — 3.
 ჩაჩავა ნიკოლოზი — სამი ლექსი, № 2 — 3; შერცხალს, № 5 — 6.
 ცეცხლაძე გრიგოლი — თამარის ხიდი, № 11.
 ჭელიძე ოთარი — ოთხი ლექსი, № 2 — 3.
 ჯამბუღი — შვილებო ჩემო, ლენინგრადადენო! თარგმ. ვასო გორგაძისა, № 7.
 ჯანგულაშვილი თეიმურაზი — ოდერიც გადავლახეთ, № 1; ლექსები, № 12.

მწიარლის ტრიბუნა

- გაშასურდია კონსტანტინე — ეურნალ „ზნაიას“ რეცენზენტის სპასუხოდ, № 5 — 6.
 კიკინაძე კონსტანტინე — ერთი უმართებულო პასუხის გამო, № 12.

ქრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

- აღაიძე მიხეილი — აკაკის მოგზაურობა რაქა-ლენხუშში, № 8.
 ასათიანი ლევანი — მეტრაშეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან, № 2 — 3; ვალერან გავრინდაშვილი, № 4; აღექანდრე ჭავჭავაძე, № 9 — 10.
 აფხაიძე შალვა — დავით კლდიაშვილი, № 5 — 6; პოეზიის ახალი კადრები, № 9 — 10.
 ბაქრაძე გ. ი. — ლიტერატურათმცოდნეობა და რეტოროსპექტიული მიმლოცვითია, № 5 — 6.
 განჭილაძე გივი — თანამედროვე ინგლისური პოეზიის მიმოხილვა, № 4.
 ირემაძე ქეთევანი — გუსტავ ფლობერი, № 2 — 3.
 კაკაბაძე ხარჯისი — 1761 წელს დაწერილი ქართული სასცენო მინიატურა, № 7.
 კალანდაძე ლავროსი — ადამიანის საკითხი გორკის შემოქმედებაში, № 5 — 6.
 კველიშვილი ნიკოლოზი — „სსრ კავშირის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის“ სახელმწიფანელოს კრიტიკისთვის საქართველოს ისტორიის ერთ საკითხში, № 2 — 3.
 იკაძე ქვეკლიძე კორნელი — იკაძე ნიკო შარი და ქართული ლიტერატურის ისტორია, № 11.
 ლუნდბერგი ევგენი — შალვა დადიანი, სილუეტო, № 2 — 3.
 ნადირაძე გიორგი — ბუნების გრძობა ბარათაშვილის პოეზიაში, № 1.
 ნიკოლაძე ანა — ნ. ა. ნეკრასოვი, № 12.
 რადიანი შალვა — გიორგი ჭუჩუშვილი, № 11.
 ტვაძე ვიორჯი — სამცხე-საათაბაგო „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავითის“ მიზედ-
 ცით, № 8.
 ქუთულია აღექანდრე — ვაჟა-ფშაველას ეთიკური და ლიტერატურული შეხედულებანი, № 11.
 შამათავა დავითი — რომანი მეფე ერეკლეს ეპოქაზე, № 2 — 3.
 შარია პეტრე — ევრეთოშოდებული რეფორმირებული მატერიალიზმის შესახებ, № 12.
 შენგელია დემნა — სიკოცხლის მღერალი, № 1; ნიკო ლორთქიფანიძე, № 5 — 6.
 ცაიშვილი სოლომონი — სულხან ბარათაშვილი, № 8.
 კიკინაძე კონსტანტინე — დაკვირვებით წაკითხული, № 4.
 ჭუმბურიძე ჯუმბერი — გრიგოლ ორბელიანის „დილორის“ გამოუქვეყნებელი ნაწილი, № 7.
 ჯანელიძე დიმიტრი — ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი უკანასკნელი შრომის მნიშვნელობა ქართული თეატრის ისტორიისათვის, № 4.
 ჯიბლაძე გიორგი — ნოველები თუ ანაქრონიზმები?, № 9 — 10.
 ხანთაძე ირადიონი — სტალინის ერის თავისებურებანი და გამოთქმის ხერხები, წერი-
 ლი შესახებ, № 8; წერილი მეოთხე, № 12.

- ა. შ. — აკაკი ბელიაშვილი „იუმორი“, № 9 — 10.
 აბრამია პოლიო — სვეტიცხოველის ისტორიის ლექსები, № 7.
 გამაზურდია გ. — დოქ. ი. მელქაძე „ამიერკავკასიის ბოლშევიკები ლენინურ-სტალინური
 ნაციონალური პოლიტიკის გატარებისათვის ბრძოლაში“, № 2 — 3.
 გოწალიშვილი შალვა — შ. ჩხეტიას „ნ. ბარათაშვილი“, № 4.
 ე. ქ. — კლიმენტი გოგიაძე — „ჩემი ქალაქის აღმშენებელი“, № 8.
 იოსელიანი ავთანდილი — „საისტორიო მოამბე“, № 1.
 ლაზი თ. — პანტელეიმონ ჩხიკვაძე „ახალი ხმელეთი“, № 7.
 მკითხველი — ელიზბარ პოლუმორდვინოვის მოთხრობები, № 12.
 შამათაძე დავითი — გ. ჯიბლაძე „კრიტიკული ეტიუდები“, № 1.
 შენგელაია დემნა — დავით სულაშვილი „ზურაბის ციხე“, № 9 — 10.
 ქარელიშვილი ე. — სერგო კლდიაშვილი „ნოველებს წიგნი“, № 8.
 ლენიაშვილი ანა — „თავგული“, № 5 — 6.
 ჩხეიძე ოთარი — შექსპირის ახალი თარგმანები, № 11.
 ძიძიგური შოთა — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946 წ., № 12.

შინაარსი

ალექსანდრე აბაშელი — ნეკრასოვის სოფნას, ლექსი	83-3
ნ. ა. ნიქარსოვი — პოეტს, თავისუფლება, ლექსები, თარგმანი ვასო გორგაძისა	5
ალეო მარაშვილი — მანინ რა ვიყავ, აქარა, ლექსები	7
აქაკი ბელიაშვილი — თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა, რომანი, გაგრძელება	9
შალვა აფხაძე — დნებოდა ღამე, მუბრანული, ლექსები	34
ბიორბი კაპახიძე — მოსაველი, ლექსი	36
ალექსანდრე ფადეივი — ახალგაზრდა გეარდია, რომანი, გაგრძელება, თარგმანი კოლიო აბრამიასი	37
შალვა ამისულაშვილი — შორი გზები მოვივლიათ მამაკურად, ლექსი	83
სამიშურაჲ ჯანაშვილაშვილი — ლექსები	84
—	
მარინა ბარბუზი — განვლილი გზა, ნაწვევებში მოგონებიდან, დასასრული	86
—	
გებრი შარინ — ეგრეთწოდებული რეფორმირებული მატერიალიზმის შესახებ	102
იროდირე ხანთაძე — სტალინის ენის თავისებურებანი და გამოთქმის ხერხები	121
ანა ნიქოლაძე — ნ. ა. ნეკრასოვი	135
—	
კონსტანტინე ვიშინაძე — ერთი უმართებულო პოსტის გამო	145
—	
შოთა ძიძიუშარი — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, 1946 წ., ბიბლიოგრაფია	149
მკითხველი — ელიზბარ პოლუმორდენიოვის მოთხრობები, ბიბლიოგრაფია	154

პოსტისმგებელი რედაქტორი ი. აბაშიძე.

სარედაქციო კოლეგია: ა. აბაშელი, ნ. აბიაშვილი (პ/შგ. მდიანი), ი. ბრიშაშვილი, ვ. ინგოროვსკა, ს. კლდიაშვილი, ა. მარაშვილი, ბ. შალენტი, ბ. ტაბიძე, ს. შანშიაშვილი, დ. შენგულაია,

ბელმოწერილია დასაბეჭდად 7/II-47 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10 1/2. უმ 00924. შეკვ. № 1696. ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამოცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, ფორესის ქ № 5.

20/7.



**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ**

„ИНАТОВИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ